ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

1988



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

369
გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი

4

აპრილი
1988
თბილისი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიმო გეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
გურამ გეგეშიძე
გიორგი გუჯლია
თეიმურაზ დოლიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
ვორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფერეთელი
გიორგი ჭანტურია
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შინაარსი

პოეზია და პროზა

3. მამუკა ფიქლაური — ლექსები
6. ჯემალ დავლიანიძე — მოთხრობები
20. რაულ ჩილაჩავა — ლექსები
23. მანანა კობაიძე — ლექსები
25. ვლადიმერ ჯოლოგუა — დედაშვილობა. მოთხრობა
37. გესია ხარანაული — ფიქრში და სიზმარში. პოემა
50. ნოდარ ფულეისკირი — აფთარი. რომანი. პირველი
74. მალხაზ მაჭავარიანი — ლექსები
ნაწილის დასასრული
75. ვაჟა ოთარაშვილი — ლექსები
77. ნოდარ გაძრაძე — ლექსები
79. ზაურ კალანდია — ქამი მესამე. რომანი. დასაწყისი
101. პაატა მოისწრაფიშვილი — ლექსები
102. მურად ჰოლოკავა — ლექსები
104. იროდიონ ქავთარაძე — მოულოდნელი შეხვედრა. მოთხრობა.

პუბლიკაცია

109. არჩილ ჯორჯაძე — დიმიტრი ყიფიანი

წერილები

123. თეიმო გეიშვილი — „აისბერგი მღერის“
129. აკაკი მინდიაშვილი — ლაბირინთში
147. ჯარჯი ფხოველი — „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“
153. დავით ჩიხლაძე — ნეოკავანგარდის ორი სახე

ცნობილ მწერალს **მამუკა წიკლაურს** დაბადების 50 წელი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

მამუკა წიკლაური

ზორეული ცურვა

აი, თენდება
და ჩემი დღის გარიჟრაჟიდან;
როგორც ბიჭები ამღვრეულ წყალში —
ამღვრეულ დღეში ვხტები და ასე
იწყება ცურვა.
ვჯდები საგარეუბნო ავტობუსში,
დილაა და მგზავრები მაინც
დაღლილებია —
არც ერთმანეთს უყურებენ,
არც რაიმე საერთოს,
სხედან და, მგონი, არცა ფიქრობენ,
ქვებივით სხედან.
საშინელია ეს მარშრუტი
ამ თავისი ერთფეროვნებით.
ჭერზე რომ თოკით რამეს დაკიდებ
და გააქანებ,
ჩვენც აი, ისე დავქანაობთ
იქით და აქეთ.
. . .
ქუჩაში მდუმარე კაცი დგას.
უცებ ტკივილმა დაუშრო და დაუჭრა
სახე,
რაღაც ჭრილობას წამოედო იმისი
ფიქრი.
უნდა მიხვიდე,
მალამოსავით უნდა დაადო ხელი
ბეჭებზე,
მაგრამ შენ ხომ ჭერში დაკიდებული
ავტობუსი ხარ —
იქით და აქეთ,
აქეთ და იქით,
შენ შენი ნებით ვერ გაჩერდები.
. . .
ავარია მომხდარა...
მაგრამ ეგეთ რამეზე
თვალები უნდა მიუშვა,
გული კი არა...
ვაიარე, ავტობუსო,
შავ ფერზე რატომ უნდა გაჩერდე...
. . .
როგორც მინდორში წვიმისგან გუბე,
თანდათან ჩადგა ეს ჯავრის გუბეც —
მკლავი რომ დადნა,
დრო რომ დადნა,
გული რომ დადნა,
სულ ყველაფერი დაგუბდა ერთად.
დღეს ერთი წვეთი კიდევ დაეცა —
დედიმაჩემი გარდაცვლილა,
ამა და ამ დღეს ვასაფლავებთო...
დაასაფლაონ!
მე ვერასდროს დავასაფლავებ
იმ კაცს, ცხენით რომ დაფრინავდა
ქედიდან ქედზე
და მაყრობაში ბრტყელი ხანჯლით
საკიდლებს კვნეტდა.
ის არ მოკვდება,
არ მოკვდება მეხის ხმა მთებში.

საქ. სსრ კ. მ
სახ. საზ. რესპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ გამამტყუნებთ ამ ხმამაღალ
შეძახილისთვის,
ხმით ვტირი, აღმა ამავალი სიმწრისგან
ვმღერი.

. . .

გაზაფხული წასულა.
გაყვითლებულან მთები.
მე ვერც მამჩნევენ
ისე მიჰქრიან
ამ ჩემს სარკმლებთან გაზაფხულები,
ზაფხულები და შემოდგომები...
თითქოს შეერთდნენ,
გაყინულ დროდ გაერთიანდნენ.

. . .

...ეგრე რატომ მელაპარაკები...
ყველა მე მამტყუნებთ,
ყველას სიბრძნის ბალახი ამოგდით
ენებზე.

აბ, ჩემს გულში ჩაიხედეთ —
რას ვფიქრობ თქვენზე:
თქვენ დაწვებოდით,
კუდებს ასძრავდით,
მონების ბაზარზე გაიყიდებოდით.
მე კი იქიდან რომ წამოვედი,
კი არ მისტვენდნენ —
შეშინებულები მიყურებდნენ.

. . .

აი, ციხე-ქალაქი.
აქ წინაპრები შემოსეულ მტერს
ემალებოდნენ და ებრძოდნენ.
სხვა ალბათ, ასეთ რამეს იტყოდა:
— ჩვენ თითო ქვისთვის ბრძოლა
დაგვჭირდა
ეს ციხე-კოშკი რომ აგვეგო
და მტრისთვის გვეთქვა:
აი, აქ ვდგავარ,
ამ ქვის ბუდეში
ჩავწყობ კვერცხებს,
გუთნისდედებს და მხედრებს დავზრდი.
მევენახეებს და მეომრებს გამოვფენ
მზეზე...

მე კი სულ მეტირება —
შეაბჯრული წინაპრის სახით
გადმოვდგები ციხის ქონგურზე
და ჩემს ბედზე და ბეჩაობაზე
შორიდან ვტირი.

. . .

შენ ისევ აქ ხარ,
როგორც აქაა
ცაში აფრენილ ფრინველის ჩრდილი.
მე შენ მიყვარხარ,
მაგრამ ფრინველი
უკვე გაფრინდა სხვა ქვეყნისაკენ.

. . .

ის არ არის?!
თვალი ამარიდა...
ღმერთმა უშველოს,
მეც მეზარებოდა —
ეგ მეტყოდა...
მე ვეტყოდი...
ბოლოს კი — ასე:
— კარგად იყავი, —
გავიღიმებდით, კბილებს გავშლიდით, —
აუცილებლად გამოგვიარე, —
ხელს დავუქნევდით ლაღად ერთმანეთს.

. . .

ორი კაცი საუბრობს.
ერთმა გაიცინა.
გამხმარ ხის ქერქს გავს მაგის სიცილი.
საწყალი სიცილი —
ის სულ სხვა არი,
ადამიანს რომ დეკიანივით დაეფინება

. . .

მათხოვარი.
ახლაც უნდა გავიარო
როგორც ბევრჯერ გამივლია —
ცარიელ ჯიბესა
და მოწყალების გაცემის სურვილს
შორის.

. . .

ჩხუბობენ.
ერთმა აჯობა და მეორეს ფეხებით
შესდგა.
რა ტყუილად უსტვენენ შაშვები,
რა ტყუილად შრიალებენ ჩინარები,
რა ტყუილად ციმციმებენ მნათობები.
ეშმაკი მოგვდევს,
გვისაფრდება მოსახვევებში.
ერთ მოსახვევს რომ მღერით გავივლით,
სხვა მოსახვევში ელდას გვახვედრებს.

. . .

ტრიალებს დაზგა,
ტრიალებს ტვინი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ წრეში უნდა ტრიალებდნენ დაზგა
და ტვინი.
არ-კითარი ზედმეტი სიტყვა
და მოძრაობა.
შენ დიდი დაზგის ნაწილი ხარ,
ეცადე, დიდხანს შეინარჩუნო
ცვეთის უნარი.

. . .

ნეტავ არ მეკითხა.
აი, რა მიპასუხა:
— ციხეშია,
ვიღაც მოისყიდა,
ცოლი მოაკვლევინაო.

. . .

სულ მყინვარწვერი მახსენდება
აქ ჩამოსვლისას.
აქ შევხვდით პირველად.
ამ ადგილიდან მყინვარწვერი ჩანს.
მოწმენდილი ცა იყო და მყინვარს
გავყურებდით.
მერე წერილში იწერებოდა:
— ერთხელ მიდი და მყინვარს
გახედეო...
ვერ მივედი,
არ მიყვარს ნანგრევებში სიარული —
ან გველი გიკბენს,
ან ღამურა წამოფრინდება
და გულს გაგირღვევს.

. . .

ისე ამაყად მოაბიჯებს —
კაცი იფიქრებს,
რომ დღეს მშვილდ-ისრით ხარჯიხვი
მოკლა.
ხორცს იშოვიდა, ეგ ბეჩავი,
ან იქნებ ყველის რიგიდან მოდის
და სიამაყედ დაჰფენია ხარჯიხვი
მხარზე.

. . .

ჩიტს ბუდისაკენ ჩალა მიჰქონდა.
უეცრად ეცა ქარი ნისკარტში
და გამოგლიჯა.
მეც ეს ქარები მომდევენ სტვენით.
ქარისაგან ვარ მოტანილი,
ქარი წამიღებს.

. . .

ცურვა დასრულდა.
ნავს ბალიშზე ვაბამ და ვწვები.
მომაცილებენ ძილისაკენ ძეძვის ეკლები
ისინიც ჩემთან იძინებენ და ღვიძებენ.
ხაფანგში გაბმულ მხეცს რომ სოროში
ჯაჭვი შეჰყვება —
ისე შემომყვნენ მე ეს ეკლები.
გათენდება და ხვალინდელი დილა
მომაგნებს,
ჯაჭვს გამოსწევს და გამომათრევს ჩემი
სოროდან.

... ცურვა გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაჩემი აკლია ეზოს

ეზო ჩუმია. დილა რძისფერი. ნასესხებია. ჰყვავიან ალუბლები. კომშებს გაპხსნიათ კვირტები — ბაცი წითელი. ძაღლის ყაყაჩოსფერი. წყალი ჩხრიალებს ვაზის ძირებში. მეზობელი ქვას ამტვრევს. გაზაფხულია იმიტომ, რომ თოვლი გადნა... ხეები მწვანდებიან. ნაჭიაკოკონართან თბილა. ნაღვერდალში ფერფლია. ჩემს ბავშვობას მაგონებს. ის კი სიხარული იყო... ახლა დარდია. მანძილი, რომელიც ბავშვობასა და ჩემს შორის გაბმულა, ასაკია, წლებია, ნაოჭებია, სიბერეა. შორდები... გემატება სადარდელი შენი წარმომავლობის არ-ცოდნის გამო. სიბნელიდან მოსული სინათლეში ხარ. ისევ სიბნელისკენ მიეშურები. ანდა, შენ გგონია სიბნელეა. . უფრო უარესია... მერცხლები არ ჩანან. შაშვმა პირველ თებერვალს იგალობა. დილაადრიან. შავი მაესტრო — შაშვი მიკითხავდა გარდაცვლილი მეგობრის ლექსებს. ჩამესმოდა ნაზამთრალი ზღვის ტალღების ტყლაშუნი და სიცივის გამო პლაჟებზე გამორიყული ფრინველების ნაღვლიანი სიმღერა... სიმღერა უჭანგო. სიმღერა ცუდად ნამღერი, თუმცა ნაღდი, მოლურჯო და არა ლურჯი... იმნაირი ცისფერი, რომელიც ერთხელ დაედება ხოლმე სამყაროს, — ჩვენს მიერ ხილულ სივრცეს (ჩვენ რომ უბრალოდ ცას ვუხმობთ) და მხოლოდ ერთხელ შევნიშნავთ და ვიმახსოვრებთ... მხოლოდ ერთხელ, მეტჯერ ვერა და არც... ახლა დროა სიხარულის? სიხარული სიჯანმრთელეა!.. მაშასადამე, ჯანმრთელი კაცი დიდხანს ცოცხლობს... უფრო მეტ გაზაფხულს მოესწრება... აგერ ატამიც... იმნაირად აყვავილებული. როგორიც სიმწიფისას არის ხოლმე. თავისივე გემოს ფერია... მჭირდება მე მისი ნახატი? სანამ არ გახმება, ხომ აქ იდგება. ყოველ აპრილში გაიფურჩქნება და ვნახავ ამ სინათლეს, სიმშვენიერეს, სილამაზეს... მისი ტილოზე გადატანა, ჩარჩოში ჩასმა და ქვეშ შენივე ვინაობის მიწერა, მკრეხელობად ჩაითვლება თუ არა იმ კანონთა მიხედვით, რომელთა შედგენა ჩვენ არ გვეხება? რა ლამაზია ატამი! იგი წელიწადში ერთხელ უნდა ნახო. მეტჯერ არა, ანდა ვერც... მეზობელმა გუშინ იქეიფა. დღეს ქვა ამტვრია. გოჭი დაკლა, მწვადები შეწვა, მეგობრები მოიპატიჟა... არის იგი ბედნიერი? და, ამ ატმის, კომშის, ალუბლის გვერდით აქვს უფლება ცხოვრებისა? აჰა! რადგან არის, რადგან მოძრაობს, გოჭის ხორცს მიირთმევს, რაღა თქმა უნდა, აქვს უფლება იცხოვროს ამ ბალახების, ვაზების, შაშვების, ჭერმების, აკაციების გვერდით. რაო, განა აუცილებელია ყველა თაფლის შემგროვებელი იყოს? ფუტკარი ფუტკარია, ადამიანი კი ადამიანი! უდიდესი სამადლობელი ამ ჭეშმარიტებისათვის. სჯობს მოვრწყათ ბაღი და ვიფიქროთ წყლის ჩხრიალზე, რომელიც, თურმე ნუ იტყვი, ნევროზს უხდება. მერე რა, რომ წყალი წყალია, ადამიანი კი ადამიანი... განა ზღარბებს არ უყვართ ოდნავ დამპალი ვაშლით პირის ჩატკბარუნება? წყალი ნუშის ძირში გუბდება... რამდენი რამ არ ვიცი... ხომ ყოფილა ვირთხა დედამიწაზე, — თურმე, მოგპარავს რაიმეს, მაგრამ აუცილებლად მოგიტანს სამაგიეროს. მაგალითად — იმ ვირთხას შეუძლია ავაცანცლოთ ოქროს საათი და მის საანცვლოდ (იმავე ადგილზე, სადაც საათი იდო) დაგიტოვოთ ჩონჩორიკი, ნეხ-

ვი, სკორე... ანდა პირიქით... კურკლის მაგიერ მოგართვათ ოქროს ან ვერცხლის კოვზი... თითებით ჭამა მაინც ოდნავ სირცხვილია, თუმც ჩვენ გვიყვარს, უღრმეს პატივს ვცემთ თითებით ჭამას... როგორ უნდა მოიქცე კაცი გაზაფხულისას, — როცა წყალი მოდის, შენი მეზობელი ქვას ამტვრევს შუა ქალაქში, მზე არ ჩანს, ნასესხებია და გაღმა მხარეს ღორებს აჭყვიტინებენ? მაესტრო შაშვს უნდა უგდო ყური თუ ანტონიო ვივალდის? მეზობლის ქალი, ქმარმა რომ მაგიდასთან მიიწვია დასალოცად, წეღან ჩრჩილს გამოჰყვა სახლიდან, ქვას ფეხი წამოკრა, ტაში შემოკვრის მომენტში პირქვე დავარდა, ოდნავ გასრიალდა, კაბა წამოეხადა.. მგონი ჩრჩილი ტაშით ვერ მოკლეს იმიტომ, რომ ტაში ეკუთვნის მხოლოდ მომღერალ შაშვს, ვივალდის, მოკარტს, პაგანინს... ქუჩაზე ჩამოიარა „ჟიგულმა“. მასში ზის ვიღაცა „შალახოს“ მოყვარული, რადგან სიგნალის მაგიერ ცეკვა კინტაურის მუსიკის ერთი ნაწყვეტი აქვს... განა არ სჯობდა ძროხის ბღავილი, ძაღლის ყეფა, ქალწულის კვნესა და ღამეული კრუსუნი? „ჟიგულის“ პატრონს უყვარს „შალახო...“ იგი კაცია და ნასვამი, დუნდულებს იქნევს ხოლმე ცეკვისას... და, განა მხოლოდ ის ცეკვავს „შალახოს?“ „შალახოს“ ცეკვავენ... ვინ აღარ ცეკვავს „შალახოს?“ შეიძლება უამცეკვოდ? არა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება... აბა, თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ გაზაფხული გარეგნულად... შესძელითო? მიამსგავსეთ იგი კაცს! მიამსგავსეთ? კეთილი. შეეცადეთ — მუშტები, წიხლები წააყაროთ და ბოლოს თავურით ჩაულეწოთ სახე... შესძელით? მერე? შეიძლება გაზაფხულის კაცად წარმოდგენა და მისი ცემა? ჰაა! თქვენ ამაზე არ გიფიქრიათ. მე პროვოკაცია მოგიწყეთ!.. ამ გაზაფხულმა ცამეტ აპრილს წააქცია დედაჩემი თუთის ძირში და უკვე მეცამეტე დღეა რეანიმაციის განყოფილებაში (რომლის გამგესაც ნაღდად უყვარს „შალახოს“ ცეკვა) წევს უგონოდ... დედა უფრო საყვარელია თუ გაზაფხული? ძნელი და ისევ პროვოკატორულ შეკითხვაა? ხომ ასეა? თქვენ ფიქრობთ, რომ დედა დედაა და გაზაფხული გაზაფხულია... გმადლობთ, ძალზედ რთული გასაგები იყო მიზვედრა. გმადლობთ ყურადღებისათვის, სწავლებისათვის, ჩაგონებისათვის. ამიერიდან მე დავიმახსოვრებ, რომ დედა დედაა და გაზაფხული გაზაფხულია! აუჰ, როგორ ვნთლდები! მიხარია და უღრმესი მადლობელი ვარ! დედას წინაშე დგას ის გაზაფხული — რძისფერი, ატმიანი, შაშვიანი, ფოთლოვანი, ამღვრეული, ბაცი მწვანე, ბაცი წითელი... ეზო კი ჩუმია. რატომაა ჩუმი? იმიტომ რომ დედა აღარ ჩანს. დედაჩემი აკლია ეზოს. ეზო დუმს. ეზო ნაღვლიანი... დარდის ცეკვებით ღამ-ღამობით ამოიძირკვებიან ხეები და ფერხულს ჩაბამენ... მცენარეებმა „შალახო“ არ იციან. მათ იციან ერთადერთი, ქარის ფერხული. ფესვებით ცეკვავენ და შიგას რთული ცეკვებით იხლართებიან... დილით კი, თქვენ შეგიძლიათ მიირთვათ შავი ქლიავი. მოისმინოთ შავი შაშვის სიმღერა და მოიპოვოთ შვება. ჯანმრთელობის გასაკეთებლად მიირთვათ წიწმატი, ქლიავი, ოხრახუში, მდოგვი, სოსისი, სოკო, ნუში, კაკალი, ბროწეული, მრავალძარღვა, სატაცური, კოფეჩხილო, ეკალა, ბალი, თუთა, ლეღვი... ხეთა ფესვები... ბალახთა ფესვები... ფოთოლთა ნახარში... სველი ტილოც მოგიხდებათ, იოგას ვარჯიშიც, სირბილი, სიმღერა, დროსტარება, ლხინი, ქორწილი და „შალახო“... რა ვიღონო, გაზაფხულია, დედა უგონოდ წევს საავადმყოფოში და ვაზებს კი კვირტები უსკდებათ? მკარნახობენ... რა კარგია, რომ ადამიანები ვართ! რა ჩინებულია, რომ მარტოდ არ ვცხოვრობ თორემ!.. აქვეა ნუგეში: რას იზამ, ძმაო — დედა, მამა, პაპა, ბაბო, წინაპრები იმ დიდ, ნათელ, მოუსავლეთში მიემგზავრებიან! ასეა აწყობილი და დალაგებული ეს ცხოვრება! რას იზამთ! მართლაც რას იზამთ? ალბათ მეტს ვერაფერს — უღრმესი სამადლობელი კა-

ცობრიობას, ადამიანებს, იმის გამო, რომ გარდაცვლილთა სულებს პატივს მიაგებენ, საფლავებს უთხრიან, გაზაფხულის ყვავილებს მიართმევენ ხოლმე და განუგეშებენ... ასეა და რას იზამ? ვერაფერსაც ვერ ვიზამთ! ვერა თუ არა? არის მაინც გამოსავალი, როცა ეზო ჩუმია, დილა რძისფერია, როცა დგას ნასესხები, როცა ჰყვავიან ალუბლები, კომშებს გახსნიათ კვირტები — ბაცი წითელი, ძაღლის ყაყაჩოსფერი, ყვავილთნამქერით, როცა წყალი ჩხრიალებს ვაზის ძირებში, მეზობელი ქალი ამტვრევს, „ჟიგულიც“ „შალახოს“ სცემს განლებს?.. და, აგერ ატამიც. მჭირდება მე მისი ნახატი? იგი ხომ, სანამ არ გახმება აქ იდგება, ყოველ აპრილში გაიფურჩქნება და ხელახლა ვნახავ ამ სილაჟვარდეს, სიმშვენიერეს, სილამაზეს... არის გამოსავალი! მაშ იმედი უნდა ვიქონინოთ მხოლოდ იმიტომ, რომ გაზაფხული გაზაფხულია და ადამიანი კი ადამიანია... ნაჭიაკოკონარში თბილა და ნაღვერდალი ჩემს ბავშვობას მაგონებს...

როგორც გუშინ, დღეს და ხვალ

როცა ხუმრობის ხასიათზე არა ხარ, მაგრამ დილით, გაღვიძებისთანავე გაიფიქრებ — დათვები, მგლები, მელიები რომ წვერს იპარსავდნენ და ულვაშებს ატარებდნენო, ცოტა არ იყოს, შეკრთები. შეიძლება სარკესთანაც მიხვიდე, ეჭვიანად ახედ-დახედო ორეულს. მოიგონო ამბები, შენ რომ ოდესღაც ჩაიდინე და ცოდვად მხოლოდ შენვე ჩაითვალე... მერე შეგეშინდება და შეებრძოლები სატკივარს, რომელიც შენში მხოლოდ შენსავე გამო წარმოიშვა. არ გშველის არაფერი. სულ ერთია ვინა ხარ... არ გშველის სახელი, მდგომარეობა, მეგობარი, მოგზაურობა, ცოლი, შვილი, ავტომანქანა... ძნელია... გამოსავალია ძნელი. იწყება წამება. ჯოჯოხეთში ყოფნა გარეგნულად არ გეტყობა. პირიქით — გეუბნებიან, მშვენივრად გამოიყურებიო. შენ არ გჯერა. შენ უკეთესად იცი, სად ხარ, როგორ ხარ, მაგრამ ამდენი მოსაფერებელი სიტყვა გაჯადოებს. იკეტები ცალკე და სწერ იმას, რასაც ფიქრობ. მშვიდდები. სიმშვიდის სანგარში კი აზრია ჩასაფრებული — საწერი რომ გამოგელევა? მერე რაო? რაო და, ჩართავ ტელევიზორს და შესცქერი მოკრივეებს. წარბებს ახლეჩენ ერთმანეთს. ერთობი ცემა-ტყეპით, რომელიღაცის გულშემატკივარი ხარ. რატომ? არ იცი. როცა შენი ათივე მოკრივე წააგებს, ხელახლა აგინებ ბედს... ხელახლა წარმოიდგენ სადალაქოში პირწმინდად გაპარსულ, ულვაშოსან დათვს, მგელს, მელიას და გეღიმება... ცუდია ეს ღიმილი? ცუდია ღიმილი, რომელსაც შვება არ მოაქვს? უცბადვე გავიწყდება ყოველივე... ჩიტებს ბარტყები ჰყავთ სხვენზე, მერცხლები ბუდეს იშენებენ, კატები კნავიან, ჰკივიან, მაისის თვეა... იყიდება ყვავილები, ყველი, შემონახული მანდარინი. ბაზარში ხალხი ძველებურად ირევა. ადამიანები სიძვირეზე წუწუნებენ, თუმც, მაინც სანოვაგით დატვირთულები მიეშურებიან შინ.. ადრე, ერთი მუსიკოსი ტრაბახობდა — ძალზედ ცოტა ვიცი, ერთი რამ ვიცი, — კლარნეტს ვუკრავ, მაგრამ ამა ჩემს სახლში შემოდი, გარეთ გასვლა აღარ მოგინდებაო. ის კაცი რომ მართალი იყო, ახლა ვირწმუნე. რაღა დროსია? მხოლოდ ახლა, როცა მე იმაზე მეტი ვიცი, ვიდრე უნდა ვიცოდე... ეს საშინელი ავადმყოფობაა... ამ დროში შენ მეტი იცი, ვიდრე საჭიროა... მით უმეტეს, ჯერ ვერ გაგიკვეევია — სიზმარი დაიჯერო თუ არა. წინაღამით, სიზმარში ვნახე — მარცხენა თვალით დავბრმავდი... ამაზრზენია — გესმის სიზმრის უაზრობაც და აზრიანობაც. ერთდროულად ორივე... შენ ბევრი ცოდნის ავადმყოფობა შეგყრია... ცოდნის კირკიტმა გამოგათაყვანა და ეს ხანდისხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებს... და, ხარ გაგლეჯილი სამად, ოთხად, ოცად... აჰა, ციფრთა კორიანტელიც... ზოგიერთებს მივანიჭეთ მაგიურობა, დანარჩენები სათვალავად შემოვიტოვეთ... ციფრები გამოვიგონეთ თუ გვასწავლეს? მეღიმება. ვიცით, რომ ბევრი ვიცით... ისიც ვიცით, რომ ჩვენს ცოდნაში უვიცობის ტარამალებია... მეზობელს ძირმაგარა გაუჩნდა. მეზობელმა არ იცის, რატომ გამოუვიდა ძირმაგარა. სამაგიეროდ იცის მისი სახელი, მკურნალობა, მორჩენა. არსებობს მიზეზები. მთელი ძალღონე შედეგებს უტევს... შედეგებს ვსწავლობთ... ეს არღვევს რაიმეს? კანონზომიერია? მე ჩემი გაჩენის მიზეზი ან არ ვიცი, ან ვიცი ბუნდოვნად, რაც თავისი მხრივ, არცოდნაზე უდიდესი სიბრიყვეა... სამაგიეროდ მშვენივრად ვხედავ ჩემს თავს — შედეგს. რადგანაც ვარ და ვიცი, ეს არის შედეგი. ამიტომ ვსწავლობ შედეგთა უნივერსიტეტში. არსებობს გამოთქმა: მიზეზ-შედეგობრივი, მაგრამ ამჟამად ეს არ გვაინტერესებს, რადგან თუ გაიხედ-გამოიხედავ, უამრავი ადამიანი აშენებს გარაჟს ავტომანქანისათვის... ისევ ღია კარი, ისევ საპარიკმახერო, ისევ გაპარსული დათვები... წყვეტილი ფიქრები: ნეტავ პარიკმახერი თუ დათანხმდება დათვს გაპარსვაზე? რა ღირება ერთი ციმბირული დათვის გაპარსვა და საერთოდ — დათანხმდება თუ არა დალაქი პანტის, წიფელის, მარწყვის, ფოთლების, ბალახის საფასურად მოემსახუროს დათვს?.. გაჰყვირიან ტელევიზორიდან. აგერ მთარგმნელები. ბრწყინვალედ გამოიყურებიან! რომელიღაც მშვენიერი ოჯახი, დედაბუდიანად მღერის გიტარაზე. მთარგმნელი აღტაცებით კითხულობს. იგი ბრწყინვალედ გაპარსულა! იგი იხსენიებს სიტყვა „სასუნსავს". მაგონდება წინა დღეების სუფრა: რძეში მოხარშული თხის ხორცი, შემწვარი გოჭი, ქათმები, ინდაურები... მომღერალი ოჯახი ფაქიზადაა გაკოხტავებული. ეტყობათ, მუდამ ერთი და იგივე პარიკმახერი პარსავთ... ფიქრი გაწყდა. ყალდა... ფიქრი გათხელდა... ტივტივებს საფიქრალი — ულვაშა მგელი, დალაქი, სავარძელი, მასაჟი... ეს არც ლოგიკურია, არც ულოგიკობაა, მით უმეტეს დღეს თექვსმეტი მაისია! შენი შვილის დაბადების დღეა! თვეა, როცა ბრიყვთა ზეიმური აზრით ქორწინება აკრძალულია! საერთოდ, სასმელს კარგა ხანია არ გეახლებით. თუმც, ახლა ვიტყოდი სადღეგრძელოს იმ ადამიანებისას, რომლებიც მეტროს ვაგონების მინებში, სავიტრინო მინებში, ტუალეტების სარკეებში სიხარულით შესცქერიან საკუთარ ანარეკლებს! მეორედაც ვიტყოდი იმ ადამიანების სადღეგრძელოს, რომლებიც ქალაქგარეთ გასვლის თანავე, ბალახისა და ტყის შემხედვარეები აღტყინდებიან ხოლმე და ლექსებს ამბობენ! მესამედაც ვიტყოდი იმ ადამიანების სადღეგრძელოს, რომლებიც მთელი ოცი წელიწადი ოცნებობენ ნახონ რომი, პარიზი, ვენეცია, ეგვიპტე და ოცდამეერთე წელიწადს ახერხებენ ჩანაფიქრის ასრულებას, მერე კი კვლავ ოცი წელიწადი ჰყოფნით სატრაბახოდ! მეოთხედ აღარ ვიტყოდი სადღეგრძელოს და ჰატიებას გთხოვდით ნათქვამი სამი სადღეგრძელოს არ დალევის გამო, რადგან მე უკვე კარგა ხანია აღარ ვსვამ ღვინოს... მაშ, გაგიმარჯოთ, ოღონდ არ დავლევ! კარგად ბრძანდებოდეთ, ჯანმრთელად! გაგიმარჯოთ თქვენი სუფრებით, ოხვრა-კვნესით, სიყვარულით, მწუხარებით, სიცოცხლით, სიკვდილით, მაგრამ... ვერ დავლევ ამ სადღეგრძელოს! ახლა, ვგონებ გასაგებია შედეგი — რატომაც არ ვსვამ და გასაგებია მიზეზიც, ოღონდ ბუნდოვნად, როგორც გუშინ, დღეს, ხვალ... როცა ხუმრობის ხასიათზე არა ხარ, მაგრამ დილით, გაღვიძებისთანავე, ფიქრობ და გაინტერესებს — რატომ არ იპარსავენ წვერს დათვები, მგლები, მელიები, ცოტა არ იყოს შეკრთები, მიხ-

ვალ სარკეესთან. შეხედავ შენს ანარეკლს, უცბად მოგაგონდება, რომ დღეს შენი შვილის დაბადების დღეა... შვილისა, რომელიც შორსაა. დაბადების დღეა შვილისა, რომელიც... შვიდი წლის წინ შეგეკითხა — მამა, დათვებსა და მგლები და მელიები რატომ არ დადიან საპარიკმახეროში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანაზე პატარა კარუსელი

ეს იყო ჩვეულებრივი საღამო. თებერვლის სველი თოვლი იდო. ტელევიზორს ვუყურებდი, კინოფილმში გოგონას შიმშილით გული წაუვიდა... ჭერს ავხედე, როგორც მუდამ, — ომი წარმოვიდგინე თუ არა, გული ამერია... ქრისტეს ნაწამები სახის შემხედვარემ ვიგრძენი, კოსმიური უპატრონობა... ვიგრძენი რომ ობლად დარჩენილები ვართ... გასროლილ ქვაზე ვზივართ და ბზრიალით მივემგზავრებით ჩვენივე მოგონილი სიყვარულით, მეგობრობით, ცრემლით, ვაებით... ეს იყო საშინელი საცოდაობის, სიბრალულის, განუკითხაობის მოწოლა, რისგანაც მხოლოდ და მხოლოდ ტირილით გადარჩენ თავს... სათითაოდ ჩამორიგდნენ გარდაცვლილთა სახეები და სახელები, რომლებიც დრომ თანდათან გააუფერულა, გაამკრთალა და გაცრიცა... დავეჭვდი — მგონი ისინი საერთოდ არც ყოფილან და აკვიატებაა-მეთქი... ეზომაც ვერ შემიცვალა გუნება. გულისრევა მეწყებოდა ხელახლა და ომიანობის სურათები ასახიჩრებდა ყველაფერ მშვენიერს, რაც კი ოდესმე ჩემში ჩარჩენილა, წარმოშობილა, ჩაკირულა, მომკვდარა და გაცოცხლებულა.... მუხლამდე თოვლი იდო. ბილიკი, რომელზედაც მუდამდღე დავდივარ, აღარ იყო. გავკვალე. სველი, ფართო ფანტელები ცვიოდა. ხეები მოხრილიყვნენ. ბროწეულის ერთი დიდი ტოტი გადაემტვრია თოვლის სიმძიმეს. ჩემივე გაკვალული ბილიკიდან გადავუხვიე, სარი ავიღე, ჯერ ბროწეულები დავბერტყე, მერე ნუშებს, კომშებს, ლეღვსა და კაკალს მივადექი... განთავისუფლებული ტოტები მაღლა მიილტვოდნენ და ჩემში ყონავდა სიხარულის მსგავსი. სიხარულის დასაწყისი... თუმცა ის დარდი, რომელიც წეღან გამიჩნდა, მაინც არ მომცილდა. არადა, ვეძებდი რაიმე სასიხარულოს, სანუგეშოს... რითიმე მსურდა გამემართლებინა ის, ვინც ოდესღაც ჩვენი გაჩენა გადაწყვიტა და მერე კი მიგვატოვა ჰაერის, ცეცხლის, წვიმების, თოვლის და მჭოლავი მიწის ამარა... ყოველივეს, რაც ახლა მოჩანდა ირგვლივ (და, საერთოდ, რაც ჩემი სიცოცხლის მანძილზე დამილანდავს) ვერაფერს მშველიდნენ... ბავშვებიც კი, რომლებიც ახლა ქუჩაში ციგაობდნენ, ვეღარ მახარებდნენ თავიანთი უნაღდესი ყრიამულით... პირიქით, მებრალებოდა მათი გასავლელი გზა, რომელიც სავსე იქნება ოღრო-ჩოღროებით, ეკლებით, მინის ნამსხვრევებით.. ეს იყო დღე დარდის... თებერვალმა იცის ასე... ადრეც დავაკვირდი... ყოველივე (თუმცა სულ ტყუილად) იმ უიღბლო თვეს გადავაბრალე და ამან უფრო დამაღონა, რადგან თებერვლის ოცდარვაში დედაჩემია დაბადებული... დღეს დილიდანვე ვდარდობდი დედაჩემის მთელ ცხოვრებას, რომელსაც ჰგავს მთელი მსოფლიოს დედათა განვლილი გზა... ერთი კითხვაღა დარჩა დარდის ქვაბში — ნეტავ თუ ეშველება რაიმე დღევანდელ დღეს, ამ მოყირჭებულ სითეთრეს, რომელსაც მრავალმა პოეტმა ლექსები მიუძღვნა... პაწაწა კარუსელი დატრიალდა, რომელზედაც თოვლის ფიფქები, თოვლის გუნდები, თოვლის პაპები, ლოლუები, გოზინაყები, და ჩურჩხელები მოჩანდა მხოლოდ... არადა, თოვს უსასრულოდ. თოვლით აივსო მთელი ქალაქი და ქვეყანა. თოვლია ყველგან და არავითარი სიხარული აღარ არსებობს... ზიზღით მოვავლე თვალი

მიდამოს... ეს ზიზღი ზუსტად იმ ზიზღის ღვიძლი ძმა იყო, რომელსაც ომიანობის წარმოდგენა აღმიძრავს... შევიგინე და კარი მივხურე. თაფლის ჭიქა მოვძებნე. ფუტკრების ბზუილი, ყვავილების სუნი აღვიქვი. გამიკვირდა. შემეშინდა — ახლა კი ცუდადა ვარ-მეთქი. მერე კატამ შემოაღო კარი. ჯერ წინა თათი შემოყო, მერე მოაწვა, შეყოვნდა, თოვლი ჩამოიბერტყა... უკანა თათით კარს მიაწვა? თვალები დავკარკლე... დედაჩემს გავძახე, დაინახე კატა რომ შემოვიდა-მეთქი? დავინახეო, — მიპასუხა. თვალებში ჩავხედე. ნელა მივუახლოვდი. ცივმა ოფლმა დამასველა. მეშინოდა მეკითხა — კატამ მარილ-თვითონვე მიხურა კარები თუ მომეჩვენა-მეთქი. შემოვტრიალდი, ისევ ეზოში გავკარდი, ხელახლა გავკვალე ბილიკი, ისევ ჩამოვბერტყე ხეების ტოტები... თოვლს სითეთრე გამოეცალა თანდათან, თაფლისფერი გადაეკრა, აბზუილდნენ ფუტკრები. პატარა კარუსელზე, რომელზედაც მთელი სამყაროს ბედ-იღბალი ჰკიდია, ის მდელოები აკონწიალდნენ, რომლებზედაც უნეტარეს და უტკბეს ნექტარს აგროვებენ ხოლმე უწმინდესი არსებები...

დანაშაული

სადარბაზოში დიდი ძაღლი იწვა. თავი თათზე ედო. ნაწყენი გამომეტყველებით იყურებოდა. ეზო პატარა იყო, ერთადერთი გასასვლელი ჭრონდა და აქაც ძაღლი სთვლემდა.

ადამიანები მიმოდიოდნენ, ყელყელაობდნენ — სამუშაოზე აგვიანდებოდათ, ამიტომ, — ლაპარაკი ყაყანად იქცა. — ტელეფონი მოიკითხეს, რომელიც ეზოში არავის ებადა. ვიღაცამ თქვა, რომ ძაღლს ფეხი აქვს მოტეხილი, ავადაა, შველა სჭირდებაო... რამდენიმე კაცმა და ორმა ქალმა ამისი მთქმელი პატარა კაცი შუაში მოიქციეს და უცბად გადაათქმევინეს ნათქვამი — ძაღლს ფეხი არა აქვს მოტეხილი, ავად არ არის, შველა არ სჭირდებაო...

ღიპიანმა კაცმა პიჯაკი გაიძრო, სარეცხის თოკზე გადაჰკიდა და ჯოხი მოიმარჯვა. ორი კაცი შორიახლო მიჰყვა. ქალები ჰურის მოსატანად გაცვივდნენ. თვალებდასიებული, ნახევრად ტიტველა ბალღები ცემა-ტყეპით მოაცილეს იქაობას. დედაკაცმა წყლით სავსე სათლი მოაცუქცუქა და ღიპიანს ფეხებთან დაუდგა.

ცოტა მოშორებით, ახალგაზრდა, ფაშვგადმოვარდნილ, მელოტ, წვრილთვალა, ბიჭს აკავებდნენ, ქვა ეკავა ხელში, — საქმეზე დამაგვიანდა, ძაღლის პატრონია საცემიო, — ყვიროდა.

ღიპიანმა ჯოხით უბიძგა ძაღლს, რომელმაც მორიდებული ღრენა დაიწყო, ოთხივე ფეხი განდაგან გაშალა და უფრო მაგრად დააკვდა იატაკს...

ჩოჩქოლი ხმადაბალი სისინის მსგავსმა შიშინმა-შეცვალა და გაბმულად აზუზუნდა. ხელახლა იმ კაცს მიაწყდნენ, სარკმელი რომ ჰქონდა მეზობელ ეზოსაკენ; მართალია, წეღან გალანძღეს, მაგრამ იგი მოვალეა... როგორ აქ... ხალხი... ხომ არა ჰგონია... ცხოველი... ძაღლები... პირუტყვები არ არიან... ბოლოსა და ბოლოს... როგორ? არა, და...

როგორც იქნა დაიყოლიეს კაცი, უკან მიაბრუნეს, — მისივე თქმით — დათარსეს. — მილიციას გამოუძახეს; — გაბმული ზუზუნი ყაყანს დაუბრუნდა, ხმამაღალ, ნაღდ ლაპარაკად მოედო კუთხე-კუნჭულს და გაიხსენეს, — იქითა ეზოსაკენ მოთვალთვალე სარკმლის დატანებაზე რომ დავიდარაბა ატყდა, არადა, თავ-პირი დაუსისხლიანეს მეზობლებმა ერთმანეთს; ძლივს მორიგდნენ...

მილიციის მოყვითალო მოტოციკლეტი მოხრიალდა. ძაღლი წინანდებურად იწვა. აჩქარებით სუნთქავდა და ნაღვლიანად გამოიცქირებოდა. მილი-

ციელებმა, ძაღლი რომ დაინახეს, რაღაცა გადასცეს რაციით, გაიღიმეს, ხელი ჩაიქნიეს და იქაურობას გასცილდნენ...

ღიპიანი დოინჯშემოყრილი იდგა თოკზე გადაკიდულ პიჯაკთან. — ბოლოს მოიფიქრა — სანეპიდსადგური.. მეზობელ ეზოსაკენ ჭვრეტელა სარკმლიდან გადასძახეს, რომ სანეპიდსადგურში დაერეკათ; როდესაც შეიტყვეს — დარეკესო, კუთხე-კუნჭულს მოდებულმა ნაღდმა ლაპარაკმა ისევ ყაყანს მიაღწია და ხორხორად იქცა.

ფაშვგადმოვარდნილი ბიჭი ხეს მ[illegible]რდნო. აქა-იქ იცინოდნენ. კუთხეში ატუზული კაბამოკლე გოგონები სიცილით იტჭებოდნენ და სადარბაზოსაკენ იცქირებოდნენ...

ძაღლმა თათებშუა ჩადო თავი. ყურები ნახევრად დაცქვიტა, ერთგან გადაუტყდა და გაეკუთხა. მეზობელ ეზოდან ამოსძახეს — სანეპიდსადგურიდან მოვიდნენო...

მოსულმა კაცმა და ქალმა თქვეს, რომ ისინი დაბრუნდებოდნენ სამსახურში და ძაღლის დაჭერ კაცს გამოგზავნიდნენ...

ხორხორმა წრე შეკრა და გნიასად იქცა. ამან, ადამიანები კინაღამ ერთმანეთს დაუახლოვა, მაგრამ ძაღლის ღრენამ გნიასი გაფანტა. — ის ახალგაზრდა ქერათმიანი ბიჭი პირქუშ სიამაყეში ჩაქსოვილი დონდლო მონდომებით ჯოხს ურტყამდა ცხოველს. ძაღლი კბილებს კრეჭდა და შავი, ხაოიანი დინგი წვრილი ნაოჭებით ექსელებოდა.

მერე, ისე აირია ყველაფერი, გონს ვერავინ მივიდა — ბიჭი ხალხისაკენ გაქანდა, შეერია, დაერია, ყაყანი ვიშვიშად აქცია, ჯოხი გაუსვა და გამოუსვა...

ღიპიანს ყველაზე მეტი მოხვდა და ჯოხიც ზედ გადაემტვრა. ღიპიანი დაკუნტული, ცუცქული გასხლტა მეზობლებით, მიწას დაუარა, „ბაღდადურის“ საწყისი გაფხორვით გავიდ-გამოვიდა, ქვა იპოვნა და წვრილთვალა ააკოკლა ძლივს გააშველეს. ბიჭი იფურთხებოდა და გაიძახოდა დედის გინებას არ შეგარჩენთო.

ვერავინ გაიგო, როდის, ან ვინ შეაგინა... ბოლოს, იმ პატარა კაცზე მიიტანეს ეჭვი, რომელიც ამბობდა: — ძაღლს ფეხი მოსტეხია, ავადმყოფია, შველა სჭირდებაო, მაგრამ ვეღარა ნახეს...

მით უმეტეს, სადარბაზოში ძაღლი აღარ იწვა.

რძიანა ბალახი

რედაქციის შენობა იმ ფილტვისფერი იყო, პაპაჩემმა დაკლულ ღორს რომ ამოაცალა ახალი წლის წინა დღეს. მდიანს ჩალისფერი ომა ჰქონდა. სარკე ეჭირა.

შენი ნათარგმნი მასალა დაიკარგაო, — ღიმილით მითხრა. ხერხემლიდან აძრული სიბრაზე ზემოთ აქროლდა, თავის ქალას ზედა ნაწილს მიეწვა და ასწია. გაგბრუვდი. რძიანა ბალახის წვენის სიმწარე მოეშხეფა ყოველივეს. ბალღობაში ბევრი ვწუწნე იგი, ენა დამისივდა და კბილებში გაიჭედა.

ხელფასი გამოვართვი მოლარეს; მდიანმა გამიცინა. მჯეროდა რომ მასალა მან დახია. გაჩახჩახებულ ნათურაზე მიმწვარი, გამოფიტული, ამ ქალის თმისფერ ბზუილად ნაქცევი ქინქლა მომაგონდა. ღვარძლიანად გამეღიმა.

დაძრულ მატარებელს შევახტი. ჭრელთვალა ჩანჩურას ჩამოვუჯექი წინ, მერე ადგომა დავაპირე, ვაგონის ბოლოში გოგონა შევნიშნე და გადავიფიქრე. ჩანჩურამ იატაკზე დააფურთხა, საჩიზღარი სიამაყითა და ბრიყვული მორიდებით გაუსვა ფეხი და ჩემს გვერდით ჩამოდო სკამზე. შავ ფეხსაცმელს გამხმარი, თეთრი ტალახი ეკრა. მომინდა, მაინცდამაინც თავური დამერტყა მისთვის სახეში და თავ-პირი ამეზილა.

ცხვირის კეხი ჩაემტვრეოდა, თვალები ჩაულურჯდებოდა, რედაქციის შენობის ფერი დაედებოდა და ფილტვივით აფართხალდებოდა... ჩანჩურას მაჯაზე შებმულ საათისაკენ გამექცა თვალი; — ასეთებს ზუსტი დრო უყვართ, მათი საათი მუდამ სწორად მუშაობს... როცა რევიზორმა სამი მანეთით დამაჯარიმა, ტვინსა და ქალას შუა სისხლისფერი სიცარიელე გაიბლანდა. რედაქციის შენობა, ფილტვი, რძიანა ბალახის რძე, დაკარგული ნათარგმნი და ხვლიკისფერი სამმანეთიანი გადაიხლართნენ და შესქელდნენ.

მეტროში გრილოდა. ოცკაპიკიანი ჩავაგდე ავტომატში დასახურდავებლად. ფული ჩაყლაპა. დავიძაგრე. დარტყმის სურვილი აღმეძრა. ავტომატის მბეუტავი თვალები კი მხიარულად ციმციმებდნენ. თხუთმეტკაპიკიანი დახურდავდა. ხუთკაპიკიანი რბილად ჩაეშვა ჭრილში. ვმშვიდდებოდი. ოდესღაც განცდილი კეთილი მოგონება აბრუნდა მახსოვრობაში. მილიციელი მომიახლოვდა. მეტროს მუშაკი მოჰყვებოდა უკან. რაღაცას დაჭირეს ხელი. არ ეშვენა: მერე, თავსახური ახადეს ფულის ავტომატურ სალაროს. წვრილად გაბმულმა ლითონის სიბრტყე-სიმრგვალეებმა, მოცაილე ნათურამ, საოპერაციო ოთახი და ახდილი თავის ქალა მომაგონა. უხერხულად წავილუღლუღე, მეორე ხუთკაპიკიანი ამოვიღე; მილიციელმა გამიღიმა და სპეციალურ გასასვლელისაკენ მიმითითა. მეტროდან გამოვედი, ფეხით დავეშვი დალმართზე. ერთგან, გადასასკლელზე დავაპირე გადაბიჯება, ტროლეიბუსი და მანქანების გრძელი ჯაჭვი დამემუქრა თითქოს. პირი ვიბრუნე... ხიდის მოაჯირს დავეყრდნე. დაბლა ჩავიცქირებოდი. ზაფხულის ამღვრეულმა წყალმა ჯერ ის გოგონა ჩამოატარა, ვაგონის ბოლოში რომ იჯდა, მერე ერთი დედაკაცი, რომელთანაც ღამე გავათენე. ვინაობა არ მახსოვდა. გადანახულმა, ჩამხმარმა ფიქრთა ბღუჯამ მისი ოჯახური მდგომარეობა ამოატივტივა მხოლოდ. — ხულიგანმა ქმარს გაეყარა, რომელიც ციხეში ჩასვეს. მაინც უყვარს. მისთვის სულ ერთია ყველა დანარჩენი მამაკაცი... წყალს დიდი კუნთი მოჰქონდა. დავეჭვდი რომ ქალისათვის სულ ერთი იყო ყველა მამაკაცი. მოგონება შემზიზღდა და იმ კუნძთან ერთად ჩაიყურყუმელავა, მდინარის შლამიანმა ტალღებმა რომ დაფარა, გახსენებაც ჩაიხრჩო, ლაფით შეითხუპნა...

წამალი არ ჰქონდათ აფთიაქში. რეცეპტი მოვქმუქნე. სივრცეში, თავის ტვინსა და ქალას შორის რომ გაჩნდა, ვარაზის ბალღური სახე აციმციმდა. სუნთქვა ეკვროდა... აფთიაქის გამოსასვლელში კეფის მარცხენა ნაწილი გამიქვავდა და შურდულიდან ნატყორცნი კენჭისმიერი ტკივილით მეტკინა. საავადმყოფოში ჩამწკრივებული თეთრი, პაწაწა საწოლები და პატარა ტერფები შეძვრნენ კეფაში შემტვრეულ წერტილიდან.

ქაღალდის პარკუჭანა ვიყიდე. ახმახი ყიდდა საზამთროს. ჩემს წინ მდგომი დედაბერი ეხვეწებოდა — ავადმყოფისათვის მინდაო... ახმახი დიდხანს ბორიალებდა, — მიაგნო სასურველს. დიდი დანა შემართა, სამკუთხედი ჩაჭრა და ამოაძრო. გამაჟრიალა. რიგს გამოვაკლდი. ფილტვისფერი საზამთრო, ვარაზის პატარა საწოლი. სიცხის საზომი და ტერფები დატრიალდნენ... როდესაც ახმახმა ჩემთვის განკუთვნილ საზამთროს გაჭრა დაუპირა, უარი ვუთხარი.

ციო იწვა. სამედიცინო ინსტიტუტის შენობა გაქანავდა იქვე ახლოს — აყრიალდნენ წარწერები: არითმია, ტახიკარდია, ბრადიკარდია, ექსტრასისტოლა, ვაგუსი... ბავშვის შინ არყოფნით გამოწვეული წუხილი მოირღვა, აიხლართა და ჩემში იმის ჩაჭყლეტას შეეცადა, რაც ყოველივეს საწყისია. სარკმელი გავაღე. ციო ტიროდა.

გარეთ გამოვვარდი. ბაღში, სიმწვა-

ნეზე დაფიფქულმა ჰაერმა რძიანა ბურუსი გაფანტა. ხეივნის ქვეშ გაკვალთულ ბილიკს დავადექი; ხვლიკის წიწილმა გადამიჭრა გზა და ელვისებურად გაჰქრა ბალახებში. მოვისვენე. თოქოს ამ. პატარა სხეულმა გაიყოლა ჩემში ჩახვეული უგუნებობა...

ხელფასის დღე იყო. ციო შეუძლოდ გრძნობდა თავს. ვარაზი საავადმყოფოში იწვა...

ძველი აგვისტო

ახოზე კოკონები ენთო. ტყე დიდი იყო. ადამიანებს არ სციოდათ, სარცხვინელი უჩანდათ (რადგან ეს არ იყო სირცხვილი), მშვილდისრები ეკიდათ და მუხნარშემორტყმულ მდელოზე მიმოდიოდნენ...

დაბოლმილები იყვნენ: ერთმა გალეულმა კაცმა (რომელმაც სარცხვინელის დაფარვაც კი გაბედა) ბუღა შეიკყრო; იმის მაგიერ, რომ სისხლი აეჩუხჩუხებინა, ცოცხალი დატოვა და წვრთნა დაუწყო... არადა, იმ დედალმა კაცმა (ასე უწოდეს მას მოძმეებმა), რომელსაც თეძოებიც კი არ უჩანს, მზის მრავალი ამოსვლა და ჩასვლა მოანდომა ბუღას შესაპყრობი ორმოს თხრას... მუხნარში აბრიალებული კოკონები კი ამაოდ იწოდნენ და ხორცის შიშხინს ელოდებოდნენ.

მზე ამოვიდა. არავინ გასცილებია ჭიაკოკონებით დაჩხვლეტილ მდელოს. სანადიროდ არავინ წავიდა, რადგან, რკოს წიგნი უნდა გამოეტანათ მარგილების ქოხიდან. გალეული (სარცხვინელდაფარული) კაცი ხრიანცელებში უნდა გადაეჩეხათ და ცეცხლი დაეშოშმინებინათ გაწვრთნილი ხარის ხორცით...

ყველაზე მაღალი მუხის ჩრდილი მოცილდა ყველაზე მაღალ კოკონს და ყველაზე მაღალმა კაცმა ბრძანა, — მოეტანათ რკოს წიგნი... ხარი წნელებით დაბორკეს. ყველაზე მაღალმა კაცმა თქვა: „ამის პატრონი წვრთნის ხორცს, სარცხვინელს იფარავს, ცეცხლს აბრაზებს და რკოს ჭუჭუების ასხმულას არ ატარებს...“

დაბორკილი ხარი გაინძრა. მზერა წარმართა ყველაზე მაღალი კაცისაკენ, რომელიც ლაპარაკობდა და ვერ ამჩნევდა — როგორ დაემსგავსა ირგვლივ მყოფთა გადმოკარკლული გამოხედვა დავარდნილი ხარის სიცხით გათანგულ მზერას. ხარმა თვალი გაუსწორა და მაღალ კაცს თვალები გაუხურდა. თვალის კაკლებში ჩაესო ჩათაკრული პაპანაქება, ვიწრო სადინარებს — უხილავი სარკეების გზებს გაუყვა და ტვინში ჩამქრალი უკიდეგანო სიცარიელე გაუნათა. სიბნელემ წვა დაიწყო და ყველაზე მაღალმა კაცმა გაგრძელა დაწყებული მსჯავრი: „ამიტომ, ჰაერის საშუალო ტემპერატურა მიაღწევს 18-20 გრადუსს, ნალექების თვიური რაოდენობა შეადგენს 30-90 მილიმეტრს, ალაგ-ალაგ ნორმალურს. 1-10 სექტემბრამდე ცვალებადი მოღრუბლულობა; დეკადის ბოლოს, დროდადრო იქნება წვიმა და ქუხილი; ცვალებადი ქარი — სიჩქარე 3-7 მეტრი წამში...“

ხარმა თვალები დახუჭა. სიცხიანი, წვრილი მზერის ქსელი ჩაწყდა, მაღალი კაცის ტვინში ისევ ჩაბნელდა უცბად გაჩახჩახებული, უკიდეგანო სიცარიელე და ყველაზე მაღალმა კაცმა განაგრძო: „...ეს კაცი ფლატეზე უნდა გადავჩეხოთ, რომ ჩვენმა ცეცხლმა უწინდებური ფერი მიიღოს და რკოს წიგნმა მოგვითხროს ის, რაც არ ვიცით...“

კოკონები ხელახლა აბურბურდნენ; ტიტველა ბრბოს ბუდეებში ჩაუსხდნენ თვალები. ხარმა თვალები გაახილა და ახლა დაგვალულ კაცს (თავისივე პატრონს) მიაშტერდა. კაცი უცბად ამოძრავდა, — წამოხტა, რკოს წიგნს გადაალაჯა (ომ! — აღმოხდა მუხნარს), კრძალვით მიუახლოვდა ყველაზე მაღალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცს (ბელადს) და უთხრა: „...თქმა არ უნდა, რომ ეს დიდი გამარჯვება თავისით არ მოსულა. აგროგანყოფილების მებოსტნეები ჯერ კიდევ ზამთრის თვეებში ზრუნავდნენ უხვი მოსავლისათვის. კარგად მოაწყეს სასათბურე მეურნეობა, უხვად გამოიყვანეს სხვადასხვა სახის ბოსტნეულის საუკეთესო ჩითილი, მაგრამ დაცხა. ბოსტნეულს გაუჭირდა. აქ გამოჩნდა აგროგანყოფილების უფროსის საქმისადმი თავდადება — მან მობილიზაცია გაუკეთა ყველა რეზერვს, დაწესა სადღეღამისო კონტროლი...“

უკუნეთმა სიჩუმემ აბრიალა ჩამკვდარი კოცონები. ვიღაცამ მუხლიჩოქით შემოუარა ხარს, წინ ჩამოეფარა. გალეული კაცი გაოცდა — იგი ვერ მიხვდა — რატომ იდგა ბელადთან. ხორცისფერ ახოზე მოგროვილი შეშინებულ ადამიანთა ბღავილი ზესკნელს შესწვდა...

ჩაჩოქებული კაცი მოსცილდა ხარს... — გალეული კაცი მიწაზე ეგდო და ამიტომ, ხარის მზერა გადაღმა, ხესთან ჩაკუნტულ კაცს მისწვდა თავის ქალაზე; — ჩაკუნტული კაცი წამოიმართა, ხეზე აცოცდა, ტოტზე შემაგრდა და ნარნარით თქვა: „ტუბერკულოზი ინფექციური დაავადებაა. მისი გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს დაავადებული ადამიანი...“

ვიღაცა გაიქცა, ხარს დაეჯახა, წაიქცა და წიხლი დაუშინა ცხოველს. ხარმა მაღალ კაცს დაჰკრა თვალი და ამეტყველა: „მექანიზატორებო, სამუშაოთა მწარმოებლებო, კერძო სახლების მფლობელებო, გახსოვდეთ კავშირგაბმულობის მიწისქვეშა საკაბელო ხაზები, ნუ აწარმოებთ მიწის სათხრელ სამუშაოებს...“

ბუჯნარი საშინლად ჭრიალებდა. ყველაზე მაღალ ხეს ტოტი ჩამოსტყდა და ხარს დაეცა. იქვე, ახლოს მობრიალე კოცონი აალდა, აბორიალდა, ხარისაკენ გაიწია ვიწრო ზოლად, იმ წნელებს შეჰყვა, რომლებითაც ხარი იყო დაბორკილი, პირუტყვი ააბღავლა და ადამიანები გააცოფა...

აბღავლებული, დუჟმორეული ხარი წამოდგა, გალეული კაცი გადათელა, რკოს წიგნთან მივიდა, დადორბლა და ღეჭვა დაუწყო (ომ! — აღმოხდა მუხნარს). ხარი კი დინჯად ღეჭავდა ტომის ბელადების საიდუმლო წიგნს, ადამიანებს უყურებდა და მათთვის თავზარდამცემ რაღაცეებს ალაპარაკებდა. — ირგვლივ გაისმოდა: „ხარებისათვის დამზადებულია 6 000 ცენტნერი წვნიანი საკვები...“, „ტკბილ წიწაკას სიამოვნებით იყენებენ ადამიანები, რადგან იგი შეიცავს ისეთ მინერალურ მარილებს, როგორიც არის კალიუმი, ფოსფორი, კალციუმი, ნატრიუმი, რკინა და სხვ...“, „ტრაქტორ „ბელორუსზე“ მიბმულია ბორბლებზე დაყრდნობილი მსუბუქი მეტალის პლატფორმა...“, „ვისაც სურს საკუთარ ბაღში ჰქონდეს სხვადასხვა სახეობის და ჯიშის ხეხილი, გირჩევთ დაამყნოთ თქვენ თვითონ...“

ხარმა ცას ახედა. — ადამიანებმა წრიულად იწყეს სირბილი. თან ცეცხლში ცვიოდნენ, ნაპერწკლებს აბორიალებდნენ, იტრუსებოდნენ, წინ და უკან, განდაგან გადი-გამოდიოდნენ, ერთმანეთს ქვას აზელდნენ, შუბებს ურჭობდნენ.

ბელადს დიდი ხელკეტა ეჭირა და ადამიანებს უჩახუნებდა. როცა კიდევ მისწვდა ხარის მზერა, უცბად შესდგა, ხელკეტა მარჯვენა ხელით შემართა და ნაზად წარმოსთქვა: „ჯერ კიდევ რამდენი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ყველაფერი წინაა. ჩვენ მოვალენი ვართ გოლიათური შემართებითა და ნაბიჯებით...“

ხარმა ჩაისუნთქა — თვალები მოხუჭა წამიერად. მაღალმა კაცმა შეწყვიტა ნაზი თხრობა, შიშით შეჰყვირა, ხელკეტით თავი გაუპო ვიღაცას და როცა ხარმა ისევ შეხედა, ნაზადვე გაგრძელა: „...უნდა გადავლახოთ ყოველგვარი წინააღმდეგობა, რასაც კი ბუნება გვიქმნის. ჩვენ დავიბადეთ იმიტომ, რომ ბუნებას ვებრძოლოთ, გამოვგლიჯოთ

ყოველი სიმდიდრე, რომ ჩვენმა შვილებმა კეთილდღეობით იცხოვრონ...“

ხარი იცოხნებოდა... ჭიაკოკონები ჩაილივნენ. მუხნარმა ჭრიალს მოუმატა და ცოხნის ხმას შეერთდა. საშინელი ხრამუნი, ცოხნა, ჭრიალი და გნიასი იდგა. რკო ცვიოდა და პირში ეტენებოდა პირდაღებულ, ჯაგარაშლილ ადამიანებს. ხოცვა-ჟლეტის ხმაც ცოხნასა ჰგავდა... ბოლოს, ხარმა ჩაყლაპა რკოს წიგნი (ომ! — ალმუვლდა მუხნარი) და გაშეშდა. დაფეთებულ ადამიანებს არ შეუნიშნავთ ხარის უპეებზე ჩამოღვენთილი სიხარულის ცრემლი, რომელმაც ბალანი დაუსველა ყბაზე და ვიწრო ზოლად დაემჩნა. ხარი ნელა, თვინიერად გაემართა ადამიანებისაკენ, რომლებიც ყველაზე მაღალ მუხის ქვეშ მოგროვილიყვნენ. წოიკი, ღრიალი ატეხეს, — თავდამბალი, ლირტყი რკო გადმოაპნიეს პირიდან და გაიქცნენ. ხარმა თავი ჩაღუნა. არავინ დაუდგა წინ, — მშვილდი არავინ მოზიდა და არც შუბი სტყორცნეს. მერე, თავი ასწია (ომ! — ღმუის მუხნარი) აქეთ-იქით გააქნია, დაიზმუვლა და ხელახლა ჩაღუნა თავი — მიწას უწია; მაგრამ ეფექტი არ მოჰკლეს. ხარმა გაბმული ბღავილი დაიწყო. თვალებთან უფრო დაეჭნა: სველი ზოლები; ყველაზე მაღალ მუხას მიადგა, ორ ფეხზე შედგა და მიეყრდნო. რკოს ცვენა შეწყდა... მსხვილი ტოტი ჩამოატყდა მუხას და ხარს დაეცა წელზე. — ჭრიალში და მტვრევაში ათქვეფილი ლუღლუღი გაისმა. ხარმა თვალები დახუჭა (ომ! — ღრიალებს მუხნარი) და მოკვდა...

და, მზეების უსასრულო საუფლოში მობინადრე თეთრი ცეცხლის გოლიათმა იცოდა მხოლოდ, რომ დაფანტული ადამიანები ხელახლა მოგროვდებოდნენ, ცეცხლს დაანთებდნენ, გათბებოდნენ, ხარის ხორცს აეშიზინებდნენ და იცხოვრებდნენ რკოს წიგნის ხელმეორედ დასაწერად, რათა მერე ისინიც უტყვი ბედნიერების ცრემლებით წასულიყვნენ დროებითი უსასრულობის სამყოფელში სატრიალოდ და ხელმეორედ მოსასვლელად...

მ ზ ე

უმზეოს რომ უხმობენ ადამიანები, სწორედ ისეთი დღე გათენდა. რატომ მივაქციე ამას ყურადღება კარგად ვიცოდი... მაგრამ, მხოლოდ ერთადერთმა ვიცოდი...

ჩვენი კატები კარებთან არ ისხდნენ, ჩემი ძმა შინ არ იყო; გულის მანკით დაავადებული დედაჩემი გორში გაემგზავრა, ვარაზი შორეულ, თოვლიან ტრამალებში თამაშობდა ჰოკეის; ციო და ლადო სოფლად იყვნენ დაქვრივებულ პაპაჩემთან. ბაბო ფავნისის სასაფლაოზე იყო... ამ ბოლო სიტყვების გაფიქრებაზე გამეღიმა, თუმცა, არავინ დაიჯერებდა, რომ სასაფლაოზე სულთა ფერხული ვერ ჩაებმება... სასაფლაო (ამას კი საერთოდ ვერავინ დამიჯერებს ალბათ, იმ ქოთნების (ჭურჭელის) ადგილსამყოფელია, რომლებშიც ოდესღაც სხვადასხვა სანელებლებით შეკმაზული ლობიო თუხთუხებდა (ფეთქავდა)... ისე, რომ ბაბო არ იყო ფავნისის სასაფლაოზე და ამ საფიქრალის მიღმა, (სადაც ჩემი აზრების გალმიური, რბილი სარტყელი ინასკვება) ყვავილთა ტყეების ტევრები გადატტტკილიყო... მერე, კიდევ ერთხელ გავიფიქრე — ბაბო იმ საუფლოში არის (განისვენებს)-მეთქი, დავშშვიდდი და დეკემბრის უღონო თოვლით სანახევროდ დაფარულ მიდამოს გავხედე... ქალაქი ზეციურ ნისლსა და საკუთარ ბუღში განელებული ხრჩოლვით დუღდა... როცა ჭიშკარი გამოვიხურე და ქალაქს ხელახლა ჩავხედე — წარმომიდგა ადამიანთა სხვადასხვა დამოკიდებულებები (ამ სიტყვამ არც გამაცინა, არც დამამწუხრა, არც რაიმე დასკვნა გამოკვანძა), რომ-

ლებიც საშრობის ქაღალდში გამჯდარი წყლის მოძრაობას ჰგავდნენ... ის ცხოვრებისეული საშრობი საკმაოდ დიდია და ადამიანები — თავიანთი ზედმეტსახელებით, ჩვენებით: ვინ ხუმარაა და თვით ქალებიც კი ნებას აძლევენ უხამსობაც კი მოუთმინონ, ვინ მწერალია, რამდენიმე ან ათეული მოთხრობა დაუბეჭდავს და ნათესაობაში დიდი პატივისცემით სარგებლობს, ვინ ციხიდანაა ახლად გამოსული და „ქურდ ბიჭებში" უფრო ყოყლოჩინობს თავისი „ნაჯდომობით", იქით ბერიკაცი ტრაბახობს საკუთარი წარსულით, აქეთ ორი წლის ბავშვის მშობლებს უხარიათ — ჩვენი შვილი რა მაღალი და განიერიაო... მაინც ვერ დაასველებენ მას მთლიანად... მე ზუსტად ამან გამახარა... მეტროს გამოსასვლელში ჩამოთათხული და ატუზული დედაკაცები უცბად აწიოკდნენ, ერთმანეთს მიაწყდნენ, ხალხს შეერივნენ... ულვაშოსანი, ახალგაზრდა მილიციელი (რომელმაც ძია მიხოს ამბავი და ჩემი ბავშობა გამახსენა, თუმცა ეს ქართველი მილიციელი მევენახეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ძია მიხოს) მისდევდა დედაკაცებს, რომელთაგანაც ერთს ბავშვი ეკავა. ბალღის სიმშვიდემ შემაძრწუნა. უცბად ეს ძრწოლა ცრემლებში ახელილმა შებრალებამ შეცვალა და მთელს სამყაროში საშინელებას შეჩვეული პატარების ბავშვობა გამოვიტირე... მილიციელმა წაიბორძიკა. ხელი მოვავლე, გავუღიმე და გავცილდი. მომეწია, შემომბორუნა. მითხრა — თქვენი ბრალია ყველაფერიო. ეს „თქვენი" ხალხს ეხებოდა და მე არ გამკვირვებია — ჰქონდა თუ არა მას ამისი თქმის უფლება... კინაღამ ავტობუსი დამეჯახა და შიშის ნაცვლად წარმოვიდგინე ქართველი, ცხვირკეხიანი, უძვირფასეს ქუჩაში და ჯინსებში გამოწყობილი გოგონა, რომელიც ავტობუსში თავის მეგობრებს არწმუნებდა — ქათმის მოვალეობა ის არის, რომ დაიკლასო... მოხუცმა კაცმა ახალთახალი ველოსიპედი გაატარა. არ მომჩვენებია, არც ზოგიერთი მწერლის უსაყვარლესი სიტყვა „რატომღაც" მოგონებია, უბრალოდ, დავწმუნდებოდ, რომ ეს პატარა (ალბათ გაუმჯობესებული) ველოსიპედი ამ მოხუცი კაცის სიბერე იყო და მეტი არაფერი. ველოსიპედი კი მართლაც გაუმჯობესებული იყო. ტრამვაის ხმაური ჩემში გაგრძელდა და შემდეგი სიტყვებით გასრულდა: „მარტოობამ ადამიანებს უამრავი რამ შეაქმნევინა". ავტობუსის სარკმელთან პატარა გოგონა იჯდა დედამისთან ერთად, ავტომობილს დაინახავდა თუ არა, ყვიროდა, ხელს იშვერდა. უსასრულობის სამყაროს ყოველი ბალღის აუსრულებელ სურვილთა ქარავნები ჩემში შეგროვდნენ, ამ წუთში მე ვდარდობდი ყოველივეს, პატარაობას, თუმცა, ჩემი დარდი არა ჰგავდა სხვებისას, — ეს დარდი მძიმე, ნაოელი და უსასრულო იყო... ქალაქის ქუჩებში ხალხი ზიმზიმებდა. ახალი წლის წინა დღეები იდგა და მაღაზიებში თავ-პირის ლეწვა იყო. იმ მაღაზიასთან, რომლის აბრაზე „ფრინველი, კვერცხი" ეწერა, გუშინდელ გაზეთში ამოკითხული მომცრო სტატია გადავიკითხე ხელახლა. ავტორი (ალბათ საახალწლო) სიხარულით (აღტყინებით, აღტაცებით, საზეიმო სტილში, რანგში...) მოუთხრობდა მკითხველს — „საახალწლოწლისწინა დღეებში დეკეულებითა და მოზვრებით დატვირთული ასობით სატვირთო ავტომობილი მოემართება დედაქალაქისკენ". თანაც, სულ ბოლო სტრიქონებში (სადაც უფრო მეტი აღტაცებითი ხარისხი იგრძნობოდა) ატყობინებდა მკითხველს — თითოეული საზოგადოებრივი პირუტყვის (ცხოველის, პირუტყვის...) წონა სამასთოთხმეტ კილოზე ნაკლებარ არისო... მაღაზიასთან მთვრალი ღრიალებდა. ორი მამაკაცი მის გაჩუმებას და წაყვანას ცდილობდა (ეტყობა მეგობრები იყვნენ). მთვრალი კი ფრინველისა და კვერცხის რიგში ჩამდგარ ადამიანებისკენ იწევდა: თქვენი

ჯემალ დავლიანიძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელიწადისაც და თქვენიცო... როცა მთვრალი ავტომობილში შესვეს, ხალხი ავიშვიშდა — სად მოასწრო ამ უბედურმაო... ვიღაცამ ჩაილაპარაკა — აბა ყველა მთვრალი იყოს და ერთმა ფხიზელმა შეაგინოსო. ამ ნათქვამში ჩაქსოვილი ქვეტექსტი ამოვიკითხე და მის მთქმელს შევაცქერდი — მგონი ისიც მთვრალი იყო, მაგრამ არ ამჟღავნებდა... ერთი დედაბერი, რომელსაც ორი გამხდარი წიწილა (ფრინველი) ეჭირა, ჩემს ბაბოს მივამსგავსე. — ჯერ იმ მთვრალზე გავბრაზდი, წეღან რომ იგინებოდა, მერე რიგში მდგომი ადამიანები შემებრალა და ბაბოს თქმული ჩამესმა: გზა მართალს უნდა წავიდე შვილო, უკვე დროაა... ფავნისის სასაფლაო, სადაც ბაბო დავმარხეთ, ნაღდად მწამდა — არც „გზა მართალის“ საბოლოო წერტილი (სამყოფელი) იყო და არც ჩემი საყვარელი ადამიანის ყოფიერების დასასრული... ვიგრძენი ჩემი უსუსურობა. უცბად ალ ვიქვი ის არცოდნა, რომელიც ... ...

ცხოვრება, მე ისე არ მიხაროდა, პირიქით მეზიზღებოდა გულის წასვლამდე. გაცოფებამდე, გინებამდე... ჩემს ძმას უამრავი რამ ავიწყდებოდა, მაგრამ ვიცოდი, — როცა ოდესმე ზუსტად ასე ჩამოვსხდებოდით, ჩვენი ცხოვრების სულ სხვა მონაკვეთებს გაიხსენებდა... ბაბო რომ მოვიგონეთ, ცრემლი მოგვერია... კატას მივაჩერდით, მას წყნარად ეძინა ტახტზე... წამოვდექი, ჩემი ძმა მოიკუნტა, გაეცინა — გავცივდი, მეოცე საუკუნეში კაცს რომ გათბობა არ ექნება სახლში, რა უნდა ელაპარაკოო...

აბანოდან სახეაწითლებული, გაკოხტავებული კაცები და სახეაპრიალებული ქალები გამოდიოდნენ. მე ვიცოდი, რომ ბევრ მათგანს არ ჰქონდა აბაზანიანი ბინა. თითოეულ მათგანს შეეძლო ჩემს ძმასავით ჩამომჯდარიყო და მოეთხრო საკუთარი გასაჭირი... „კიდევ კარგი, ქალები და კაცები ერთად არ ბანაობენ... საწყალი ბავშვები", — გავიფიქრე და ნაფიქრიდან ვერავითარი აზრი გამოვიტანე... ქალთა საპარიკმახეროში სქელ ქალს შევხვედე. ვიცანი და გამიკვირდა, როგორ მობერებულა-მეთქი. არადა, ლამაზი ქალი იყო, — თხელი, მაღალი... ახლა ტანს ვეღარ ერეოდა. სახის სიკეკლუცის შენახვას ათასნაირი საგოზავით ცდილობდა... სიტყვა „საგოზავმა" ჯერ ჩვენი გოზაურები გამახსენა, მერე გამამხიარულა და პაპაჩემი რომ თოფით გამოგვეკიდა, ის დღე გამინათა: ჩვენი მეზობლის ბიჭმა ქალაქიდან დასასვენებლად ჩამოსულ ბავშვს თუთიდან ჩამოაფსა... მე და ჩემმა ძმამ მეზობლის ბიჭი მაგრად ვცემეთ... პაპაჩემმა ვერ გაიგო ჩვენი სიკეთე — როდის იყო სიავეს სიბოროტით უხდიდნენო და კინაღამ დაგვხოცა. მაშინ ჩვენ ვერ გავიგეთ ამ სიტყვების მნიშვნელობა... თან გვიკვირდა, — კაცი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ომებში ტრიალებდა, როგორ იცავდა დამნაშავეს... ვცდილობდი მომეგონებინა სახელი ამ პარიკმახერი ქალისა, რომელსაც კვადრატულულვაშიანი, შავი მამაკაცები დასტრიალებდნენ მუდამ... მცირე ხანს ვუცქირე მის თმითიმა, მსუქან სხეულს. მართლა ბევრი დრო გასულა... „ალბათ მეც შევიცვალე-მეთქი", — გავიფიქრე... სარკეში ჩავიხედე... გვგონია ხოლმე, რომ ჩვენს მეტი ყველაფერი იცვლება... ამისი ბრალია ადამიანის უამრავი მანკიერება: შური, სიბოროტე, სიძუნწე, სიხარბე. მექისეს ვედრო გაუვარდა ხელიდან. ყველამ იქით მიიხედა. ამ წამს აბანოში მყოფი ყველა ადამიანის ყურადღება ხმაურმა მიიპყრო... ხრიალი, ადამიანები, ყურადღება... ეს სამი სიტყვა დავატრიალე. დავდარდიანდი. სამი სიტყვის ტრიალი ამბად იქცა: მე და ჩემს ძმას ბაბოს კუბო გვეკავა, — თან აბანოში მივდიოდით, მამაჩემი საავადმყოფოში იწვა, დედაჩემი სკოლაში დაიბარეს ჩემს გამო... იგი მწყევლიდა, იცვამდა და გახეულ, გაცრეცილ პერანგს ისწორებდა... სულ ბოლოს პარიკმახერი ქალიც ჩანდა... ამ დედაკაცის სიბერიდან იწყებოდა ახლა ყოველი დარდი, რაც გადამიტანია დაბადებიდან დღემდე, რაც უნდა გადავიტანო და რაც კი უნდა განიცადოს ყველა სულდგმულმა, რომელიც ოდესმე კიდევ გაჩნდება ამქვეყნად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოძახილი

რამდენჯერ უთქვამთ: „მშვიდობით
გნახე!..“
ამ მწარე ფრაზის ნამდვილი ყადრი
ასე მგონია, ვიცოდი ადრე,
მაგრამ ამჯერად ვერაფერს ვადრი
ფერწართმეული ქაღალდის ნახევს,
რომელზეც სისხლით პირველად გიწერ,
რომ დაშლილია კავშირი მტკიცე,
ნათელი იგი შეერთო წყვდიადს,
ცდუნების ლანდმა ფეხდაფეხ მსდია
და გამარჯვებას ზეიმობს დია,
რადგანაც ფიცი, რომლითაც ჰფიცე,
ფრთამოტეხილი ბარტყივით გდია
და ვერასოდეს შესძლებს აფრენას
და შენთვის ფეხქვეშ ფარჩის დაფენას,
ცხადია, უკვე არა აქვს აზრი
და ქრება, როგორც ჭორები ბაზრის,
გადარჩეული სიტყვები ბასრი,
რომლებიც თითქოს დაგჭრიდა გულში,
მაგრამ ეს იყო... ეს იყო გუშინ,
როცა ჯერ კიდევ მთლად დაკარგულად
არ ვთვლიდი მას, რაც ბედმა მარგუნა
და სადღაც მკერდქვეშ პაწია დგუში
ქაჩავდა სისხლს და სიცოცხლის იმედს
მინარჩუნებდა... ახლა კი მძიმე
ლოდივით მაწევს ყოველი წამი
და თითქოს ბრალი უძღოდეს ამინდს.
სუსხიან ქარს და წვიმას ვემდური,
თუმცა შენ იცი, ეს საყვედური
ვისაც ეკუთვნის... ასპიტის შხამი
ცრემლის თქეშითაც ვეღარ ჩარეცხო,
სიტკბოს შეჩვეულს ერთხელ მწარეც
ხომ
უნდა მეგემა და უცნაური
აქ არაფერი არაა ალბათ,
კვლავ დაიმშვენო ულელი ცალფა...
ჩვენთვის ომეგად ქცეული ალფა,
როგორც პატიმარს ციხის ცხაური,
ვნებათა ბოლო საზღვარს გვაჩვენებს
და ცა, რომელიც გვიცავდა დღემდე,
ამ დამმეწყარავი თავსხმების შემდეგ
გინდ დალოცე და გინდ შეაჩვენე,
ის ხელმეორედ ცა ვერ გახდება,
გაველურდება, გაპარტახდება
და ჩვენს ნაკვალევს დაფარავს ლაფი,
როგორც ვულკანის გამდნარი ლავა,
რათა უეცრად ამტყდარი დავა
დამთავრდეს ისე, როგორც ინება
შეურაცხადი ჟამის დინებამ,
მაშინ ნამდვილად მეცოდინება,
რომ გამწყდარია ჩვენს შორის ძაფი
და უფსკრულისკენ გადადგმულ ნაბიჯს
ვერ შეაჩერებს ძახილი ხაფი,
ვერც შიშველ კლდეზე წაპოტინება!

ტიტა

თითქოს ერთბაშად აიმხედრე მასონთა ლოჟა,
შენი სურათი გულისჯიბით დააქვთ ჯაშუშებს.
სულის შებერვა ძველ იარას ვეღარ აშუშებს
და ქარ-წვიმაში იძონძება ნაბრძოლი დროშა.

წინ აგტუზვია ბედი, როგორც მჩხიბავი ბოშა,
ერთი შეხედვით ნედლს რომ ახმობს, ბროლს რომ აშუშებს.
ჩურჩულებს იგი: „ტოლნი შენნი უკვე გაქუქეს,
შენ ერთადერთი შერჩენიხარ ულმობელ დრო-ჟამს!“

ზრახვანი მტერთა — საჩინონი და აშკარანი,
სულს გიალმასებს, გისოკდევებს... ვერა, ვერა ვულს
კერ დააცდინეს სამდურაკი... ეგ ვაშკარანი
დაცლილ თასებით აკივსია და მაინც იტან,
რომ ჭეკეკის წერილზე სახლი, როგორც მაისის ტიტა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრეშჩატიკზე

ხრეშჩატიკზე წაბლი ცვივა,
წაბლი ცვივა
და ფოთლების ისმის ზარიშური.
ოქტომბერმა საცხოვრისი გაგვიცივა
და ნაადრევ თოვლსაც არ იშურებს.
წლევანდელი შემოდგომა სხვაგვარია...
კალაპოტში ჩაკარგული დნვარი
ჰგავს უეცრად სარქველახდილ
აქვარიუმს,
ჰგავს ქალაქი დაფეთებულ ზებრას.
იქნებ მართლაც არაფერი არ
შეცვლილა.

იქნებ თვითონ შევიცვალეთ ცოტა.
(ბედი ჩვენი მზეშიც ვლილა,
ქარშიც ვლილა,
დაბნეულმა ბარე ორჯერ სცოდა!)
ჩვენ ვჩერდებით, სად ჩამქრალან
შადრევნები
და მოწყენა დასტყობია აუზს.
სიხარულო, აქ რომ ჩქეფდი ადრე
ვნებით,
აწ სადა ხარ,
ხმა გაიღე,
აუ!..

უკანასკნელი მონოლოგი
კინორეჟისორ ვლადიმერ შევჩენკოსი, რომელმაც გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ჩერნობილი: მძიმე კვირეების ქრონიკა“

უდროო ტვირთმა დაამძიმა კვლავ წამწამები,
ო, ტვირთი იგი ჩემს საწიერს აუსახურებს!
გამოჩნდა ჩუმად უფსკრულეთის შავი მსახური
და უმოწყალოდ იწურება მწველი წამები.

მე ახლა თითქოს მძევალი ვარ ფესვმოკვეთილი,
მიმზერს მნათობი ამრეზილად, როგორც კეთროვანს.
ჩათვლემდეს მაინც ეგ წარმართი, იქნებ მედროვა,
მეცადა ბედი, განსაცდელში გამობრძმედილი.

მე ცხადად ვნახე საუკუნის დიდი სიავე
(ვნახე თუ არა? — გული ჩემი ეჭვებმა დახრეს!)
და ხერხემალზე გადამსხვრეულ სხივების სახრეს
მახსენებს ელვით გახლეჩილი ცის სიიავე.

სულ იქით, იქით ერეკება იმედებს ზარი,
წერად ქცეულა უწყინარი სიტყვა „მანძილი“.
ქანაობს ყულფი, თითქოს ჩემთვის გამოკვანძილი
და მიწაც ფეხქვეშ ძველებურად არ არის მყარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცრუო სოფელო, მე შეგატყვე, ბრუნავ ყასიდად
და შვილთა შენთა საურავი არ გედარდება.
დაუშვი თავსხმა განშორების პირქუშ ფარდებად,
როდესაც გავალ დღის და ღამის ყრუ დარბაზიდან!

თბილისის დროით

სკოლის მერხიდან გვახსოვს ყველას: ჩვენი პლანეტა
დაყოფილია აურაცხელ გრძედად, განედად.
დაყოფილია უჯრედებად, გვახსოვს რუკიდან,
ჩვენ, წამოსულებს ბავშვობიდან, სიჭაბუკიდან.
იმ უჯრედებში ვცხოვრობთ, სანამ ჩავალთ მიწაში,
ვშრომობთ, ვფუსფუსებთ, ვით ფუტკარი თავის ფიჭაში.
ხან ქარიშხალი გვენატრება, ხან მყუდროება
(დრო მარადია, თუმც იცვლება ხშირად დროება!)
კი, დრო ერთია, მაგრამ მაინც სხვადასხვა არი,
ესმის მსოფლიოს სხვადასხვა დროს დილის საარი.
მზეს ზოგჯერ ვასწრებთ, უფრო ხშირად მზე თვითონ
გვისწრებს,
წაღმა-უკუღმა ვატრიალებთ საათის ისრებს.
იცვლება სისხლი უჯრედებში, მერყეობს როე,
გრძედიდან გრძედში ახალ-ახალს ვეჩვევით დროებს.
ვეჩვევით კია? გვათბობს სხვისი ცა დიდებული?
მე არსით ყოვლით, ნაწილაკით, შორისდებულით,
ვაით და ვურთ, ავაჰმეთი, ჰეით და ჰოოით,
ვარსებობ, ვსუნთქავ, ვხარობ, ვწუხვარ თბილისის დროით,
მხოლოდ და მხოლოდ,
მარტოდმარტო
თბილისის დროით,
თბილისის დროით,
მარტოდმარტო
თბილისის დროით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ დედა ხარ,
ყოვლის მიმღები,
უნებურად ყოველივეს აღმომცენები,
შეადედებ ბოროტს და კეთილს,
ვერ გაარჩევ შენი სხეულით
და გაარჩენ
და გაამრავლებ.
ყველა თესლის გამცოცხლებელი
შენ დედა ხარ,
ნება არა გაქვს,
გიმორჩილებს წვიმა ყოველი,
შენ არა ხარ დამნაშავე და იტანჯები,
შენი შვილები ერთმანეთის სისხლით
ცხოვრობენ.
შენ ვერ შეწყვეტ ამ მდინარებას,
შენს უნებურად შენიდანვე
აღმოაცენებ,
შეადედებ ბოროტს და კეთილს
და გაარჩენ და გაამრავლებ,
შენი შვილის საფლავზე მწოლი
და წვიმისკენ პირმიქცეული.

მონაწილეობა

ღრიანკალი
მარტო ნარინჯისფერი შხამი არ არის.
ღრიანკალი
მარადმწვანე ხეა ფოთლოვანი,
რომელიც თოვლში დგას და იზიდავს
მაყურებლებს ოთხივ კუთხიდან.
უხვ ტოტებზე ნაყოფებად ისხამს დედაბრებს,
შავ დედაბრებს და თეთრ ქალწულებს,
რომლებსაც შავად დაამწიფებს და ქარს გაატანს,
დაამიწებს და გააწყალებს.
ყველა დამწიფდა, ეხლა მე ვარ ამორჩეული
ამ ქვეყნისგან მის გასაკვებად.
ღრიანკალი ჩემი ბედია, საითაც ვიწრო ხეობებით
მივემართები.
შავი მდინარის ნაპირებზე ვათეუ ღამეებს.
ცეცხლის ენები მელანდებიან წითელ ცხენებად ღამის
ფანჯრებში,
მაგრამ დილით შიში იშლება.
მივემართები უდაბური, უცხო ხეობით მძიმე აღმართზე.
ყველაზე ძნელი ბედი მომერგო,
— მონაწილეობა.
ოთრე შორიდან მაყურებლები
ოთხივ კუთხიდან ათასობით მოიჩქარიან,
მათი ხმების და ენების აღრეულობა,
ყრუ გუგუნად შედედებული,
აღწევს ჩემამდე.
მუხლი მეკვეთება.
უკვე ახლო ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაცაა, შიში დამტოვებს.
მარადმწვანე ლრიანკალის ტოტები დამისხამენ.
და ქვეყანა, სანახაობით გამაძღარი,
დაიხევს უკან,
თბილ სიმშვიდეში მიიქცევა მღვრიე ტალღებად.
მაგრამ მე უკვე მისი აღარ მეცოდინება.
ლრიანკალი ჩემი ბედია,
საითაც ვიწრო ხეობებით მივემართები,
ყველაზე ძნელი ბედი მომერგო,
მონაწილეობა.

●

ყოველ ქვასთან
მოგონების ნაღვლიანი სხივით ხარ მიბმული,
ყოველ უცნობ ხეობასთან
ძველი ნაცნობობა იღვიძებს,
შრიალით დგება ფოთლებში ჩამარხული,
მზეში გამოდის
და ტანჯვის გვირგვინზე ნაღვლიან თვლებად
ინასკვება მისი ციმციმი.
ლოდები, კლდეები, რიყის ქვები,
ღორღი და ჯაგი
— შენი დარდის ნაშალი და ნაკვალევია.
ჩამავალ მზეში შედიხარ ნელა.
გული, ტკივილით გაყოფილი, იტევს დუმილს
და ლურჯ სამყაროს, საკუთარ თავში ჩაბრუნების ნეტარებით
გაბრუებულს,
სისხლის წრედ მდინარს.
უშენოდ ერთი ღერი ბალახი
და ერთი წვეთი დღეც
არ გაუჩენია დამბადებელს,
ყოველივე ამოზიდა შენი გულიდან,
ამოწოვა, ამოაჩინა.
ყოველ ქვასთან მოგონების ნაღვლიანი სხივით ხარ მიბმული,
ყოველ ფოთოლში მიედინები სიცოცხლის მფეთქავ
მდინარებად,
ყოველ სიკვდილს შენ გართმევს ღმერთი
და კარდაკარ შენი ტანჯვის ზღვიდან არიგებს.
ჯვარცმული ხარ, პირმღიმარი, ბედს შეჩვეული.
შენ ვინ დაგიხსნის, ვის შუძლია, ამოგძირკვოს
ყველა კენჭიდან,
ამოგსრუტოს ყველა სხივიდან, ყველა ხმიდან
ამოგიყვანოს,
დაგიბრუნოს შენი საზღვრები
და ქვეყნისგან გამოხსნილი და გამჭვირვალი
ჩაგიკრას გულში, მშვიდი მხრებით გადაგეფაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაშვილობა

მოთხრობა

ერთი უცნაური ამბავი შემემთხვა ამ სიბერეში, ამაზე მინდა მოგითხროთ. თუმცა, რაც არ მომხდარა, ისეთი არაფერია.

ერთი სიტყვით, სახლი გავყიდე, ფრინველ-საქონელიც, ხოლო მოძველებული ავეჯი, ჭურჭელი თუ სხვა საოჯახო ნივთები: წალდი, ნაჯახი, ცელი, ჩაქუჩი და სხვა ათასი წვრილმანი მეზობლებს დავურიგე, მშვიდობაში მოიხმარეთ-მეთქი. ვაჟიშვილს დეპეშით ვაცნობე ქალაქში ჩასვლის თაობაზე, ბარგი გამზადებული მქონდა.

ის უკანასკნელი ღამე საკუთარ სახლში კი იობის წამებად მექცა. ასე თუ გამძნელდებოდა, არ მეგონა, ღმერთმანი. განვლილმა ცხოვრებამ ბარე ასჯერ აირბინა და ჩამოირბინა ფიქრში.

მზის ჩასვლის დრომ რომ მოაწია, ჩემი მარჩენალი ძროხა მობრუნდა საძოვრიდან, ჭიუკრიდანვე შემომბღავლა, მოვედი, შემომიშვიო. ბოჩოლა შვილივით მყავდა გაზრდილი, მეზობლის ბიჭმა „კარდინალი“ შეარქვა, იცინოდნენ სოფლელები.

იმოდენა ტკივილი ამოვიკითხე პირუტყვის თვალებში, გული მომეთუთქა. თითქოს წინასწარვე ეგრძნო, სამუდამოდ რომ უნდა გავყრილიყავით. რანაირად შეეჩვეოდა თავის ახალ პატრონებს, ჩემს მეტს რომ კაცშვილს არ იკარებდა, ამაზე ვნაღვლობდი.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რაღაც ცოდვა ჩამედინოს.

ყველა საგანი და ნივთი კრიჭაში ჩამიდგა.

შეიძლება ასეთი რამ წარმოიდგინოთ?

ძროხა მოვწველე, ღორებს სალაფავი მივეცი, ქათმებს ქერის მარცვალი დავუყარე, დავბორიალებდი ჩემს ეზოკარში უცხო ადამიანივით; არადა, ყველაფერში ჩემი სული და გული ჩავაქსოვე, ყველაფერი შრომით შევიძინე და სიყვარულით ვუფრთხილდებოდი.

ახლა ხეხილი, ვაზი და ბოსტანი — იქ რამდენი ოფლი ჩამიღვრია, არ იკითხავთ?

ჩემსავით ბებერ ხეებს უნდა გამოვთხოვებოდი, ცის გუმბათს რომ ეპოტინებოდნენ წვეროკინებით.

სოფელი ადვილად რომ არ შემელეოდა, ეს ხომ ვიცოდი. ის კი ნამდვილად ვერ წარმომედგინა, ასერიგად თუ დავწყვეტდი გულს ყველას. პირველად, გაეგო თუ არა, ნატალია მომადგა, ჩემი ბავშვობის დროინდელი მეგობარი. ყმაწვილქალობაც ერთად გაგვიტარებია, სიყვარულიც თითქმის ერთდროულად გვეწვია და ომის წლებშიც ერთად გამოვიარეთ. ქალისა და კაცის საქმე დაგვაკისრა გარემოებამ, ბავშვებს ვზრდიდით, ქმრებს ველოდით, ცხრატყავი გვძვრებოდა, მაგრამ ქედი არ მოგვიხრია ჩვენ-ჩვენი ხვედრის წინაშე. „ნუ იზამ, ქრისტინა, — მითხრა ნატალიამ. — ძნელია ამ სიბერეში... ახალ გარემოს, ანდა უცხო ხალხს როგორღა უნდა შეეგუო? სოფელს არ ემეტები, მთელი ცხოვრება ერთად ვიყავით, როცა გვიმძიმდა, როცა გვილხინდა. შეუძლებელი რომ შევძელით სოფლის დედაკაცებმა, ამიტომაც გვაფასებენ, გამგეობის წევრად აგირჩიეს, თვალში ჩაუვარდე, ხელს არ ამოისვამს არავინ. ომი გამოვიარეთ, რა არ გადაგვიტანია...

შენ ქმარი დაკარგე ომში, მე კიდევ ცალფეხა კაცი დამიბრუნდა, ხელადვე უღელში შეება საწყალი და აკი ვეღარც გაატანა დიდხანს. პორის ბეღელს რომ ხანძარი გაუჩნდა, გახსოვს? მავნებლობა იყო ეს, მავნებლები ცალკე გვეომებოდნენ. მთელი ერთი კილომეტრის მანძილზე ჩამოვმწკრივდით ქალები და წყლით სავსე ვედროებს ერთმანეთს ვაწოდებდით, რათა სახელმწიფო დოვლათი გადაგვერჩინა. ძალიან კი ვივარგეთ მაშინ, ალიონიდან დაღამებამდე ფეხი არ მოგვიცლია არც ერთს, ან კ ფეხზე როგორ ვიდექით, არ გიკვირს? რამდენი ერთი ვთქვა... ჰოდა, ეს მთელი ჩვენი ცხოვრებაა, ქრისტინა, ჩვენი ისტორიაა ეს. იქ კიდევ, საითკენაც შეხ მიეშურები, ჩვენი ისტორია არავინ იცის. იქ მათ თავიანთი ისტორია გააჩნიათ".

განა არ მესმოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ჩემს წერილებზე, სადაც შვილებს ვსაყვედურობდი, რატომ ერთხელაც არ ჩამოხვალთ და არ მომინახულებთ მოხუცებულ დედას და შვილიშვილებთან ალერსით არ გამაძღებთ-მეთქი, ჩემმა ვაჟიშვილმა ასეთი პასუხი მომწერა: „დედა, გაყიდე სახლ-კარი და ჩამოდი, ჩვენთან იცხოვრებ". ბევრი ვიფიქრე, სანამ ამ გზას დავადგებოდი, კარგა დრომაც გაიარა ამასობაში; ბოლოს გადავწყვიტე, როგორც იქნა. ჩემს თავს არ ვინაღვლი, ოღონდაც მათთან ვიყოთქი. ვეუბნები ნატალიას. „მათთან კი იქნები, მაგრამ, როგორ იქნები, ამაზე არ გიფიქრია? — არ მომეშვა ნატალია, — კი, შვილი შვილია, ეს გასაგებია, რძალი?" რძალიც შვილია-მეთქი, მკვახედ მივუგდე. „ღმერთმა ხელი მოგიმართოს, თუკი ასეა..." — თქვა ნატალიამ და გაყუჩდა.

ტირილი წამსკდა უცებ. ვხედავ, ტირის ნატალიაც. გადავეხვიეთ ერთმანეთს და კარგაძალი ცრემლი ვღვარეთ. ჩამოიარა მეორე დღეს მეურნეობის თავმჯდომარემ, თითქოს შემთხვევით, შინ არ შემომყვა, მეჩქარებაო. „რა ქენი, რა გადაწყვიტე, ქრისტინა. — ახლა ის ჩამებღაუჭა, — არ იშლი ბინც?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი მითქვამს პასუხად. ერთხანს დაფიქრებით მაკვირდებოდა, მერე დაღლილი ხმით ჩაილაპარაკა: „თუ რამე არ გამოვიდა და აქეთ ქნა პირი, არ მოგერიდოს, ყველაფერს ისე გავაკეთებთ, კმაყოფილი დარჩე... დაბრუნების არ მოგერიდოს-მეთქი, ამას გეუბნები".

— გავიგე, მადლობა მომიხსენებია.

— მადლობა შემდეგისთვის იყოს. მანქანა თუ გჭირდება, მძღოლი გაფრთხილებული მყავს, ნახე, მოელაპარაკე.

ცრემლი ყელში მქონდა მოწოლილი, ხმა ვეღარ ამოვიღე. ის კი, ვხედავ, სოფლის შუაგულისკენ მიაბიჯებს უკვე.

... იმ ღამით თვალი არ მომიხუჭავს. ჰოდა, ნიავმაც რომ ჩამოუქროლა, ფოთლების შრიალმა, გამოსათხოვარ ჩურჩულს რომ ჰგავდა, მძიმე და ნაღვლიანი წლები მომაგონა. ქმარი დამეღუპა იმ წელს სამამულო ომში. ორი მცირეწლოვანი შვილის ამარა დავრჩი. ვაჟი უმცროსი იყო, გულში მყავდა ჩახუტებული, ქალიშვილი ფერხთით მეწვა. განძრევისა მეშინოდა, ბავშვებს არ გამოეღვიძოთ-მეთქი.

იმ დროის ამბავი ყველამ ჩინებულად იცის, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

ჩვენ ერთად მოვიტანეთ აქამდე — სახლმა და ბოსელმა, ვაზმა და ხეხილმა, მწუხარებამ და სიხარულმა. სათქმელად ადვილია, საკუთარ კარ-მიდამოს შეელიო, ადგე და მიაყიდო. თითქოსდა გულის ნახევარი ჩამომწყვიტეს, ასეთი გრძნობა გამიჩნდა.

მახსოვს დღეები, როცა სახურავში წყალი ატანდა, როცა მშიერი საქონელი ზმუოდა და მიწა სკდებოდა გვალვისგან. ნუთუ არსებობს სიტყვა იმის გადმოსაცემად, რას განიცდის ამ დროს ადამიანი?

თითქოს უბრალო ამბავია, ღორს ან ქათამს გაცილებით მეტი სარგებლობა მოაქვს, ვინემ ძაღლსა და კატას, მაგრამ ოჯახში ყველა ერთია, აქ მნიშვ-

ნელოვანი და უმნიშვნელოც ერთმანეთზეა გადახლართული. ოჯახი უძირო ორმოაო, ნათქვამია.

ზამთრის გრძელ ღამეებში, როცა ბავშვები ავადმყოფობდნენ, ხან ერთი, ხანაც მეორე, ხოლო გარეთ ქარი ზუზუნებდა, ქარი ან თოვლი ბარდნიდა, მეკი ნახევრად განელებულ ღუმელთან ჩამომჯდარი, ვყვინთავდი და ძილბურანში ჩამესმოდა ავადმყოფი შვილის ბოდვა, არასოდეს ჩავვარდნილვარ იმნაირ სასოწარკვეთილებაში, როგორც ამ ბოლო ჟამს.

თუმცა მეც მქონია ნათელი დღეები და ტკბილი ცხოვრება იმ ჭერქვეშ, სხვანაირად ან როგორ იქნება? მაგრამ გაყიდული სახლ-კარი იმას სწვავს გულს, ვისაც ოჯახური ტვირთი უზიდავს.

ეს ტვირთი არასოდეს შეუმსუბუქებია ჩემთვის განგებას, აღარც სხვებისთვის, ვისაც სინდის-ნამუსი რაიმედ უღირდა.

ბალიშქვეშ თავსაფარში გახვეული ფული მქონდა შეჩურთული, ზედ თავი მედო და თავში ათასი ჭრელი ფიქრი მიტრიალებდა.

ღმერთო, რას ვაქნევდი ამ ხელის ჭუჭყს, რა ბედნიერება უნდა მოეტანა ჩემთვის?

რის სანაცვლო იყო ეს — ჩემი მარჩენალი ძროხის, შვილივით რომ გამოვზარდე, სახლის, რომლის კედლები ჩემი შვილების წარსულის ხმებით იყო გამთბარი, ან იქნებ ვაზისა, რომლის მოვლა-პატრონობაში ტყავი გადამძვრა?

რას ვტოვებდი და საით მივიჩქარი-დი უკეთეს ადგილზე?..

ჰო, შვილების სიყვარულმა-მეთქი, ასე ხომ ვთქვი და მოვიმიზეზე. შვილების სიყვარულს დიახაც შეეფარება დედის სიყვარული, ანდა პირიქით, მაგრამ ცოტა ეჭვიც მიკაწრავდა გულს — ვგრძნობდი, ისინი უკვე ისეთები აღარ იქნებოდნენ, როგორებიც იყვნენ ოდესღაც, როცა დედის კალთას იყვნენ შეფარებული.

ნათქვამია, მთესველი სხვაა და მომკელი სხვაო.

შვილების გაზრდა დიახაც საქვეყნო საქმეა, დედაშვილობა კი უფრო ძნელია, ასე მეჩვენება...

ერთი სიტყვით, დილაუთენია გავუდექი გზას ქალაქისკენ.

ეძინა სოფელს.

აქა-იქ ყეფდნენ ძაღლები, ყიოდნენ მამლები.

მივდივარ და ვტირი, მივალ და თითქოს მთელი სოფლის ტვირთს ვეზიდები ზურგით.

და ზურგიც მეწვის, მეწვის — ასე მგონია, განმკითხავი თვალებით მომაცილებს მთელი სოფელი.

უეცრად ძაღლის ყეფა მომესმა. ყურშამ ავტობუსების გაჩერებამდე გამომდია.

ძაღლის ტირილი გინახავთ?

იმ მონჯღრეულ ავტობუსში ფეხი შევდგი თუ არა, ჩემზე უწინ ყურშა შევარდა შიგ, სავარძლის ქვეშ მოკალათდა. ადგა ის მუტრუკი, ავტობუსის მძღოლი, წიხლი ჩაუბიძგა ფერდში. ყურშა აწავწკავდა, საფეხურებზე ჩაგორდა. მძღოლს ქოქოლა დავაყარე, იმან კიდევ, საქმე გამოგლეკვიაო, მოხუცო. ორიოდე მგზავრიც გამომექომაგა. წესიერებისკენ მოუხმეს და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ყურშამ ავტობუსის კიდეს თათებით დაუწყო ფხოჭნა, ყეფდა, წკმუტუნებდა. დავიძარით და გამოგვედევნა. მორბოდა, მოგვდევდა ბეწვაფოფრილი, მერე თანდათან ძალა გამოელია, დილის ბინდს შეერია და გაუჩინარდა.

უცებ წარმომიდგა ცარიელი სახლი, ბოსელში ძროხა, მოკაკანე ქათმები, ღიად დატოვებული კარი და კართან ჩაცუცქული კატა... „იქნებ დაგვიანდეთ, — გამიელვა იმ ჩემი სახლ-კარის ახალ პატრონებზე, — ნაშუადღემდე თუ არ გამოჩნდნენ, რა მეშველება?“ შეთანხმებული კი ვიყავით, დილით უნდა მოსულიყვნენ. ბარათი დახვდებოდათ მაგიდაზე, ვუბოდიშებდი ნაუცბათევად წასვლის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფიქრში კი ჩამოვრახრახდით რკინიგზის სადგურამდე. ავიღე ბილეთი და, მატარებელი რომ ჩამოდგა, ვაგონში შევხანხალდი, როგორც იყო. ჩემი სოფლური კაზმულობა და ეს გადატყავებული ჩემოდანი მაინცდამაინც თვალში არავის მოსვლია, განსაკუთრებით, გამცილებელს, მაგრამ ამას ბევრად არ შევუწუხებივარ, ესენი რა ხურდამურდაცაა, იცის ღმერთმა. ჩემი ადგილი დავიკავე კუპეში და, ის იყო, დავიძარით. აძანძგარდა ეს ჩვენი მატარებელი, ვაგონები ჯერ ერთმანეთს მიეხალა გრიალით, მერე ისე დაიძაგრა და დაიჭიმა, მეგონა, ის, რითაც ეგენი ერთმანეთზე არიან გადაბმული, საცაა გაწყდება და დავცალკევდებით-მეთქი, არაფერი ასეთი არ მომხდარა.

ჩემი თანამგზავრები, ლომვეშაპებივით რომ იყვნენ ჩასორსლებულნი, იქ რომ ჭამას შეუდგნენ, სულ ბოლო გაჩერებამდე არ მოუსვენებიათ ყბები. ღმერთო, ეს რა, ავადმყოფობაა თუ ავი ზნე? პირის გემო ჩვენც ვიცით, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი და ზომა გააჩნია. ჩვენში ღორმუცელობას ეძახიან ამას, როცა მუცელს ვერაფრით ამოყორავ. ნათქვამია, მუცელს აქორებ, ქორია და აღორებ — ღორიო...

ნახევარი გზაც არ გვქონდა გავლილი, ატყდა წვიმა და რიარია მეზობელ კუპეში. დერეფანში გავვარდი, იქნებ უბედურება მოხდა. ხალხნი ვართ, გული კი გასკდომაზეა. იქ ცოლ-ქმარი გაუქურდავთ უკანასკნელ კაპიკამდე. ქმარი ცოლს ლანძღავდა, დოყლაპიას და ქარაფშუტას ეძახდა, ქალი ქმარს აბრალებდა ყველაფერს და თავში მუშტებს იცემდა. გამოიძახეს მილიციელი და იმდენი იქაქანეს, სულმთლად აურიეს დავთარი. ბოლოს ხელის აწევით გააჩუმა ორივენი და საქმიანად იკითხა, რომელ გაჩერებაზე მოხდაო ეს ამბავი? ცოტა ხანს იყუჩეს იმთაც და მერე ისევ ერთად ალაპარაკდნენ. გული დამწვა ამ დანაშაულმა, მაგრამ მე ვისი მშველელი ვიყავი. მაშინვე ჩემოდანს მივვარდი, მეც ხომ არ გამაცარიელეს-მეთქი. ვხედავ, ეს ჩემი თანამგზავრები ისევ ისე იცოხნებიან დ[illegible]ლაც არ ადარდებთ აქ მომხდარი ამბავი. სამ ადამიანს ამდენი მოხარშული კვერცხი, ძეხვი, თევზი, შემწვარი ქათამი, ყველი და ორცხობილა. შეეთანთლოს, სხვას ეთქვა, არ დავიჯერებდი. ლუდს პირდაპირ ბოთლიდან სვამდნენ და იმდენი ბოთლი იყო დახვავებული ირგვლივ, განძრევისა მეშინოდა.

„ალექსიმ ერთხელ ასი ხინკალი შეჭამა, — თქვა ერთმა იმათგანმა, — ნიძლავზე". „ჭამისაა ეს ქვეყანა", — დაუკრა კვერი მეორემ. „მეც შემიძლია, — თქვა მესამემ. — ოღონდ, ნიძლავზე!" მერე აუტყდათ სლოკინი, ბოყინი და ჯანაბა მაგათ თავს, გახსენებად ეგ არ ღირდეს!

ერთი სიტყვით, ის, რაც მერე მოვიმოქმედე, მატარებელში მომხდარმა შემთხვევამ მიკარნახა. დიახ, ერთი შეუფერებელი ეშმაკობისკენ მიბიძგა იმ დანაშაულმა. იქნება ცუდად მოვიქეცი, ღმერთმა იცის, მაგრამ მერე და მერე კი დავრწმუნდი, რომ სწორად მოვქცეულვარ, ენა როგორ მიბრუნდება, ამას რომ ვამბობ.

ჩემი ვაჟიშვილი და რძალი სადგურში დამხვდნენ, საკუთარი მანქანით მიმიყვანეს შინ, თან გზადაგზა ქალაქს მაცნობდნენ, სად რა შენობა იდგა, სად ვისი ძეგლი იყო აღმართული. ძალიან გამახარა ასეთმა ყურადღებამ, შვილიშვილების კარგად ყოფნამ. რძალი გულთბილად მეპყრობოდა, ბედნიერ ქალად ჩავთვალე თავი. საგანგებო სუფრაც გაშალეს, ორიოდე მეზობელიც დაიწვიეს ჩემდა საპატივცემლოდ და, ერთი სიტყვით, გულიდან თითქოს ლოდი ჩამოეხსნათ, უკეთ ვიგრძენი თავი, თუმცა კი გაყიდული სახლ-კარის ყოველ გახსენებაზე ისევ ვწუხდი ხოლმე.

ჩაიარა ლხინისა და გულთბილი საუბრების მხიარულმა დღეებმა. დილიდანვე მთელი სახლი ცარიელდებოდა. უფროსები სამუშაოდ მიეშურებოდნენ, უმცროსებს სკოლაში აგვიანდებოდათ ყოველ დილით, იქიდან მობრუნებულ-

ნი. ზეზეურად გადაკენკავდნენ ორიოდ ლუკმას და კვლავ საითკენღაც მიიჩქაროდნენ — მუსიკას სწავლობდნენ. უცხო ენებსაც სწავლობდნენ, ციგურებზე სრიალებდნენ... კარგია ეს ყველაფერი, მაგრამ, რა ვიცი, ნამეტანი ხომ არ არის? მე იმათ მოლოდინში ქანცი გამწყდა, ისინი ამას ვერ ამჩნევდნენ და არც მე ვიმჩნევდი, ზედმეტად არ შევაწუხო-მეთქი. არადა, მათთან ალერსი და ღუღუნი ერთ რამედ მიღირდა. სული მეხუთებოდა ოთხ კედელს შუა, ძნელია მინდორსა და ბოსტანს მიჩვეული ადამიანისათვის... ვინც კი ქალაქურ ცხოვრებასაა შეგუებული, რა უშავს — ცხელი წყალი გინდა თუ აბაზანა, თეთრეულის საშრობი, მტვერსასრუტი თუ სხვა რამ სიკეთე, ყველაფერი აქვეა, ადამიანისთვის შეუქმნია ჭკვიან ხალხს, მაგრამ მე რაც დავკარგე, იმას რა შემიცვლიდა! სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, რძე რამდენჯერაც ავადუღე, იმდენჯერვე ამეჭრა, ფხვნილსაო, სიცოცხლე მაყრიდნენ ესენი. ახალმოწველილს რა შეედრება, ანდა დილაადრიან ეზოში სუფთა ჰაერს ჩაყლაპავ, ცივ წყალს დალევ, აქ ოშოვნი მამასისხლად?

ერთხელ საყიდლებზე გავყეევი ჩემს შვილიშვილს. ქალაქი ხმაურიანი, თავბრუდამხვევი იყო. ყველას სადღაც მიეჩქარება, ერთნი უკნიდან მოგდევენ. თითქოს მოსწრება იყოს, გეჯაჯგურებიან, ვიღაცამ მხარი ჩამომწყვიტა კინაღამ, მეორენი წინიდან გეჯახებიან, საწინააღმდეგო მხარეს მიჯირითობენ. მდინარე კი არა, ზღვაა, ზღვაური, ქალი ხარ და გაუძელი! ფეხები დამისივდა, ფეხსაცმელები გავიძვრე, ფეხშიშველა მივზიზინებ. „ბებო, გამოადგი ფეხი!“ — შვილიშვილი მიყვირის. ვიღაცებს ეღიმებათ. რა ჯური და ჯამაათი გინდა, აქ არ ნახო. ზოგი თვალში მოგხვდება, ზოგიც ღვთის გლახას დამსგავსებია. ხეიბარი და ჯანმრთელი, მოხუცი და ახალგაზრდა, უმრავლესობა ბადურებით, ხელჩანთებითა და ქაღალდის პარკებით მიიჩქარის სადღაც. — აბა, განი! ახლა მანქანები, ქუჩისკენ ვეღარ გაგიხედავს. ვიტრინებს მივშტერებიხარ, სოფელი მენატრება, სიმშვიდე და მყუდროება მენატრება. „ბებო, გამოადგი ფეხი!“ — ისევ მესმის შვილიშვილის ძახილი. თვალებით ვეძებ, რა უნდა დაინახო... აქეთ — მეტრო, ჩადიხარ და ამოდიხარ, სასწაულია პირდაპირ. თითქოსდა ქვესკნელისკენ მიექანები, ზოგი არბის ამ დროს, ზოგიც ჩამორბის, მე კიდევ თვალებს მჭრის მოძრავი კიბე. ჰა, საფეხურები გამექცა, თვალსა და ხელს შუა გამეპარა, მყარზე უნდა გავდგა ბიჯი... ვბარბაცებ, ვეცემი... შვილიშვილმა იყოჩაღა, გადამარჩინა, ენაცვალოს ბებია.

ქალაქური ცხოვრების წესმა და ჩვეულებამ გამოაცა — ერთი სახლის ბინადარნი ხმას არ სცემენ ერთმანეთს. მისალმება რაღაა, ქრისტიანო, ფულს ხომ არ იხდი ამაში, აპაჰ! უფრო უარესი, ეს ხალხი საერთოდ არ იცნობს ერთიმეორეს და აღარც გაცნობის სურვილი გააჩნია. რამდენჯერ ვცადე, გამოვლაპარაკებოდი რომელიმე მეზობელს, თქვენც არ მომიკვდეთ, წყლის ნაყვაა. ისეთნაირად შემომაჭერდებოდნენ, თითქო მე იმათ სულში ხელების ფათურს ვაპირებდი. ერთხელ, ის კი არა, ერთ ხანმორეულ ბედოვლათთანაც გავაბი მუსაიფი, ჭადრის ძირში რომ ყვინთავდა, ეზოში.

— თქვენ აქ ცხოვრობთ, მოკეთეე? — ვეკითხები.

კაცმა თვალები ისე დააცეცა, წისქვილის ვირთხა მონაგონი იყო.

— მერე?! — გადმომიბრიალა თვალები, — თქვენ რა, სახლმმართველი ხართ თუ უბნის ინსპექტორი, ანგარიში ჩაგაბაროთ!

— არც ერთი და არც მეორე, — რბილად ვუპასუხე. — ისე ვიკითხე, რა ვიცი, ხალხნი ვართ და...

— როგორ, ისე... თქვენ რა, საქმე გამოგელიათ?

— სოფლიდან ჩამოვედი, — მინდა რაღაცა შევასმინო ამ მართლაც ვირთხას, — აქ ჩემი ვაჟიშვილი ცხოვრობს

თავის ცოლ-შვილით, სოფელში სახლ-კარი გავყიდე, აქ ჩამოვედი. ვეღარ გავ-ძელი უამათოდ და...

— ჰოდა, ჩვენ სულ მალაყებზე უნ-და გადავდიოდეთ, არა?! საკისრების ქარხანაში მოეწყობით, ალბათ, ეგ კარ-გად გამოგდით, მწუნდებლად აგიყვან-ნენ, ასეც ვიცი!

— რატომ ხართ ასერიგად გაჯავ-რებული, — გული ჩამომწყვიტა იმისმა მჭახე ხმამ, — რატომ არ შეიძლება ადა-მიანურად გავესაუბროთ ერთმანეთს?

— ვილაყბოთ, ესე იგი... გინდათ, ვი-ჭორაოთ, ჰა? ამა, მითხარით, ის თქვე-ნი თავმჯდომარე ვისა ყვარობდა, ბრი-გადირის ცოლს თუ ჯარისკაცის ქვრივს? აბა, ჰე, გაანძრიეთ ტვინი!

— ის ჩვენი თავმჯდომარე ცალფეხა კაცი იყო, აცხონოს ღმერთმა, ომგადა-ხდილი. თავის ცოლ-შვილს ყვარობდა, სოფელი უყვარდა, საქმის კაცი იყო, სხვა რა უნდა ყოფილიყო?

— სხვები? ასეც დაგიჯერე! ერთი ამიხსენით, რა გინდათ, რაღას ამეკვია-ტეთ ამ დილადრიან. გაიარე რაღა, თვალს წყალი დაალევინე. ოპერაში წა-დი, „ბორის გოდუნოვი“ გადის ამა-ღამ. რაო, ცუდი ხალხია ქალაქელები? თქვენ კი, სოფლელები, აი, თქვენა ხართ რაღა! აქეთ არაფერს იძლევით, ჩამოხვალთ, დატენით მაგ ტომრებს, ზედ შეასკუპდებით და ერიჰა, მიაჭე-ნებთ შინისკენ, ვაშა!

— ძალიან ნერვიული კაცი კი ბრძა-ნებულხართ, მოკეთევ! ასერიგად რამ გაგაღიზიანათ, ეს რა ქარიშხალი დამა-ტეხეთ თავზე, ძვირფასო.

— რაო?! — თვალები გადმოკარკ-ლა ვირთხამ, — ცოტაა გულის სახეთ-ქი თუ?! თუმცა თქვენს გოგრაში რა-ღა შეაღწევს. აქეთ — ახალი ომის საფ-რთხეო, იქით — დიდთოვლობაო, ეს კიდევ — რადიაციაო, ბიჭი ხარ და გაუძელი! ნახევარი საუკუნეა, ვსვამთ. დიახ?! ახლა მოგინდათ ჩვენი გაბერმო-ნაზვნება? ნურას უკაცრავად!

— საერთო საქმეა ეს, — ვეუბნები და უკვე ვგრძნობ, რა ჭიაც ხრავს, — მარტო მე და თქვენ კი არა, ყველას ეხება, სახალხოა და იმიტომ.

— ერთი შეხედეთ ამ სოფლელ ქალ-ბატონს როგორ აჭიკჭიკდა?! რა არი სახალხო, აუტკივარ თავს ძალით რო ვი-ტკიებთ, ისა?! ასი წელია, ჭურში ზი-ხართ, ჩამოხვალთ და — მუხას ხურმა არ ასხიაო, ჭკუის კოლოფები!

სოფელი სხვაა, სოფელი თბილი და ბგრძნობიარეა. გამქირდავიცაა იმათ მი-მართ, ვინაც ზნეობის საზღვრები არ იცის. სოფელი უზნეობას, გულგრილ-ობასა და განყენებულად ცხოვრებას არ გაპატიებს. იქ ერთის საქმე ყველას ეხე-ბა, ყველას საქმე — თითოეულს.

ახლა იმ შემთხვევას მინდა დავუბრუ-ნდე, მატარებელში ცოლ-ქმარი რომ გაქურდეს. მაშინ გავიფიქრე პირველ-ლად, მე რომ შემმთხვეოდა ეს უსია-მოვნება, ჩემი ვაჟიშვილი და რძალი ნეტავი როგორ შეხედავდნენ-მეთქი ამ ამბავს? ამეკვიატა ეს აზრი, საშველი არ მომცა. ერთი ბერყეტა გლეხი ამ-ბობდა სოფელში, ადამიანს ჭინკა უზის თავში და ქვას გახეთქავს მისი ნათქვა-მიო. ამის არ იყოს, ჩემშიც, ეტყობა, ჭინკამ მოიკალათა და ქნა თავისი საქ-ნელი —ერთ მშვენიერ საღამოს, სა-მუშაოდან რომ მობრუნდნენ, შეთხზუ-ლი სინამდვილედ გავასაღე: გაყიდული სახლ-კარის ფული მატარებელში ამ-წაპნეს-მეთქი, და თანაც დავუმატე: „არ მინდოდა, შვილებო, თავიდანვე გამე-ფუჭებინა თქვენთვის ხასიათი, ამიტო-მაც არ გიმხელდით, რაც დამემართა. სიმართლეს კი ვეღარსად წაუვა კაცი“.

მკვდრისებური სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში.

ქანდაკივით გაშეშებულ რძალს ხმაც არ გაუღია, ხოლო ჩემმა ვაჟმა ერთი კი ამოიოხრა და მოკლული ხმით ჩაი-ლაპარაკა: „ეს როგორ მოგივიდა, დე-დაჩემო, დაგვიბერდი, ალბათ“.

რძალი შეტრიალდა, სამზარეულოში შევარდა და დიდხანს აღარც გამოსულა, ეტყობა, ძალიან გაუჭირდა ამ უსია-მოვნო ამბის გადატანა.

„რა გაეწყობა, — დასძინა ჩემმა ბი-

ჭმა. — მოხდა, მოხდა... უარესებიც არ მომხდარა თუ?“

უცებ ვინანე, ეს რა ეშმაკმა მომაფიქრებინა-მეთქი. ვგრძნობდი, გული ვატკინე ორივეს.

რაღაც მაკავებდა, სინამდვილე არ გამემხილა.

პირველ ხანებში თითქოსდა არაფერი, ეჭვი თითქმის გამიქარწყლდა. ვიფიქრე, მაპატიეს მოხუცებულ ქალს დაუდევრობა მერე და მერე კი მივხვდი, ვცდებოდი.

ვახშმობის ან საღილის დროს სუფრასთან ერთდათავად შვილიშვილები ლაპარაკობდნენ, ცოლ-ქმარს კიდევ კრიჭა ჰქონდა შეკრული...

ეტყობა, მემდუროდნენ, უთქმელობით მტანჯავდნენ, ბოიკოტი გამომიცხადეს. ჩემს ვაჟიშვილზე ვბრაზობდი, რძალს რაღას ვემართლებოდი, დავუშვათ და, მართლა მომხდარიყო ასე, დამკარგვოდა ის ფული, მშობელი დედისთვის ლუკმა უნდა დაეყვედრებინა?

ჩვენი ურთიერთობა თანდათან აუტანელი გახდა. საქმე იქამდე მივიდა, ჭამის დროს პირში შემომყურებდნენ. ბოლოს ვაჟიშვილის ბუზღუნს რძლის ქარაგმებიც ზედ დაერთო! „სხვათა თვალში შეყურება ვერაფერი საქმეაო“. ერთხელ კიდევ ჩემს ქალიშვილზე გადმომკრა: „მაგას რა უჭირს, გეთაყვათ, მეცნიერი ქმარი ჰყავს, ფულს ჩიჩქვივით შოულობს, იმათ ბინაში ცხენი გაჭენდება. ერთი გოგო ძლივს გაუჩნდათ და ისიც გათხოვილი ჰყავთ, თავის პატრონს აბარია“.

— ასე რაღამ გამოგაჩერჩეტა, დედაჩემო, — აბუზღუნდა ისევ ჩემი ვაჟბატონი. — ამოდენა ფული წყალს როგორ გაატანე.

ავდექი და წერილი ვაფრინე ჩემს ქალიშვილთან ხარკოვში. ასე და ასეა ჩემი საქმე, ვწერდი, სიბერე ხომ ისედაც გამიმწარდა, შენც თუ ზურგი მაქციე, თავს არ ვიცოცხლებ-მეთქი. მალე პასუხიც მოვიდა: „რატომ აქამდე არაფერი შემატყობინე, დედა. ჩამოდი სასწრაფოდ, გელით“.

მეორე დღეს, ესე იგი, შაბათს, დილაუთენია წამოვდექი. შვილიშვილებს დავკოცნე, მდუღარე ცრემლით გამოვეთხოვე, ავიკარი ჩემი გუდა-ნაბადი და შვილმა და რძალმაც სადგურში მიმაცილეს. ჩამოდგა მატარებელი, ჩემი ბიჭი ვაგონში ამომყვა, ჩემოდანი და ფუთა ამატანინა. გამოვყევი უკან, რძალს ხომ უნდა გამოვემშვიდობო. ვდგავარ ტამბურში, მუხლები მეკვეცება. ცალი ხელი კარის სახელურს ჩავკიდე, ცივი ირგვლივ კი ყანგისა და შმორის სუნი დგას. ბაქანზე მგზავრები და გამცილებლები ერთმანეთში ირევიან. მინდა რაიმეს ამოვეფარო, რა გამოსაჩენი მე ვარ ამ ხალხში. ის კი არა, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მთელმა ქალაქმა პირი შეკრა და გამაძევეს. შვილი და რძალი ქვემოდან რაღაცას მანიშნებენ... ზემოდან დავჩერებივარ ჩემს ბიჭს, მეუღლისთვის ხელკავი გაუკეთებია, მხნედ გამოიყურება. მკვდარია ის სიტყვა, შვილისთვის რომ უნდა მეთქვა... როცა ვაგონები გრუხუნით დაიძრა, როცა ჩემი ვაჟიშვილის ხელი სულაც ჩაიკარგა გამცილებლების აწეულ ხელებში, მე ცხადად დავინახე პატარა ბიჭი, ბაქანზე რომ გარბოდა აწეული ხელებით და მთელი ხმით გაჰყვიროდა: დედიკო, დედიკო, დედიკო... „მოგიკვდა, შვილო, დედა...“ — ჩავიჩურჩულე ფანჯარასთან ალანდულმა და ვიგრძენი, ერთი, ერთადერთი კურცხალი, თბილი და ნამეცა, რომ ჩამოსრიალდა ჩემი გამწარებული სახის ნაოჭზე. ნეტავი არ გამეყიდა სახლი და საქონელი, ეყოფილიყავი ჩემთვის სოფელში, ლოდინში დამღამებოდა, მეცხოვრა მხოლოდ იმედით და ჩემს ჭერქვეშ, ჩემს ლოგინზე დამეხუჭა საბოლოოდ თვალები.

ჰო, ეს სულ დამავიწყდა: სანამ მატარებელი დაიძრებოდა, ჩემმა რძალმა მავედრებელი თვალებით ამომხედა, მეუბნება: „იქნება დარჩენილიყავით, დედიკო?“ ნაღვლიანად გავუღიმე ორივეს, სხვათა გასაგონად იყო ნათქვამი.

ჰა, მივჭრიკარ კვლავ სხვა თავშესაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისაკენ, გაოგნებული, მოხეტიალე ბებრუნანა.

იქნებ დავბრუნდე სოფელში, ჩავუვარდე ფეხქვეშ თავმჯდომარეს და ვთხოვო, როგორმე დამაბრუნებინოს ჩემი სახლ-კარი, რაც გადამიხადეს იმაზე მეტს მივცემ, ვალს დავიდებ, ოღონდაც დამთანხმდნენ ამ თხოვნაზე...

ჰო, მაგრამ მაშინ მიზეზსაც იკითხავენ, ტყუილის თქმა კი არ მეხერხება. არა, სოფლის ყბაში ვერ ჩავაგდებ შვილს.

ჰოდა, ისევ არჩეულ გზას მივყევი, ქალიშვილს მივადექი ჩემი ბარგი-ბარხანიანად.

კარგად მიმიღეს, რაც მართალია, მართალია. სიძე — მეცნიერი, მშვენიერი ბინა, ავეჯი. სიტყვამ მოიტანა და, არც ჩვენა ვართ მთლად ბნელი ხალხი. სკოლაში ჩვენც გვივლია, მაშინ გიმნაზიას ეძახდნენ.

წიგნების კითხვა ბავშვობიდანვე დამჩემდა. სოფელში, როცა ზამთარი გვეწვეოდა და საქმეც ნაკლები იყო, ხშირად წიგნის კითხვაში დამთენებია. ჩეხოვი მიყვარდა გამორჩევით, გოგოლსაც სიამოვნებით ვკითხულობდი. ცოცხლები რომ იყვნენ, დიდად შეგვეწეოდნენ, ღმერთმანი. ჰო, ცოცხლები რომ იყვნენ, იცოცხლე, ისინი საქმეებს დაატრიალებდნენ... დიახ, კბილის გასაკრავი და დღის სინათლეზე გამოსაჩენი ახლაც ბევრია. წიგნებში კირკიტი ჩემ ქალიშვილს ჩემგანვე გადაედო, ალბათ. აიჩემა, უმაღლესში მისაღებ გამოცდებს ჩავაბარებო. წავიდა, ჩააბარა და ფრთებშესხმული დაბრუნდა შინ. ჩემთვის ვიკლებდი და იმას ვაწებებდი, გული არ ჩაწყვეტოდა, არ დაჩაგრულიყო. ვასწავლე, თვითონ ინდომა, თორემ ჩვენს სოფელში მასზე უკეთესი გოგონებიც არიან, მეურნეობაში მუშაობენ, ზოგი მწველავია, ზოგი ბოსტანს უვლის. გინდა, კომბაინზე დაჯექი, დუქანში იმუშავე, აქვე მოანგარიშის კურსებია გახსნილი, ფიზიკური შრომა თუ გეზარება. რა ვიცი, საქმეს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე.

ირინა, ჩემი შვილიშვილი, მათი ერთადერთი ქალიშვილი, ამ წლინ ჯერ-ჯერობით წინათ გათხოვილიყო. ინდუსტრიულ ქალაქში ცხოვრობსო ქმართან ერთად, საერთო საცხოვრებელში, ასე მითხრა ჩემმა სიძემ. ქარხანაში მუშაობდნენ, თანაც დაუსწრებლად სწავლობდნენ თურმე უმაღლეს სასწავლებელში. ირინელა კარგა ხნის უნახავი მყავდა, ოჯახში მატებას ელოდნენ, დიდედა უნდა გავხდარიყავი.

ამ ჩემს სიძეს „კაცი, რომელიც იცინის“ შევარქვი მეტსახელად, ოღონდ ჩემი ქალიშვილისთვის არ გამიმხელია. გული არ დავწყვიტო-მეთქი. პირდაპირ არაფერს გეტყოდა, ან წიგნებში ჰქონდა თავი ჩარგული, ანდა სიცილსა და ხუმრობაში შემოგაპარებდა შხამს. აქაოდა, იუმორი ჩემი მოგონილიაო, ისემც მაგას რა ვუთხრა! ეს ჩემი ქალიშვილი. ვხედავ, სულ თვალებში შესციცინებს, უსიტყვოდ ხვდება, რა ეწყინება, რა გაეხარდება. მეც ასევე მჩვეოდა თავის დროზე, ურიგო არაფერია ამაში. თავმოყვარე ქალი ქმარს არ დაიჯილავებს. ის კი არადა, ბაზარში თუ წავიდოდა, საღამოს ანგარიში უნდა ჩაებარებინა ქმრისთვის — რვეულის ფურცელზე ჰქონდა კოხტად ჩამოწერილი, რა იყიდა, რამდენი გადაიხადა, ისე ზუსტად იყო გამოყვანილი ჯამი და ნაშთი, ჩვენი მეურნეობის მოანგარიშესაც კი შეშურდებოდა, ღმერთმანი. წინათ ჩვენი ქმრები ჩვენ გვენდობოდნენ, თავშიც არასოდეს მოსვლიათ ასეთი რამ. „ჰო, მაგრამ, დედაკაცო, ეს წინათ იყო, — ვეუბნები ჩემს თავს, ვამშვიდებ, — ქალაქს, ეტყობა, თავისი წესი და რიგი აქვს, ასეა, ალბათ, საჭირო“. ის კიდევ, ის ჩემი ცოდვით სავსე, „კაცი, რომელიც იცინის“, ისე, სხვათა შორის, დიდსულოვნად გადაავლებდა თვალს ანგარიშის ქაღალდს და ჩაიფრუტუნებდა: „ჰმ, ბოლოკი ხუთი კაპიკით გაძვირებულა...“ გული მისკდებოდა, ახლა ამ ხუთ კაპიკზე ქვეყანა არ დააქციოს მეთქი. სულ ტყუილად ვღელავდი, ეგ ისეთი ვინმე ბრძანდებოდა. ქვეყნის და-

ქცევასაც ხუმრობაში გადაიტანდა, ოღონდაც ორიოდე მოსწრებული სიტყვა ბოსდგომოდა ენაზე.

კაცს გაბრაზებაც უნდა სჩვეოდეს, გულიანი სიცილიც. ღიმილი კი ეშმაკის მოგონილია, ვერც თავს გაუგებ, ვერც ბოლოს. საკუთარი შვილი მაინც თუ უყვარს-მეთქი, ასეთი აზრი დამეუფლა. ერთხელ ყური მოვკარი, ცოლს რომ უთხრა: „რატომ არაფერს იწერებიან?“ „დღეს მივიღე წერილი, — უპასუხა ჩემმა ქალიშვილმა, — მალე შვილი ეყოლებათ, იმ ერთ ოთახში როგორ იქნებიან, ამაზე ვფიქრობ“. „საწერი მაქვს, — სიტყვა ბაზზე აუგდო ქმარმა, — ხვალ მოხსენება უნდა წავიკითხო აკადემიაში“. დილით მეუღლე გააფრთხილა, საღამოს სტუმარი გვეყოლებაო.

იმ დღეს სამზარეულოდან არ გამოვსულვარ, ქვეყნის რაღაცები დავამზადეთ. ჩემმა ქალიშვილმა სუფრა გააწყო, ველოდით. ცოტა მოგვიანებით მოვიდნენ, ხელები დაიბანეს და მაშინვე სუფრას მიუსხდნენ. თვალი შევასწარი სტუმარს, მაღალი, აწოწილი კაცი იყო, სათვალე ეკეთა. ძალიან სერიოზული ვინმე კი ბრძანდებოდა, ეტყობა, ერთხელაც არ გაუხსნია წარბი, მხოლოდ „ოჰ-ოჰ“-ს იძახდა ახალი კერძის გადატანისას. ეს ჩემი სიძე კი სულ თაფლსა სთხოვდა, მაგრამ სტუმარზე ეს არ მოქმედებდა, ეტყობა, შეჩვეული იყო. მერე საპირფარეშო მოუნდა, სამზარეულოში კი შემოალაჯა. „ოჰ, უკაცრავად...“ — თქვა და გატრიალდა. მოსამსახურე თუ ვეგონე, რა ვიცი. „სიდედრი ლატარიაში მერგო, ხი-ხი...“ — ჩაიკიკინა სიძეკაცმა, სამზარეულოში მოგვწვდა ეს ხმა მე და ჩემს ქალიშვილს. ამ ჩემ გოგოს ალმურმა გადაჰკრა სახეზე. ჰოდა, მაშინ გავიგონე პირველად ჩვენი სტუმრის გულიანი სიცილიც. სიძეკაცმა ბოლოს მაინც მოარტყა მიზანში. „დედა, — თქვა ჩემმა გოგომ და ხელები მომხვია. — ყურადღებას ნუ მიაქცევ, დედა“. ატირდა და ავტირდი მეც. ვისხედით ჩვენთვის და საწყალობლად ვკნაოდით. მერე გვეუჩდით და სასტუმრო ოთახიდან ნა-ჩანგლების რაწკუნი მოგვესმოდა. „პეტროვიჩი აშკარა შეტევაზე გადმოვიდა, — თქვა სიძეკაცმა, — რაიმე უნდა ვიღონოთ...“ „ჰო, ჰმ, რა თქმა უნდა, — უპასუხა სტუმარმაც, — უკვე შეუდგა წყალი, სულ ცოტა ხანში იმასვიზამთ...“

სტუმარი წავიდა თუ არა, ჩემმა სიძემ ტაში შემოჰკრა და კმაყოფილმა ჩაილაპარაკა: „საღამომ ჩინებულად ჩაიარა...“ გულში გამეცინა, ეს თუ „ჩინებული საღამო იყო...“ სტუმარ-მასპინძლობა ჩვენ ვიცოდით სოფელში — ხმაურიანი, გარმონით, სიმღერებითა და გულითადი სადღეგრძელოებით. „რაღას აუხირდი, დედაკაცო, — ისევ ჩემს თავს ვეჩიჩინები, — თუ არ მოგწონს, კალთა ვიღამ ჩამოგახია“. ჩემს ქალიშვილზე მეზობლები ამბობდნენ, იდეალური ქმარი ჰყავსო. ის არ სვამდა, არ ეწეოდა, არც ხმამაღალი ლაპარაკი სჩვეოდა, სულ იღიმოდა და შიგადაშიგ შხამს ანთხვევდა. მათ ჰქონდათ „სალარო“, ფულს აგროვებდნენ, ადგილად მისახვედრი იყო, რაღაც გეგმები გააჩნდათ, მაგრამ ეს მათი საიდუმლო იყო, სიტყვას არ სძრავდნენ ამაზე. სიძეკაცს მტრები ჰყავდა, ვხვდებოდი მისი ქარაგმულად ნათქვამიდან, მაგრამ არასოდეს წამოსცდენია მათი გვარი და სახელი. რაღაცას მიმალავდნენ, საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ და როცა ჩემს გოგოს ჩავეკითხებოდი, რაზე ბჭობდით-მეთქი, შიშნარევი თვალებით შემომხედავდა, ხმადაბლა იტყოდა: „ეს ძალიან რთულია, დედა...“ ჰოდა, კი ვიყავი ჩემთვის გასუსული, ეს „ლატარიაში რგებული“ სიდედრი, სანამ ჩემმა ირინელამ წერილი არ მომწერა, ბებო, ჩამოდი, დღეს-ხვალ დიდედა უნდა გახდე, იქნება ცოტას წამხმარებოდიო. ფრთები შემესხა თითქოს, მაშინვე ჩავალაგე ჩე-

---

ვლადიმერ ჯოლოგუა
დედაშვილობა

მოდანში ბარგი. წასასვლელად გავხაზირდი.

ჩემმა გოგომ ცრემლებით გამომაცილა, ხოლო ჩემს სიძეს სულ ეღიმებოდა, იმას დავაყარე მეხი!

ირინელას ქმარი, ლუკა, პირველ ხანებში, მართალი გითხრათ, შერეკილად მომეჩვენა. ჩამოსვლის პირველსავე დღეს, სული მოვითქვი თუ არა, ყურში ჩამჩურჩულა: „ბებო ქრისტინა, ცირკი გიყვართ?“ გაოცებისგან პირიც კი დავაღე, ასეთ კითხვას ნამდვილად არ მოველოდი და სულელივით გამეცინა. ირინელამ სამზარეულოდან გამოიხედა, მაშინვე მიხვდა სიცილის მიზეზს და თვითონაც აკარკაცდა. ლუკამ ცოტაოდენი გვადროვა, მერე კი გულთმისანივით ჩაილაპარაკა: „ვისაც ცირკი უყვარს, სხვანაირად უყურებს ცხოვრებას“.

ცირკში არასოდეს ვყოფილვარ, რაღა მეცირკებოდა ამ სიბერეში, მაგრამ არ მომეშვა ეს ბიჭი და დავყევი ბოლოს, ხათრი ვეღარ გავუტეხე. „მოგწონათ?“ — ჩამეკითხა წყნარად, შინისკენ რომ მოვეშურებოდით. რა უშავს, შვილო, დიდებული გასართობია-მეთქი, ვუპასუხე. მიეხვდი, პასუხმა არ დაკმაყოფილა. „არა, — თქვა, — გართობა, რა თქმა უნდა, ეს ისე, თვალის ასახვევად, რათა ყოველდღიურ საფიქრალს გამოეთიშოს კაცი. სინამდვილეში კი... როგორ აგიხსნათ, არ ვიცი. ადამიანი ხომ ბუნების შვილია, უბრალოდ უნდა იცხოვროს, ყოფა არ გაირთულოს. ზედმეტობა, გაუმაძღრობა ხშირად სასაცილო მდგომარეობაში გვაგდებს, — ამაზეა ლაპარაკი, სხვა, უფრო მნიშვნელოვანზეც... მარტო ჯამბაზი რადა ღირს, არა, ბებო ქრისტინა? ბრძენია, მაგრამ ყველაფერს გადაბრუნებულად ხედავს: სადაც საძაგებელია, აქებს და საქებარს იწუნებს. მაყურებელიც ამით ერთობა. ის კი ფიქრობს: იცინეთ, ჰო, გაერთეთ, გამოგეღვიძებათ ხვალ და ისევ იცინეთ, მაგრამ დადგება წუთი... თქვენ როგორღა ფიქრობთ, ბებო ქრისტინა?“ „რა ვიცი, შვილო, — მხრებს ვიჩჩაავ, — იქნება მართლა ეგრე იყოს“. „სოფელში როგორ იყო?“ ეშმაკურად უცინიცემებს თვალები. „ჩვეულებრივ, როგორც ყველგან... ღილაბინდზე მოადგებოდა ჭიშკარს ბრიგადირი და მთელი ხმით გაჰყვიროდა: ქრისტინა! ქრისტინა! ქრისტინა! გულში ვწყევლიდი, ტყვიასავით მჭონდა დამძიმებული ქუთუთოები, რაღას არ მივცემდი, კიდევ ერთი საათი ძილისთვის. იქვე ყანაში ვსადილობდით, შინ გვიან ვბრუნდებოდით, გვიან ვწვებოდით“. „ეს, რაც შეეხება მუშაობას ცხოვრება?“ „სხვაც ბევრი იყო, — ვპასუხობ ჩემს განმანათლებელს, — რომელი ერთი გითხრა... სიყვარული, ქორწინება, ცოტა გართობა, მეტი მწუხარება, კრებები გვიანობამდე, ჭორი“. „გულგრილი თუ იყო ხალხი, ბებო ქრისტინა, შური თუ იყო, ანდა მომხვეჭელობა“? „იყო, შვილო, ყველაფერი იყო, მაგრამ იმ ზომამდე და ისე თვალსაჩინოდ არა, როგორც დღესაა“.

ირინელას ვაჟიშვილი შეეძინა. ლუკა ჭადარზე აძვრა ეზოში, იქიდან დაიყვირა: „პროხორ, გაუმარჯოს შენს მოსვლას ამ ქვეყანაზე!“ თურმე წინასწარ ჰქონიათ დათქმული, ვაჟი თუ დაიბადებოდა, ჩემი ქმრის სახელი დაერქმიათ, პროხორი. შინაურულად პროხორ-უმცროსს ვეძახდით ხოლმე.

ირინელას ბავშვის გაზრდაში ვეხმარებოდი, ვასწავლიდი ახალშობილის შეფუთვას, მოვლას. თვითონაც ვიხსენებდი ამ მხრივ ჩვენებურ, სოფლურ წესებს და, ერთი სიტყვით, ყველაფერს ვაკეთებდით, რათა პროხორ-უმცროსი ჯანმრთელი და ჯავარიანი კაცი დამდგარიყო. ამ ერთიციქნა არსებამ მთლიანად შთანთქა ჩვენი ძალები, ასე რომ, ხშირად ვახშმის დასამზადებლად დროც კი აღარ გვრჩებოდა. სამუშაოდან მობრუნებული ლუკა თვითონვე ტრიალებდა გაზქურასთან, შემწვარი კარტოფილითა და პელმენებით გვიმასპინძლდებოდა.

ირინელა სარძევე ჯირკვლების ანთებამ გაწამა. ექთანი დღეში ორჯერ აკ-

ითხავდა, გაქვავებულ ადგილებს უზელდა და ბოლოს ძლივს გამოიყვანა მდგომარეობიდან.

პირველი სამი თვე, როგორც იტყვიან, წმინდა სებასტიანეს დღეში ვიყავით, პროხორ-უმცროსმა ყველა და ყველაფერი თავის წესსა და ხასიათს დაუმორჩილა და ოჯახური ცხოვრების მდინარებამაც ახალ კალაპოტში გადაინაცვლა.

ეს ოთხი ადამიანი ამ ერთ პატარა ოთახში ხომ ვცხოვრობდით, სივიწროვეში, ჰო, თითქოსდა სივიწროვეში, თითქოსდა-მეთქი, ვამბობ, რადგან სინამდვილეში არ ვგრძნობდით სივიწროვეს, არ ვიყავით შეწუხებული ამის გამო. ნათქვამია, ღარიბული კვერი გემრიელიაო. რაცა გვქონდა, მადიანად შევექცეოდით, არადა, ჩაის ვსვამდით, თანაც სოფლურ შაირებს ვმღეროდით ხმადაბლა.

ჩემი ავადმყოფობა არავის გაუგია სოფელში. საოცარია, თითქოს ღმერთი გვწყალობდა იმ დროს, იმ უმძიმეს დღეებში, იმ წლებში ავადმყოფობა სიკვდილს უდრიდა. ჰოდა, იმას ვამბობდი, იქ არაფერი დამმართნია, რაღა მაინცდამაინც აქ ჩავვარდი ლოგინად? გრძნობა დამიკარგავს თურმე. გონზე რომ მოველ, ისე ვიყავი, როგორც ჯოჯოხეთში. ყოველდღე ნემსებით მჩხვარდნენ, რაღაც აბებს მაყლაპებდნენ ძალისძალათი და ნელ-ნელა თვალში გამოვიხედე. ვიწექი ჩემთვის წყნარად და გული მტკიოდა, რომ ჩემი ავადმყოფობით ზედმეტი საზრუნავი გავუჩინე ახალგაზრდებს. „ფულში ხომ არ არის საქმე, დედაჩემო! — თან ჩემი ვაჟიშვილის დუდღუნა ხმა ჩამესმოდა აქაც, — გაიგე, იმ ფულის გარკვეული ნაწილი, სადაც სამართალია, ჩვენც გვეკუთვნოდა. გვქონდა რაღაც გეგმები, მაგრამ რა გინდა აკეთო, ყველაფერმა ჭირი მოგჭამა. გვწყინს ეს ამბავი, უნდა გაგვხარებოდა? რა ვიცი, იქნებ მე ვარ რაიმე ბრალში, მითხარი!“ „არა, შვილო, — ვეუბნები წყნარად, — შენ რა შუაში ხარ“. და მე მის სახეზე წარსულის სითბოს ვეძებდი, მის გაბრაზებულ თვალებში ბავშვობის დროინდელი კეულუბრყვილობა მსურდა ამომეკითხა. ჰმ, ის სითბოცა და გულუბრყვილობაც შარშანდელი თოვლივით გამქრალიყო. ეს ისეთია, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ბავშვის სურათს რომ დაჰყურებ და გული გტკივა. ბევრი ვიფიქრე, მაინც ვეღარ მივხვდი ამ ცვლილების მიზეზს. ცხოვრებაო მიზეზი, დაუჩემებიათ. განა ჩვენ არ ვცხოვრობდით? განა ჩვენ უფრო გვიადვილდებოდა ეს ცხოვრება ან იქნებ ცხოვრების ყადრი არ გაგვეგებოდა? უსახლკარო დედაბერო, უჭკუო ბებრუხანავ! ქმარი ომში დაკარგე, შვილები წესიერად ვერ გაგიზრდია, ესენიც დაკარგე, სახლ-კარი დაკარგე, ფულიც... ჰო, დაკარგულია ის ფული, განა არა?..

ვიწვალე და მაინც ვეღარ გავიხსენე ის სიმღერები, ძილის წინ რომ ვუმღეროდი ჩემს პატარებს, ვერც ის ზღაპრები, თვალებგაფაციცებთან რომ ისმენდნენ. რა კარგები იყვნენ მაშინ... ერთი ერთ მხარეს ჩამომეკონწიალებოდა, მეორე — მეორე მხარეს, მკოცნიდნენ, თმაში თითებს მიყოფდნენ, ჩემს დაღლილ ხელებს გულში იხუტებდნენ. რა ვიცოდი მე უბედურმა, რაც დრო გადიოდა, ერთმანეთს ვკარგავდით თურმე. ისინი თავ-თავისი ნაპირისკენ მიიწევდნენ, მე გამოღმა დავრჩი...

ლუკას შემხედვარეს თვალები ცრემლით მევსებოდა. აქეთ ავადმყოფი, იქეთ ბავშვი, სამუშაო. ლუკა, ეს მოიტანე, ლუკა, ის გააკეთე... ჰოდა, ჯარასავით ტრიალებდა ეს ბიჭიც. ჩუმ-ჩუმად ვაკვირდებოდი, ზეტმედ ტვირთად ხომ არ დავაწექი-მეთქი. მაგრამ ლუკა, ჩვენში რომ იტყვიან, სახეზე ნათელი გადაჰფენიაო, სწორედ ის იყო: მხნე, თანამგრძნობი, გულწრფელი. მისი წყალობით ფეხზე წამოვდექი.

ერთ საღამოს ლუკამ სამზარეულოში გაიმარტოხელა ირინელა, ეუბნება ხმადაბლა, ისე რომ მე ვერ გავიგონო: „ქარხანაში სიებს ადგენენ, ვისაც კოოპერატიული ბინა უნდა... უარი განვა-

ცხადე, სადაა მაგდენი ფული“. ლუკას დაავიწყდა ან სულაც არ იცოდა, რომ სოფლელებს ყურთასმენა ძალზე გამახვილებული გვაქვს, ვახშმობის დროს ისე, სხვათა შორის ჩავეკითხე, მაინც, რამდენია-მეთქი შესატანი? დააფახულა წამწამები, თქვენ საიდან გაიგეთო ეს? კითხვაზე პასუხი გამეცი-მეთქი! დამისახელა პირველადი შესატანი თანხის ოდენობა და ხელიც ჩაქნია, ამდენი ფული ვიღამ მოგვაშავაო.

არაფერი მითქვამს, ბავშვს რომ ჩაეძინა და ამათაც ხვრინვა ამოუშვეს, წამოვდექი, თავსაფარში შეხვეული ფული სამზარეულოში გავიტანე, საჭირო თანხა გადავთვალე, დანარჩენი ისევ შევახვიე და ჩემოდანში შევინახე.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ასე, დაახლოებით, წელიწადნახევარში ოროთახიან ბინაში გადავედით საცხოვრებლად და ისე მოვეწყვეთ, თქვენი მოწონებული. მერე ის იყო, პროხორ-უმცროსის სბავშვო ბაღში მიბარება გადაეწყვიტათ. ვიფრინე ორივე, ეს რამ მოგაფიქრებინათ-მეთქი?! ლუკა გადამეხვია, გადამკოცნა, მეუბნება: „ბებო ქრისტინა, არც ჩვენ გვინდოდა, თქვენი შეწუხება არ გვინდოდა მხოლოდ“. რა შეწუხებაა, შვილო, ვეუბნები, მისი ენუგეშობ და ვხალისდები-მეთქი.

იმ საღამოს ლუკა ცოტა მოგვიანებით დაბრუნდა სამუშაოდან. ვხედავ, რაღაცაზე ჩურჩულებენ საიდუმლოდ, არ სურთ გამიმხილონ, მათი ჭკუით. მეორე დღეს, ლუკა რომ წავიდა, ირინელას ჩავეკითხე, რა მოხდა, რაზე ჩურჩულებდით-მეთქი? სიტყვა ბანზე ამიგდო, მაშინ კი ჩემებურად დავუცაცხანე, — ჰა, დროზე-მეთქი! თურმე საბოსტნე მიწის ნაკვეთები გამოეყოთ მუშაკებისთვის, შორია იქამდე, ველარ გავწვდებითო, — მეუბნება.

კვირა დილა რომ გათენდა, ლუკას ჩავეკითხე, აქ სადმე ნახმარი მანქანები თუ იყიდება-მეთქი? მომჩერებია გაოცებით, მერე თავი დამიკანტურა, კი იყიდებაო. შეიშმუშნა თანაც, ვხედავ, ოფლში იწურება კაცი. ჩავკიდე ხელი და იმ ადგილისკენ გავეშურეთ, საცა ნახმარი მანქანები ეყენათ გასაყიდად. შევარჩიეთ ერთი არა უშავს ისეთი, რაც საჭირო იყო, ყველაფერი თავისი წესითა და რიგით გავაფორმეთ იქვე, მაღაზიაში, ფული გადავიხადეთ და შინ მოვგრიალდით ერთის ამბით.

ირინელას წინასწარვე გაეწყო სუფრა, ორიოდე მეზობელიც მოეწვია, შენაძენი ხომ უნდა „დაგვესველებინა“.

სიტყვამ მოიტანა და ვთქვი ბოლოს: „იმ თავსაფარში, შვილებო, კიდევ დამრჩა ცოტაოდენი თანხა. ეს ჩემი დასამარხი ფულია, თქვენ რატომ უნდა შეგაწუხოთ ასეთ საქმეზე. ჰოდა, როცა კი მომაკითხავს მიქელ-გაბრიელი, ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც ამას ჩვენი წესი და ადათი მოითხოვს... ოღონდ ერთი სათხოვარიც მაქვს, უნდა შემისრულოთ — ჩემს სოფელში წამასვენეთ, იქ დამმარხეთ, იმ ჩვენს ძველ სასაფლაოზე, რომელიმე ალვის ძირას“.

უცებ პროხორ-უმცროსი აკუსკუსდა და, რომ არ მიაქციეს ყურადღება, ტირილი ამოუშვა. ირინელამ ხელში აიყვანა ახალგამოღვიძებული ანგელოზი. ბავშვს ცრემლებით ჰქონდა სავსე თვალები და იცინოდა. ისეთი ლამაზი და მშვენიერი იყო, როგორც გაზაფხულის წვიმის შემდეგ მზით აბრკიალებული ქვეყანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრში და სიზმარში...

კოლაჟი

1.

— ჩიტია!
ძილბურანში ჩაესმოდა და ანერვიულებდა
ფანჯრის რაფაზე იმისი ცახცახი:
როგორ აკაკუნებდა თავის ნისკარტს, ალმასისწვერიანს,
როგორ კრეფდა ნამცეცს ნამცეცზე
და როგორ იგროვებდა მრავლისმნახველ პატარა კუჭში...

ნისკარტი უცდებოდა, ნისკარტი ღალატობდა,
და თვითონაც იმიტომ ცახცახებდა საწყალი,
რომ უხილავ თვალსაც უნდა დამალვოდა.
— მოქნევა — გახედვა.
— მოქნევა — აცდენა,
— მოქნევა — მარცვალი...

— მოქნევა — გახედვა,
— მოქნევა — აცდენა,
— მოქნევა — კუნძი.
ჯიუტად დასდევ გაკერპებულ კუჭრიან ჯოჯოს,
რომელიც შენთან სათამაშოდ მობრძანებულა,
ვიდრე პირს შენ არ გაუტეხ — ადამიანი,
თამაშის წესებს არ დაარღვევ და გულისას არ გამოურევ
და გაბოროტებით არ დაუწყებ გარშემო ტრიალს,
როგორც კაცი დასაკლავ პირუტყვს,
იმის მუხლებქვეშ აფართხალებულს და გაბრძოლებულს,
რომელმაც ამ ჭიდაობაში
შესაძლოა ტალახიც კი შეაყარა სახეზე და სისხლიც კი წასცხო
და ამით კაცი კიდევ უფრო გააბოროტა,
ძალადობის უფლება მისცა და სინდისის ქენჯნა გაუქრო.
კუნძი! კუჭრიანი და ნირშეუცვლელი,
ლამის მთელი ეზო რომ შემოგატარა...

— მოქნევა — აცდენა,
— მოქნევა — კუნძი,
— მოქნევა — გახედვა...

რადგანაც იქით, ღობის გადაღმა,
მიწაზე ახლადდადებულ თოვლში,
იმათ ცეცხლზე ქვაბი დაუდგამთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკვე ღორის დასაკლავად ემზადებიან.
უკვე მხიარული ლაზღანდარით ლესავენ დანებს,
უკვე ქვაბიც სადაც არის წამოდუღდება,
შენ კი გეშინია სისხლისა და ღორის ყვირილის,
რადგანაც სახლში ცუდად გაუზრდიხართ:
როცა შენი ტოლები ღორსაც კლავენ და ატყავებენ,
შენ კი ამ კუნძსაც ვერ მორევიხარ
და გეშინია იმათ თვალების და გეჩქარება,
რომ დროზე მორჩე შენს მიერ ბრძოლად გადაქცეულ სისხლიან თამაშს.

ამ ჯოჯო კუნძთან,
წინ რომ გიგორავს გაკერპებულ და პირშეკრულ დედაბრის სახით,
რომელსაც შენი ბლაგვპირა ცული
მხოლოდ ნაფოტს თუ გააგდებინებს...
ლამის მთელი ეზო რომ მოგატარა,
რადგანაც სად დაიწყეთ და ახლა სადა ხართ.

— მოქნევა — გახედვა,
— მოქნევა — აცდენა...

კიდევ სადღაც სხვაგან რომა ხარ,
მარტო ღობის იქიდან რომ არ გიყურებენ
დამცინავი თვალებით და პირზე ღიმილით.
მაგიდაზე გადაშლილი წიგნი რომ დაგრჩა,
მარჯვედ მოქნეული ხმლებითა და სისხლით გასვრილი,
იქიდანაც რომ გიყურებენ და იქაც რომ ხარ...
და იქაც რომ ხარ,
სადაც არ ხდება არაფერი, არც მორევა, არც ძალადობა...

— მოქნევა — გახედვა,
— მოქნევა — კუნძი...
ვიდრე ამ დილით შენს უცოდნელად გაჭიმული სარეცხის თოკი
მოქნეულ ცულს შენი შუბლისაკენ არ აისხლიტავს.

ისევ ამუშავდა შენი იმუნიტეტი,
სინდისსაც და გონებასაც რომ ასწრებს ხოლმე,
რომლითაც შენ ძალადობას აღუდგები ყოველთვის ხოლმე,
რათა გაექცე ამ ქვეყანას, სადაც ყველა ერთმანეთს ებრძვის,
ჭიანჭველა — ჭიანჭველას, ძაღლი — ძაღლს და კაცი კიდევ კაცს.
ებრძვის, უმტკიცებს, ებრძვის, უმტკიცებს
და არავის არ ემსხვრევა ის შუშის მუშტი.
პირიქით, ისე დახვეწილა თოფი და დანა,
რომ ხშირხშირად მოგინდება ხელი შეავლო.

დედაშენი კი, ბრძენი, მართალი და მრავლისმომთმენი,
ეზოს მეორე ბოლოშია და სარეცხს ავლებს —
თოკიც აკი იმას გაუბამს შენს უცოდნელად,
ვიდრე შენ ცაში დაფრინავდი,

ვიდრე გამოგიყვანდნენ
ძალადობისა და სხვისი გატეხვისთვის.
ვიდრე
ყველაფერი ისე არ დამთავრდებოდა,
როგორც ახლაც ოცნებებდი.

2.

თუ შენ მიჩვეული ხარ, რომ მხოლოდ შემთხვევის წყალობით იძინებ,
თუ შენში არ არის ეს მყარი თვისება დაძინება-გამოღვიძების,
თუ შენ წინასწარ არ შეგიძლია თქმა იმისა, რომელ საათზე შეგიძლია
დაძინება-გამოღვიძება, — მაშინ თქვენ ნევრასთენიკი ხართ! — გაგახარებდა
გულმშვიდად ექიმი, მაგრამ შენ თავს გადაიქნევდი და ღიმილით განუმარტავდი
(ახლა უკვე დაგაინტერესებდა ეს სიტყვიერი შერკინება და მსჯელობის ურყევი
ტონი), რომ შენ მხოლოდ მგრძნობიარე ხარ და უბრალოდ იმას ვერ ზომავ,
თუ რა ღირს და რა არა ღირს იმ გრძნობებისთვის: როდესაც ჩიტს თოფს
ესვრიან, შენ ადგილზე შეშდები ხოლმე, შენ არ აძლევ შენს თავს ნებას, რომ
საფარი ეძიო ხოლმე, პირიქით, გინდა იმის ბედი გაიზიარო. გარდა ამისა
ერთმანეთში გაქვს არეული: გშია, არ გშია, გწყურია თუ არა გწყურია, გინდა
კიდევაც და ყელშიაც გაქვს ამოსული. რაღაცა გინდა! რა, ვერ იხსენებ. ჰაერსა
კბიჩავ, ცას, ცის ნაჭრებს პირში მიითრევ, არაფერი არა გაოფნის და ერთ
ყლუპზეც გული გერევა. გუშინდელი გემო აქვს ყველაფერს, ყველაფერი
თითქოს გინახავს... ლამის გაგიუდე: რაღაცა გინდა! რა, ვერ იხსენებ, ისე შორს
არის დაკარგული ყველაფრის გემო. სიძულვილი მასზე ტკბილია, სიყვარული
იმაზე მწარე. ეს ისეთი მძიმე სენია, კაცს ცხოველად რომ გადააქცევს: არ იცი,
რა გარყევს, რა გახეთქებს, რით ხარ შეძრული. გარდა ამისა ავადმყოფური
ახირება გაქვს: როგორ უნდა იცხოვროს კაცმა დროის რომელიმე
ხანგრძლივობაში, რომ არ დარჩეს მოგონებები, როგორც ბოლომდე დამწვარი
პატრუქი. იმიტომ, ბატონო, რომ ამ მოუწყობელ და მოწყობილ სამყაროში,
სადაც თითქოს ქარი აცვალებადებს მშიერს და მაძღარს, ჩაცმულს და
შიშველს, ტაძრებს და ქოხებს, კეთილს და ბოროტს... ავირჩიეთ ჩვენ არსებობა:
როცა ერთ სულელურ წამში გაირბენს მრავალტანჯული ჩვენი ცხოვრება, ის
განვლილი ხანგრძლივი დრო როცა ისე პატარავდება, რომ ერთ სულელურ
წამში ეტევა, როგორც ნემსის ყუნწში აქლემი. ერთი შეხედვითაც ეს იმაზე
ბევრად მეტია, რისი ატანაც შენ შეგიძლია. განა ლოკოკინას თავის ტვირთზე
მეტი აჰკიდეს? იმას ხომ კარგად დაეკითხნენ, თუ რამდენი უნდა ეთრია. მე რად
ამიწონეს უსასრულოდ მცირედან უსასრულოდ მძიმე ტვირთამდე? და გარდა
ამისა და ამასთან ერთად, საშინელებაა იმის დაჯერება, რომ ამდენ ბრძოლის
მიუხედავად, შენი ცხოვრება მაინც ერთხელ და სამუდამოდ ჩაფიქრებულ წესს
უნდა მიჰყვეს.

3.

— მომაწექით, თქვე შობელძღლებო!
ისე თოფივით გამოვარდა იმის ყვირილი,
გამოიშალა და სახეში ისე ეძგერათ,
ისე იყო შიშის მომგვრელი,
ისე არ ჰგავდა
მხოლოდ ამ ამბით აშლილ ბრაზსა და მრისხანებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისე შეიცავდა სხვა სალანძღავ სიტყვათა მწკრივებს,
რომ გახედავდნენ, ვის მიმართაც ეს სიტყვები იყო ნათქვამი
და ვინც ერთგულად აწვებოდა ჩაფლულ მანქანას.

— მომაწექით, ძალა აღარ მაქვს,
მუქთამჭამლებო,
ტალახში რომ ამომსვარეთ და საქმეს რომ ჩამომაშორეთ,
რომ დაშათრევთ აღმა-დაღმა და ხალისი არ დაგელიათ,
მაგ ენებით მომაწექით, პირში რომ ვერ დაგიტევიათ,
მომაწექით... და ვინც კიდევ თქვენ გაგიჩერდეთ!...

ეს ამათ გამო ჩაეხეტა ამ ჭანჭრობ გზაზე,
შორიდან მწვანედ რომ ბიბინებდა
და კაცს მყარი ეგონებოდა.
მონასტერი...
ქვემოთ, ხევში ჩაცუცქული, დედაბერივით,
მეათე საუკუნის მატყუარა ობობა,
გახლართული კუნელის და ტყემლის ტოტებში...
უცებ ყველას ერთად მოუნდათ, მოენატრათ ამ შობელძაღლებს
და ამანაც, რაკი მეტი სხვა არ უნდათო...

აქეთიქიდან აწვებოდნენ ცოლი და დედა,
შუაში ბავშვები — კისერდაძაგრულები.
დედამისი ჩადგმულ კბილებს აჭერს ერთმანეთს,
ცოლი ცდილობს, ტალახში ჩამრჩალ ფეხსაცმელზე აღარ იფიქროს,
საწყალ ბავშვებს კი ერთი სული აქვთ,
რომ ყველაფერი სასაცილო აღმოჩნდეს უცებ.

დედას რატომ არ უგრძნო გულმა,
ყველაზე ერთგულს ამ ოთხთა შორის?
აკი უგრძნო! აკი როცა ძირს ეშვებოდნენ, უცებ აღელდა,
შვილიშვილებს შორის ჩამჯდარი,
გუმანით რომ გრძნობს ხოლმე მუდამ,
თუ იმის შვილს რა არ ახარებს
და თვითონაც გადაედება და მკაცრი და მოძულე ხდება —
იმათ მიმართ, ვინც იმის შვილს უბიძგებენ უნდომ საქმეზე.
რძალზე, რომელსაც სანახაობისთვის დააქვს მუდამ ღია თვალები
და შვილიშვილებზე, რომლებიც არაფერ შუაში არიან.

მაგრამ განა შეიძლება უსაყვედურო ადამიანებს,
თუ მოისურვეს ათი საუკუნის წინანდელი მონასტრის ხილვა,
მწვანე მოლზე რომ გაშვებულა თეთრი კრავივით?
თანაც გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეს,
როცა შეიძლებოდა, ყველაფერი უკეთესად დამთავრებულიყო,
რომ არა.... (ქარი?)

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

რაღაცნაირი დილა იყო — გეგონება გამოხვედი საგიჟეთიდან. გეგონება
პირველივე ტელეფონის ავტომატიდან ურეკავ სახელმიღლინი (ბანაობს ქუჩა
და ხალხი მზეში, ბანაობენ მანქანები, სახელფრები აღარ არიან):
ალოო!.. დილა მშვიდობისა, მარტოლეკი ვარ!.. მიკანი ალბათ, ფსევდონიმის
მიუხედავად, მე უკვე გამოვედი ფსიქიატრიულიდან...
მაშ ლოთიაო!.. ნუთუ არ გესმის, ჩემო სიყრმის თანაზიარო, ძმაო, მოყვასო,
მეგობრების თავყრილობაზე ჩემს უმისოდ (როგორც შენ იტყვი) მაინც არ უნდა
გაგეწირე და შენ, რომელსაც დღემდე ცინგლი არ შეგშრობია — ლოთიაო —
არ უნდა გეთქვა.
რადგანაც, მართალია, ყველამ მიმატოვა — ცოლ-შვილმაც, ძმებმაც, დებმაც,
მშობლებმაც, და, მართალია, მაღალფარდოვნად მოვინახულებ ხოლმე ნარჩენ
მეგობრებს (ერთი-ორი ჭიქა სასმლისათვის), — შენთვის არასდროს
დამიციხია და მუდამ ვგრძნობდი, რომ ერთადა ვართ და ერთმანეთს რაღაცით
ვავსებთ — ბუნების ნებით თუ ახირებით, რომ გვერდ-გვერდ დადგას და
შეახამოს ორი ურთიერთგამომრიცხველი, შეუსაბამო...
მე არც შენი ბრალმდებელი ვარ, არც ცოდვების შემფასებელი, შენ და შენი
სინდისი ერთმანეთის ღირსი ხართ და კარგად მოდიხართ...
უბრალოდ მინდა გაგაგებინო... მაშინ ისეთი დილა იყო, თითქოს ხარი გამოიქ-
ცა სასაკლაოდან და თითქოს შედგა უარეს და უცხო ქალაქში... უბრალოდ
მინდა გაგაგებინო: ახლაც ვნაობ, უფრო მკაცრად რომ არ დაგსაჯე... იმ ხალხის
თვალწინ, იმათ სარკეში, რომლებთანაც ყოველ დილა თავს იწონებ და თავს
აწონებ... ისე კი აბა რას ვიფიქრებდი, რომ ასეთ კრეტინს ამოდენა გავლენები
გექნებოდა დედაქალაქში... მართლაც მიწასთან გამასწორა... მაგრამ აი,
გამოვედი საგიჟეთიდან, ფსევდონიმიც ამოვირჩიე — მარტოლეკი ვარ!..
მე მგონია ცუდი არ არის... მარტოლეკი ვარ და ყველაფერს თავიდან ვიწყებ,

5.

მან კარგად იცის, წინ რა გზაც უდევს, მაგრამ მშვიდია და მშვიდად მიდის,
რომ აათავებს მდინარის კუდებს, იცის, ნამს დაყრის საღამოს ბინდიც,
გადმოუხედავს ქვეყნიერებას, იმის კვალზე რომ თვალებს აცეცებს,
წყალში ნახირი აღარ ეყრება, ბინდი ედება ქერის ნათესებს...
და მშვიდად წავა, თითქოს იცოდეს, თუ რომელ ნაბიჯს დაადგამს მიზანს,
არც შეიცოდა, არც შეიცოდეს, აქამდის კვალში მისდევდნენ ხიზანს...
ახლა კი მორჩა: ფეხს ვინ გაისვრის, მუხლს ვინ დაიღლის, ვინღა გამოსდევს,
აგერ, ჭოტის ხმაც უკვე გაისმის, გაქრეს, რაც იყო ამ საღამომდე!..

ეს ერთი მთაც და მორჩება კიბე, ბოლო ნაბიჯის ადგილიც იცის.
დანარჩენს ნეტავ ქარი გაჰგვიდეს და ამოსთხრიდეს წვიმების წიწვი...
ახლოს ჩანს ის მთა, მაგრამ შორს არის, და ეს სიშორეც შვებას ანიჭებს,
რაც მეტი წვიმა და მეტი ქარი ზედ დაედება იმის ნაბიჯებს.
იცის, მით უფრო გაასახლებენ, ვისთანაც ტანჯვით გამოიზამთრა,
ხორცს გააცლიან თოვლის ძაღლები და წმინდად მივა თავის მიზანთან.

თითქოსდა წყლული გამოეპირა, დაუმსუბუქდა ისევ სხეული,
თუმც არ უვლია, იცის ზეპირად, ყველა ბილიკი, მთას დახვეული.
იცის, სად ცხელა, სად ჩრდილებია, ჩანჩქერიც იცის, წყაროც ეგულვის,

კლდეს გული რომ არ გაგრილებია, წინადღის მზეზე გაფიცხებული...
და, თუმც, როგორც ვთქვით, აქ არ უვლია, ერთი ბუჩქიც არ გაუკვირ[illegible]
მხოლოდღა შვება მის სულს წყლულიანს და ბაგეებსაც ღიმი — კვირტებად.
ხშირი შამბნარი დამალულ ბილიკს აკეცავს ხოლმე, როგორც კი მგზავრი
ზედ გადაივლის, ტანთშემოსილი მარგალიტებად ასხმული ცვარით,
მომლოდინე და ალერსით სავსე, იქნება, გზაზე რაც შეეყრება,
რადგან, რაც კი მგზავრს თავს გადახდა, იმ ტვირთქვეშ ქედი ყველას ეხრება.

თუმც ბევრი იარა, წვეთი ოფლიც არ გამოსვლია.
ისტორიის გამხმარ ხერხემალზე მიაბიჯებდა,
წყალდამშრალ ხევში,
თაკარა მზეზე თეთრი, დაუწერელი ქვები ლაპლაპებდნენ.
გატყაული ქვები, ხორცგაცლილები,
რომელთაც მხოლოდ წელიწადში ერთხელ ფარავდათ
მღვრიე ღვარცოფი.
მაგრამ ისიც ბარში ჩაიწურებოდა,
როგორც ყველაფერი, რაც მთაში იბადება:
ნიჭი, ძალა, გმირობა, ლექსი.
მრავალნი დაბრუნებულან უკან ჯოხდაბჯენით,
ბევრი დაბრუნებულა უხელფეხოდ, კიდურებგაცლილი,
რომ ბუხრის წინ გდებულიყო სიკვდილამდე სადღვეველივით
და მეზობლის დაძახილზე წამომხტარ დიაცს
გზის შესამოკლებლად სიჩქარეში ზედ გადაებოტნა.
იშვიათებს ღირსებიათ საკაცით ატანა,
ხოლო პოეტის ბებერ დედას სამადლოდ მარხავდნენ.

6.

იქნებ მელიამ გაიარა
და მისმა ფეხმა
ჩამოშალა ზემოდან ქვიშა,
ქვემოთ იჯდა, გზის ნაპირზე,
აიხედა და გაუღიმა.

ალბათ ბუნებას უნდოდა, რომ მგზავრისათვის თავი შეეხსენებინა,
რადგან მას შემდეგ, რაც ადამიანები დევებს აღარ აყრიან ნაცარს
და ხის ძირში ჩათვლემილებს დამპალ ნაყოფს აღარ ესვრიან,
სასაცილო შეიქმნა თვითონ ადამიანი.

ბუნებაში სულ ფუსფუსია,
განუწყვეტლივ ვიღაც ვიღაცას ხელს უწევს და ეპაექრება,
განუწყვეტლივ თავს იმკვიდრებს მგელიც, კალიაც,
სართულებადაა დაწყობილი სიცილი და შეხლა-შემოხლა.

უთვალავი შემოდგომის დაყრილ ნეშოში, ხეების ხავსში,
ტოტების და ფოთლის ნაოჭში
შენ-ჩემობანას აიწონა-დაიწონაა.
ბრძოლა, დგანდგარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევები გაქრნენ და იმათმა სასაცილო, უხეშმა ძალამ,
რომელიც დამფრთხალ ადამიანს
მხეცებთან ერთად გზააბნეულს ერეკებოდა
და ხან ხის წვერზე აცხოვრებდა, ხან მგლის სოროში —
ადამიანში დაამკვიდრა თავისი სული
და ახლა ბუნებისათვის ადამიანია თითით საჩვენებელი.

— მოდის, მოდისო! — ყვირის ბუნება,
გაურბის და თან ყოველი ბუჩქიდან ზვერავს,
რომ როცა კაცი გაეცლება, სურვილმოკლული,
გრძელ ღამეებში შერწყმულებმა ერთურთს უთხრან მისი ამბავი.

ზის ეს ჩიტი და მგზავრს უყურებს,
რომ მერე თავის გულადობით სხვები აცინოს:
— იჯდა გზის პირას და მიყურებდა,
მე კი სკუპ... სკუპ... იმის ახლოს დავსკუპსკუპებდი...
გულადმა ჩიტმა თავის სწორებს, რა თქმა უნდა, ის დაუმალა,
რომ როცა მგზავრმა ყვავილისთვის გასწია ხელი,
შემცბარი ჩიტი, გაეცალა იქაურობას
და სულ მალე მგზავრის თავი გადააკიწყა
ახალმა გარემომ, ახალმა ხემ, ახალმა სიმღერამ...

შეიძლება ივარაუდო,
რომ გადაშენებული ცხოველების სულებმა
რაღაც ახალ ადამიანურ თვისებებს დაუთმეს ადგილი,
ხორცი და ძვალი გაიცვალა მოძრაობაში და გამოხედვაში
და კაცს ალბათ ეპატიება რწყილზე თქვას რამე,
საუკუნეებში რომ ქრება — და კვლავ იბადება,

სისხლის მწოვლად ის არ ითვლება,
იმის ნაკბენიც ყველა ხალხის ზღაპრებში და პოეზიაში
სასაცილოა.
სადმე, მივარდნილ სასტუმროში თუ შეგეყრება,
რომელსაც თან გამოიყოლებ,
რომ ერთ დილასაც, ყველას გასაოცრად დაიძახო გახარებულმა:
რწყილი!...

თეთრ ეკრანზე — ცერა თითის ფრჩხილებისა და ზეწარზე
წითელ კვალს ტოვებს,
— შენი სისხლია, მაგრამ შენ ეს არ გაბოროტებს,
სასაცილო სისულელეა,
რადგანაც იცი, თუ რამდენი მიაქვთ შენგან ახლობლებს და დროის
ნაკბენებს,
დიდი ტაშტებით მიაქვს ყველას და ამისი ერთი წვეთი რაღას დაგაკლებს.

ავიოკატასტროფას გადარჩენილი ადამიანები
მეორე თვითმფრინავში სხდებიან და გზას აგრძელებენ,
ვირი კი იმ გზაზე აღარ გაივლის, სადაც ხიფათს გადაეყარა.

ადამიანები მეორედ არ იბადებიან
და ჭკუასაც ვერა სწავლობენ,
თავის ცუდ ზნეს ყველა ჯიუტად ეტრფიალება,
თავის გაჭრილ თითს ყველა არწევს და ანანავებს.
გადაშენებული ცხოველების სულები
ახალ თვისებებად გარდაისახნენ და ჩასახლდნენ ადამიანში.

7.

— ხალხს მიუყარეთ ეგენი, ხალხსა!
დაიღრიალა თავის მშობლიურ დიალექტზე მამალმა მგელმა
და მერე მშვიდად მიუბრუნდა დაწყებულ საქმეს.
ყველაფერი გასაოცრად მარტივად მოხდა.

მზე, მზე, დღეებისა და ღამეების,
მზე, მთვარისა და ვარსკვლავების,
მზე სოფლების და ქალაქების,
მზე მტრებისა, მზე მიჯნურების,
მზე ბალახის, წყლის ზედაპირის,
მზე მახვილი, მზე ფოთლებს შორის,
მზე დაღლილი, მზე ახალთახალი,
მზე ნამისა, რკინის ნატეხის,
მზე ვარდისა, მზე ნეხვისა,
მზე იმათი დამნახველისა,
მზე, შორს მყოფი ობოლი მამა,
საძულველიც და საყვარელიც,
მუდამ მზადმყოფი ორივ გრძნობისთვის.

როგორ გადადის ცოფი და მრისხანება — სიმშვიდეში, დამცხრალ ბაგეებში, დაწყობილ ხელებში... ღამის კოშმარი — დღის სინათლეში, — დრო — ისტორიაში... ზღვის მღელვარება, ქარი, მუსიკა: ფრთების დაკეცვაში, მშვიდ მოწყენაში, ლივლივში, ბეწვის დალაგებაში... ცხოვრება ერთ ადგილზე: მოსაწყენი ამბავი, თხრობა — შეხალისებაში, შეკუნტრუშებაში (თვალმიფარებულად) და... ცხადი — სიზმარში... იჯექ ორ ცეცხლს შორის, ვარსკვლავიან, მწყემსების ღამეში, კოცონისთვის ხელებმიშვერილს სახე აგეწვება, ზურგიდან კი ყინვის ალი წამოგადგება... განა სასაუბროდ?.. თუმცა შენ მისკენ ისე მიბრუნდები, თითქოს რაღაც უნდა გითხრანო... ზურგით კოცონს მიეფიცხები და სახე კი გარეთ დაგრჩება. განა ცოტაჯერ გითრევია შენი თავი სიზმრებში დამრჩალი, როცა საგნები თავის ნამდვილ არსს გაჩეჩებენ, შენ კი სიზმრად გეჩვენება ჯერაც ყოველი და ესენი კი არ გაცლიან, რომ დაორთქლილი მინა გადასწმინდო... და ქალი, რომელსაც სულელად თვლიდი, დედობრივად თავზე ხელს გისვამს და განუგეშებს: **ყველა ყველაფერი არის ფიქრში და სიზმარში, ფიქრში და სიზმარში**... მეათასე გულის გატეხვა (საიუბილეო)!.. აი, რატომ გავრბივართ თურმე, დედის მუცლიდან მიჩვეულები... შენი თავის მობეზრებული სხვასაც მობეზრდები და თავისი წილი განაჩენი თუკი ყველამ გამოგიტანა, იცოდე რომ თავისუფალი ხარ...

8.

— ეს მარადისობისთვის!
თქვა ძველმა ბრძენმა,
დასვა წერტილი,
დაახვია ჯადო ასოებით გავსილი გრაგნილი
და ჭამას შეუდგა:
— ეს წარმავლობისთვის!

პაწაწინა ქალი, მოხუცებული,
მრავალსაუკუნოვანი სახე პაწაწინა მოხუცი ქალისა,
ამ დროისათვის შეხალისებული
ღილის მზის წყალში ამოვლებულ ტოტების შხეფით,
თავისზე ხუთჯერ მაღალ სარკმელთან ტრიალებს, ტრიალებს,
პირშეკრულ ფარდებს აქეთიქით აშორიშორებს
და შუქი შემოჰყავს,
რომელიც სადღაც ამოიბურცა უთვალავი საუკუნის წინ.

ქალს გული უგრძნობს,
თუ როგორი მნიშვნელოვანია ბუნების ამ სამსახურისთვის,
ასჯერ უფრო მნიშვნელოვანი,
ვიდრე ის ქალი, ტანთგახდაში რომ ეხმარება დაღლილ დედოფალს.
ან ის ძაღლი,
რომლის ყეფაც სტუმრის მოსვლას ამცნობს განდეგილს,
რომ ვიდრე მივა კარის გასაღებად, ცრემლები შეიშროს:

რადგან მაღალი გალავანი არტყია მის სახლს
და ჭიშკარიც მძიმე ჰკიდია —
განა მტრისთვის, განა მოყვრისთვის:
რომ ქვაც კი ვერ გადმოვარდეს იმის წარსულში
ან აწმყოსი, ან მომავლისა.

ეს გრძნობა სხვაა,
ვიდრე ის, რომ სიყვარულით გაუღო ჭიშკარი
მეზობლის ბავშვებს,
ან საღამოთი, საძოვრიდან შინმოსულ ძროხას,
ახალ ამბავს რომ მოიყოლებს
და სხვა სურნელს დაატრიალებს...

ეს ქალი კი შუქს უღებს ჭიშკარს,
შუქს, რომელსაც მოლოდინით დაღლილი საგნები
ავადმყოფის ტანჯულ მზერით ეგებებიან.

როდესაც ქალი ყველა ფარდას ბოლომდის გაჰწევს,
ურიგო სურათი როდი გამოჩნდება:
ვეებერთელა შავ-თეთრი ქალაქი
დაჰკარგავს თავის მედიდურობას
და მოიხიბლება ახალი დღის საქორწინო ტანისამოსით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ თამაში მაშინ დამთავრდება,
როცა ყველაფერს თვალს შეაჩვევენ,
როცა ქალაქი მთლად განათდება...

პაწაწინა ქალი, მოხუცებული,
კედელ-კედელ უჩინარდება
და ჩვენ მადლიერი თვალით მივაცილებთ,
რომ ასე პატარა არ დაიღრჩო შუქის ამ მორევში.
ის არ გვეთხოვება.

9.

როგორ გაიხარებს ხოლმე სიბნელე, სადაც ოდესღაც სინათლე იყო.
მღვიმეში ან სკივრში ყოფნას აღარ სჯერდება,
თავს აიშვებს, უზნეო გახდება, ბილიკებს დაფარავს.
განსხეულდება დროის კაეშანი: იდუმალება მოერევა ყველაფერს.

მაღალი ყორე გარს შემორტყმოდა მიწიდან ოდნავ ამოჩენილ სახლს,
რომელიც იდგა სულ ბოლო და სულ მაღალი მწვერვალის თავზე,
შორს ქალაქიდან.
ეტყობა აქეთ მოუძღვოდა მგზავრს თავის სურვილი,

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ხელს ვინმე უბიძგებდა დამაიმედებლად,
ან ნიავი მოუტტოდა წინ, როგორც ძაღლი,
ერთგული, გაწვრთნილი,
წამდაუწუმ პატრონს უკან რომ მოუხედავს.

იქნებ მიჰყვებოდა ვიღაცის მიერ დანაბიჯებს — ოდისღაცინდელს,
დანაბიჯებს, რომელიც მიწას ისევე არ აჩნია ხოლმე,
როგორც გუშინდელი დაკრული საკრავს.
მაგრამ მუსიკა, რომელსაც უკრავს მრავალი თაობა,
ერთი და იგივე სიმებზე არის.

სახლი, რომელიც ახლა ვახსენეთ, ჩვენ არაფერში გვაინტერესებს,
რადგანაც მხოლოდ ნასახლარია.
იქ შესულ ქარსაც ისევ ქარი ხვდება მასპინძლად
და ის ხმებიც, აქ რომ ცხოვრობდნენ, დიდი ხანია ვარსკვლავებზე
დაქანაობენ.
როგორც ის ხმები, ამ ყორეს რომ აგებდნენ დინჯად,
დიდხანს რომ აგებდნენ, გაზაფხულიდან შემოდგომის მიწურულამდე.

და ხევიდან რომ მოდიოდა იმ ხმების მწკრივი,
ხელით ხელს რომ მოაწვდიდნენ
წუნდაუდებელ, კუთხოვან ქვას ბოლო პაპამდე,
რომელიც იმათ ისე მჭიდროდ დაალაგებდა, რომ ჭინჭრის თესლიც ვერ
შეაღწევდა.

ამ გალავანს ცხენიანი კაცის თვალიც ვერ გადიფრენდა,
თითქმის მთელი ზეგანი ეჭირა,

ეტყობა მის პატრონს (ერთი კაცის ახირება უნდა ყოფილიყო)
ეს გალავანი უფრო აინტერესებდა, ვიდრე თვით სახლი
და ის არ იცოდა:
გალავანს რომ შემოირტყამ, შიში სწორედ მერე იწყება,
ან კი სად წავა, როცა შენ თვითონ შემოიმწყვდევ.

ძველ ნანგრევებში საკვირველი ის არის ხოლმე,
რომ ჩვენ აქ ვართ და ის კიდევ სხვაგან,
უწილონი ერთმანეთისგან:
როგორც სარკეში,
რომელშიც ჩვენ ვიყურებით და ჩვენ არ ვჩანვართ.
ისტორიისაც ჩვენ სამოსი გვეუცხოება და არა მისი ადამიანი,
ამიტომაც ისტორიას უნდა აღვიქვამდეთ,
როგორც მეტაფორას ჩვენი სახის,
ჰიპერბოლას ჩვენი სისხლისა.
მაგრამ დღეს კაცის გონებაში ისე არის ყველაფერი დანაწევრებული
და ისეთი ქაოსი და მტვრის ტრიალია,
რომ დიდ აღმოჩენასაც ვერ მიიტანს თავის მაგიდამდე,
რადგან გონება გზად უთვალავ რასმეს გადაჰყრის.
ჩიტის კვერცხი, ტყიდან სიხარულით წამოღებული,
პირველივე კითხვაზე ხელში ჩაატყდება:

ციხის ნანგრევებში ადამიანის არსი ზოგადდება:
გვეამაყება ან გვერცხვინება ჩვენივე თავისა.

ისტორია უჩვენობაა და ამიტომ არის დიადი.
ისტორია სიმარტოვეა.

ორივ ძნელია — სიდიადეც და სიმარტოვეც,
ორივ — ერთია.

10.

დღევანდელ მზეში იმ მზეს როდი უყურებს მგზავრი,
რომელსაც ახლა თვალანთებით მისჩერებია.
მისთვის ყველა მზე და ყველა ცა იმ ერთხელ იშვა —
იმ ერთხელ, როცა აეხილა სამყაროს თვალი,
როცა დაიწყო დასაბამი დროის და ჟამის
და როცა სიტყვა აიხადა და დაიხურა —
იმ მზეს იხსენებს.
როცა შემქმნელმა ძიროს დატოვა შექმნილი მიწა,
ასწია ფრთები და კალთებით ცა აიტანა,
მერე თითებით ვარსკვლავები ცას შეაშხეფა
და მხრების გასწვრივ ორი მზე დადგა:
ერთი ჩვენი მზე და მეორე იმ სამყაროსი.

აქ ვინცა ვცხოვრობთ, იმ სამყაროს გარდავიცვლებით,
იქ ვინც მოკვდება, ამ სამყაროს დაიბადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ცოცხლები ვართ ორი სიცოცხლით:
ხან აქა ვკვდებით — შენაცვლებით — ხან იქა ვცოცხლობთ.

ჩვენს საწამებლად გაჩენილა დედამიწის მიზიდულობა:
ზეცაში რაკი არაფერი გადავარდება,
ჩვენც არ გვჯერა იმისი ბოლო —
მიწიდან წასულ კაცისათვის უსასრულო — აქ რომ მთავრდება.

ვინ წარმოიდგენს, რომ ჰომეროსისთვის ძნელი იყო, ის რაც დაწერა,
ვინ წარმოიდგენს, რომ ეს სამყარო
შემოქმედისთვის ისეთივე აბურდულია, ჩვენთვის რომ არის,
როგორც სოფლის მასწავლებლისთვის,
რომელმაც თვალებდაჭყეტილი ბავშვებისთვის წრე შემოხაზა,
წერტილი დასვა შუაში და ხაზი გაავლო.

ამ წერტილზე დგას ახლა ეს ქალი,
მასზე დადებულ ქვაზე არის ჩამომჯდარი და იყურება.
ეს ქვა აქ დადო ამ გალავნის გიჟმა პატრონმა —
მოციცქნულ სახლს რომ გალავანი შემოარტყა და ქვეყანა ააყაყანა.
ამ ქვაზე მჯდარი უყურებდა მზის ამოწვერვას,
მის პირველ სხივებს, იდუმალი ბაგის გაღებას.
როგორც კაცი სხვა გემბანიდან გესიტყვებოდეს
და დაძაბული გქონდეს გულიც, თვალიც და სმენაც,
ისე ჩქარობდა იგი დილის მზის სხივის ხილვას.
და ქალი, ვისაც მგზავრი ახლა ფერხთით დაუჯდა,
ამ გალავნის გიჟი პატრონის ცოლთა — ცოლთა — ცოლთა — ცოლია,
რადგანაც იმ კაცს, თავის სისხლის უკვდავებისთვის
ყველა თაობის ქალი ცოლობდა.

11.

პაწაწინა ქალი, მოხუცებული,
მრავალსაუკუნოვანი სახე პაწაწინა, მოხუცი ქალისა,
რომელიც სრულ დღე და ღამეს უნდება ხოლმე
ამ გალავნის წრეზე შემოვლას,
აქ ჩამოჯდება, ამ წერტილზე, ამ ადგილას, სწორედ ამ ქვაზე,
აქ ვიღაცას რომ დაუდია,
ნეტავ რა მიზნით, ანდა ნეტავ რის ასათვლელად?

შენ უნდა დაჯდე იმის გვერდით,
პირშეკრული და უსიტყვო, როგორც თვით ქალი
და აღმოსავლეთის კარის გახსნას უნდა ელოდო.

მზე... ჯერ შორიდან რომ იწყება, თვითონ რომ არ ჩანს,
ჯერ სულს რომ აგზავნის გზის გასამზადებლად.

12.

ჩვენს საბედისწეროდ მოტრიალდა დედამიწის მიზიდულობა, ჩვენს საბედისწეროდ... არაფერი არ ვარდება იქით, ზეცაში. ქვა, სახლი, ჩიტი... კაციც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ფეხსაცმლის შესაკვრელად ძირს დაიხარა — მიწაზე რჩება. ყველაფერი ეცემა, ყველაფერი ვარდება, ერთადერთი ნებისყოფა — დგომაა, დგომა. სხვა ყველაფერი — ომები და სიყვარულები, შენება და სახელის შოვნა, შურიც და მტრობაც — აგონიაა, აგონიაა იმ კაცისა, რომელიც უნდა დაეცეს ბოლოს. განა ვიგლოვებდით, რომ ვიცოდეთ, სად მივყავართ ჩვენს ბოლო კვდომას. ყველაფერსა აქვს ერთადერთი — ვარდნის უნარი, სხვა ყველაფერი ჩვეული და გაქცევა არის, გაქცევა, ვიდრე მხსნელი ქვისთვის ფეხწამოკრულნი სადმე გზაში დავეცემოდეთ...

რა ცოდნა არის იგი ცოდნა, თუნდ დიდი იყოს, თუნდ ორჯერ ორი ოთხი რომ არის, ხელებს თუ მიწის სუნი არ უდის... მკვდარი ცოდნაა და ციფრებსაც არა აქვთ სუნი, ამიტომაა ასეთი წესრიგი და ფუფუნება იმათ გარშემო... მკვდარი ფერწერით აცოცხლებენ მშვენიერებას... იქ ციფრების ხალხს აქვს სუფევა, ჩაუჯდებიან, დარწმუნდებიან და მერე ცოდნას აქეთიქით დაატარებენ: პირუჩუმარ მანქანებისკენ.., და მხოლოდ თანამოსაქმის სახით რწმუნდებიან, რომ აქ არიან, მაგრამ საქმე თავსზევით ატანილი მძიმე ლოდია და დარაჯად თავსდგომა უნდა, ძალების მთელი დაძაბვით და თვალების დახრით... და მხოლოდ წამით მზერის გაპარებაა: ან ამხანაგი, ან ავტორიტეტი, ან ქვედატანი. მთავარი არის საქმე და შეჯიბრი, და მარტო შენს გვერდით მდგომთან კი არა, წყლებისა და მთების გადაღმაც.

მე მინდა სინათლე, მე არ მინდა ბნელში სიბნელე, მე მინდა სინათლე... ამიტომ ვანთებ და ვხედავ ჩემი საკუთარი გემოვნებით მოწყობილ ოთახს: — გამარჯობათ, მე აღარა ვარ ის თქვენი პატრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲤᲗᲐᲠᲘ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

— ჰა-ჰა-ჰა! — მოულოდნელად გადაიხარხარა უფროსმა. გრიგოლოვის ხარხარმა რიკტაფელოვი, ცოტა არ იყოს, დააბნია, არ მოელოდა ამას, ვერ გაიგო, რატომ იცინოდა გენერალური დამჭირველი.

— აჰ, გაჩახჩახებული სახლი! აჰ, ორასკაციანი სუფრა ეზოში! ყოფნა-არყოფნის დროს! ყოჩაღ, მოფიქრება არ გინდა?! შიშისაგან ვკანკალებთ, კაცმა არ იცის, რა მოგველის, რამდენი ბანდიტი დაგვესხმის თავს, აგერ, თურმე, ჩვენს გვერდით, გაჩახჩახებული სუფრაა გაშლილი ორასი კაცისთვის! წამოდი, მაჩვენე! შევხედოთ მაინც ჩვენთვის გაშლილ სუფრას!.. — გრიგოლოვი მანქანა-სამეთაუროდან გადმოვიდა, რიკტაფელოვმა იმ ფერდობიდან გადაახედა, საიდანაც წეღან ნოვემ უჩვენა თავისი ეზო-კარი.

გრიგოლოვი ბავშვივით აღტაცებული გასცქეროდა ნოვეს ელექტრონით გაჩახჩახებულ კარ-მიდამოს, აქედან ისიც კი მოჩანდა, როგორ მიმოდიოდნენ გრძლად გაჭიმულ მაგიდებს შორის სუფრის მომსახურენი.

მალე მათ აბია და ნოვე მოადგნენ. სასაფლაოს მიდამოებში ისეთი ღამის სიჩუმე იდგა, გრიგოლოვის ხარხარი კი არა, ჩურჩულიც კი მთელ სასაფლაოზე გაისმოდა. გრიგოლოვმა რომ გადაიხარხარა, აჰ, გაჩახჩახებული სახლი, აჰ-ჰა-ჰა!.. ორასკაციანი სუფრა ეზოშიო, კარღია მანქანიდან გამოიჭრა მისი მკივანა ხმა და მთელ სასაფლაოს მოედო,

აბიამ და ნოვემ გრიგოლოვის ხმა გარკვევით გაიგონეს მანქანაში და სწრაფად გამოყვეს თავები ფანჯრებიდან, ჩაბნელებულში მდგარ გრიგოლოვის მანქანისაკენ გაიხედეს, სიბნელეში მათ თვალი ჰკიდეს გრიგოლოვის შავ აჩრდილს გადამდგარს ფერდობზე, ნოვეს სახლისაკენ მომზირალს. აბიასა და ნოვესაც ეს უნდოდათ, სწრაფად მიატოვეს მანქანა და ბნელში ფერდობზე გადამდგარ გრიგოლოვისა და რიკტაფელოვის აჩრდილებს გვერდით ამოუდგნენ. გრიგოლოვმა აბია რომ დაინახა, სუფრით აღტაცება გაუქრა. უცებ გონს მოეგო წესრიგისა და კანონის დამცველი. არ შეიძლებოდა ახლა საქეიფოდ წასვლა, კაცს მამას უთხრიდნენ საფლავიდან, რა დროს ქეიფი და დროსტარება იყო!

მაგრამ საკვირველი სიტყვები — გულისწადილის გამომხატველი, თვითონ აბია არავიძემ, თავის პირით არ უთხრა?..

— უპირველესო, — მიმართა აბიამ გრიგოლოვს ადლის ენაზე, — „დამჭირველთა უპირველესო“, უნდა ეთქვა, მაგრამ „უპირველესოც“ გაუხარდა. ვარლამ არავიძის შვილისაგან, მხარის მმართველობის უფროსის მოადგილისაგან, თქმული „უპირველესო“, სხვაგვარად ჟღერდა, სხვა ძალმოსილება ახლდა.

— თქვენი მობრძანებით ხარობს მთელი არავიძეთი, თქვენ გგონიათ, მა-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტო ნოვეს სახლი გელოდებათ? აგერ, კიდევ ერთი გაჩირაღდნებული სახლი! — აბიამ გრიგოლოვს მხარი მხარზე მიადო, ხელი სხვა მხარეს გაიშვირა. — იქაც თქვენ გელოდებიან, ისიც ჩვენი თანამშრომელია! ზენონ აღაოღლიშვილი! ხალხს მოსწყურდა თქვენი პატივისცემა!

— ოპერაციის შემდეგ, ახლა არ შეიძლება. — თითქოს გულისწადილს მიუხვდნენო, დარცხვენით თქვა გრიგოლოვმა. — ოპერაციის შემდეგ უსათუოდ წამოვალ! მე მიყვარს ხალხში ყოფნა!

— ოპერაციამდე ჯერ ხუთი საათია. — სთხოვა აბიამ, — მინდორში ხუთ საათს ჩემი საქმისთვის, მე თქვენ ვერ გაგაჩერებთ, წამობრძანდით, ჯერ ნოვესთან მივიდეთ, შემდეგ ზენონთან, აქ გუშაგები დავტოვოთ, თუ მართლა მოვიდა ბოროტმოქმედი, შეგვატყობინებენ. მთავარია, მოვიდეს, თორემ, ბოლოს და ბოლოს, იმას მარტო ჩემი მძღოლი, დურო, ეყოფა...

— აჰ? — თითქოს ჭკუაში დაუჯდაო, სიბნელეში აბიას თვალები მოძებნა, ჯერ შეაჩერდა და მერე წეღანდებურად გადაიხარხარა:

— აჰ-ჰა-ჰა!.. — თურმე ამისი ყოფილა, ამისი მოგონილი!.. — რიკტაფელოვს უხსნიდა. — ორასკაციანი სუფრა ეზოში, აბელ ვარლამის ძის მოგონილი ყოფილა, განა საკვირველი არ არის? ეს მხოლოდ ამ კუთხეში შეიძლება მოიფიქროს კაცმა, ასეთი გასაჭირის დროს, სუფრა და დარდის გაქარვება! წითელი ღვინო თუ თეთრი არაყი?.. — კვლავ აბიას მიუბრუნდა.

წეღანდებურად ამჩატდა, ახუნტრუცდა გრიგოლოვი!

— უნდა წავიდეთ! უსათუოდ უნდა წავიდეთ... დე, ხვალვე გამაგდონ სამსახურიდან, ასეთ შემთხვევას ხელიდან ვერ გავუშვებ! — შესძახა მან და პირდაპირ დაეშვა თავდაღმართზე. — მომყევით! — მოაძახა უკან დარჩენილებს.

რამდენიმე მანქანა ერთბაშად დაიძრა და უკან მიჰყვა გრიგოლოვს. რიკტაფელოვი სამართავ პულტთან დადგა და ახალი ბრძანება გასცა: უფროსი დამჭირველების, სერგოსა და ჟორას რაზმები გუშაგებად უნდა დარჩენილიყვნენ ვარლამ არავიძის საფლავთან, სასაფლაოს წინამო არ უნდა დაეტოვებინა, აგრეთვე, არავიძეთა მძღოლს დუროს. დანარჩენებს, ადლის ყველა მსახურს, ევალებოდა გენერალური დამჭირველის დაცვა. სადაც ის იყო, დამჭირველებიც იქ უნდა ყოფილიყვნენ.

სერგოსა და ჟორას რაზმები ჩასაფრებულები იყვნენ სწორედ შიგ სასაფლაოზე, საფლავებს შორის საგანგებოდ ამოთხრილ ორმოებში. რიკტაფელოვის ახალი ბრძანება, მათ სანგრებში ისე გაისმა, როგორც შვება, თავისუფლება, სასიხარულო ამბის უწყება. რა თქმა უნდა, თუ გენერალური დამჭირველი, მთავარი დამჭირველები და თეთრკოსტუმიანი უფროსები საქეიფოდ წავიდოდნენ, სერგოსა და ჟორას რაზმებსაც ეძლეოდა თავიანთ სანგრებში თავისუფალი ქცევის უფლება.

მართალია, არყის სმა საერთოდ იკრძალებოდა არავის მხარეში, მაგრამ სასაფლაოზე ღამის გუშაგებს არაყი ჯიბით მიჰქონდათ, როცა უფროსობას გაიგულებდნენ, გამოიბრუეებოდნენ არყით, გაეხვეოდნენ ლაბადებში და იძინებდნენ.

ახლაც ასე მოხდა, ყველამ გამოაძვრინა თითო ბოთლი არაყი და თუ უფროსობა ნოვეს სახლში შეუდგა ყანწით ღვინის სმას, აქ, სასაფლაოზე, პირდაპირ ბოთლით იწყეს პირში არყის ჩასხმა.

სერგომ იცოდა, რომ უფროსების შიშით ჟორა არაყს ამ საღამოს არ დალევდა, ამიტომ მისი ეშინოდა, ხვალ რიკტაფელოვთან დამასმენსო, თავისი სანგრიდან ამოღოდა, გადავიდა ჟორას სანგარში, ჯიბის ფანრით მოძებნა ჟორა, ყველა მის რაზმელსაც მიანთა, ვეფხვებო, ხომ კარგად ხართო, — ხვიხვინი ატეხა.

სერგოს გადმოსვლამ ჟორას რაზმელებში ერიამული გამოიწვია. მიხვდნენ, რისთვისაც მოსულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგომ, არც აცივა, არც აცხელა, უბიდან არაყი ამოიღო, ბოთლი მაღლა შემართა, ყორახ რაზმელებს ყველას დაანახვა. თითქოს არყის გამოჩენას ელოდებოდაო, შავად მოქურუნებული ზეცაც გაიპო და ღრუბლებიდან მთვარემ გამოიხედა.

— ა, ხომ ხედავთ, მთვარეც ამოვიდა, — თქვენს პურის ჭამას გაუმარჯოსო! — კვლავ მოურიდებლად გადაიხვიხვინა სერგომ.

— სსს, ბიჭო, გაიგონებენ! — ყორამ გაიხედ-გამოიხედა, ორმო-სანგარი ჭიპამდე სწვდებოდათ, შიგ უნდა მსხდარიყვნენ გაუნძრევლად, ხმის ამოუღებლად. სერგო არაფერს დაგიდევდათ, ხელში არყის ბოთლს ათამაშებდა და ბიჭებს საქეიფოდ ალაგზნებდა.

— ვინ გაიგებს, ყველანი საქეიფოდ წავიდნენ, ჩვენც გადავკრათ თითო ჭიქა, ეწყინება, ვითომ, ვარლამ არავიძეს?.. — გადაიხარხარა წელდნდებურად.

წითელ ღვინოში ჩამბალი თეთრი პური, — ბოღლოწო თუ გინახავთ, ის ბოღლოწოსფერი ლოყები ჰქონდა სერგო-დამჭირველს. ხანდახან ეს ლოყები ულურჯდებოდა. როცა სასმელი მომაკლდება, მაშინ მილურჯდებაო, — ხუმრობდა. ახლაც, მთვარის შუქზე, ბოღლოწოსფერი, ჩაბიჟვინებული ლოყები გადალურჯებოდა, ხან ერთზე, ხან მეორეზე იდებდა არყის ბოთლის თავს, საცობს კბილებით აძრობდა.

ერთმა რაზმელმა სახელდახელოდ ჭიქა მიაწოდა. სერგომ ჭიქა გააპიპინა, თუმცა სურვილისაგან ტუჩები უთრთოდა და ხელიც უკანკალებდა, მაინც ყორასკენ გაიშვირა არყიანი ხელი და ჭიქა ზედ ცხვირთან მიუტანა.

— უუჰ, — შესძახა ყორამ, ტანში გამბურძგლაო, იმდაგვარად დაიმანჭა, — მაგის დამლევი მე არა ვარო! — პირი გვერდით მიაბრუნა.

— მე შემერგოს შხამად! — აღტაცებით შესძახა სერგომ და გადაჰკრა. ცოტა ხანს იქშინა, ტუჩ-პირი იწმინდა, შემდეგ ერთი ამოისუნთქა და ისევ აპირებდა არყის დასხმას, რომ ზურგზე უკან შემოესმა საკუთარი სიტყვები:

— მეც შემერგოს შხამად! — მიიხედა, იმ რაზმელს, ვინც წელან ჭიქა მიაწოდა, ბოთლი მოეყუდებინა და რაკრაკით სვამდა.

— გაგიქდით, ხალხნო! — სანგრიდან ამოხტა ყორა, თავზე დაადგა სერგოს და ახლა ზემოდან დაუწყო შეგონება: — მართლა რომ მოვიდეს ბოროტმოქმედი, რას შობით მერე?..

სერგომ ახლა უკვე მშვიდად, ხელის აუკანკალებლად, გააპიპინა მეორე ჭიქა და კვლავ გაუწოდა ყორას.

— ამასაც არ დალევ? — ჰკითხა მეგობარს. — შენ გგონია, აქ ვინმე მოვა? შეხედე რამხელა მთვარე ამოვიდა! ასეთ მთვარიან ღამეში ვინ გიჟი ამოთხრის მკვდარს, ხომ დაინახა ვიღაცამ. დალიე, დროზე დალიე! — ხომ იცი, სავსე ჭიქის ყურება მიჭირს...

— აჰ, მე არა, — პირი მიაბრუნა კვლავ ყორამ.

— მე შემერგოს შხამად... — თქვა მყისვე სერგომ და გადაჰკრა. — რა დაგემართა, ბიჭო, შენ როდის არ სვამდი? — ჰკითხა ყორას.

— ლოთი კი არა ვარ, ცარიელა არაყი დავლიო.

— აბა? — გულუბრყვილოდ ჰკითხა სერგომ და უკვე მთვრალი სიფათი უაზროდ მიაპყრო მეგობარს. — მე შემერგოს შხამად, — თქვა და კვლავ დაისხა.

— რას შობი, რას... — მოთმინება დაკარგა ყორამ და ხელში ეცა.

— ხელი! — იყვირა სერგომ, — ხელი-მეთქი, გეუბნები! თვალები დაუბრიალა.

სერგომ კვლავ გადაუშვა არაყი და გაჟინჟღილებულ სახეზე ხელისგული ჩამოისვა.

— მე შემერგოს შხამად! — შემოესმა სერგოს ახლა საკუთარი სანგრიდან, იქაც არაყს დაუფარავად ისხამდნენ ხახაში.

— ფუი, თქვენი!.. — შეუკურთხა ყორამ ლოთებს და საფლავებს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაილანდა მთვარიანში, სასაფლაოს შემოსასვლელისკენ გაემართა, იქ დუროსთან ჩავდები მანქანაში, მაგათ ღორმუცელობას ვერ ვუყურებო.

— ოჰ, ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — გამოხტა დურო მანქანიდან და ჟორას გახარებული შეეგება. დუროს სულ მთლად ნამდვილი პურ-მარილი წამოეღო. მანქანის თავსარქველზე გაზეთი გადაეფარებინა და ზედ კოხტა სუფრა გაეშალა: არაყი, პური, ხორცი, მწნილი.

— სითამამისათვის! სითამამისათვისო!.. — უთხრა დურომ ჟორას და არაყით გაპაპინებული სირჩა მიართვა.

ჟორამაც არ დააყოვნა, რახან დუროც ეპატიჟებოდა, დუროც არ ერიდებოდა არაყის სმას, მე რა წითელი კვერცხი ვარო, თვალისდახამხამებაში გადაჰკრა.

— მე ვიფიქრე, ბიჭებს დავუძახებ-მეთქი და არ გამომეცხადე?.. — გახარებული იყო დურო, ხელები მოიფშვნიტა, დაისხა და დალია...

— გრილა, ხო იცი, კაია, ახლა არაყი!..

ჟორას დაუსხა მეორე ჭიქა.

— იქაც სვამენ! — ჩაიდუდუნა ჟორამ დამნაშავესავით.

— სად იქ? — ჰკითხა დურომ, — სერგო დაბიჟვინებული არაყს ისხამს, ალბათ, კუპრის ყიაში, მაგას არ ჰქვია სმა! ნამდვილი ჭამა-სმა თუ გინდა, ე, იქ არის, ნოვეს სუფრასთან!..

დურომ ნოვეს ელექტრონით გაჩახჩახებულ კარ-მიდამოს ერთხელაც გახედა ნაღელიანად, ხორცის მოზრდილ ნაჭერს წინა კბილებით მოაგლიჯა ლუკმა და ნაჭერი კვლავ გაზეთის სუფრაზე დააგდო.

ჟორამაც გადაიხედა ძირს, სოფლისაკენ. გაზეთს ყური ჩამოახია, ტუჩი მოიწშინდა და დუროს უთხრა:

— წავედი, თორემ იქ ახლა მრავალჟამიერს წამოიწყებენ! სასაფლაოდან უკვე გარკვევით მოისმოდა სადღეგრძელოები. ორივე სანგრის რაზმელებს თავიანთი სასმელები შეეერთებინათ, მდელოზე გაეშალათ სუფრა და ნამდვილ სადღეგრძელოებს წარმოთქვამდნენ.

თანგულია მთელ ამ ამბავს მაღლიდან გაბოროტებული დასცქეროდა თოფით ხელში. სასაფლაოს გადაღმა ტყიან ფერდობზე, ერთი ხის ძირას ჩასაფრებულიყო თავისი მოკლელულიანი „არავიძულით“.

დიდი იმედი ჰქონდა ამ თოფისა, თოფი ხომ საგანგებოდ ვარლამ არავიძისთვის იყო დამზადებული გოგში და ზედ მაგოგის ენაზე ეწერა „არავიძული“.

ამ თოფს აღმტაცი წარსული ჰქონდა, თოფის ბიოგრაფია გადაჯაჭვული ყოფილა ვარლამ არავიძის ბიოგრაფიასთან. ამიტომ უფრთხილდებოდნენ თოფს ვარლამის ნაშიერნი. ვარლამსაც თავს ერჩია თურმე თოფი და თანგულიასთვისაც ამიტომ უსახსოვრებია.

თოფი არც გარეგნობით, არც შიდაობით სხვა თოფებს არ ჰგავდა, მსოფლიოში ცნობილი მეიარაღეების სახელოსნოში დაუმზადებიათ მთლად მთავგენდამის — მთავარი გენერალური დამჭირველის ბრძანებით.

დამჭირველებს მაშინ სხვა მთავგენდამი ჰყოლიათ, დღევანდელ მთავგენდამზე უფრო მკაცრი, უფრო ძლიერი, უფრო სასტიკი. მისი შიშით თურმე ჩიტი ვერ ფრენდა ცაზე. აი, ეს ღვთის მგმობი, ღვთისგან განწირული და ღვთისგან გამდგარი ადამიანი ჩამოსულა თურმე არავში, ზღვისპირა ქალაქში, საგანგებოდ მისთვის აშენებულ კოშკში დაბინავებულა და მოუნდომებია მწყერზე ნადირობა. მწყერზე მონადირე კაცი არ აღმოჩენილა არავის მხარეში, თვითონ მთავგენდამს გაგონილი ჰქონია, თორემ არ სცოდნია, როგორ ენადირა ამ უწყინარ და უჩინარ ფრინველზე.

მთავგენდამს ხლებია ისეთი დაცვა, მსროლელთა ისეთი დასი, რა მონადირე, რის მონადირე! ერთ მშვენიერ დღეს შესევიან არავის მთებსა და ველებს და წამოფრენილი, ცად მფრენი, ყანა-ყანა, ჭალა-ჭალა, წყლისპირებზე

მბუდობი, ხის კენწეროზე მჯდომი ყველა ფრინველი დაუხოციათ და თავიანთი პატრონისთვის მიუტანეკიათ. მწყერი ვერ უპოვიათ დახოცილთა შორის. გაკვირვებულან დამჭირველნი, — ალბათ, ამ ქვეყანაში მწყერი არ ნაბინადრალაო. მაშინ ვიღაცას უთქვამს, არის ერთი ყმაწვილი, ვინც მწყერზე ნადირობსო. უმალ მოუძებნიათ მონადირე. უწვერული ყმაწვილი მონადირე ვარლამ არავიძე აღმოჩენილა. მაშინ მას არაფერი სცოდნია დამჭირველობისა, მთავგენდამზეც არაფერი სმენია. აი, ასეთ. უბირ, გაუთლელ ბიჭს გასაოცარი ნიჭი და ალღო გამოუჩენია ნადირობისა, ხელად დაუხოცია მწყრები და მთავგენდამის კაცებისთვის მიუტანეკია. დამჭირველები აღუფრთოვანებია ყმაწვილი მონადირის სიმარდეს, სიჩაუქეს, სროლასა და ძაღლთა ენის ცოდნას. ყველაფერი ეს მოუხსენებიათ მთავგენდამისათვის და აი, მაშინ მომხდარა, რაც მომხდარა, — მთავგენდამს უნებებია ყმაწვილი მონადირის ხილვა.

მთავგენდამს ყმაწვილი ვარლამ არავიძე მოსწონებია, გამოუკითხავს, როგორ ნადირობდა. და ჰოი, საკვირველებავ! უსურვებია მასთან ერთად ნადირობა. ვარლამს მთავგენდამის თვალწინ თავისი მონადირე ძაღლით იშვიათი სანახაობა დაუდგამს: მთავგენდამი მისი რამდენიმე პირადი მცველის თანხლებით ფეტვის ყანებისაკენ წაუყვანია. მთელი მისი დაცვა: ჯავშნიანი მანქანებით, შვეულმფრენებით, რადარებით, რადიო და შორმხედმოწყობილობებით ქალაქში დაუტოვებიათ, ნადირობაში ხელს შეგვიშლისო.

ფეტვის ყანის პირებზე უნადირია. მონადირე ძაღლისთვის უბრძანებია, ყანაში არ შეხვიდე, მწყერი ყანისპირებზე ამიფრინეო. მართლაც ჯეირანას (ძაღლს ჯეირანა რქმევია) ისეთი ნაბუღლით უპოვია მწყერი, მთავგენდამი და მისი მხლებლები აღტაცებაში მოუყვანია. აღტაცებასაც აქვს ხარისხი, აღმატებული, მაღლა-მაღლა მიმავალი... როცა ვარლამს უთქვამს — ეცი! თოფიც გავარდნილა და ვაშას ძახილიც ვერ მოუსწრიათ, მწყერი შორს, საწყერზე ჩამოვარდნილა. ჩამოვარდნილა თვალსაწიერზე, მაგრამ ჯეირანასაც გამოუჩენია ჯეირანობა, — თვალის დახამხამებაში ნადავლი მონადირისთვის, თავისი პატრონისთვის კი არა, სტუმრისთვის, მთავგენდამისთვის მიუტანეკია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე ძაღლი საგანგებოდ ყოფილა დაგეშილი გოგიდან ჩამოსულ სტუმრებზე. აი, მაშინ ეს მაღლა-მაღლა მიმავალი აღტაცება ზეაღტაცებამდე ამაღლებულა და მთავგენდამს უბრძანებია, — ეს ყმაწვილი ჩემს დაცვაში ჩარიცხეთო. ვარლამ არავიძე მთავგენდამის დაცვაში ჩაურიცხავთ. მთავგენდამს მრავალგვარი დაცვა ჰყოლია. ვარლამ არავიძე „არიერგარდულ დაცვაში“ ჩაუწერიათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჭაბუკი, აქ, თავის ქვეყანაში, უნდა დარჩენილიყო. როცა მთავგენდამი არავის მიმართულებით დაიძვრებოდა, ან გავლით, ან დასასვენებლად, ან რაიმე სხვა მიზნით ჩამოვიდოდა, „არიერგარდული დაცვა“ მაშინ უნდა ამოქმედებულიყო, თუ მთავგენდამი აღარ ჩამოვიდოდა არავში, არიერგარდული დაცვა მაინც „მოქმედებდა“. სინამდვილეში რას იმოქმედებდა, ვის დაიცავდა, თუ დასაცავი არავინ ეყოლებოდა? — ხელფასი ტყუილ-უბრალოდ ეძლეოდათ.

უშრომელი, უზრუნველი ხელფასი არაველებს ძალიან მოსწონდათ. ბალღი რომ დაიბადებოდა, მშობლები უკვე იმაზე ზრუნავდნენ, როგორმე მათი შვილი იმ „არიერგარდულ დაცვაში“ ჩაერიცხათ. აკვნიდანვე ამზადებდნენ „არიერგარდული დაცვისათვის“, განა საკვირველი არ იყო ვარლამ არავიძის ასეთი წარმატება? ვინ იფიქრებდა თუ მწყერზე მონადირე ამ ღენდერა ყმაწვილს კიდევ უფრო დიდი, გაუგონარი, არნახული დაწინაურება ელოდა.

მთავგენდამის არავიდან წასვლის შემდეგ, რამდენიმე თვე გასულა. ერთ მშვენიერ დღეს ყმაწვილი ვარლამ არავიძე ჩაუსვამთ მთავგენდამის მიერ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგებოდ გამოგზავნილ თვითმფრინავში და გოგში წაუყვანიათ, იქ საზეიმოდ გადაუცია მისთვის დამზადებული ერთადერთი თოფი მთელ დედმიწის ზურგზე, მთავგენდამის სახელით მისალმებიან, ხელიც ჩამოურთმევიათ და კვლავ არავში იმავე თვითმფრინავით გამოუმგზავრებიათ.

აი, ეს ისტორიული თოფი ეკავა ხელში თანგულიას და სასაფლაოს ზემოთ, ფერდობზე შეფენილი ტყიდან დასცქეროდა მთვარით განათებულ სასაფლაოს. აქედან ამ თოფს ადამიანი კი არა, ჩიტი ვერ გაექცეოდა. თოფის ამბავი ახლა არავსა და არავიძეთში, ალბათ, მარტო თანგულიამ იცოდა. აბიას არასოდეს, გასართობადაც კი არ უსვრია „არავიძული". არ უყვარდა თოფი. თანგულიას კი ბაბუამ ასწავლა თოფის სროლაცა და „არავიძულის" პატრონობაც, მისი საიდუმლო ვერაგული თვისებები.

თურმე თოფი მწყერზე სანადირო ძველებური თოფების მიხედვით დაუმზადებიათ, ოღონდ თანამედროვე ტექნიკის ყველა მიღწევა მიუსადაგებიათ.

თოფის ტყვია ლულაში თავისით მიეწოდებოდა, ლულიდან გამოვარდნილი ტყვია ჰაერში სკდომით იმსხვრეოდა და საფანტად იფრქვეოდა, ოღონდ უწესრიგოდ კი არა, ნახევარი მეტრის განივკვეთით* მიქროდა წინ, ვიდრე მიზანს მიაღწევდა. ნახევარი მეტრის განივკვეთით მიმქროლავი ცეცხლის სფერო, რასაკვირველია, მიზანს არ ასცდება, თუ მეთოფეს თოფის აწევა მაინც შეუძლია. არავიძული თოფის ტყვიას კიდევ ის ჯადო-თვისებაც ჰქონდა, ფრქვევადი ნამცეცი ტყვიისა მიზანს რომ მოხვდებოდა, მერეც ფეთქდებოდა და ნამცეცის ნამცეციც კი საშიში იყო. არავიძული თოფის თუნდაც ერთ საფანტს შეეძლო ლომი დაეჭრა.

თანგულიას თოფის დიდი იმედი ჰქონდა, თოფის მჭიდეში ათი ვაზნა ჩადიოდა, ათი ვაზნით ერთი ადამიანის კი არა, ასეულის გაწყვეტა შეიძლებოდა, თუ მთვარეს ღრუბელი არ გადაეფარებოდა და რასაც ახლა მთვარიანში ხედავდა, უკუნ ღამეში არ ჩაინთქმოდა.

თანგულია თავის სამალავიდან გარკვევით ხედავდა დამჭირველთა ლანდები როგორ დაფუთფუთებდნენ ბაბუამისის საფლავის გარშემო, რა მოურიდებლად წარმოთქვამდნენ ხმამაღლა სადღეგრძელოებს და როგორ ყაყანებდნენ... საფარში უკვე არავინ იჯდა, სამ-სამად, ოთხ-ოთხად იდგნენ და ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ, მარტო სერგო იწვა სანგარში, არაყს მოეცელა, თავდაღმა, მკვდარივით ჩამხობილიყო მიწაში.

ერთი უცნობი ადამიანიც, ვითომ შემთხვევით გამვლელი, უჩინარად გამოსულიყო სიბნელიდან, ჩამდგარიყო მთვრალებში და ვარლამ არავიძის სადღეგრძელოს სვამდა. მტერ-მოყვარის გარჩევა ახლა სასაფლაოზე შორიდან კი არა, ახლოდანაც ჭირდა, თანგულიას ის უცნობი არ შეუმჩნევია, არც დუროს მოუკრავს თვალი, თორემ ეგებ ეცნოთ, უცნობი შურისმაძიებელი — ჯეგე ხალდანი გახლდათ. ისე გათამამებულიყო, არაყს აძალებდა იმათ, ვინც ჯერ კიდევ იდგა ფეხზე.

ჯეგე ხალდანი სასაფლაოს მიდამოებში მაშინ გამოჩნდა, როცა ჟორა-დამჭირველმა და დურომ მიუჭახუნეს ჭიქები ერთმანეთს. ხალდანმა სასაფლაოზე მორიალე საქეიფოდ აღტკინებული დამჭირველებიც გულდაგულ შეათვალიერა და უკან, ოსიმეს დუქნისკენ გაქანდა. ოსიმე გააღვიძა, ორი ბოთლი არაყი ჯაჯღანით, ჩხუბით, მუქარით, პირდაპირ გამოგლიჯა ხელიდან და კვლავ თავქვე, სასაფლაოსკენ დაეშვა.

სასაფლაოს მეორედ რომ მოადგა, დურო უკვე თავის „ემ-ცხრაში" იჯდა და ყვინთავდა. დუროსთან შეხვედრა სახიფათოდ მიიჩნია, სასაფლაოს ღობეზე გადაძვრა მოპირდაპირე მხარეს, ხან მარმარილოს სასახლენი იფარა, ხან ხეთა ჩრდილებში, ბნელ კუთხე-კუნჭუ-

* დიამეტრი.

ლებში შემალვით, შეუმჩნევლად მიადგა *მოქეიფეთ, ვითომ,* ისიც მათთან იყო, აქ, სასაფლაოს გზის პირზე გამოიარა და შეუერთდა პურის ჭამას. არყები დადგა მდელოზე და ჩამოუსხა, უცხო ადამიანის მოსვლა ჟორა-დამჭირველმა შეამჩნია, მან ხომ სმა გვიან დაიწყო, გონება და თვალისჩინი სხვაზე უკეთ შერჩენოდა.

— ვინ... არის... ეს კაცი... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად იკითხა ჟორამ. სიმთვრალისაგან ენა წართმეოდა, მასზე უფრო მთვრალ ქვეშევრდომს ეკითხებოდა.

— ჩემი ძმაა! — ხელი გადახვია დამჭირველმა ხალდანს და ჩამოეკიდა კისერზე, ლოშნა დაუპირა.

— დალიე! — ციცად მოიშორა მთვრალის ტუჩ-პირი ხალდანმა და ხელში არყიანი ჭიქა შეაჩეჩა.

ჯეგე ხალდანი საფლავის ქვაზე იჯდა. ჟორა-დამჭირველი თავზე ადგა, ხანდახან წაეპოტინებოდა ხან თავზე, ხან ბეჭებზე, ფეხზე დგომა უჭირდა, ქანაობდა.

— შენ... ვინ ხარ?.. — დაეჭვებული მისჩერებოდა. ხალდანი არ პასუხობდა, არ ჰქონდა აზრი რაიმეს თქმას. სულ ერთია, ჟორა მაინც ვერაფერს გაიგებდა. როცა სასაფლაოზე შემოსვლა დაიპირა, ისიც ეკარაუდა, ასეთ შეკითხვას დაუსვამდნენ, პასუხიც საგანგებოდ შეთხზა, მაგრამ აღარ დასჭირდა სიცრუე, ზოგს იქვე, მდელოზე, საცა სუფრა ჰქონდათ გაშლილი, დაეწყო ხვრინვა. ზოგი სანგარში, სერგოს მიუწვა გვერდით. მალე ჟორა-დამჭირველიც გაეხვია ლაბადაში და ზედ ვარლამ არავიძის საფლავის გვერდით დაწვა.

ხალდანს სოფელში ისიც გაეგო, რომ მთლად გენერალური დამჭირველი იყო ჩამოსული მის შესაპყრობად და ნოვეს სახლში გამართულ სუფრაზე ყანწით სვამდა ღვინოს.

„სწორედ ამ ღამით უნდა ამოვთხარო, უსათუოდ უნდა ამოვთხარო ამ ღამით“... — ფიქრობდა დაჟინებით და მთვრალებს აკვირდებოდა, ხომ ყველამ დაიძინაო. „თუ ღმერთი შეეწეოდა ... ხელს არაფერი შეუშლიდა, ამოთხრიდა მკვდარს, ძველებურად დუროს „ემცხრას“, რაღა თქმა უნდა, ვერ გამოიყენებდა, მალვით უნდა გაეტანა ცხენი დარი სასაფლაოდან, დუროს არაფერი გაეგო.

წამოდგა, ერთხელაც ჩამოუარა მძინარეთ, ვინმეს შემთხვევით ხომ არ ჰღვიძავსო, სასაფლაოს ალაგესკენაც გაიხედა, სადაც დუროს მანქანა იდგა. საშიშროება იქედან ხომ არ მომელისო. არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. უნდა დაეწყო მოქმედება. მიაკითხა თავის ბეოლას, ჩაჰყო ფუღეროში ხელი, ამოიღო სამუშაო იარაღები და დინჯად მიადგა ვარლამ არავიძის სამარეს, ერთხელაც გაიხედ-გამოიხედა, დაწყო ბარ-თოხი და მუშაობას შეუდგა. პირველი ბარი დაჰკრა მიწას... მარჯვნივ, ზედ სამარის კიდეზე ჟორა-დამჭირველი გაშხლართულიყო, გულაღმა იწვა და ფშვინავდა, ამონთხარი მიწა მარცხნივ უნდა გადაეყარა, არ გაეღვიძებინა მთვრალი.

ხალდანს შეეძლო ჩამოეელო და უჩუმრად, ისე რომ არავის გაეგო, ყელი გამოეჭრა გათრიაქებულთათვის, დურო მიპარვით მოეკლა ამათი იარაღით და არხეინად შესდგომოდა თავის საქმეს, მაგრამ ასეთ რამეს გულშიც კი არ გაივლებდა. შეჩვეოდა საპყრობილეს. შეპყრობა და საპყრობილე არ მიაჩნდა ისეთ ურჩხულად, თავის დახსნის მიზნით, თუნდაც ერთი კაცის სისხლი დაეღვარა. ძალიან კარგად იცოდა, ვარლამ არავიძე ასჯერაც რომ ამოეთხარა, აბია მამას ყორნისხევში მაინც არ გადაადგებდა, ვერ აიძულებდა შვილს, მამა ყორნებისთვის საჭიჯვნად მიეგდო თუ შეპყრობდნენ, ეგებ უკეთ მიეღწია საწადელისთვის — სასამართლოზე ამხელდა ვარლამ არავიძეს. სასამართლოზე, საჯაროდ, სახალხოდ მოითხოვდა ვარლამ არავიძის ყორნისხევში გადაგდებას. ამიტომ თუ დამჭირველები გაიღვიძებდნენ და დაიჭერდნენ, ან თუ ნოვეს სახლიდან დაბრუნდებოდნენ მო-

ქეიფენი და შეუძახებდნენ, დაგვნებდიო, დამჭირველებს უსიტყვოდ მიუგდებდა ფეხებთან თავის საბრძოლო იარაღს — ბარსა და თოხს და ჩაბარდებოდა. ამ რწმენით რახან მოქმედებდა, მაინცდამაინც არ ფრთხილობდა.

პირველი ბარი დაჰკრა მიწას, მთელი ძალით დაჰკრა, ნათხარი მიწა და ქვიშა ერთმანეთში არეული, ბარის პირზე ბლომად არ დამაგრდა, გადმოუცვივდა, მაშინ ნიჩაბივით მიუმარჯვა ბარი აკოკოლავებულ მიწას და გადაყარა. პირველი ნათხარი მიწა გადაყარა... ხმაური შემოესმა.

ადამიანის ხმა უნდა ყოფილიყო, — გაურკვეველი, აღელვებული ხმა!.. სასაფლაოს ზედ ეკვროდა ტყიანი ფერდობი, იქ ფერდობიდან მოისმოდა. თავი აიღო და ტყისკენ გაიხედა. მთვარიანში მარტო სიშავე მოჩანდა ფერდობიდან. იმ სიშავიდან ჯოოდა ვიღაცა: ჯეგე ხალდანმა ვერ გაარჩია, ვინ იყო, რა იყო, რა სიტყვებს ჯღაოდნენ ტყიდან. თანგულია ყვიროდა საფარიდან ყმაწვილური გაბზარული ხმით, თან შითით:

— თუ ვაქაცი ხარ, დადექ!

არავის შეეძლო ამ სიტყვების გარჩევა, უუაა! — ბგერები შემოვარდნენ სასაფლაოზე და უმალ მიწყდნენ, ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ამ მიდამოში არასოდეს არავის დაუჩურჩულებიაო.

მეორეჯერ დაჰკრა ბარი მიწას... დაჰკრა და... გეგონებოდათ, ბარი ნაღმს მოხვდა და სამარე აფეთქდაო, დაიქუხა. დაიქუხა და, ხალდანს მოეჩვენა, რომ მკლავი მოგლიჯეს, დავარდა მიწაზე, არ ახსოვს, რატომ დავარდა, ტკივილმა დაადგომ თუ შიშმა, უნებურად მოსხლტა, თუ თავდაცვის მიზნით გაეკრა მიწას. დაჭრილ მკლავზე იტაცა ხელი და უჭერდა, თითქოს მოჭერა უშველიდა. ტყვიას მკლავი გაეგლიჯა და სისხლი თქრიალით სდიოდა.

ჩამოშავებული ფერდობიდან მოვარდა გასროლის ხმაც და ტყვიაც იქიდან მოიჭრა, ხალდანის აზრით, ახლა უკვე მოპირდაპირე მხრიდან, სასაფლაოს შეა მოსასვლელიდან ისროდა ვიღაც ყვიროდა. დურო უნდა ყოფილიყო. დურომ თოფის გასროლას უმალ რევოლვერის ჯერით უპასუხა და ყვირილი ატეხა: გვიშველეთ! გვიშველეთ!.. როცა გონს მოვიდა, ღამეს დააყურა. სასაფლაოდან ჩაჩიჩუმი არ მოისმოდა, ოლაგეს გადაახტა, შესასვლელთან მდგარ ცაცხვის ხის ტანს მოეფარა. სანამდეც მთვარის შუქზე თვალი მიუწვდებოდა, მოათვალიერა სასაფლაოს კუთხე-კუნჭული. რევოლვერი შემართული, თითქოს დამიზნებულიაო, წინ გაშვერილი ეკავა ხელში. ხან ხეს მოეფარებოდა, ხან საფლავის ქვებსა და ზღუდეებს, სწრაფად უახლოვდებოდა ვარლამ არავიძის სამარეს.

ჯეგე ხალდანმა შორიდანვე მოჰკრა თვალი, როგორ გამორბოდა წელში მოხრილი რევოლვერმომარჯვებული დურო საფლავებს შორის და შორიდანვე დაუძახა:

— არ მესროლო, შენი დედა!.. — კვნესით შეაგინა. — დაჭრილი ვარ!..

— სდექ, დაპატიმრებული ხარ! — დაუძახა მსხვერპლს პასუხად ადლის ენაზე და ადლის წესის დაცვით, საფარიდან მარტო რევოლვერს გამოუჩინა ტუჩი.

— სისხლში ვცურავ, ძაღლისშვილო!.. — იკრუნჩხებოდა მიწაზე დამხობილი ხალდანი.

— დაპატიმრებული ხარ! — ყვიროდა საფარიდან დურო, მთელი ხმით, მთელი ძალით ყვიროდა და ხმაურობდა, ეგება მძინარენი გავაღვიძოო, თან ხალდანს აკვირდებოდა, ხომ არ მატყუებსო.

— მანქანაში აფთიაქი არა გაქვს? — უცებ წამოჯდა და ჰკითხა ხალდანმა, ვარლამის საფლავზე იჯდა, დაჭრილ მკლავს ხელს უჭერდა.

— მაქვს! — გამოსძახა დურომ. — მაგრამ არ გაინძრე, დაპატიმრებული ხარ!.. ამათ გავაღვიძებ და მოვატანინებ!.. — ხალდანის შეკითხვა იმწამსვე

თავის სასარგებლოდ გამოიყენა, მძინარე დამჭირველების გაღვიძებას შეუდგა. ბოროტმოქმედი, მართალია, დაჭრილი იყო, მაგრამ მაინც ეშინოდა, არ გამექცესო. რეკოლვერი ხალდანისთვის არ მოუცილებია, არც თვალი მოუწყვეტია, გამოხტა საფარიდან, ფეხსაცმლის ჭვინტი ჰკრა ერთმანეთზე მიჯრით მიწოლილ მთვრალებს.

— ადექით! დამნაშავე დაპატიმრებულია! ადექით, დამნაშავე დაპატიმრებულია!.. — ყვიროდა ხმის ჩახლეჩამდე, წიხლების ცემით წამოაგდო მთვრალები. შიშისაგან ზოგმა სროლა ატეხა, ზოგმა ყვირილი, ყველაზე მეტად ჟორა-დამჭირველი ბობოქრობდა და ბრძანებებს იძლეოდა.

უცებ ჯეგე ხალდანი წამოდგა, დუროს ანიშნა, მანქანისკენ წავიდეთო, კვლავინდებურად მკლავზე ხელს იჭერდა და მთვრალების ყაყანს ყურადღებას სულ არ აქცევდა. დურომ, დამჭირველების დასანახად, რეკოლვერი ვითომ ზურგზე მიადო და უბრძანა: დაპატიმრებული ხარ, მანქანისაკენ პირდაპირ! — ჯეგე ხალდანი სხვაგან წასვლას არც აპირებდა, თორემ თუ მოიწადინებდა, ეგებ ბრძოლაც გაემართა მთვრალებისთვის და გაქცეოდა კიდეც. ხალდანი გრძელი, ჩქარი ნაბიჯებით მიდიოდა დუროს მანქანისაკენ, იქ თუ მართლა ედო დუროს ჩანთა-აფთიაქი, ეგებ ჭრილობის პირი მოეწმინდა და სისხლის დენა შეეჩერებინა. ამ ღამით სხვას არც არაფერს აპირებდა.

მთვრალმა დამჭირველებმა დამნაშავის გულისნადები ხომ არ იცოდნენ, თუ დაჭრილი იყო, ღამის ბინდბუნდში ამასაც ხომ ვერ შეამჩნევდნენ. დამნაშავე დუროს მარტოკას შეეპყრო და თავის მანქანისაკენ მიჰყავდა. ის, რაც ადლის ყველა მუშაკს ერთობლივად უნდა გაეკეთებინა, ერთ ადამიანს მოეხერხებინა. ის ადამიანი მათ თვალში ამ ღამით, რასაკვირველია, გმირი იყო. მერე როგორი გმირი! თვალების ფშვნეტით უკან მიჰყვებოდნენ და მორჩილად ასრულებდნენ ყველა მის ბრძანებას.

— ახლოს არ მიხვიდეთ! — გ[illegible] და დუროს ხმა... — დაჭრილია. [illegible] ღი არა აქვს... მაინც არ მიხვიდეთ ახლოს!.. — ყვიროდა დურო, ვინაიდან ზოგ დამჭირველს ცნობისწადილი არ ასვენებდა. სურდა ახლოდან ენახა ვარლამ არავიანის საფლავიდან ამომთხრელი. დურო ხალდანს ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევდა, რეკოლვერი ზურგზე მიებჯინა და ვითომ მიჰყავდა.

ხალდანი დუროს მანქანაში შეავარდა, დურომ ჩანთა-აფთიაქი გახსნა და დაჭრილს დახმარება აღმოუჩინა. მთვრალი დამჭირველები მანქანას გარს შემოეწყვნენ. როგორც კი დურო ჭრილობის პირს შეეხო, ხალდანმა ამოიგმინა:

— გველის წიწილი!

დურო იმწამს მიხვდა, ხალდანი ვისაც ეძახდა „გველის წიწილს“. მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომ არ გაუგონია. როცა დამჭირველებმა გაიგეს, რომ ბოროტმოქმედი დაჭრილი იყო, დუროს ნამოქმედარი ეგონათ და დაუფარავად გამოთქვამდნენ აღტაცებას:

— მანქანიდან უსვრია! — ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, იქვე თხზავდნენ ჭორს დუროს განსადიდებლად.

— ტყვიას ტყვიაში აჯენს, აბა, რა გგონიათ!..

არ უნდოდა ამ ჭორის გაქარწყლება.

— გველის წიწილი! — ტკივილისაგან კბილებს აღრჭიალებდა დაჭრილი. — ამათი დანდობა არ შეიძლება, ეგენი უნდა დახოცო!.. — არავიძეებს — აბიას და მის შვილს გულისხმობდა, დამჭირველებს კი ეგონათ, ბოროტმოქმედი მათ უბრიალებდა თვალებს და მათზე ამბობდა: ეგენი უნდა დახოცოო.

უცებ შუქმფენები აანთეს. კი არ აანთეს, თითქოს იელვა და თვალისმომჭრელი ნათება ელვისა გაქვავდა, მუდმივ ნათებად იქცაო, იმდაგვარად უცებ აინთო, აჩახჩახდა-გაჩახჩახდა არავს გარშემომდგარი მთები. იმ მთებზე დიდი შუქმფენები იდგა სამხედრო დანიშნულებისა. საზღვარი მაჩვს რომ გადმოელახა, მაჩვს მიანათებდნენ მზესა-

ვით ბრიალა შუქმფენს. გენერალურმა დამჭირველმა გრიგოლო გრიგოლოვმა სამხედროთა მთლად თავკაცს სთხოვა ამ შუქმფენების ანთება, როცა ბარიდან ნიშანს მისცემდნენ.

შუქმფენების ანთება და სასაფლაოს შესასვლელთან რიკტაფელოვის „ემოცდათერომეტის“ მოგრილება ერთი იყო, პირველი რიკტაფელოვი მოვარდა, რიკტაფელოვის მანქანას მოჰყვა გენერალური დამჭირველის მანქანა. რიკტაფელოვმა მოასწრო და მანქანის კარი თვითონ გაუღო გრიგოლოვს. მოგრიალდნენ სხვა მანქანებიც. სასაფლაოს მიდამოები უცებ გაივსო მანქანებით და მთვრალი ადამიანებით. ნოვეს სუფრაზე ვინც კი იჯდა, ყველა ერთად წამოსულიყო, დამჭირველებთან ერთად, ზღვა ხალხი მიაწყდა დუროს მანქანას.

დუროომ დამნაშავის მკლავის შეხვევას თავი მიანება, გამოხტა მანქანიდან, გენერალურ დამჭირველს მხედრულად გამოეჭიმა და მოახსენა:

— დამჭირველთა უპირველესო! ბოროტმოქმედი ლიკვიდირებულია! ოპერაცია „ქორწილი“ წარმატებით დამთავრებულია, ლიკვიდაციის დროს მკლავში დაიჭრა დამნაშავე. რაც, აგრეთვე, ლიკვიდირებულია!..

გრიგოლო გრიგოლოვმა ამბის გადახედა. კმაყოფილი იყო დუროს საქმიანობით. მანქანის უკანა სალონში იჯდა მკლავშეხვეული მოსული ვაჟკაცი, მანქანას ირგვლივ შემოსჯაროდნენ იარაღმომარჯვებული დამჭირველები. მანქანის კარები ღია იყო და დამნაშავის ნახვა ყველა მხრიდან შეიძლებოდა. როგორც ახალშეგდებული მხეცი გალიაში, პირგამეხებული იჯდა შურისმაძიებელი მანქანაში. შებანდული, გასისხლიანებული მკლავი წინ გაეშვირა, ახალშემოსალტული ბანდი სისხლს ხელად შეეღება, მხოლოდ ის სახვევი ეკიდა თეთრად, რომელიც ჯერ არ შემოხვეოდა ჭრილობას, დუროს შეხვევა არ დაემთავრებინა, გრიგოლოვის მანქანის მოსვლა ძრავის ხმით ეცნო და მიეტოვებინა „ექიმობა“, პატაკის ჩასაბარებლად გაქანებულიყო. მკლავშეხვევას თვითონ დაჭრილი განაგრძობდა. თან უშვერად იგინებოდა.

როცა თეთრკოსტიუმიანებიც მოადგნენ მანქანას და ხალდანმა მათ შორის ამია არავიძეს მოჰკრა თვალი, ამორგდა, აშფოთდა, უმატა გინებას, ბოლოს მანქანის ღია კარიდან თავი გამოჰყო და მთელი ხმით შესძახა:

— სულ ერთია, ამოვთხრი! მაინც ამოვთხრი!..

მანქანაში პირველი დუროო შევარდა, ვითომ ხალდანის დასამშვიდებლად, დუროს რიკტაფელოვი შეჰყვა, ხელად გაივსო დამჭირველებით მანქანა, დამნაშავეს აქეთ-იქიდან შემოუსხდნენ, მანქანის კარები ჩაკეტეს, გარს შემოჯარულმა დამჭირველებმა თოფების ლულები შეჰყვეს ღია ფანჯრებიდან და პირდაპირ შუბლზე დაადეს ამორგებულ დაჭრილს. გვერდით მსხდომებმა ჯანსაღი ხელი დაუჭირეს, დუროომ თვალით ანიშნა რიკტაფელოვს, დროა, საქმეს შევუდგეთო. რიკტაფელოვმა ადლის ენაზე, ბრძანების გაუგებარი სიტყვები თქვა და მანქანაში ბორკილების ჟღარუნი გაისმა, საიდანღაც გამოაძვრინეს ბორკილები და ელვის უსწრაფესად ხელებზეც დაადეს და ფეხებზეც.

— ენაზე ხომ ვერ დამადებთ ბორკილებს, — ამოვთხრი! ვიდრე ცოცხალი ვარ, ვარლამ არავიძეს საფლავში არ გავაჩერებ!

ერთხელაც მიაყვირა ხალდანმა მანქანას გარს შემოჯარულ ხალხს და დუროომ მანქანა დასძრა.

გრიგოლოვმა ცოცხალ-მკვდარი ამია მანქანაში შეიპატიჟა. ამიას თავის მანქანა ელოდებოდა, მაგრამ გრიგოლოვმა გასამხნევებლად, დასამშვიდებლად წაიყვანა ადლში. რაც მთავარია, პირველ დაკითხვას საკუთარი ყურით მოასმენინებდა.

მანქანები არავისაკენ დაიძრნენ.

●

თანგულიას ეგონა, რომ კაცი მოკლა. თოფი გავარდა თუ არა, ბაბუამი-

სის საფლავიდან ამომთხრელი ზედ სამარეზე დაეცა, ეს მან საკუთარი თვალით ნახა. მაინც დაელოდა ცოტა ხანს, გაინძრეოდა თუ არა მსხვერპლი, არ განძრეულა. მართალია, მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ სასაფლაოს გადაღმიდან, ტყიდან ესროლა, შორს იყო მსხვერპლი იქიდან, კარგად ვერ დაინახა, ღამეში ვერ გაარჩია, მოკვდა თუ ცოცხალი დარჩა დამნაშავე. გასროლის შემდეგ თითქოს დიდხანს იდგა და გასცქეროდა. სინამდვილეში რამდენიმე წამით შეყოვნდა. „მოვკალი!“ — სიხლვივით წითლად აბრიალებული სიტყვა თავში აუვარდა, სულში ჩაეჭრა: „მოვკალი! კაცი მოვკალი!“ — შიშმა აიტანა. რა ექნა? როგორ მოქცეულიყო? რატომღაც არ ეგონა, თუ მართლა მოკლავდა. გავარდა თოფი და კაცი, რომელიც ერთი წუთის წინ ცოცხალი იყო, უსულოდ დაეცა, — ასე მოეჩვენა მაშინ. თანგულიას გასროლას დურის რევოლვერის ჯერი მოჰყვა და ყვირილი: „გვიშველეთ! გვიშველეთ!..“

სისხლივით აბრიალებული წითელი სიტყვები: „მოვკალი“, „კაცი მოვკალი“, თავში რომ აეჭრა, გონთ დაუბნელდა, აღარ ახსოვს, შემდეგ რა მოიმოქმედა. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ტყიან ფერდობზე, როცა დურის ხმა: გვიშველეთ, გვიშველეთო, დაეწია. კაცი მოკლეს და გვიშველეთო, — ასე გაიგო მაშინ ეს ყვირილიც და კიდევ უფრო აბორგდა, აზვავდა, აჯანყდა სული, — მოედო ტყეს...

გარბოდა, გარბოდა უგზო-უკვლოდ, სიბნელეში, ტყე-ღრეში ხან რას ეჯახებოდა, ხან რას წამოედებოდა! — ძირს ენარცხებოდა, თავდაღმართზე დაგორდებოდა, ებღაუჭებოდა ბუჩქებს, ბალახს, წამოიფორხილებდა, დადგებოდა ფეხზე, კვლავ გარბოდა. შემხვედრ ხეთა ძირს ჩამოწეული ტოტები სახეში ეხლებოდა, ეკლიან ბუჩქებში შევარდებოდა, დაკაწრული თავ-პირიდან, გადატყავებული მუხლებიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა გათენდ[illegible] განთიადი უეცრად თავს დაატყდ[illegible] გონს მოიყვანა. თითქოს განთიადშ[illegible] თხა: სად გარბიხარ? აქეთ რა გინდა?. სასჯელს გაურბოდა? არა! მაშ, რა ძალა მიარბენინებდა, შიში თუ ბრძოლის ენინ? ნუთუ შიში?.. შედგა შუა ტყეში ყმაწვილი, სწრაფად გაიაზრა ყოფა, უნებური „გაქცევა“ უარყო და შემობრუნდა. სასჯელს არ დაეშალებოდა, მტკიცედ სწადდა, რომ სამართლიანი მსჯავრი გამოუტანა ბოროტმოქმედს. თუ ამისთვის დასჯიდნენ, დაე, დასაჯათ, უცნაური, უნებური „გაქცევის“ შერცხვა, თითქოს ბრძოლის ველიდან გაიქცა, გონს მოვიდა და კვლავ დაუბრუნდა ბრძოლის ველსო, თავიაღუნული დაეშვა თავდაღმართზე — პირდაპირ ადლში უნდა წასულიყო, როგორც მკვლელს პასუხი ეგო. ამ გადაწყვეტილებით დაეშვა ფერდობზე, სოფელს ზურგი აქცია, ვინმე ნაცნობი არ შემხვდესო, მინდორ-მინდორ, ყანა-ყანა ირბინა და არავის გზაზე გამოვარდა, დაადო თავი და წავიდა. ადრიანი დილა იყო, ეგებ მანქანამ არ გამოიაროსო, ფეხით აპირებდა ჩასვლას ქალაქში. საბარგო მანქანამ გამოიარა და გაუჩერა. კიდეც, ხელის აწევაც არ დასჭირვებია, იფიქრა, ალბათ, ვინმე არავიძელი მძღოლია და მიცნო. თანგულია სოფელში დომენტიეს მეტს არავის იცნობდა, აქეთ კი — არავიძეების ერთადერთ მემკვიდრეს — ყველა სცნობდა და გზად მიმავალს ვინ არ გაუჩერებდა მანქანას!

თანგულიამ მძღოლისში* შეიხედა, ორნი ისხდნენ, არ ჰგავდნენ ნაცნობებს. მადლობა უთხრა და ძარაზე შეხტა. მანქანა მონადირეს გაუჩერეს, თანგულიას მონადირის სამოსი — მაღალყელიანი ჩექმები და ხაკისფერი საწვიმარი ეცვა, მხარზე თოფი ეკიდა, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა მონადირე?..

მანქანის ძარაზე თანგულიამ გადაწყ-

---

* კაბინა.

ვეტილება შეცვალა: „შინ წავალ, სახლში დამაპატიმრონ!..“ მოეწონა, გაუხარდა, რომ ამ გზას დაადგა და არა ნებით ჩაბარების გზას. ნებით ჩაბარება მაინც დამარცხებას უდრიდა, თავი დამნაშავედ მიაჩნდა? მაშ, რატომ ნებდებოდა, თავის ფეხით რატომ უნდა წასულიყო ადლში?.. „შინ დამაპატიმრონ“, — დაჟინებით ფიქრობდა თანგული და მთელ სურათს წარმოიდგენდა: როგორ შემოცვივდებოდნენ არავიძეების დარბაზებში დამჭირველები, როგორ დაადებდნენ ხელებზე ბორკილებს, როგორ გამოვიდოდა სადარბაზოში ბორკილების ყრარუნით, სად მიგყავთ ყმაწვილი? — იკითხავდნენ მეზობლები, — მოითმინეთ, მამას — აბიას დაელოდეთ! — შესთხოვდნენ. დამჭირველები მეზობლებს კუშტად შეხედავდნენ. მათ სიტყვის თქმის ნება, რაიმე ახრის გამოთქმის უფლება არ ჰქონდათ, მათ უნდა ემოქმედათ და მოქმედებდნენ — მიჰყავდათ დამნაშავე — კაცის მკვლელი!.. სადარბაზოს კიბეზე, სახლის წინ, ეზოში გამოფენილ მეზობლებს თანგულია შესძახებდა:

— მეზობლებო, მე მართლა კაცის მკვლელი არ გეგონოთ, მოვკალი მხეცი, ვინც მკვდარს თხრიდა საფლავიდან! გადაეცით მამაჩემს, რომ მე დავიცავი არავიძეთა ღირსება, არ შევარცხვინე ბაბუაჩემის წმინდა სახელი!

საბარგო მანქანა გზაფენილზე მიჰქროდა, არავში შედიოდა. თანგულიას დილის გრილი ნიავი სცემდა სახეში, მაგრამ ის არც ნიავს გრძნობდა, არც გზას, არც მანქანას, ქადაგივით შემართულიყო მანქანის ძარაზე. თითქოს ამბიონთან იდგა, ხელისგულებით დაყრდნობოდა მძღოლისას და ხან თავს იმართლებდა და სხვას ამტყუნებდა, ხან სხვას ამართლებდა და თავის თავს ამტყუნებდა.

საბარგო მანქანა სამხრეთიდან მომავალი, დასავლეთისკენ მიდიოდა, გზად არავი უნდა გაევლო, შიგ ქალაქში არც შესულა, არავის შესასვლელთან რომ აუხვია, თანგულიაც ჩამოხტა. მძღოლისას მიადგა, მძღოლს ფული ააწოდა და მადლობაც გადაუხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან არ იყო შორს ვარლამის ქუჩა, ასე ეძახდნენ იმ გამზირს, სადაც თანგულია ცხოვრობდა. სინამდვილეში გამზირი როზა ლუქსემბურგის სახელობისა იყო, ხოლო მოედანი, ამ ქუჩის გადაკვეთაზე — კარლ ლიბკნეხტისა, მაგრამ ხალხი მაინც ვარლამის ქუჩას ეძახდა მოედანსაც და ქუჩასაც. თურმე ვარლამ არავიძის მმართველობის დროს გადმოიტანეს ამ ქალაქის რატუშა-მმართველობა აქ. აქვე გადმოვიდნენ საცხოვრებლად და აქაურები სხვაგან გადაასახლეს. ვარლამ არავიძის დროს გააფართოეს თურმე ლიბკნეხტის მოედანი და ზედ საპარადო ტრიბუნაც აღმართეს. ამიტომ არაველები აქაურობას ვარლამის ქუჩას ეძახდნენ. აქეთკენ გამორბოდა თანგულია დილაადრიანად და უხაროდა, რომ ნაცნობი არავინ ხვდებოდა.

შინაც არავის ელოდა, დედა და ვარდიკო იქ, არავიძეთში, ბაბუასეულ სასახლეში ეგულებოდა, მამა რიკტაფელოვთან ან თვითონ გრიგოლოვთან წავიდოდა სათათბიროდო. ბინის კარი სწორედ აბიამ გაუღო. დაბრუნებულიყო ადლიდან. პატიმრის დაკითხვა არ შემდგარა. თურმე ჭრილობას ძალიან შეუწუხებია, სისხლის დენა ვერ შეუჩერებიათ, სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაუყვანიათ.

თანგულიას მამის უფრო ერიდებოდა და ეშინოდა კიდეც, ვიდრე ადლის. პირში შესცქეროდა, რას მეტყვისო. აბია არ ჩქარობდა რაიმის თქმას, სიგარეტს აბოლებდა და დარბაზისაკენ მიდიოდა, თანგულია უკან მისდევდა, არც ჩექმები გაუხდია, არც ლაბადა, არც თოფი გადმოუღია მხრიდან. ასე შეჰყვა სასტუმრო დარბაზში. აბია საკარძელში ჩაეშვა, წინ, პატარა მაგიდაზე, საფერფლე ედგა და იქ აფერფლავდა. თანგულიამ ვერ მოითმინა და მამას მღელვარედ ჰკითხა:

— რა ვქნა, ვისთან მივიდე?..

— პირველ ყოვლისა, გამოიცვალე

სამოსი, თოფი კედელზე დაჰკიდე... — ცივად უთხრა აბიამ.

— ჰო, კარგი! კარგი!.. — გავარდა გვერდით ოთახში, ხელად გაიძრო ტანთ, თოფიც ჩამოჰკიდა საკიდზე და შარვლის სწორება-სწორებით შემოვიდა დარბაზში.

— ახლა რა ვქნა?..

— არაფერიც არ უნდა ქნა, მშვიდად უნდა დაველოდოთ სასამართლოს... — დინჯად უთხრა აბიამ.

— სასამართლოს?.. — გაიოცა თანგულიამ.

— მკლავშია დაჭრილი, მაგრამ მძიმე ჭრილობაო, ვიდრე არ მოუშუშებენ, სასამართლოზე ვერ გამოიყვანენ.

— მკლავშია დაჭრილი? — შესძახა თანგულიამ, აღტაცება ვერ დამალა. „ცოცხალი ყოფილა“... — გაუელვა თავში. ერთ წამს ყველაფერი შეიცვალა; რა გეგმებს აწყობდა, რამდენჯერ წარმოისახა თავის თავი დაპატიმრებული, ბორკილებდადებული, მეზობლებს გამოსამშვიდობებელი სიტყვაც კი უთხრა, თურმე ტყეილ-უბრალოდ, ცოცხალი ყოფილა!..

— მე სასჯელი არ მელის? — სულმოუთქმელად ჰკითხა მამას ბიჭმა.

— რა სასჯელი? — გაიოცა აბიამ.

— კაცს ტყვია ვესროლე! — დამნაშავესავით ჩაიდუდუნა თანგულიამ.

— სასჯელი კი არა, გაჯილდოვებენ, ადლი გაჯილდოვებს საპატიო სიგელით.

თანგულია სიხარულისაგან შეხტა. შეიკავა თავი, უკანვე დინჯად ჩაეშვა სავარძელში, ლამის ეცეკვა, ლამის სიხარულის ყიჟინა აეტეხა. მამამისის სიდინჯისა და სიდარბაისლის გამო იკავებდა თავს (მხოლოდ თვალები უბრწყინავდა!), თორემ მზად იყო, გაჭრილიყო გარეთ და სასიხარულო ამბავი მთელი ქვეყნისთვის ეუწყებინა. განჯილდო ახარებდა, თავისუფლებას, ძველებურ ცხოვრებას — სკოლაში სწავლას და შინ ყოფნას ზეიმობდა გულში. თურმე როგორ ეშინოდა ციხის და ბორკილების! როგორ არ უნდოდა სასჯელი!

— მორჩა, შენ ამ საქმეში მეტს ალარ ჩაერევი, — დინჯად განაგრძობდა მამა გონებას აბიას; — რახან ღმერთმა გადაგვარჩინა, კაცს ნუ მოვეკვლევინებით, ამბობენ, ბოროტმოქმედი მარტო არ არისო.

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, თანგულიას უეცარი სიხარულისაგან მოგვრილი თვალების ბრწყინვა-ელვარება ჩაუქრა, ნიადაგ სიფრთხილე და ნაძალადევი სიმშვიდე მამისა აწოსწონდა, მაგრამ არასდროს ეს არ გამოუხატავს, არც ახლა შეპასუხებია. ოღონდ ურჩად გაჩუმებული წამოდგა და თავის ოთახში გავიდა.

აბიას არ შეუმჩნევია შვილის გუნება-განწყობა, პირიქით, ეგონა, რომ მისმა შეგონებამ, ბრძანებლურმა კილომ „შენ ამ საქმეში მეტს ალარ ჩაერევი!“ გასჭრა, შვილი დამორჩილდა, მამას არ შეეპასუხა, მორჩილების ნიშნად გავიდა თავის ოთახში.

ვარლამის სიტყვა ხომ კანონი იყო აბიასათვის, არა მარტო აბიასათვის, მთელი ჯრავის მხარისათვის, მამის ძალაუნებურად დადმოსულიყო შვილზე, ყველას ეგონა, რომ აბიას სიტყვასაც ის ძველებური, მამისეული ძალმოსილება ახლდა. აბიას გარშემოც კარგა ხანს სუფევდა უსიტყვო მორჩილების ჰავა. პირველი, ვინც არავიძული მორჩილების დანგრევას აპირებდა, თანგულია იყო, ოღონდ ამას ჯერ ვერავინ ამჩნევდა. პირველი ურჩი ნაბიჯი გადადგმული უსიტყვო მორჩილების წინააღმდეგ, ვარლამ არავიძის საფლავის დარაჯობა და იქ თოფის გასროლა შეაფასეს არა როგორც ურჩობა, არამედ სწორედ ერთგულება პაპის წმინდა საქმისა. მართალია, მამის სიტყვას გადავიდა, მაგრამ ბიჭმა დაიცვა საყვარელი პაპის საფლავი. რახან ყველაფერი კარგად დამთავრდა, აბია ახლა ამაყობდა კიდეც თავისი ვაჟის საქციელით.

თანგულია თავის ოთახში რომ გავიდა, აბიამ დამთავრებულად ჩათვალა მასთან საუბარი-შეგონება, „მორჩა, შენ ამ საქმეში მეტს ალარ ჩაერევიო“, კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონივით გაატანა ბიჭს თან. წამოდგა, ელსმენი ტალანიდან დარბაზში შემოიტანა, საკარძელში მოკალათდა, ელსმენი წინ დაიდო, ციფრები აკრიფა, არავიძეთში, ცისმარესთან რეკავდა.

ამ დილით, ადლში როგორც კი გაარკვია, ბოროტმოქმედს ჯერ საავადმყოფოში მოათავსებენ, ჩვენებას შემდეგ ჩამოართმევენო, გრიგოლოვს მადლობა გადაუხადა, დაეთხოვა და დურო ცისმარესთან აფრინა, ამბავი უნდა შეეტყობინებინა, თან თანგულიასკენ უნდა სჭეროდათ თვალი. ბიჭი ან იქ, არავიძეთში, ბაბუასეულ სასახლეში დაბრუნდებოდა, ან, აქ, არაგში, თავის ბინაში. აქაც უნდა დახვედროდნენ და იქაც.

ამიამ ცოლს ყურმილში საუბარი არ გაუბა. ერთი სიტყვა უთხრა, ერთადერთი, „მოვიდა“ და ყურმილი დაუდო.

ცოტა ხანში ცისმარე, დურო და ვარდიკო არავიძეთიდან კი არ მოვიდნენ, მოფრინდნენ.

ის დღე ბედნიერი დღე იყო, არავიძეებისათვის. თანგულია შინ ჰყავდათ, ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელნი გადარჩნენ. ბოროტმოქმედი დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ამიერიდან მკვდარს არავინ შეაწუხებდა. ერთი დღის წინ კი სასოწარკვეთილებაში იყვნენ ჩავარდნილნი. არ ეგონათ, თუ მათი ოჯახის აწეწილ-დაწეწილი საქმენი ოდესმე დალაგდებოდა. უცებ არ დალაგდა? — თავს ვერ იკავებდნენ და სიხარულს დაუფარავად გამოხატავდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ კიდეც.

დუროს საგანგებოდ, მოწიწებითა და პატივისცემით ექცეოდნენ. შინ არ გაუშვეს — ერთად ვისადილოთო. დუროც იფერებდა და დაუსრულებლად ჰყვებოდა თუ როგორ გაბა ჯეგე ხალდანი, მეტსახელად „დირგია“ ხაფანგში, თანგულიასაც არ უკარგავდა ღეაწლს. თანგულიას გასროლამ გვირგვინი დაადგა ამ საქმესო.

ჯეგე ხალდანი არაფერს მალავდა, ჯერ კიდევ ადლის საავადმყოფოში, პირველსავე ჩვენებაში, თითქოს ყველაფერი ერთად თქვა, — გულწრფელად აღიარა დანაშაული: მე ამოვთხარე ვარლამ არავიძე სამარიდან სამჯერ და ღობეზეც ამია არავიძეს მე გადავუყუდეო.

წვრილად აღწერდა, როგორ ამოთხარა პირველად, მეორედ, მესამედ... ღამით, ამოთხრისას, რა შეემთხვა, ვინ შეხვდა, ვის ემალებოდა, ვისი ან რისი ეშინოდა. დურო არსად უხსენებია, რომც დაესახელებინა, არავინ დაუჯერებდა. დუროს ისე გაეჩარხა საქმე, ყველა დარწმუნებული იყო მის კიკაკობაში, არავიძეების ერთგულებაში. რაც მთავარია, დუროს გრიგოლო გრიგოლოვის უდიდესი ნდობა მოეპოვებინა და სხვა, ვინ რას დააკლებდა! ჯეგე ხალდანს დურო არც მოჰგონებია, ვარლამ არავიძე ეკერა ტუჩ-პირზე. ეტყობოდა, რომ ნეტარებას ჰგვრიდა ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრის მბობა. დამჭირველები პირდაღებულნი შესცქეროდნენ, არ იცოდნენ, როდის შეეჩერებინათ, როგორ წარემართათ დაკითხვა. ბოროტმოქმედი, მართალია, აღიარებდა დანაშაულს, არაფერს მალავდა, მაგრამ უშვერად ილანძღებოდა, ლამის ყოველ სიტყვას ვარლამ არავიძის გინებით იწყებდა და ამთავრებდა. უწყინარ შეკითხვაზეც კი — „დაბადების წელი...“ პასუხობდა გახელებით: „აფთარმა რომ დამჭირა, ათი წლის ვიყავი, ესე იგი, დავბადებულვარ 19..“. „თქვენ გეკითხებიან, — დამჭირველების კილო სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა პატიმარს, — რომელ წელს დაიბადეთ, მეტს არაფერს... „სისხლისმსმელმა აფთარმა, — უმატებდა დოზებს ვარლამ არავიძის „შესამკობად“ პატიმარი, — ჩემი საბუთები მოსპო... მე არ ვიცი, როდის დავიბადე...“

— დაბადების ადგილი?

— სისხლისმსმელი, აფთარ-ღორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელი ჰქვია ახლა იმ ქუჩას, სადაც მე დავბადებულვარ.

—ესე იგი, ლუქსემბურგის ქუჩაზე დაბადებულხართ, არავში... — არ ამწვავებდნენ დაკითხვას დამჭირველები.

— სისხლისმსმელმა, აფთარ-ღორმა, გველმა, ყველაფერს თავისი სახელი დარქვა და შერჩა ხალხის მეხსიერებას გველის სახელი, — ვარლამის ქუჩას ეძახის ხალხი ლუქსემბურგის ქუჩას.

— გაანებეთ თავი ვარლამ არავიძეს, უნდა მოგვცეთ ჩვენება ადამიანურად! — ხანდახან მრისხანებდნენ კიდეც დამჭირველები, — გვიპასუხეთ, რა საქმიანობას ეწევით, პროფესია თქვენი?..

—სისხლისმსმელის, გველის, ადამიანის ხორცის მჭამელი, აფთარ-ღორის ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრა! — სხვა პროფესია მე არა მაქვს!

— არაფერი გისწავლიათ? რა ხელობის კაცი ხართ? — დაუყვავეს, რაკი შეატყვეს, რომ ძალით, მრისხანებით, მუქარითა და დაშინებით ვერას გახდებოდნენ.

— ჩემი ხელობაა სისხლისმსმელის, ადამიანის ხორცის მჭამელი აფთარ-ღორის, ასპიტი გველის საფლავიდან ამოგდება, — ჯიუტობდა პატიმარი. რაც უფრო მეტს აფრთხილებდნენ, ვარლამ არავიძე არ ახსენოო, მით უფრო უმატებდა სალანძღავ სიტყვებს. სიტყვა „აფთარით“ დაიწყო ვარლამ არავიძის დახასიათება და ვიდრე სამ შეკითხვაზე გასცემდა პასუხს. დაახვავა შესამკობი სიტყვები: „აფთარ-ღორი“, „სისხლისმსმელი“, „ადამიანის ხორცის მჭამელი“, „გველი“, ბოლოს „ასპიტით“ დაამთავრა. ყოველ დაკითხვას ასე წარმართავდა. რა თქმა უნდა, ადლში ყველამ იცოდა, თუ ვინ იყო ვარლამ არავიძე, არც პატიმრის ამგვარი გახელება აკვირვებდათ მაინცდამაინც. მთავარს არ ამბობდა პატიმარი, თუ რატომ თხრიდა ვარლამ არავიძეს საფლავიდან. ეს აფიქრებდათ, ეს აწუხებდათ.

საავადმყოფოდან ხალდანი ჯურღმულში გადაიყვანეს.

ხალდანის დაკითხვას განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილება უძღვებოდა.

გრიგოლოვს უნდოდა ეს საქმე სწრაფად დაემთავრებინა და პატაკი გოგშე გაეგზავნა. ამიტომ დღეში ორჯერ-სამჯერ გამოჰყავდათ პატიმარი საკნიდან და ხან ერთი გამომძიებელ-დამჭირველი, ხან მეორე დაჰკითხავდა.

პატიმარი, მართალია, ლანძღავდა და აგინებდა ვარლამ არავიძეს, მაგრამ დანაშაულსაც აღიარებდა, მხოლოდ იმას არ ამხელდა, თუ რატომ თხრიდა საფლავიდან მიცვალებულს. ამას სამსჯავროს მოვახსენებო, — ამბობდა.

სასამართლო, ანუ სამსჯავრო (ასე ეძახდნენ არავის ქვეყანაში სამართალწარმოებას), ისე ვერ გაიმართებოდა, თუ ყველაფერი წინასწარ არ იყო მოფიქრებული, მოაზრებული, თუ მსჯავრის გამოტანა წინასწარ არ იყო „დადგმული“. ნამდვილი განაჩენი გრიგოლო გრიგოლოვის უფროსისკარში გამოჭქონდათ, სამსჯავროზე მხოლოდ გაითამაშებდნენ სამართლიანობას და პატიმარს მსჯავრს დასდებდნენ. ვარლამ არავიძის დროიდან ასე დაეწესებინათ და ამ წესს ვერავინ გადავიდოდა. სამსჯავროზე ყველამ ყველაფერი წინასწარ იცოდა. ადლის მუშაობა იმით ფასდებოდა, თუ სამსჯავროზე წინასწარშეთანხმებიდან არავინ გადაუხვევდა. მესჯულეს (მოსამართლეს) და მსჯავრმდებელსაც კი (პროკურორს) წინასწარ ამუშავებდნენ, რაც ადლს სურდა, ყველას იმას ათქმევინებდა, მსჯავრსაც იმას გამოატანინებდა, რაც წინასწარ დაედგინა. რასაკვირველია, გრიგოლო გრიგოლოვს არ აკმაყოფილებდა ჯეგე ხალდანის პირველი ჩვენებები. წინასწარ უნდა სცოდნოდა, რის თქმას აპირებდა სამსჯავროზე ბოროტმოქმედი. სასწრაფოდ საგანგებო ზომები უნდა

მიეღო, თორემ განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილება ვერ მოერეოდა ხალდანს. რიკტაფელოვი გამოიძახა და დაავალა, პირადად დაეკითხა ბოროტმოქმედი და საქმეს თვითონ გასძღოლოდა.

რიკტაფელოვი საგონებელში ჩავარდა. რატომღაც გული უგრძნობდა, ალღო კარნახობდა, რომ ხალდანის საქმეს მის განყოფილებას — ზეგანსაკუთრებულ საქმეთა განყოფილებას — დაავალებდნენ და მართლაც ასე მოხდა. გრიგოლოვისაგან დავალება რომ მიიღო, თავის სამუშაო ოთახში ჩაიკეტა და თავიდან ბოლომდე მოისმინა ჯეგე ხალდანის დაკითხვის ჩანაწერი.

ვარლამ არავიძის დრო რომ ყოფილიყო, რიკტაფელოვი დამნაშავეს ერთ დღეში აამჭიკჭიკებდა, ახლა რა ხრიკი უნდა ეხმარა, რომ იგივე შედეგი მიეღო?..

გრიგოლოვსაც და რიკტაფელოვსაც უკვე არაერთგზის ჰქონდათ მოსმენილი ხალდანის ახირებული ჩვენებები: „სად ცხოვრობთ?“ — ეკითხებოდნენ დამნაშავეს. „აფთარმა ვარლამ არავიძემ...“ — იყო პასუხი. „თავი გაანებეთ არავიძეს, რამდენჯერ უნდა გითხრათ... მიპასუხეთ: დღეს სად ცხოვრობთ?“

„სისხლისმსმელმა აფთარმა, ვარლამ არავიძემ, საცხოვრებელი მომისპო!“

„თქვენთვის სჯობს გულწრფელად აღიაროთ დანაშაული, — ძალად იკრებდა სიმშვიდეს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი. — ეს სასჯელს შეგიმსუბუქებთ...

„სისხლისმსმელმა და ადამიანის ხორცის მჭამელმა, აფთარმა, ვარლამ არავიძემ...“ — თანდათან უმატებდა დოზებს არავიძის შესამკობად დამნაშავე.

რიკტაფელოვი ჩანაწერს ახლა სხვა გულისყურით უსმენდა, გზებს ეძებდა ხალდანის გააფთრებულ გულთან მისასვლელად.

მთელი დღე არავის დალაპარაკებია, უსმენდა პატიმარს, — ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომგდებს, ხედვითი ჩანაწერიც მოატანინა, აკვირდებოდა, სწავლობდა...

დემურ რიკტაფელოვი პატიმართან შესახვედრად ემზადებოდა, ამასობაში კი ბრძანება გასცა, — ხალდანი პირველ ჰომუნკულუსში გადაეყვანათ.

ჰომუნკულუსი — ალქიმიკოსების აზრით, ადამიანის სპერმატოზოიდისაგან ხელოვნურად შექმნილი კაცუნაა. ვარლამ არავიძეს უყვარდა უცხო სიტყვები. იზოლატორიც მან დაარქვა საპყრობილეს და ჰომუნკულუსიც — საწამებელ საკანს. დედაზრი ჰომუნკულუსის დარქმევისა — ლომივით ვაქკაცების კაცუნებად ქცევა გახლდათ.

— ჰომუნკულუსად ვაქცევ! — მაგიდაზე ხელს დაჰკრავდა ვარლამი და მართლაც, ადამიანი საწამებელ საფეხურებს ესე იგი, ჰომუნკულუსებს რომ გაივლიდა, ის მართლაც არაკაცად, თახსირად, დამსმენად, ნაძირალად ან ჭკუასუსტად, შეშლილად, ავადმყოფად რჩებოდა სამუდამოდ თუ, რასაკვირველია, საერთოდ ცოცხლად გადარჩებოდა.

მეცამეტე მთავგენდამის გადაყენების შემდეგ, ახალმა, მეთოთხმეტე მთავგენდამმა უარყო ვარლამ არავიძის საქმიანობა, მის მიერ შემოღებული წესები და კანონები გააუქმა, კანონიერების, სამართლიანობის, წესიერების აღდგენა მოითხოვა. მაგრამ როცა ვარლამ არავიძე საფლავიდან ამოთხარეს, ახალი მთავგენდამი შედრკა, არ იცოდა, რა ეღონა, რა მოემოქმედა. ხვალ ჩვენც ამოგვთხრიანო, — შიშმა შეიპყრო და ვარლამ არავიძის გამართლებას მიჰყო ხელი. მართალია, მის საქმიანობას უარკყოფთ, მაგრამ საფლავიდან ამოსათხ-

---

ნოდარ ჭულეისკირი
აფთარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელად არ გვემეტება, დამნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოსო.

ახალი მთავგენდამის მოვლენისთანავე ადლებში, სამართალდაცვით ორგანოებში, შორეულ ბანაკებსა, იზოლატორებსა თუ სამუდამო კატორღებში თითქოს ადამიანურმა სიომ დაჰკრა. დროც შეიცვალა და ვითარებაც.

აი, ასეთ დროს რიკტაფელოვმა გაბედა და ჯეგე ხალდანი ჰომუნკულუსში გაგზავნა. შესაშინებლად გაგზავნა, თორემ კარგად იცოდა, ამის ნებას არ მისცემდნენ. შეაგდო შიმშილის საკანში და კარი მიუკეტა. ორ დღეს ვამყოფებ და დაკითხვაზე მერე ამოვიყვანო, ფიქრობდა. ნაკატორღალი ხალდანი უმალ მიხვდება, რომელ საკანშიც შეაგდეს, რატომ შეაგდეს, რას უპირებენ და, პირველსავე ჰომუნკულუსში, პირველსავე დღეს დაფქვავს, დაწერს და ხელსაც მოაწერს, რაც სამსჯავროსთვის უფროსობას სჭირდებაო. ასე ფიქრობდა რიკტაფელოვი და პყრობილი ამიტომ შეაგდო ჰომუნკულუსში. მაგრამ რიკტაფელოვსაც ჰყავდა მტრები, როგორც ყველა მოკვდავს. ზესაგანგებო განყოფილებამ საიდუმლო ბეზღობა გამზადა სასწრაფოდ და გოგში აფრინა. ეს განყოფილება იყო ადლის ფიზიელი თვალი. ადლის ყოველი მუშაკის, თვით გრიგოლო გრიგოლოვის საქმიანობას მუდამწამს ზესაგანგებო განყოფილების დამჭირველები უთვალთვალებდნენ და მცირე „გადახრასაც“ არავის პატიობდნენ. ბეზღობას პირდაპირ გოგში აგზავნიდნენ. მათ ხელფასი, პრემია-დანამატი, ამ ბეზღობების მიხედვით ეძლეოდათ. ბუნებრივია, მცირე ეჭვიც კი ვრცელი ბეზღობის წერილის საფუძველი ხდებოდა. რა თქმა უნდა, ჰომუნკულუსში პატიმრის გაგზავნას, მას შემდეგ, რაც ცირკულარი მოსული იყო, არავინ შეარჩენდა რიკტაფელოვს! მით უფრო, ზესაგანგებო განყოფილებას დოქსოპულოვი, რიკტაფელოვის დაუძინებელი მტერი ხელმძღვანელობდა. დოქსოპულოვის მამაც ვარლამ არავიძესთან ნამუშევარა და მამებიც მტრობდნენ თურმე ერთმანეთს.

გრიგოლოვმა დილით, როცა განყოფილებათა მიერ მოწოდებული ცნობები გადაათვალიერა, რიკტაფელოვის კანონგარეშე ჩადენილი ქმედებანი იქ ამოიკითხა. არ გაჰკვირვებია: რა თქმა უნდა, იცოდა, რომ რიკტაფელოვი ხალდანს ჰომუნკულუსში უკრავდა თავს, იმიტომაც გადააბარა სწორედ ხალდანის საქმე. რახან გახმაურდა. — დოქსოპულოვმა გოგს შეატყობინა, — ახლა უკვე სხვა გზა არ იყო, უკან უნდა დაეხიათ. სასწრაფოდ დაიბარა რიკტაფელოვი, გულისგარეთ დატუქსა, როგორ თუ შინაგანაწესს არღვევო. და ხალდანის ჰომუნკულუსიდან ჩვეულებრივ საკანში გადაყვანა ბრძანა.

გრიგოლოვი ატყობდა, რომ ჭიანურდებოდა ხალდანის საქმე, დამნაშავე დღესაც იმას ამბობდა, რაც პირველ დღეს თქვა საავადმყოფოში. ეგებ არც ღირდა ძიების გაგრძელება. რა უნდა თქმულიყო ისეთი სამსჯავროზე, რაც ადლში, თუნდაც გოგში არ იცოდნენ. მთავგენდამს ერთხელაც რომ მოეკითხა ვარლამ არავიძის საქმე, ხომ დაიღუპებოდა?

სასწრაფოდ შეკრიბა სამეული: გრიგოლოვი, რიკტაფელოვი და ამბა არავიძე, ჩაიკეტა თავის უფროსისკარში და ხალდანს მსჯავრი გამოუტანა.

— სამი წლით თავისუფლების აღკვეთა! — გამოაცხადა მან ლაღად, დაჯერებულად, თვალები უციმციმებდა, ჩანდა, რომ ისეთი რამ მოიფიქრა, უსათუოდ მოეწონებოდა ყველას, დაბალი კაცი იყო თავგადაპრიალებული, დიდი ტუჩებით. ცისფერი, წვრილი თვალები, თითქოს პატარა მრგვალ ფოსოსაკნებში დაუმწყვდევიათ და გაქცევას ლამობენო; შეუჩერებლად მოძრაობდნენ. — ოღონდ პერ-მან-ენ-ტულად!.. — ახა-ხა-ხა!. — კმაყოფილმა გადაიხარხარა, საკუთარი გადწყვეტილება ძალზე მოეწონა.

— ხომ გასაგებია! — პერ-მან-ენ-

ტულად! ძვირფასო აბიავ! ხომ გეცნოთ?.. ცხონებული მამათქვენის ტერმინია, ხომ ასეა?.. პერმანენტტულად, ესე იგი, უსასრულოდ!.. მარადიულად სამი წელი! განა საკვირველი არ არის ასეთი გადაწყვეტილება? ეს ხომ მხოლოდ იმათ შეეძლოთ! ვარლამ არავიძის თაობას!..

გრიგოლოვი მაგიდასთან უკვე აღარ იჯდა, ოთახში წინ და უკან დადიოდა და მიდგმულ მაგიდასთან ერთმანეთის პირდაპირ მსხდარ აბიასა და რიკტაფელოვს შეუჩერებლად მოუთხრობდა თავის გენიალურ მსჯავრზე.

— პირდაპირ უნდა გითხრათ, ძალიან გამიჭირდა მსჯავრის გამოტანა, კანონში საერთოდ არ გვიწერია, თუ მამებს საფლავიდან ამოგვითხრიან და ჭიშკრებთან მოგვიყრიან, სამაგიეროდ რა მივუზღათ. საფლავის შებილწვა ითვალისწინებს ჯარიმას და სამი წლით თავისუფლების აღკვეთას. რა უნდა მექნა? განა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა კმარა ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელისთვის? თვითონ ვარლამ არავიძე დამეხმარა. ა, დიადი საქმენი!..

გრიგოლოვს სამუშაო მაგიდაზე საგანგებოდ ცალკე დაელაგებინა არქივიდან მოტანილი საქმენი, იმ საქმეებს წინ უწყობდა აბიას და თან უხსნიდა:

— თვალდამწვარიშვილებისა... ა, კიდევ ამილახვრებისა, ესეც გორგიჯანიძეებისა... ახლა ოცდაათტომიანი საქმეები დგება, მაშინ სხვა დრო იყო, თითო ტომი საკმაო იყო, თითო ადამიანის მოსასპობად. ამათ, ყველას სამ-სამი წელი ჰქონდათ მისჯილი, ოღონდ პერმან-ენ-ტულად!... როგორც დიდი ვარლამი იტყოდა... ისინი შორეული გადასახლებიდან აღარ დაბრუნებულან, სამს კიდევ სამი მიემატა, კიდევ სამი და ასე შემდეგ, პერმანენტტულად...

აი, სად წერია ეს სიტყვა!..

გრიგოლოვმა ამილახვრების საქმე გადაშალა, წინასწარ მოემზადებინა გვერდიც — აგერ, წაიკითხეთ!..

აბიამაც და რიკტაფელოვმაც თავები ჩაჰყვეს საქმეში, გრიგოლოვი მაგიდასთან გულწრფელად უხსნიდა.

— აქ ყველაფერი ნათელია! — ხელისგული დაადო საქმეს. — მონაკვლევი მასალაც შიგ არის და განაჩენიც, ხოლო საქმეს ბოლო გვერდზე მსხვილი ასოებით აწერია „პერ-მან-ენ-ტულად“. ეს ერთი სიტყვა სამუდამო კატორღას ნიშნავს. წარსულისაგან უნდა ავიღოთ, რაც კარგია, რაც ცუდია, უარვყოთ!.. გრიგოლოვი სამუშაო მაგიდას მიუჯდა და აბიას შეხედა, — უკეთესს ხომ არაფერს შემოგვთავაზებთო.

— ჩვენ, მე და რიკტაფელოვი, ამ აზრზე ვდგავართ! — თქვა გრიგოლოვმა და ჯერ რიკტაფელოვს შეხედა, შემდეგ აბიას.

რიკტაფელოვს პირველად ესმოდა ეს სიტყვები, ჯერ ძიება არც კი დაეწყო და განაჩენი უკვე გამოეტანა გრიგოლოვს.

— დიახ, ჩვენ ერთ აზრზე ვდგავართ... — უტიფრად თქვა და უტიფრადვე მიაჩერდა აბიას. — ხალდანიოცი წელი იყო პატიმრობაში, გამოუსწორებელი ინდივიდია, რა თქმა უნდა, ის არ უნდა გამოვიდეს იზოლატორიდან.

— ახლა სხვა დროა, — ჩაიდუდუნა ნაღვლიანად აბიამ, — მერჩია, კანონიერად მიგესაჯათ...

— კანონიერად! — შესძახა გრიგოლოვმა — რასაკვირველია, კანონიერად ვუსჯით! სხვაგვარად არც შეიძლება, წავიდა ის დრო! ოღონდ პერმანენტტულად!.. დაწერეთ ხალდანის საქმე!.. რამდენი ტომია? — მიუბრუნდა რიკტაფელოვს.

— ჯერ ათია, — მიუგო რიკტაფელოვმა.

— ათივე ტომს — „პერმანენტტულად“ და გადაეცით სამსჯავროს...

ხომ ყველაფერი ნათელია! ხომ არაფერი-განებავთ ჩემგან?.. — ჰკითხა გულითადად აბიას და წამოდგა.

აბიას ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, სწორედ ბევრი რამ არ იყო ნათელი. თუ ერთ მშვენიერ დღეს გრიგოლოვს გა-

დააყენებდნენ, ან სხვა მხარეში გადაიყვანდნენ? მაშინ სიტყვა „პერმანენტულად“ ჰაერში გამოეკიდებოდა. ძველ დროში კი ამ სიტყვას კანონის ძალას ვარლამ არავიძის შიში ანიჭებდა. დღეს ის გაუქმებული იყო. აბიას არ მოსწონდა ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ თვითონაც ვერ ხედავდა უკეთეს გამოსავალს, კანონში მართლაც არ იყო მუხლი, რაც საკადრისად მიუზღავდა ხალდანს.

●

სამსჯავრო ერთ კვირაში გაიმართა. მესჯულეც და მსჯავრმდებელიც აბიას მეგობრები იყვნენ. ერთად სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლებელში გოგში, ერთად ჩამოვიდნენ არავში და მუშაობაც ერთდროულად დაიწყეს. აბია სამსჯავროზე დასწრებას არც აპირებდა, ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილიაო, — დიდი იმედი ჰქონდა. მესჯულე და მსჯავრმდებელი მეგობრები რომც არ ყოფილიყვნენ, აბიას ასეთი დიდი თანამდებობა რომც არ ჰქონოდა, ადლის განაჩენს, რასაკვირველია, სამსჯავრო ვერ გადავიდოდა, ვერ შეცვლიდა.

მაგრამ მოულოდნელი, არავში არ გაგონილი ამბავი დატრიალდა არავიძეთა თავს: დამნაშავემ დამცველი გოგიდან გამოიწერა და მოითხოვა მესჯულეც და მსჯავრმდებელიც სხვა მხარიდან მოიყვანეთ, აქაურები, ყველანი, არავიძეების ყურმოჭრილი მონები არიან, სამართალს ვერ გააჩენენო. მესჯულესა და მსჯავრმდებელს ვინ გამოცვლიდა. დამცველი კი მართლა ჩამოვიდა გოგიდან და სამსჯავროს გარშემო ისეთი მითქმა-მოთქმა ატყდა, ივსიხი ნესტორის ძესაც კი გააგებინეს, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

გოგიდან ჩამოსული დამცველი სამართალს მოითხოვდა. ეს სიახლე იყო არავის ცხოვრებაში. გოგიდან ახალი სიო ჰქროდა, თორემ როდის იყო, სამართალი სამსჯავროზე ვინმეს მოეთხოვა.

ივსიხი ნესტორის ძეს არაფრის თქმა შეეძლო, მმართველობას ჩამოცილებული იყო ავადმყოფობის გამო და მოსულთ აბიასთან აგზავნიდა. აბია გრიგოლოვთან გარბოდა, გრიგოლოვიც დაეჭვებული ჩანდა, ვინაიდან სამსჯავროს პირველსავე სხდომებზე გოგიდან ჩამოსული დამცველი, მოენე, დამჭირველთა აზრით, ძალზე საეჭვოდ იქცეოდა, გამომწვევად ეჭირა თავი.

სამართალწარმოება არავის მხარეს საერთოდ გადავიწყებოდა. სასამართლოები დახურულ კარებში ტარდებოდა ათეული წლობით. სახალხოდ ჯეგე ხალდანის სამსჯავროს გამართვა თითქმის დაუჯერებელიც კი იყო.

პირველი და მეორე სხდომები დამნაშავემ ჩაშალა. ისე, როგორც გამოძიებისას, ვარლამ არავიძის ლანძღვა-გინებით აიკლო ხალხი. მოითხოვდა მტკიცედ, დაბეჯითებით, ვარლამ არავიძის ბილწი ცხოვრების თაობაზე მოეთხრო შეკრებილთათვის. მესჯულე ამის ნებას არ იძლეოდა, მსჯავრდებული არ ემორჩილებოდა და პირდაპირ იწყებდა თხრობას.

მსგავსი რამ არასოდეს გაეგონათ და მოესმინათ სამსჯავროს წევრებს: მესჯულეს, მსჯავრმდებელს, მსაჯულებს, დამცველებს, გაოცებულნი ერთმანეთს შეჰყურებდნენ, რა ვქნათო და, ხშირ-ხშირად თათბირობდნენ ერთმანეთში.

მესჯულემ ჯერ მკაცრ ზომებს მიმართა, თოფიან მცველებს უბრძანა და მსჯავრდებული „დასამშვიდებლად“ რამდენჯერმე გააყვანინა, ბოლოს შეწყვიტა სამსჯავრო სხდომა.

მეორე დღესაც იგივე განმეორდა და მესამე დღესაც. გოგიდან ჩამოსული დამცველი დაბეჯითებით მოითხოვდა დამნაშავეს ეთქვა სათქმელი.

მესჯულემ ჯერ თავის მსაჯულებთან ითათბირა, წესისამებრ, შემდეგ უზენაეს მესჯულესაც მიმართა თხოვნით სამსჯავრო დახურულად ჩაეტარებინათ. უზენაესმა მესჯულემ გრიგოლოვს ჰკითხა, როგორ მოვიქცეთო.

გრიგოლოვიც საგონებელში ჩავარ-

დნილიყო, სასწრაფოდ დაუკავშირდა გოგს და მთავგენდამის თანაშემწეებს რჩევა ჰკითხა, თუ როგორ ემოქმედა. მხოლოდ ამის შემდეგ გაუგზავნა სამსჯავროს საიდუმლო მითითება, სამსჯავრო ჩაატარეთ საჯაროდ, სახალხოდ. ადლის გადაწყვეტილება ძალაში დატოვეთ, ოღონდ სამსჯავრო წესი და რიგიც დაიცავითო; ათქმევინეთ დამნაშავეს, რაცა აქვს სათქმელი, მაგრამ პასუხიც დამაჯერებელი და საქმიანი უნდა იყოსო. გრიგოლოვმა გადაცმული დამჭირველები მიამაგრა სამსჯავროს; სამართალწარმოება უნდა ჩატარებულიყო ვითომ წესების დაცვით, უნდა შექმნილიყო ცრუ სამართლიანობის აბრაბაკადაბრა. მსჯავრი მაინც ის უნდა დაედოთ დამნაშავისათვის, რაც ადლმა გამოუტანა.

პირველი დღიდან, როცა სამსჯავროზე საბრალდებო დასკვნა წაიკითხეს და ხალდანს ჰკითხეს, თავს დამნაშავედ ცნობ თუ არაო, თავი დამნაშავედ არ სცნო, მართალია, ვარლამ არავიძე სამჯერ ამოვთხარე საფლავიდან, მაგრამ დამნაშავე მაინც არა ვარო. პირიქით შეუდგა იმის მტკიცებას, რომ აღსარულა უმძიმესი მოვალეობა, ჰქმნა წმინდა საქმე — პირველმა გააღვიძა სამართლიანობა, შურისგებით შეძლო ადამიანური ღირსების აღდგენა.

როცა ვარლამ არავიძის, როგორც ნამდვილი დამნაშავის, ბოროტმოქმედის, მკვლელისა და მძარცველის საქმიანობის აღწერას შეუდგა, ყალაზე დადგა სამსჯავრო, — ვარლამ არავიძის ცხოვრების აღწერას ამას ვინ ჰკითხავსო. მესჯულემ ზარის წკრიალით შეაწყვეტინა სიტყვა და გონებამახვილური შეკითხვით ატაცებული ბრალდებული სამსჯავრო საქმეთ დაუბრუნა.

— მოითმინეთ! — შესძახა მან ხალდანს. — გამოძიებისას თქვენ აღიარეთ დანაშაული, ახლა ცვლით, ესე იგი, არ აღიარებთ?

—არ ვაღიარებ, — მშვიდად მიუგო დამნაშავემ, დროებით უკან დაიხია.

— პირველ დღესვე, როცა დაჭრილი საავადმყოფოში მიგიყვანეს, თქვენ აღიარეთ დანაშაული, მას შემდეგ თქვენ ორჯერ დაგკითხეს და ორივეჯერ აღიარეთ. დღეს უარყოფთ. როგორ გავიგოთ ეს, უნდა განუმარტოთ სამსჯავროს.

— ვისწრაფოდი დამეჩქარებინა გამოძიება, სამსჯავრო დროზე შემდგარიყო. დღევანდელ დღისკენ მოვილტვოდი, ხალხის წინაშე წარსდგომა მწყუროდა, — მიუგო წარბშეუხრელად ხალდანმა.

— აჰა, მაშასადამე, თქვენ წინასწარგანზრახულად აღიარეთ დანაშაული, თუმც სინამდვილეში დამნაშავე არ ყოფილხართ.

— ასეა!.. — ხელები გაშალა ხალდანმა.

— მაშ, ვინ ამოთხარა სამჯერ მიცვალებული საფლავიდან?!

— საფლავიდან მე ამოვთხარე, მაგრამ დამნაშავე არა ვარ, დამნაშავე მიცვალებულია.

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. ჯეგე ხალდანმა დარბაზს შეავლო თვალი, ხალხით იყო სავსე, ფეხზეც ბლომად იდგნენ, ღია ფანჯრებზე, ღია კარში მოჯარულიყვნენ და ცნობისწადილით აღძრულნი მისჩერებოდნენ პატიმარს, რომელსაც ორი თოფიანი კაცი ედგა დარაჯად.

მესჯულემ უმალ ააწკრიალა ზარი და ახმაურებული დარბაზი გააჩუმა. ხალდანის მზერას არც აბია და ცისმარე გამორჩენია, რომლებიც პირველ რიგში, მათთვის განკუთვნილ ადგილებზე, ისხდნენ. ამჯერად უკვე მოსულიყვნენ. ვინაიდან სამსჯავრო მართლა ისე უნდა ჩატარებულიყო, როგორც სხვა ქვეყნებში ტარდებოდა სასამართლოები.

ხალდანმა თანგულიაც მოძებნა კარებში მოჯარულ ყმაწვილთა შორის და უცებ დაჭრილი მკლავი გაახსენდა, თითქოს აეწვა, ატკივდა. შებანდული მკლავი კისერზე რომ ეკიდა, თანგულიას დანახვისთანავე რატომღაც შეარხია და მესჯულეს მიუბრუნდა.

— ბატონო მოსამართლევ, ტყუილუ-

ბრალოდ მრისხანეთ და ტყუილუბრალოდ ბობოქრობთ, ზეპირად ვიცი კოდექსი: სასამართლო სამი წლით პატიმრობას ითვალისწინებს. სამ წელზე მეტს ვერ მომისჯით, გამოვალ ციხიდან და ამოვთხრი... უეჭველად ამოვთხრი! ვარლამ არავიძეს მიწაში არ გავაჩერებ. — განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება!..

— ბრალდებულო ხალდანო! — მაგიდას დაჰკრა მუშტი მესჯულემ და წამოხტა, — აჩოჩქოლებულ დარბაზს აკივლა. მაგრამ იმავე დარბაზის დაშოშმინებასაც უმალ მიჰყო ხელი ზარის გამუდმებული წკრიალით.

— შეგწყვეტ სამსჯავრო სხდომას. იცოდეთ! მიგაბრძანებთ სადაც საჭიროა!.. — თვალებით ცეცხლი მიაყარა პატიმარს.

— ამით არაფერი შეიცვლება! — მიაგება ხალდანმა იმავე ცეცხლით.

დარბაზმა კვლავ ამოიკვნესა, ამოიხრიალა რაღაც სიტყვები, მესჯულემ უმატა ზარის რეკვას.

— თვითონ უნდა ამოთხაროს აბია არავიძემ მამის გვამი და ყორნისხევში ყორნებს მიუგდოს საჭიჯგნად! თუ არა და, მე ამოვთხრი! უსათუოდ ამოვთხრი, გამოვალ ციხიდან და ამოვთხრი!

— ბრალდებულო ხალდანო! ბრალდებულო ხალდანო! — აუვირდა მესჯულე. — უკანასკნელად გაფრთხილებთ, ილაპარაკეთ საქმეზე! სხვათა ბრალდებას და განაჩენის გამოტანას თავი გაანებეთ! ბრალდებული თქვენა ხართ და განაჩენი ჩვენ უნდა გამოგიტანოთ!..

— პატივცემულო, მოსამართლე, მე უნდა ამოვთხარო ვარლამ არავიძე საფლავიდან. მანამ, სანამ მას თქვენ მარხავთ მიწაში ასჯერ რომ დამარხოთ, ასჯერ უნდა ამოვთხარო! განა ადვილია მიცვალებული საფლავიდან ამოიღო?! ამოუთხრია ვინმეს ჯერ? არა. ბედმა მე მარგუნა ეს სიავე! მაშასადამე, ეს განაჩენი უფრო დიდი განაჩენია, ვიდრე მე თქვენ გამომიტანთ!

დარბაზი კვლავ ახმაურდა. გაისმა შეძახილები, აბიას საამებლად, აბიას დასანახად პატიმარს ლანძღავდნენ და ადგილებიდან მუშტებს უქნევდნენ.

„შეუძლებელია აქ ყოფნა...“ — უჩურჩულა აბიამ ცისმარეს, წამოდგა, ცოლი წინ წაიძღვარა და აღშფოთებულმა დატოვა სამსჯავრო. კარებში მოჯარულ ხალხში თანგულიას დაუწყო ძებნა. იცოდა, რომ სადღაც აქ იყო და ვერ პოულობდა. თანგულიამ როგორც კი თვალი მოკარა, მაძა წამოდგა, ხალხს შეერია და დაემალა. არ უნდოდა შინ წასვლა. სკოლიდან ამხანაგებთან ერთად წამოსულიყო, ვერ მიატოვებდა მათ.

მესჯულე აბიას წასვლამ უფრო ააფორიაქა. მსჯავრმდებელს გადახედა, რა, ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. ასეთ დროს მესჯულეს უნდა გამოეცხადებინა: სამსჯავრო სათათბიროდ გადისო, მაგრამ სანამდე უნდა ეთათბირათ ერთსა და იმავე თემაზე?.. სჯობდა სამსჯავროს გაგრძელება, გაჭიანურებისათვის ცალკე მოსთხოვდნენ პასუხს.

— ბრალდებულო ხალდანო! — უთხრა მან პატიმარს უკვე თხოვნის კილოთი, — რაც გინდათ, თქვით, ოღონდ უშუალოდ თქვენს დანაშაულზე და ამ დანაშაულის გამომწვევ მიზეზზე...

— ვარლამ არავიძეზე! — მიზეზი ვარლამ არავიძეა! — შეაწყვეტინა ხალდანმა მესჯულეს.

— კი, ბატონო, ილაპარაკეთ ვარლამ არავიძეზე, როგორც თქვენი დანაშაულის გამომწვევ მიზეზზე და არა საერთოდ ვარლამ არავიძეზე.

თანგულია ბიჭებში გმირივით იდგა, თვითონ არაფერს ამბობდა, მისი მეგობრები კი ხალდანს შორიდან შეძახილებით, გინებითა და მუქარით იკლებდნენ. მესჯულემ შეამჩნია ყმაწვილების მეტისმეტი ხმაურობა და წესრიგისაკენ ახლა მათ მოუწოდა.

— დაკხურავ მაგ კარებს, იცოდეთ! — ბიჭები კართან იყვნენ მოჯარულნი, და იქიდან ემუქრებოდნენ ხალდანს, ამით თანგულიას თანაუგრძნობდნენ.

— ხმა არ გავიგონო თქვენი, თორემ გაგიყვანთ სამსჯავროს შენობიდან!

როგორც იქნა, დაშიშმინდნენ, დაწყნარდნენ, სიჩუმე ჩამოვარდა სამსჯავრო სხდომაზე და ბრალდებული შეუდგა ხალდანის მთელი საგვარეულოს ამოწყვეტის ისტორიის თხრობას. სამსაჯავროთ და დარბაზში მსხდომმა არაველებმაც, რა თქმა უნდა, უკვე იცოდნენ, თუ ვინ იყო ჯეგე ხალდანი, ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, თუ როგორ დაღუპა ვარლამ არავიძემ ახალგაზრდა სანდრო და ია ხალდანების ოჯახი, როგორ აქცია დამნაშავედ მათი შვილი, ყრმა ჯეგე ხალდანი, როგორ დაიკარგნენ უგზო-უკვლოდ სხვა ხალდანები — სანდროს ბიძაშვილ-მამიდაშვილები. ეს ამბავი ყურმოკვრით ადრეც გაეგონათ, ზოგი აქ დამსწრეთაგანი მოწმეც და მონაწილეც კი იყო ხალდანთა განადგურებისა, მაგრამ ათი წელიწადი კატორღაში, ათი წელიწადი ტყეში მცხოვრებ ტყისკაცის ნაამბობს სხვა ძალა და ფერი გააჩნდა, სხვა ძალმოსილება ახლდა. ჯეგე ხალდანი ჰყვებოდა დინჯად, მშვიდად, ჩანაწერებიც კი წამოეღო, სადაც ხანდახან ჩაიხედავდა ხოლმე და საუბარს ასე განაგრძობდა, როგორც ქადაგი. მთელი თვე იდგა და ლაპარაკობდა, ხანდახან იდაყვით დაეყრდნობოდა ზღუდეს, რომელიც პატიმრის სამწყვდევს სამსჯავროსაგან გამოჰყოფდა. როცა ვინმე შეაჩერებდა, ვინმე გაიფრთხილებდა, ვინმე შეკითხვას მისცემდა, მაშინ ჩამოდებდა მკლავს ზღუდეზე, წამით ისვენებდა. დანარჩენ დროს ზურგს უკან ხელებდაწყობილი იდგა და ჰყეფდა. ბორკილები არ ედო, ხალხის დასანახად, როცა სამსჯავროში შემოჰყავდათ, მაშინ შეხსნიდნენ ხოლმე ბორკილებს. მაგრამ მაინც ზურგს უკან ეწყო ხელები.

ხან მსჯავრმდებელი შეაჩერებდა და ჰკუის სწავლებას დაუწყებდა, ხან მესჯულე მოუწოდებდა წესრიგისაკენ. ის მაინც განაგრძობდა ვარლამ არავიძის ბნელ საქმეთა მხილებას. ხალხმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ სახალხოდ, საჯაროდ ამის მოსმენა, არავიძის სიავეთა მთლად მზის სინათლეზე გამოტანა სიამოვნებას ჰგვრიდათ. ყოველ დღე მატულობდა სამსჯავროზე დამსწრეთა რიცხვი. ერთმანეთს ჩუმად უამბობდნენ საკვირველი შურისმაძიებლის ამბავს და მის სანახავად სხვა ქალაქებიდან, შორეული სოფლებიდანაც კი ჩამოდიოდნენ.

სამსჯავრო სხდომისთვის განკუთვნილი დრო რომ ამოიწურებოდა, პატიმარი კვლავ ადლის იზოლატორში მიჰყავდათ. იქაც, საკანშიც, ვერ იწყნარებდა აბობოქრებულ სულს და მეორე დღისთვის ემზადებოდა.

დილით კვლავ მიჰყავდათ სამსჯავროზე, კვლავ ამცნობდა ხალხს ვარლამ არავიძის ტირანულ საქმეებს.

●

ხალებიანი, ჯაგარა, ქეჩოაყრილი აფთარი არავს და არავიძეთს მხოლოდ ერთხელ ენახა, მხოლოდ ერთხელ ჩამოხეტებულიყო საიდანღაც, მხარის უხუცესნი აფთრის „დაცემას“ დღესაც შიშითა და ზიზღით იგონებენ.

თურმე ერთ ქარიან და წვიმიან დღეს, საღამო ხანს, გაუგონიათ საზარელი ყმუილი. მონადირეებს უცვნიათ ხმა. ბიჭებო, ეს აფთრის ყმუილიაო...

ისეთი წვიმიანი დღე ყოფილა, ისე ჩამოქუფრული და დალამებული უეცრად, თითქოს ცის სასწაული უნდა მოხდესო. მართლაც მომხდარა ეს სასწაული. არავის ჭალაში აფთარი მოვარდნილა. ზედმომდგარი ტყიდან გამოსულა ჯაგარაშლილი, ხალებიანი, ხან ღვარად ჩამოდენილ წვიმას ყნოსავს ჰაერში თურმე, ხან სველ მიწას უსინჯავს გეშს და პირდაპირ მიდის იმ ადგილსაკენ, სადაც ახლად დამარხული მკვდარი ეგულება. მოვარდა ცოფიანივით, ჩამოუარა, დასუნა ნაყარი მიწა, თითქოს შეამოწმა, მკვდარი მართლა აქ მარხია თუ არაო. დაიწყო თხრა გრძელი, ღონიერი წინა თათებით, თხრის და ყმუის, დუჟი ჩამოსდის ლაშებიდან...

ეს ამბავი უნახავს სოფლისაკენ მომავალ მწყემსს, მთებიდან, დღევანდელი

ნაკრძალის ზონა რომ არის, იქიდან მონავალა, უბელო ცხენზე მჯდარა, არც თოფი, არც სხვა რამ იარაღი, ჯაყვაც კი არ ჰქონია ჯიბეში. სოფელში მწყემსებს გამოუგზავნიათ სანოვაგისა და თბილი სამოსის წამოსაღებად. არავის ჭალაში რომ ჩამოუვლია, აფთრის ყმუილს ის დაუფეთებია ცხენი, კინაღამ ჩამოუგდია. მშვიდი, წყნარი, მთაში მავალი მუშა ცხენი გაეშებულა, ვერაფრით დაუურვებია და თრიხინ-თრიხინით ჩასულა არავიძეთამდე. საკვირველი ამბავი — აფთარი არავის ჭალაში რაღაცას საეჭვოდ თხრისო, სოფლისთვის უცნობებია: მართალია, ცხენი დამიფეთდა, მაგრამ მოვასწარი და თვალი ვკიდე. ნამდვილად აფთარი იყო, ნამდვილად ადამიანის გვამს დაეძებდა მიწაში.

იმ მწყემსსაც და სოფელსაც ეჭვად სცოდნიათ, რომ არავის იზოლატორებიდან იქ ჩამოჰყავდათ სიკვდილმისჯილნი, თვითონ ათხრევინებდნენ თავიანთ საფლავებს, ხოცავდნენ და ერთ ორმოში ერთად ჰყრიდნენ გვამებს.

დაძრულან ჭალისაკენ; ვისაც თოფი ჰქონია, თოფი წამოუღია, ვისაც დამბაჩა ჰქონია, დამბაჩა წამოუღია, კომბალი ჰქონია, კომბლისთვის დაუვლია ხელი.

ნამდვილი მონადირენი და მეთოფენი წინ გაუშვიათ. ისინი ტყის პირებზე ჩასაფრებულან. აფთარი ტყისკენ გაიქცევა და გასაქცევი გზა უნდა მოვუჭრათო. უთოფონი ყიჟინით, ქვის სროლითა და შეძახილებით შესევიან ჭალას — ტყისკენ უნდა გამოაფრთხონ მხეცი და იქ ტყვიას დაახლიან.

წვიმს თურმე წვიმს, ცა ფეხად ჩამოდის, თან საღამოს ბინდბუნდია. აფთარი მიწაში ჩასულა, მთელი ტანით შიგ ჩამალულა, ხანდახან გამოუჩნდება ხალებიანი ზურგი, თითქოს ერთი ადგილიდან მეორისაკენ გადადის, თან თხრის, თან რაღაცას დაეძებს. არც ხალხის ყიჟინა ესმის, ქვების ხათქა-ხუთქსაც არად თვლის და ქვევით-ქვევით ჩადის... თხრის გამალებით, შეუჩერებლად, შეუსვენებლად და ქაფი გადმოდის ტუჩ-პირიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე მთლად ახლოს მივიდნენ, მხეცს თავზე წაადგნენ, შემოჯარნენ... თვალწინ საზარელი სანახაობა გადეშალათ: ნათხარ მიწიდან უკვე მოჩანს ადამიანთა გვამები; ფეხსაცმლის ჭვინტი, ხელის მტევანი... დუჟმორეული აფთარი ერთი გვამიდან მეორეზე გადადის... სიფრთხილისა და შიშის გრძნობა დაჰკარგვია, სმენაც წართმევია, ცეცხლივით ანთებულ თვალებს აბრიალებს, მაგრამ იმ თვალებს თვალის ჩინი აღარა აქვთ. აფთრულ ვნებას — ამოთხაროს გვამი და შესანსლოს, ლეშით კუჭი ამოიყოროს, სხვა ყველა ვნება და გრძნობა გაუქვრია, დაუბრმავებია, დაუყრუებია მხეცი.

შეჩოჩქოლდა, შედრკა თურმე ამის დამნახავი სოფელი, ქვებს, კომბლებს, ჯოხებს, რაც ხელში მოხვდებათ, ყველაფერს ესვრიან, არ ამოდის ორმოსამარიდან აფთარი. ზედ მივარდნას და კომბლის ჩაცხებასაც ვერ ბედავენ.

— თოფი! თოფი მოიტანეთ! მხეცი არ ამოდის საფლავიდან!.. — გასძახეს თურმე ტყის პირას ჩასაფრებულ თოფიანებს.

აი, ამ დროს სწორედ, ამოჭრილა მისსავე ნათხარ საფლავიდან და ცეცხლოვანი თვალებით შიშის ელდით მოუნუსხავს, ამოდენა ხალხი. გაუქვავებია ადგილზე. ვერც კომბლის მოქნევა მოუსწრია ვინმეს, ვერც თოფის გასროლა, როგორც თევზი წყალშ., გამსხლტარა ადამიანთა ფეხებს შორის, და ტყისთვის მიუცია თავი. ხალხს დახსომებია და ჩარჩენია აფთრის ცეცხლოვანი თვალები, მოკლე კუდი, სხვა არაფერი. ელვასავით გამქრალა მათ თვალწინ. მერე აუტეხიათ სროლაც და კომბლების ქნევით მერე გამოსდგომიან უკან.

— ხალხო! გონს მოდით. — დაუქუხია ვიღაცას ხალხიდან, — რა დროს აფთარია. — დავიღუპეთ!.. გაბრუნდით უკან, გვამებს მიწა მიაყარეთ და ვი-

თომ არაფერი გინახავთ, ხმა ჩაიკმინდეთ!..

მართლაც უცებ მოსულან გონზე, გაქვავებულან, გაშეშებულან ადგილზე. ვარლამ არავიძე ხვალ ყველას შეგვიპყრობს იზოლატორის ზონაში შესვლისათვისო, — დაუწყიათ ჩურჩული. რა გინდოდათ აკრძალულ ზონაში, რა მავნებლურ საქმიანობას ეწეოდითო, — ჩაჭრიათ შიში.

არავის ჭალა ქალაქს რომ ეკრა, ვარლამ არავიძეს იზოლატორის ზონად ექცია. იქ არ შეიძლებოდა რაიმე საქმიანობა, გასეირნებაც კი, თუ რატომ ეკრძალებოდა ხალხს ჭალაში სიარული, არავინ იცოდა, არც არავინ კითხულობდა მიზეზს.

ჯალათები ადლის ჯურღმულებიდან მიწისქვეშა გვირაბებით ამ ჭალაში გამოიყვანდნენ პყრობილთ, ვითომ შორეულ გადასახლებაში წასაყვანად და გაქცევის მცდელობისათვის იქვე ხოცავდნენ.

ხან გაქცევის მცდელობისათვის დაახლიდნენ ზურგში ტყვიას, ხანაც ვითომ ვიღაცა ესხმოდათ თავს და ამიტომ უნდა დაეხოცათ პატიმრები. ხანაც ნამდვილი სიკვდილმისჯილი ჩამოჰყავდათ დასახვრეტად.

საზარელი სასაფლაო აფთარმა ამხილა.

თურმე არავის იზოლატორების მუშაკები პატიმრების ჭირისუფლებს ატყუებდნენ — საგანგებო არმანებში მოჯარულთ ერთ პასუხს აძლევდნენ: გაგზავნილია შორეულ ბანაკში. სინამდვილეში კი იქვე, იზოლატორის უკან, ჭალაში ემარხნენ, ორმოებში ჭერეხივით ჩაყრილნი, ძაღლებივით ჩახოცილნი. საჭალათო ადგილისათვის აფთარს აუხდია ფარდა, აფთარს უჩვენებია ადამიანთათვის, მათ მიერ ჩადენილი მხეცური საქციელი. ამიტომ ეს ერთადერთი შემთხვევა არავის მხარეში აფთრის გამოჩენისა, ხალხს დიდხანს ხსომებია. შემდეგ, ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში, ყველაფერი დავიწყებას ეძლევა და აფთარიც და მისი საზარელი ქმედებაც არავის მხარის მკვიდრთ ამოუღიათ მეხსიერებათა სკივრიდან.

დრო თავისი გზით წადენილა. „აფთარი“ ვარლამ არავიძისთვის შეურქმევიათ. მიუმსგავსებიათ აფთრისათვის. თურმე აფთარივით დადიოდა. მიხვრა-მოხვრა, მოძრაობა, სიარული ჰქონია აფთრისა. ხალხი გუმანით მიმხვდარა და მეტსახელიც შესაფერი შეურჩევიათ, — აფთარი.

შემდეგში, როცა ვარლამ არავიძე შესდგომია ნამდვილ აფთრულ საქმეთ, ეს სიტყვა ხალხის ენის წვერზე დატრიალებულა: „აფთარი მოდის...“ „აფთარი მიდის...“ „აფთარი სიტყვას ამბობს...“ „აფთარმა ასე თქვა...“ ეს ამბავი, ბუნებრივია, ვარლამ არავიძის ყურამდეც მისულა. ყველა, ვისაც ოდესმე წამოსცდენია სიტყვა „აფთარი“, შეუპყრია და ციხეში ჩაუყრია, გამოუკვლევია, გამოუძიებია, სად ითქვა, ვინ თქვა პირველად სიტყვა „აფთარი“. მოუხვეტია, მოუქუჩებია ყველა ერთად „აფთრის“ მთქმელნი და სამუდამო კატორღაში გაუგზავნია. არამც თუ არავის მხარეში, საერთოდ აუკრძალია სიტყვა „აფთრის“ ხმარება, ლექსიკონებიდანაც კი ამოუღიათ.

ამის შემდეგ ვინ გაბედავდა „აფთარის“ წარმოთქმას არავის მხარეში. ერთხელ და სამუდამოდ დაუვიწყნიათ.

მაგრამ „აფთარს“ თურმე გაჭრობა მაინც არ ეწერა. როცა ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელი პირველ დღეს სამსჯავროზე მოუყვანიათ, მაშინ ვიღაცას ხალხში თავისთვის ჩაუბუტბუტებია — აფთარი! იქვე ახლოს მდგომთ მოსწონებიათ სიტყვა და აუტაცნიათ: „აფთარი! აფთარი!“ უკან დაუდევნებიათ დამნაშავისათვის. „აფთარი“ კვლავ მკვდრეთით აღმდგარა, კვლავ თავის საქმეს შესდგომია ადამიანთა შორის.

პირველი ნაწილის დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალხაზ მაჭავარიანი

ატმის რტოო...

მეც ვარდისფერი სისხლი მაქვს,
ალბათ,
ისე განვიცდი შენს ყვავილობას.
მარტის ქარბუქი დაიდე ბამბად,
რომ მოგიშუშდეს ყველა ჭრილობა...

და სიყვარულით გამიღე ზეცა —
საალმსარებლოს ლურჯი კარები.
ცრემლის დუმილი მზეს გადაეცი,
როგორც ტკივილის დანაბარები.

●

მთვარე — ეული ბაბუაწვერა,
ჩემს ყვავილებზე ოცნებობს დღისით.
ღამით ვარსკვლავთა ტახტზე დაწვება
ნათელი ფრთების ანაბასისით.
და ფრთებგაშლილი დაესიზმრება

მზის ფავორიტებს —
უნაზეს ტიტებს.
ამ სიყვარულში ის გაიზრდება,
ვინც ხელისგულზე სამყაროს იტევს...

●

საკუთარ სახეს დავეძებდი
სახეთა ტყეში,
ბოლოს ვიპოვე —
ხელთ მიჭირავს მე თავის ქალა.
ჩემი შვილები,
ვარსკვლავებად შობილნი მზეში,
ალბათ, ფიქრობენ —
მათი მამა რომ შეიშალა...

ასეა, ჩემო საყვარლებო:
ძიების გზაზე,
თვითონ მიხვდებით —
არვინ არის აქ სახიერი...
იმედის კვირტი დაამყენით პოეზიაზე,—
სიტყვის ყვავილში შემოქმედის ელავს
იერი.

●

შენ ის დაგცილდა, რაც შეიცანი,
რაზეც მრავალი ღამე ათიე.
მიუღწეველი ერთ დროს მიზანი
შენში სიტყვების ცეცხლად ანთია:

ქვეყნად არ არის არც გულისსწორი,
არც არაფერი არის უქრობი,
და მიაბიჯებ მანქანებს შორის
განძარცვული და გამოუცნობი.

გამოლვიძება

გამომეღვიძა დასიზმრებულ სიკვდილის
შემდეგ, —
სამარადისოდ გავიღვიძებ, როცა
მოვკვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმენა

შენ რომ სიკვდილის შიში დაგეთრგუნა,
ედემს და სამოთხეს იმიტომ
სახავდი...
მერე გულდაგულ მისდევდი გუთანს,
აღარ გაშინებდა ომი და სახადი...
ბრძოლებში ფარს უკან მამული
გეგულა —
(დიდი ოჯახი და ლეჩაქი დედის...)
იმიტომ მოიგე დიდგორი დიდგულად
და გქონდა იმედი კეთილი ბედის...
წაგებულ ომებშიც პირჯვარს ისახავდი,
მიწა-წყალს სწირავდი სამას გმირს
ზვარაკად...
არც ქვრივ-ობლები გრჩებოდა
მისახედი,
ჩონგურზეც მღეროდი ვეფხ-მოყმის
ბალადას...
დრო-ჟამმა გმირული წარსული
დაბინდა,
ატომის მეფობის ჩამოდგა ხანი...
გრძელდება ჭიდილი პაპათა პაპიდან,
ღმერთის და სატანის, დღისა და
ღამის...

ზვილს

ანბანს გინათებს ლურჯი ია და
ოცდაკამეტი თაფლის სანთელი...
ეს დედა ენა ზეცის მადლია,
სიტკბო-სიმწარის აღმოსათქმელი...
გასწავლის მარტომ როგორ იომო,
როცა გაარჩევ კეთილს და ბოროტს...
თუკი იცხოვრებ ქვეყნად იოლად,
სიმართლისათვის აღარა ომობ...
უნდა იბრძოლო სამშობლოს მტერთან,
არ შეუშინდე მოჯარულ დარდებს,
რადგან სიცოცხლეს ბევრი ეტვირთა,
მიწა რომ მიწას მიწად ჩაბარდეს...
წარსული ჩვენი გალავანია,
პაპის-პაპების ძვლებით ნაგები
და მომავალში შენც გავალია,
დაიცვა გმირთა სარკოფაგები...
შეგეშინდება ზოგჯერ დაცემის,
ხანაც სიმაღლის შეგაკრთობს შიში...
წმინდა ხარ, როგორც ხორბლის
მარცვალი,
ივერიელთა ერთგული ჯიშის...
და როცა ბოლო ასოს ისწავლი,
როცა შეიგრძნობ სულის სიმძიმეს,
დაიმახსოვრე კარგად ის წამი,
მერე კი მშვიდად ვეღარ იძინებ...

●

გატაცებები გქონდა უთვლელი
და მიიწევდა გული ყველასკენ
და როგორც ლექსი გამოუთქმელი,
(რომლის ჩაწერას უკვე ვერ ასწრებ,)
გავიწყდებოდა საოცრად მალე
ლაჟვარდისფერი ნატვრა-სურვილი...
და ოცნებებში შეყუჟულ ქალებს
ჰქონდათ სხეული ოქროცურვილი...
შეცბუნებული იმახსოვრებდი,
შენთვის უცხო და უცნობ კანონებს...
ბევრი ცოცხლობდა მშვიდი
ცხოვრებით,
ოცდაათ ვერცხლად რთავდნენ
სალონებს...
შენ ბობოქრობდი და წვავდი ლექსებს,
რომლებშიც ყალბი ტონი ერია
და შემოდგომის მზე, მოალერსე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ქორწილში შენი ფერია...
თოვლი კი მხოლოდ თეთრად ხატავდა,
(ანდა დახატულს ლამაზად შლიდა,)
გულის გულამდე ყინვა ატანდა,
ვეღარ ელოდი გაზაფხულს მშვიდად...

ელოდე! ლოდინს სულ სხვა ფასი აქვს
და შეხვედრების სიხარულს არ ჰგავს!...
ის ოცნებები რა ძვირფასია,
იმ შეხვედრების შემდეგ რომ
ვკარგავთ...

დედის ხსოვნას

„შენ გენაცვალოსო შვილო, დედა,
დედის ძუძუები სულ მუდამ
გლოცავენ...“
დღეს ბებერ საყდარზე მტრედები
სხედან,
ჩემი მწუხარების უწმინდეს მოწამედ...
ზამთარს შეჭირხლული სახე დაებზარა,
(უდედოდ გაზაფხულს პირველად
შევხვდები...)
ჯერ თოვლს ატრიალებს ქარი —
აბეზარი,
წელში იხრებიან სიცივით ვერხვები...

ჯერ ისევ შენს საფლავს მიხაკი აყრია,
ჯერ კიდევ თბილია გული —
საფიცარი...
დიდი ტკივილებით სხეული დაგღლია,
თუმც სულის სიმშვიდე ბოლომდე
დაიცავი...
თედორეს საყდარზე მტრედები სხედან.
მხოლოდ ერთს აკლია ნაპირზე
მოცალე...
„შენ გენაცვალოსო შვილო, დედა,
დედის ძუძუები სულ მუდამ
გლოცავენ...“

●

შენ მეოცნებე გოგო იყავი,
იმ ზღაპრებისა გჯეროდა დიდხანს:
რომ მარცხდებოდნენ მუდამ ბრიყვები
და უფლისწული — დევების რისხვა,
იყო კეთილი და მომხიბლავი,
შენ კი მძინარე მზეთუნახავი...
მაგრამ სხვა იყო შენი იღბალი,
მაგრამ ცა იყო უფრო მაღალი,

ვიდრე ხედავდი, (ანდა გეგონა).
და დღეს დარდებით გული გევსება...
ვეღარ პოულობ ერთგულ მეგობარს,
ვეღარ გიშველა ცრემლმა, ლექსებმა...
და მონაზვნური სიწმინდის სასწორს,
სიბერისაკენ დაზნექენ წლები
და ყოველ ღამე, რომ იშლი საწოლს,
საკუთარ თავთან საომრად წვები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ორშიმოსავით გაყვითლდნენ მთები,
მთებს შეჰფენია ნისლი ცხვარივით,
ჯირკვი იწვის და ბუხართან ვთბები,
გატკბა ბუხარი და პურ-მარილიც.

კრუტუნებს კატა და ნერწყვსა
ყლაპავს,
თითქოს მაჭარი უნდა დალიოს,

ძარღვიან ხელით თუთუნს სრესს პაპა
და ტენის თავის გრძელ, შავ ყალიონს.

ნოემბრის წვიმით გალუმპულები
ხმელი ფოთლები მოაქვს ნიაღვარს,
და დატკვარცული ნაზი ტურფები,
გადაშლილ ატმის კვირტებს მიაგავს...

●

მე ის წამართვეს, რასაც ველოდი,
და შორს გასცურეს მტკვარზე ტივებმა.
მართალ კაცს ლამაზ საქართველოში
სიხარულზედაც კი ეტირება.

რასაც ვეძებდი, ვერ მივაგენი,
ჯავრმა გამაპო, გადამიტანა...
ქვაზე შემეხეთ თქვენი ბაგენით,
ჩამომჩურჩულეთ, ვის თვლით
წმინდანად...

ამ სერზე

ამ სერზე, — მაღალ მწვანე მდელოზე,
ერთ დროს მუხის ქვეშ ისხდნენ,
მღეროდნენ.
მახსოვს, მსჯელობდნენ,
მახსოვს, ელოდნენ,
ამ სერზე, —
მაღალ მწვანე მდელოზე.

ჩვენც აქ ვიყავით ჩამუხლულები
და ბუბუნებდნენ ქარში მუხები.
რა შეიცვალა? ისევ მსჯელობენ
ამ სერზე, —
მაღალ მწვანე მდელოზე,
აღარ მღერიან, რასაც მღეროდნენ...
და აღარც ჩანან ძველი მუხები...

ბედის კამათლები

რა არის ამა, რაც ვიბრძოლე, რაც
ვიკამათე,
ისევ ვაგორებ ბედისწერის ყვითელ
კამათლებს.
უკვე დავეშვი წუთისოფლის უნდობ
დაღმართზე.

რას ვტოვებ უკან, ღმერთო ჩემო ნუთუ
არაფერს...
ნუთუ არაფერს? მე ეს ეჭვი მკლავს
და მადარდებს,
ისევ ვაგორებ ბედისწერის ყვითელ
კამათლებს...

●

რამდენს გავუყო ეს გული, რამდენს
ადამიანის ხვედრი მრგებია,
თუ სიყვარული შევძელი ადრე,
გული მტკივა, რომ გამიგეს გვიან.

რითი ვუშველო იმ ტუსაღ ვარდებს,
მუდამ ნატრობენ გრილ ცვარს და
ნიავს,
სურნელისათვის მოწყვიტეს ადრე,
რომ მერე ჭკნობა ეწვიოთ გვიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის დილა

მთების კალთებზე დილა დაფრინდა,
ცაზე გამოჩნდა ოქრო ღილი მზის
და ვერხვის ლურჯი თოთო ფოთლიდან,
თავს მიქნევს თითქოს ჩემი თბილისი.

ნარიყალასთან გრილი ნიავი,
დირიჟორობდა ისევ ბეღურებს,
ლამაზი ქალი კაბის შრიალით
ბალახში ტოვებს ნაზ ნაფეხურებს...

ომარ ხაიამი

მიწვდი ვარსკვლავს ცაში სპარსულ
სისხლის რაშით,
რა ძნელია, დროს რომ ვარსკვლავივით
შერჩე,
ცხელ ჩაიზე ჩრდილში აბოლებდნენ
ჰაშიშს,
რუხი ფერი ედო მოლებსა და მეჩეთს.

შორს კვნესოდა სადღაც აზიური თარი,
ნამთვრალებზე პირში არ ჩაგიდევს
ხემსი,
დაეძებდი ნაილს ბინდგადაკრულ
თვალით
და ჩიტივით მაღლა მიფრინავდა ლექსი.
და ხელახლა ღვინით ივსებოდა თასი,

ღვინოსავით ლექსიც ფსკერზე ტოვებს
ლაქებს,
მოარღვევდა შარას ყელგამშრალი
სპარსი,
წყალს კუზიდან წოვდა დაოსებულ
აქლემს.

შადრევანში კალმახს მიაგავდა რითმა,
ანგელოსის ხელი გედის კალამს
გაწვდის,
ფეთქდებოდა გრძნობა, როგორც კაჟით
ფილთა,
ივსებოდა ცეცხლით დაგრეხილი ყანწი.

დრო ყველაფერს მერე დაახურავს
ჩალმას.
დრო არ ინდობს არვის, ზოგს მთლად
გაამუქებს,
პოეტები მაინც ჩალმიდანაც ჩანან,
სხვა ხვედრი აქვს ქვეყნად პოეტს
მაინც თურმე.

მიწვდი ვარსკვლავს ცაში სპარსულ
სისხლის რაშით,
რა ძნელია, დროს რომ ვარსკვლავივით
შერჩე,
ცხელ ჩაიზე ჩრდილში აბოლებდნენ
ჰაშიშს,
რუხი ფერი ედო მოლებსა და მეჩეთს.

●

პოეტს რად უნდა გვირგვინი დაფნის,
ის მხოლოდ ლექსის სითბოსა ნატრობს,
ხშირად გვირგვინი ვარდება ლაფში,
ლექსი წინ უსწრებს ყმასა და ბატონს.

პოეტი ჭმუნვით გასცქერის სარკმელს
და მას რას ავნებს ბრჭყალები აფთრის.
ლექსად იქცევა, მოიმკის სამკელს,
პოეტს რად უნდა გვირგვინი დაფნის...

●

დრონი იცვლება, მალე ატომებს
შევუერთდებით მოლეკულებად,
მე ჩემს სიცოცხლეს სტრიქონს
ვატოლებ,
სტრიქონში სულ სხვა რამ მეგულვება.

უნდა სტრიქონში ჩემი სამყარო,
ჩავტიო ისე გრძნობაც, ატომიც,

როს დამეყრება გულზე აყალო,
ჭრელი სოფლისგან მძიმედ დატორილს.

თუ საკადრისად ვერ გიპატრონე,
უნდა შემინდო, თუ სხვას ვფიქრობდი,
ჩემი სიცოცხლე შენ დაგატოლე,
რომ დამეტოვა ქვეყნად სტრიქონი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭამე მესამე

არავითარ გაქცევას არ ძალუძს, სადმე მიგიყვანოს.

სენტ-ეჯზიუპერი

რომანი

1. შემზარავი კივილის ხმამ საწოლზე ფეთიანივით წამოაგდო ჯეგე შორდია. ადრეც ჩაესმა თითქოს რაღაც ხმაური, მაგრამ ნასვამ კაცს მარტო მხარიღა შეუცვალა, უცებ ვერ გამოიყვანა ბურანიდან, თორემ ძილი ისეთი ფრთხილი ჰქონდა, ჩამქრალ კერიაზე მთვლემარე კატას ბეწვი რომ აშლოდა, ცოლს წაუბუზღუნებდა ლოგინში — ეგ თარსი გარეთ ვერ გასვიო?!

არადა, მეუღლის ხმა იყო, ჯერაც ყურში ედგა ქალის წეღანდელი შეკივლება... ბნელში ვერაფერს ხედავდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, ჯარგვალში მარტო იყო — ღამის ლუსკუმიდან მოუვიდა ის ხმა და ამან უფრო შეაშფოთა. ისე, ტყუილად მოაფათურა ხელი საბნის ქვეშ (კი, როგორ არ ახსოვდა, მეუღლეც მასთან ერთად დაწვა და რა იქნაო?) და წამომჯდარმა კედლისკენ ოდნავ მიიჩოჩა... ერთს მაინც მიხვდა, ქალი ახლახან ამდგარიყო, ნაწოლს მისთვის ნაცნობი სუნი და სითბო ჯერაც შერჩენოდა.

ალბათ, საბძელშია და შველას მთხოვსო, იაზრა, გულზეც უმალ მოეშვა.

ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ძროხა იყო მაკედ და ეს აწუხებდა დღეს ცოლ-ქმარს. წინა წელს დიდად დაზარალდნენ, მკვდარი ხბო შობა, წლეულს ადრე დაუშრა რძე, სამ თვეზე მეტი იყო, ყველი კი არა, წაქის სუნი არ დატრიალებულა შორდიების ჯარგვალში და ნამეტანი გასჭირვებოდათ.

ღმერთო, კეთილადო, ჩაიბურტყუნა, ადგომა დააპირა, მაგრამ სადღაც ახლოს თითქმის ლაფაროში, მეზობლის ძაღლი რომ აყმუვლდა და აღარ გაჩერდა, წამით სული გაინაბა, გულმაც ცუდი უგრძნო და, ამას თუ უცდიდაო, ფეხზე მკვირცხლად დადგა.

დაბლა, სოხანეზე მბეუტავი, უკვე მიმქრალივით ჭრაქი მაინც ცოცხლად ფეთქავდა, თითქოს ეს უსიამო წამები საჩინო უნდა გაეხადა, გულდაგულ ემარცვლა დრო, ბნელს ფარულად გაურჩებოდა და ახლა, ხმა ძაღლმაც რომ გაიკმინდა, უცაბედად ჩამოწოლილი სიჩუმე რაღაც ავბედითიც გამხდარიყო.

ჭრაქი აიღო და პატრუქს აუწია.

კართან შედგა, გუძა თუ მოვიდაო, შემობრუნდა და ბიჭის ლოგინისკენ გაინათა.

გუძა ჯარგვლის ერთ კუთხეში, მუხის ორარშინიან, მითაყამინდელ კიდობანზე იწვა ხოლმე თავფეხმობღუნკული, გოგონები კი — ცარუ და ძაბული — პატარები იყვნენ და ტყუპ დებს ჯერაც ყურძნის მომცრო საწნახელში ეძინათ ერთად.

გუძა ადგილზე არ იყო.

სად დაბორიალებს ეს ბაღანა, რაიმე ფარსაგს კვლავ არ გადაგვყაროსო. ჯეგემ შუბლი შეიჭმუხნა, მერე ნიფ-

ხავ-პერანგის ამარა გავარდა ჯარგვლიდან.

წინაღამეს სამჯერ გავიდა ედუკი გარეთ, საბძელში — ძროხამ ღამე არ მოიგოს ხბო, უპატრონოდ არ დამეხრჩოს, ისევ არ გვაზარალოსო, მძინარე ქმარს ყურში უჩურჩულებდა და, ბავშვები რომ არ გაეღვიძებინა, კარში ფეხაკრეფით გაილალებოდა. ჯეგეც მეუღლის წეღანდელ კივილს ამას მიაწერდა და პირუტყვის საშველად საბძლისკენ ჭრაქით ხელში მიჩირთიფირთობდა...

მთვარე ახლახან ჩასულიყო.

გრილოდა. ბნელს აბრეშუმივით აშრიალებდა და ერუანტელივით უვლიდა ღამეული ხმები...

ჰაერის ცივი ჩინჩხვრებივით ფეთქავდნენ აქა-იქ ციცინთელები და სიჩუმეს უფრო აიდუმალებდნენ...

საბძლის კარი მძიმედ გაჭრიალდა და ჯეგემ იქიდან ხმაურით გამოვარდნილ ვიღაც მამაკაცის ალაწოდა აჩრდილს მოჰკრა თვალი: ათიოდ ნაბიჯზე რომ გადაასწრო, გადაურბინა და ამანაც — რომელი ხარ მანდო?! — მოკლედ და მჭახედ შეუძახა.

აჩრდილი ადგილზე გაქვავდა, მერე: „ვავა ჩქინ'შენი, ბაბაია, ვავაო!* — მოთქმით მოატირა, თან რაღაც მძიმე საგანი მისკენ უხეშად მოისროლა და ასე მოულოდნელადაც გაჩუმდა.

გუძას ხმა იყო...

რა მოხდაო, ჯეგე სახტად დარჩა.

არადა, ჩანდა, არც გუძა აპირებდა მეტის თქმას, იდგა და... მის წინ ფეხშიშველა, თეთრ პერანგსა და ჭრაქით ხელში — მამის მოჩვენებასავით აჩრდილს, რაღაც გაბუნდოვანებულ სახებას თავადაც გაოგნებული და მფრთხალი, მისჩერებოდა.

მართლაცდა, რა იყო? ბიჭი ავისმომასწავებლად დუმდა, თავი შორს დაეჭირა გაშეშებული მშობლისგან.

ღამეც სხვა გახდა თითქოს; ნიავი უმალ მიყუჩდა და ხე-ბუჩქებში გაილურსა. ციცინათელები ნაღვერდალზე ასხლეტილი წინწკლებივით [illegible] ხტოდნენ და ჰაერშივე იფერფლებოდნენ... ის ღამეული ხმებიც გაქრნენ წყვდიადში და ჯეგეს არასოდეს მოსჩვენებია სიჩუმე ასე გამანადგურებელი.

დიდხანს არც გუძა გაუჩერდა, უფრო სწორად, გონს მოსულიყო ჯეგე, ბიჭის სულშემგუბველი მოთქმა-მონატირი თუ მათ თავზე დატრიალებული რაღაც უბედურება, რაიც არ უნდა ყოფილიყო, მასაც სისავსით ეგრძნო და, თუ საჭირო იქნებოდა, მზად იყო, როგორც მშობელი შვილს შეზიარებოდა კიდეც... ვინ აცალ! მანამდე დურთა ღომის ყანაში გუძამ თავი და ტყრუშული ღობისკენ კვლავ „ვავაის“ ძახილით გაშლიგინდა.

„სად გარბის ეს მამაძაღლი, ან ეს „ვავა“ რას უნდა ნ'შნავდესო?“

და, თითქოს ხვლიკზე დაედგა შიშველი ფეხი, გულგადაქანებული შეხტა, მერე — დავიღუპე ნამდვილადო! — მიაყვირა და, გუძამ რაღაც მძიმე საგანი რომ მოისროლა, იქით გაიქცა.

წალდი ესო ცერად ბალახში...

წალდისკენ გაწვდილი ხელი უკან ვერ წაიღო, თითებგაფარჩხული ჰაერში გაუშეშდა, სუნთქვა ბაგეზე დაეყინა და კარგა ხანს ვერაც მოვიდოდა გონს, ალბათ, ძროხის გამმულ ზმუილს რომ არ გამოეფხიზლებინა.

საბძელში შევარდა.

ბნელოდა.

შედგა. რაღაც სუნი ეცა... სუნი — უცხო, გულისამრევი — უმალ, კრუნჩხვასავით ზარდამცემად რომ ეძგერა და წამისად ზურგს უკან მოხუერულ კარს უხერხულად მიაწყვიტა... მომხდარი თუ აწმოსახდენი საფრთხის სუნი აშკარა იყო, თუმცა ჯერ თვალუჩინრად, მაგრამ ისე ცხადად სცემდა, თითქოს შმორიან ჰაერს, ბნელს აუდიოდა იგი.

— ედუკი! — იყვირა.

ხმა არავინ გასცა და გონს ჩქარა მოეგო. პატრუქს ბოლომდე აუწია, ჭრაქი თავზემოთ აიცდინა და აზმუვლებულ

* ვაი ჩვენს თავს, ბაბაია, ვაი! (მეგ.).

ძროხისკენ გაინათა. ბაკზე ვიწროდ დაბმული, მისკენ კისერმოღრეცილი პირუტყვი დაფეთდა და ფერდით კედელს მიასკდა.

— რა ჭირი გეტაკა, შე სამგლე?! — კაცი ავად აიმრიზა, — ეს ქალი მაინც სად ჯანდაბაში წავიდა თფუ! — შეიგინა და ნაბიჯი ძროხისკენ გადადგა.

რაღაც რბილს წაჰკრა ფეხი... წაჰკრა კი არა, ზედ დაადგა — მუხლი უცებ რომ მოუჭრა, შეაბარბაცა და სანამ თავს შეიკავებდა ან გაარჩევდა, რა ჭმონდა ფეხქვეშ — ჭრაქს ქვევით ჩაინათებდა. წონასწორობადაკარგული, — მანამ იგრძნო თითქოს, რაც სჭირდა. ახლახან დატრიალებული უბედურების სუნი კვლავ ელდად, გააფთრებით ეცა სახეში და თვალზე ავარდნილი ალივით ცხვირ-პირი უხეშად მოულოკა...

კაცის გვამზე უცახცახებდა შიშველი ფეხი...

— ვაი ჩემს თავს!

ღმუილი აღმოხდა ჯეგეს და დაფეთებული უკან გახტა, თავისუფალი ხელი შუბლზე მწარედ იტკიცა და ჭრაქი გვამს სახეში მოგვიანებით მიანათა.

ხელად ეცნო... თუმცა, შუქს ისევ დაასწრო წინათგრძნობამ, რამაც სული ყელთან შეუკუმშა და ამჯერად, რომ არ ებღაუვლა, ის არაადამიანური ხმა — ვავაი — ხორხიდან რომ არ ამოსკდომოდა, უსათუოდ გაიგუდებოდა.

ჭრაქი ქვემოთ, გაჩაჩხული ფეხებისკენ ჩაუნათა.

ადრეც იცნობდა ამ კაცს. ქალის სოფლიდან იყო, მისი ტოლი და თანშეზრდილი და, როგორც მათი ოჯახის ხშირ სტუმარს და ახლობელს, არაერთი ღამე ჭმონდა შორდიების ჭერქვეშაც გადათენებული.

— ვაჟა!

ჯეგე ერთიანად ცახცახებდა.

ჭრაქი სოხანეზე დადგა.

უცებ გუძა გაახსენდა; უფროსი, მოსწრებული ვაჟიშვილი. ცხადად ჩაესმა ბიჭის მოთქმა-მონატირი, უკან ბრაზით მოსროლილი წალდიც თითქოს წვივთან ახლა გაუკრთა და მიწის დატკეპნილ იატაკში ჩაესო ცერად. ჯეგეს თვის მუხლი ხელახლა რომ მოეკვეთა... ესეც რომ არა, რა მიხვედრა უნდოდა, რატომ აარიდა მამას თავი გუძამ და ღომის ყანაში „ვავაის“ ძახილით გაშლიგინდა.

ისევ ჭრაქს დასტაცა ხელი და ზეაწია, თვალებგადმოკარკლული და შეშფოთებული, ქუსლზე ჩიკორივით დაბზრიალდა. გული უგრძნობდა, მარტო ეს უბედურება რომ არ სჭირდა, თითქოს არც იყო იგი საკმარისი, ამ შმორიან ბნელში, ორად გაჩეხილი გვამის გარდა, კიდევ სხვა და მეტი ცოდვა ტრიალებდა და თავზარდაცემული კაციც ახლა იმას ეძიებდა.

ასეც იყო!

ერთ კუთხეში, სადაც ზამთარ-ზაფხულ ნამჯა, ახალმოთიბული ბალახი თუ ჩალის ღერები ეყარა ხოლმე, ედუკი იყო საცოდავად მიკუნჭული; გვერდზე მხარწაფერდილსა და თავჩაკიდულს — პერანგგადაფლაშული მკერდი და თეთრი, კირივით ფითქინა ბარძაყები მოუჩანდა.

— ვახ-ხ...

კაცი ისე ახროტინდა, თითქოს ყამა ეტაკებინათ ყელში.

ქალს მივარდა, ჭრაქი წამზე დადგა ქვევით და მხრებში ჩაეფრინდა, ღონივრად შეანჯღრია, მერე თმაზე წაავლო ხელი და თავი უკან გადაუგდო.

ედუკი არ სუნთქავდა, ნიკაპზე ორპირად გადმოსცლოდა ჯერაც თბილი სისხლი, ყელთან რომ გამოფსკვნოდა და მკერდისკენ ნეკის სიმსხო ჭიაყელა სავით ჩაჰყოლოდა... სახეც თბილი ჭმონდა, თვალები — გაშეშებული, ზედ თითო ცრემლგადაყინული, ახლაც უცნაურად, ცოცხლებივით რომ უელავდნენ...

— დამღუპე, დამღუპე!..

კაცი უაზროდ ხრიალებდა, თან მხრებსა და ყელ-კისერზე გვამს ხელებს უფათურებდა, თითქოს სიცოცხ-

---

ზაურ კალანდია
შამი მესამე

ხლის ნიშანწყალს დაეძებდა, სიტყვა „დამღუპე“ კი რომელ ერთს — შვილს, მეუღლის ჯერ არგაციებულ ცხედარს თუ კეფიდან ზურგის ხერხემლამდე წალდით ჩაჩეხილ უსულო კაცს ეკუთვნოდა, ვეღარ გაიგებდი.

უცებ ქალს თავი ანება, კვლავ აქეთ გამობობდა და მამაკაცს ხალათზე ეცა... მკერდზე მუშტები დაუშინა, მერე, დახრჩობას თუ უპირებსო, ყანყარატში წაუჭირა...

— მკვდარი ხარ? მკვდარი ხარ?!

მოთქვამდა, თითქოს ეგლა ჰქონდა საწუხარი, სული რომ არ ედგა, გვამი რომ იყო — ბილწი, წაწყმედილი, აქოთებული ლეში, ეს-ესაა, გულს რომ აზიდინებდა... და მაინც, ის უფრო სტანჯავდა და აცოფებდა, თავად ვერაფერს ატკენდა, ვერ მიახრჩობდა, ცოცხალს ვერ გამოუღებდა ხორხს ფრჩხილებით... ნაწალდევ კეფაზე მოუხვდა ხელი და, თითქოს მუჭში ლაყე კვერცხი ჩაემსხვრაო, უცნაურად სქელი, წებოვანი სითხით მოეთხუპნა, თავისდა უნებურად, ზიზღით რომ მოაშორა და ახლა, დანახვა თუ უნდაო, ცხვირწინ თითები გაფარჩხულად დაიტრიალა, მერე ორკაპივით ატკა გვამს გამოციებულ თვალებში...

— ჯეგე!

— ვიღაცამ ეზოში ხმამაღლა დაიძახა.

შეცბა, ხომ არ მომეყურაო, სული გაინაბა.

— ჯეგე!

ძახილი უფრო მოახლოვდა.

— მოვიდნენ... — თვალბაყიმატებული აფუსფუსდა, — მაზაკვალეფი* მოვიდნენ... — უკვე გიჟი იყო, სარეგვნაცემივით დარეტიანებული, ბუნაგში გამომწყვდეული ლეკვებწაგვრილი ნადირი, რომელმაც იცის, სხვა არაფერი დარჩენია, გარდა საკუთარი ხორცის გლეჯისა და ყმუილისა... უცებ თითებმოთხუპნილი ხელი გვამს ხალათზე შეახოცა და ისევ ქალისკენ გამობობდა.

— მოვიდნენ, ჩემთანაც მოვიდნენ...

ცოლს საიდუმლოდ უთხრა, ხელი მსუბუქად წაჰკრა ლოყაზე, თითქოს ახლახან გულწასულის გამობრუნებას ლამობსო.

— ვო ჯეგე! ჯეგე!

ნაბიჯების ხმა საბძლის კართან მიწყდა.

— მაცალე... — რაღაც სხვა იაზრა ჯეგემ და წამოიწია, — ცოტაც მაცალე და აი, ნახავ... — ისევ ქალს უჩურჩულა და თავი უსსენებელივით წამოიგდო, გახევდა, მერე პერანგი მისდა უნებურად ჩაუწია, გაუსწორა და ბარძაყების სიშიშვლე, კირივით რომ უქათქათებდა, კოჭებამდე დაუფარა.

წელშიც გასწორდა.

— რომელი ხარ მანდ?!

საბძლის კარს მყიფედ შეუძახა.

ხმა არავინ გასცა.

კართან მივიდა და ერთ კუთხეში, სადაც წალდი ჰქონდა ყოველთვის შენახული, ხელი ბრმად მოაფათურა.

სად იყო წალდი, მისგან ათ ნაბიჯზე ესო ბალახში ცერად, წეღან გუძასგან მოსროლილი.

— მე ვარ, კაცო, ვაღურია, დაყრუდდით! კივილი შემომესმა და რამე ხომ არ უჭირთ-მეთქი!

— ვავა, ვაღურია, ვავა!!.

იბღავლა, თავში ხელები წაიშინა და კარის მეზობელს მოთქმა-გოდებით შეეგება...

გუძა შორდია კი გარბოდა...

ჩქარა! ჩქარა უნდა გასცლოდა აქაურობას, თორემ უკვე იცოდა, რაც ჰქონდა ჩადენილი, ვის სდრუბა თავში წალდი და ხერხემლამდეც ჩაუჩეხა... რა თქმა უნდა, შეიძრებოდა მთელი სოფელი, დიდ-პატარიანად ფეხზე დადგებოდა, ხელში აბოლქვებული ფიჭვის ნოთეთი* მოიძეგდნენ ყველგან და, იქ, სადაც წაასწრებდნენ, თავს ქვით

---

* ეშმაკები

* კვარი

გომბეშოსავით... ჩაუჩეჩქვავდნენ. ამიტომ, ვინმეს არ გადავეყარო შარაზეო და ხან ღომის, სიმინდის ყანაში, ხან — ჭალაში, ბნელ და უშქარ ტყეში რაღაც სასწაულად, თავგანწირვით მიშლიგინებდა...

ის წალდი მაინც მქონდეს, აწი სულ ერთია, რა ერთი კაცი მომიკლავს, რა — ათი, ინანა, თუმცა ნაფიქრმა იმავწამს ჟრუანტელივით დაუარა ტანში, შეაძრწუნა და სირბილს უმატა. უცებ, ამ თავგანწირულ სრბოლაში, მამა დალანდა. ჭრაქის ციმციმა შუქმა რაღაც ათიოდ ნაბიჯს იქით გადაუსწრო, სულიერის თვალივით უტეხად მოაშტერდა და ადგილზე გააქვავა. მან კი — ფეხშიშველა, თეთრ პერანგგადაღეღილმა მშობელმა ერთიც შემოხედა, გულსაკლავად ამოიოხრა და — მწუხარე შუქით მოსილი და საწყალი — ასე მოულოდნელადაც გაქრა.

ასე უცებ აქ საიდან გაჩნდაო, გაუკვირდა, თვალებზე ხელები აიფარა, ამოიჯიჯყნა — მოლანდება რომ გაექრო და ისევ ბნელს, გალენჩებულივით რომ მისჩერებოდა, აცახცახებული გაუყუჩდა.

მართლაც, რა დღეში იყო ახლა მამა, რა ჩაიდინა? ან ასეთ დროს სად და ვის შეატოვა ხელებში მშობელი? ესეც შენო და, სისხლიანი წალდი ფეხებში მიუგდო საწყალ კაცს: ვავა, ბაბაიაო, მიატირა და მოკურცხლა. დედაც ხომ?

— თფუ! — გამწარდა, ოფლგადახვეთქული შუბლი მკლავით მოიწმინდა და, უხილავი მდევრის ნაბიჯების ხმა სმენას თუ მოსწვდაო, უფრო თავგამეტებით გაიქცა.

გუძა შორდიამ კაცი მოკლა!

ამიტომ გარბოდა ასე ბრმად და უმისამართოდ...

ახალტანაყრილი ღომის თავთავები მუხლებზე ეტყლაშუნებოდა და ბორკავდა, ეკალ-ბარდი სახეს უბღორტნიდა, თავ-ფეხს უკაწრავდა... არც გზა იცოდა ამის იქით და არც თავშესაფარი ეგულებოდა სადმე, მაგრამ სირბილით სულ უნდა ერბინა. იცოდა, მკვლელი იყო, შეიძლება, უნებლიე, ანდა, სამართლიანიც, მაგრამ მაინც მკვლელი იყო და დღეის ამას იქით სულ მარტო, ღვთის ანაბარად მოსულს, მოსროლილს — ბნელიდან ისევ ბნელში ანუ შიშში, ტანჯვა-წამებაში, ჭირსა და ხიფათში უნდა ეცხოვრა... იქნებ ამდაგვარი ყოფა უფრო საშინელი იყო, სიკვდილზეც კი, შესაძლოა, მისი მსხვერპლის ბედი ხვალ სანატრელი გახდომოდა! ან კი, იქ, სადაც მიილტვოდა ასე გამეტებით, ვინ ელოდა და რა უცდიდა? და მაინც, შიშის დამთრგუნავ, ყველაფრის მომრევ ძალას, სულის განუსაზღვრელ თუ ამოუცნობ სიტკბოს სიცოცხლისას ბიჭი ქარფეხად ექცია... მთავარი იყო, აქაურობას გასცლოდა, წვეთი სისხლის „სიმძიმეზე“ კი — უსამართლოდ თუ სამართლიანად დაღვრილზე — ჯერ არაფერი იცოდა და, ცხადია, არც ფიქრობდა.

ვინ შეიფარებდა კაცის მკვლელს? მით უფრო — ბაგი გვაგვალიასი! საერთო საქმის ერთგულისა და უშიშარი კაცის, მაუზერსა და ბუდიონურას ლოგინშიაც რომ არ იცილებდა. მხოლოდ აქედან სამუდამო გადაკარგვა თუ უშველიდა საწყალ ბიჭს! როგორც ამბობდნენ, კვლავ არეულიყო ძლივს დაწყობილი ქვეყანა და ეგება ამ ალიაქოთში, ერთმანეთის წეწვა-გლეჯა-ქოთქოთში ეპოვნა სადმე თავშესაფარი! მაგრამ სად? მაინც ვინ ან რომელი ერთი შეიკედლებდა? ესეც რომ არა, მთავრობის კაცები აქამდეც ზედმეტად უნდოდ და სასტიკად ექცეოდნენ, ვისაც რევოლუცია არ ეგუა; ან გუძას ვინღა დაინდობდა, რაც ეს მკვლელობა ჩაიდინა! კი, რევოლუციას ბევრი მტრობდა სოფელში, ვინ დუმილით გამოხატავდა ამას, ვინ — ცოლ-შვილში ბუზღუნით. ისეთი თავზეხელაღებულიც ბლომად იყო, იარაღს ხელში რომ იღებდა და აბრაგივით ტყეში გარბოდა — ჩემს სამართალს ტყვიით დავადგენო! რა მერე? დაუდგენია და თავადაც წაუგია თავი! რამდენი ჩაუხოცავს ვერა შავდიას, ბაგი გვაგვალიას, ყალმათი

ყურუას თუ სხვის მაუზერს ტყეში რევოლუციის მტრად გავარდნილი ყაზახი და მარხილზე თოკით გამობმული სოფელ-სოფელ ჩამოუტარებიათ... ასე რომ, თავად იყვნენ შესაბრალისები, საწყლები, არც თავს შველოდნენ და არც ქვეყანას და, ცხადია, დღეს გუძას რას წაადგებოდნენ ისინი! ბოროტება ბოროტებით ითრგუნებოდა და საბოლოოდ *ეცვლა ზეიმობდა! ჩანს, დასაბამიდან* ადამიანთა უთანხმოებას და სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილს (მათთვის გამოსაცდელ დროის მონაკვეთად რომ იყო ყოველთვის ბოძებული), ბევრისთვის თავგზა ერთხელ და სამუდამოდ აებნია და დღეს, როცა მამა შვილს არ ინდობდა, არავის უკვირდა, მეზობელი მეზობლის ჭაში მალულად რომ აფურთხებდა და საკუთარ ჯარგვალში მობრუნებული, ყინჩად და წელგამართული ჯდებოდა სამფეხაზე, შუაეცეცხლთან, თან მოყვასის გაუტანლობაზე აქეთ შემოგჩივლებდა.

თუმცა, ამდენი ფიქრის თავი სად ჰქონდა გუძას! ერთადერთი ეს იცოდა — უნდა ერბინა, ერბინა დაუსრულებლივ, გულის ამოვარდნამდე და იმნაზ შველებოდა. ეს აწეწილ-დაწეწილი დრო-ჟამი ხომ გასაქცევად, გაუბედურებულ წუთისოფელი — დასამალად საკმაოდ ვრცელი და ამოამინდელი უკუნივით ბნელი და უშქარიც იყო.

დაეცა, მუხლამდე ტლაპოში მოადინა ზღართანი.

ძლივს ამობობღდა.

ცალი ქალამანი ტალახში ჩარჩენოდა, უკან მიბრუნდა, ეძება, ხელები იდაყვამდე აფათურა ტლაპოში, როგორც იქნა, იპოვა და ისევ ამოტოპა.

მშრალი ადგილი მოძებნა. დაჯდა, დაფერთხა და ისედაც დიდ, კარგა მოფლაშულ ქალამანში ფეხი ძლივს ჩაატია.

უკვე შორს დარჩა სოფელი. კიდევ ამდენი გზა და ქალაქ ტობაში ამოჰყოფდა თავს, მერე კი... იმხელა ქალაქში როგორ ვერ იპოვნიდა თავშესაფარს, ოღონდაც იქამდე მშვიდობით ჩაეღწია.

ადრე, პატარობისას, მამასთან ერთად ყოფილა ტობაში. იქ წელწადს კარგი მოსავალი მოვიდა და თხუთმეტი ქილა ღომის მარცვალი წამოიღეს გასასყიდად ნათხოვარი ხარ-ურმით. ერთი შორეული ნათესავი ახლაც ჰყავდათ ქალაქში.

გუძა გონს თანდათან მოდიოდა.

დიდი ამბები ხდებოდა სოფელ თაიაში! *როგორც ამბობდნენ, არა მარტო* მათთან, ყველგან, ქალაქ ტობაშიც არეულობა და სისხლის ღვრა იყო თურმე.

მართალია, რევოლუცია ერთხმად მომხდარიყო, ხოშტით თვალგახვრეტილი მეფის სურათი მერამდენე წელია ეკიდა კანტორის შესასვლელში, უკვე საღებავგადარეცხილი და გაყვითლებული, მაგრამ, ჩანდა — ამ სოფელში მაინც, — ამით არ იყო მთლად ყველაფერი დამთავრებული.

იმ ჭექა-ქუხილის ღამეს, სოფლის ცენტრში სროლა რომ ატყდა და კანტორის შენობა ცეცხლში გაეხვია, გლეხობა კვლავ ორად გაიყო. არა, რევოლუციის მომხრეები ახლაც მეტნი იყვნენ, უფრო თამამნი და ბომთხოვნიც, რა თქმა უნდა! და მაინც; ვინ გულწრფელად ემხრობოდა მათ, ვინ — საითაც ქარი დაუბერავდა, იქით ხრიდა თავს; ბოლომდე არ იხსნებოდნენ, თვალთმაქცობდნენ, რითაც არამარტო საერთო საქმეს (როგორც გერა შავდია კრებებზე ამბობდა), ზიანს საკუთარ თავსაც აყენებდნენ თურმე. მიუხედავად ამისა, დროდადრო ხან ბნელ შუკაში გავარდებოდა თოფი და მაუზერი. ხან — ჭალაში, ტყეში ვინმე ხელმანკიანისგან. წუხელაც ისროლეს სოფლის ცენტრში. მაუზერის ტყვია თვალიდან საკმაჩრეზე გაუვიდა წიოელარმიელთა ერთგულ ამხანაგს, რის გამოც დიდი წიოკობა-აურზაური ატყდა. რომ ვერ იპოვნეს მკვლელი და გამცემი, სოფლის განაპირას, გაუქმებული ეკლესიის კარს აუტეხეს თოფების ბათქაბუთქი ახალგაზრდებმა: აქ, აბა სხვაგან სად დიმალებოდა ქვეყნის მოღალატეო!

ახალგაზრდული უჯრედი „სპარტაკი“ ჩამოყალიბდა სოფელში. გუძა შორდიაც მათ გვერდით იდგა, თავის ტოლ გოგო-ბიჭებს ეფიცებოდა ძმობას და საერთო საქმის ერთგულებას.

იმ ჭექა-ქუხილის ღამეს, თეთრნაბდიანი მხედრები კანტორას თავს რომ დაესხნენ, სამნი მორიგეობდნენ, გუძა და ორიც „სპარტაკელი“.

ბნელს გამომსხლტარმა ტყვიამ ფანჯარა შემოლეწა და ერთ-ერთი, ფეზზე რომ იდგა, კედელს თავით მიაწყვიტა... მეორე ბიჭმა იბღავლა და კარის გადასარაზად გაიქცა. ვერ მოასწრო, იქვე მუცელშეფლეთილი დაეცა და გუძამაც უკანა ფანჯრის მინა თავ-მუხლით გაიტანა, გულდაფეთებულმა წკვარამში ისკუპა...

თეთრნაბდიანებმა კანტორას ცეცხლი წაუკიდეს, თან გაჰკიოდნენ — ახლა რომ ამდენი ვართ, ხვალ-ზეგ ასჯერ მეტი ვიქნებით, ტობა-ქალაქი უკვე ჩვენიაო. ამის პასუხად მდინარის გაღმა ტყვიამ ზედიზედ იჭექა. გერა და მისი ხალხი იყო, პირდაპირ მოტოპავდნენ წყალს, უშიშრად მოიწევდნენ ტყვიაცეცხლისკენ და, როგორც მომხდურთა მყიფე ხმა, ისე მათი ცხენთა ფლოქვების ფიცხი თქარათქური ბნელმა უმალ შთანთქა...

ისინი მოდიან — ხვრეტენ, ესენი მოდიან — ხვრეტენ, ეს რა უბედური დღე გვადგასო, ჩიოდა ხოლმე ვაღურია მესხიასთან ღვინით გათამამებული ჯეგე შორდია. აბა რა, სადაც დიდი ხე იჭრება, იქ ნაფოტიც ფართო-ფართო ცვივა, ჩემო პატენიო,* ფრთხილად შემოაპარებდა კარის მეზობელი. არა, მაინც ვერ გავიგეო, ხელებს გაკვირვებული ზლიდა ჯეგე და სასმელს ეძალებოდა, მაგრამ იმდენი ჭკუა მთვრალსაც ჰქონდა, მსგავსი რამ ყველგან და ზოგიერთი მეზობლის გასაგონად რომ არ ეთქვა.

ვინც ჩვენთან არა დგას, ის ქვეყნის მტერიაო, მეორე დღეს კვლავ ფოლადივით რეკდა წითელარმიელთა მეთაურის გერა შავდიას სიტყვები — სიხლით მონაპოვარს სისხლით დაცვა სჭირდებაო, — ირწმუნებოდა, თუმცა კვლავინდებურად ვერ მოქმედებდა ხალხზე. უფრო მეტიც: ვის, რევოლუცია დამარცხებულა ტობაშიო, აშკარად სჯეროდა, ზოგი — წითლების დახოცილთა სულები იყვნენ, ალბათ, ის თეთრნაბდიანებიო, — უფრო შორს მიდიოდა და პირჯვარს შეშფოთებული იწერდა. გუძა კი, მიუხედავად ჯეგეს მრავალგზის გაფრთხილებისა და თხოვნისა (რა მისი საქმე იყო ქვეყნის მრუდი და მართალი), გერა შავდიას შესაციცინებდა თვალებში. მას მერეც, როცა არ შეუშვირა ტყვიას მკერდი (რასაც არ ჰპატიობდნენ; არა მარტო მეგობრების, რევოლუციის ღალატშიც უთვლიდნენ), მათ თანაუგრძნობდა და თავისი საქიცელის, ფანჯრიდან დაფეთებულმა რომ ისკუპა და სიკვდილს გაექცა, რცხვენოდა. მაშინაც, ცეცხლის ალში გახვეული კანტორის შენობის გადასარჩენად რომ გამორბოდნენ თანატოლი გოგო-ბიჭები, ცოცხალი თავით როგორ ვეჩვენოო და სველ, წვიმით აჭონჭოხებულ თხრილში ცხვირ-პირჩამხობილი ზლუქუნებდა.

ის კაცი, ახლა ორად გაჩეხილი რომ ეგდო საბძელში, გერა შავდიას თანამებრძოლი და ძმადნაფიცი იყო და, ახალი მთავრობის კაცზე რომ არაფერი ვთქვათ, თავად გერა იყო აგერ ჩახმახშემართული — მკვლელს შუბლს ცერის სისხო ტყვიით გადაუხსნიდა.

წეღან, სახლში გვიან რომ მობრუნდა, ჭიშკართან, საბძლისკენ ჭრაქით მიმავალი დედა დაინახა და შედგა.

ქალი (თითქოს მალულად მიაქვსო მკერდზე მიხუტებული, აცახცახებული, ნალევა კვერცხისტოლა შუქი), ბნელს აშურშურებული და პერანგის ამარა მიაპობდა...

ასე გვიან რა უნდა უნდოდესო, გუძა შეცბა და თვალი გაკვირვებულმა მიადევნა. მოგვიანებით გაახსენდა, ძროხა რომ იყო მაკედ და, ალბათ, ხბო მოი-

* ბატონო

გო, მეც უნდა დავხედოო, გახარებული უკან მიჰყვა დედას.

საბძელს რომ მიუახლოვდა, ჩურჩული მოესმა...

შეცბა, ვერ მიხვდა, საიდან მოდიოდა ეს ხმა... ხმა კი არა, რაღაც ფრთხილი, ფარული, ფიცხი, გახურებული ქშენა-ჩუჩუნი... და, უკვე დამფრთხალმა, ძლივს მოინაცვლა ნაბიჯი, კარს ფეხის წვერებზე მიუახლოვდა და ფიცარს ლანდივით ზედ აეკრა.

ვიღაც უცხო კაცი იყო საბძელში მისი ხმა ეცნო კიდეც და არც ეცნო... კი, აქამდეც ჰქონდა რაღაც ეჭვი დედამისზე და ამის გამო სული ეწამლებოდა, ადგილს შინ ვეღარ პოულობდა. არადა, კაცის ხმა, მისი ჩურჩულ-კურკური ყურში ნაფლვთ-ნაფლეთ და გველის სივილივით რომ ხვდებოდა, ნამდვილად ბაგი გვაგვალიას ეკუთვნოდა.

გვაგვალია ხშირად სტუმრობდა შორდიების ოჯახს და, ვითომც ძალიან ახლობელი ვარო, ზედმეტ სითამამესაც იჩენდა. ჭასთან, ყველას თვალწინ, წელზემოთ გაიხდიდა: ერთი-ორი სათლი თავზე გადამავლე, ამხანაგო გუძაო, ბიჭს თხოვდა და ცივი წყლის ქვეშ დიდხანს და სასაცილოდ ყიპყიპებდა; არც ედუკის ერიდებოდა და არც განზე გულგრილად მაცქერალ ჯეგეს.

რას არ ბოდავდა ბაგი სიმთვრალეში. ერთხელ გუძა დაიმარტოხელა და: მე, ბიძიკო, იცი, ვინა ვარო? — თვალები უშნოდ გადაუტრიალა. ბაგი უფროსიო, უმალ მიუგო გუძამ. კი, ბაგი ვარ, უფროსი, მარა ეგ მარტო რა არისო. — ოდნავ დამშვიდებულ კაცს დაასლოკინა, — მე, ბიძიკო, რომ იცოდე შენ, ქვესკნელში ჭიანჭველები რომ იბრძვიან, აქ მესმის და ჩემს სამართალს იმათაც ვაძლევო, უთხრა და, თუ ხვდები, რამხელა კაციცა ვარო, თავი უკან გადაიგდო და ცალთვალმოჭუტულმა შეხედა.

იმ ჭექა-ქუხილის ღამეს გუძა სიკვდილს რომ გამოექცა, მეორე დღეს ბაგი გვაგვალია ესტუმრა შორდიების ოჯახს. ეს რა ქნა, როგორ გაიქცაო, კაცი გადარევას იყო და ხან ჯეგეს დაამარტოხელებდა, ხან ედუკის. ... ახლა ამ ლაწირაკსო, ხელებს გაკვირვებული უშლიდა გულგადაქანებულ მშობლებს, დედამ ვერ მოითმინა: ოღონდ ახლა მიხსენით, ჩემო ბატონო და, მთელი ცხოვრება ფეხს დაგბანთო, წაუჩოქა, მუხლზე მოჰხვია მკლავები. ბაგი უცნაურად გაშეშდა, მერე — ვნახოთ, მე მარტო არა ვარო, თქვა ორჭოფულად, ქალი ფეხზე წამოაყენა, უკან მომყევიო, გუძას შემოუბღვირა და თავი ჭიშკრისკენ დაალირა.. მესამე დღეს უთენია მოიყვანა გუძა სახლში.

ა, ჩაიბარეეგ გლახა, შენთვის მიპატიებიაო, სახეგაფითრებულ ქალს მკვახედ უთხრა, სირცხვილით ყურებაჭარხლებულ ბიჭს დედისკენ უხეშად უბიძგა, თავი მწარედ გადაიქნია და შებრუნდა.

გუძას სისხლი კეფაზე მოაწვა, ტვინში აუვარდა...

არაო, უცებ მოვიდა გონს. თითქოს მიხვდა, აჩქარება რომ არ არგებდა და: რაღაც წამით ჩაიმუხლა, ყურებზე მკლავები შემოიჭდო, ცახცახი შეიკავა და წამოდგა.

უკვე იცოდა, რისი გამკეთებელი იყო! თუმცა, ის მაინც გაუკვირდა, ასე უჩუმრად, უხმაუროდ როგორ შეაღო საბძლის კარი, წალდიც ასე უცებ სად მოძებნა და მთვარეამოვსებულ სარკმელსა და სოხანეზე ელამად მბეუტავი ჭრაქის შუქზე, აბულულებულ თივასავით მოფუთფუთე ჩრდილს — ქალისა და კაცის ერთმანეთს ჩაწნულ-ჩახლართულ სხეულებს თავზემოთ რომ დაეყუდა... მათი აქოშინებული სუნთქვა და კრუსუნი რაღაც საზიზღრად რომ აუშხულიდა ყურებში, მაშინ მთლად გაცოფდა და ორივე ხელით მტკიცედ ჩაბღუჯული წალდი, მოკლედ და საშინელი ძალით მოიქნია.

მამაკაცის არაადამიანურმა ბღავილმა ისევ გუძა გაახტუნა უკან.

ქალმაც საზარლად მიაკივლა და ეს ეუცხოვა გუძას, თვალები შიშით გაუკვესდა, დაუელამდა... თითქოს არა მა-

რტო მამამისს, შორდიების გვარს, ოჯახს, თავის თავს კი არ არიდებდა სამუდამო შერცხვენას, არამედ ისევ მას — მშობელ დედას იცავდა ამით; ჩირქს სწმენდდა, სინდის-ნამუსს საკუთარი თავგანწირვით უნარჩუნებდა ქალს — შუაგაპობილი კაცის სიმძიმის ქვეშ ჯერაც გააფთრებული რომ ღვარკალებდა, მის მოცილება-გადაგორებას ლამობდა და... შიშველი ფეხები ბადეში გახლართულივით აუსხმარტალდა, წიხლებს გამალებით უშენდა, აყრიდა ჩვრადქცეული გვამის გულმუცელს ჰაერში და, ათკეცად მობღუნკული დედაკაცი — ნამჯას უკან-უკან, აზმუვლებულ ძროხისკენ მიიხვეტდა...

გამოძვრა, გადაიგორა ქალმა ხელფეხგაფარჩხული კაცის გვამი — სოხანეზე მოცახცახე ჭრაქი თავით რომ გადააყირავა და გუძაც, თავისდა უნებურად, კიდევ ერთი ნაბიჯით უკან გატა, წალდი კი კვლავ ორივე ხელით ჩაბღუჯა.

ქალმა ისევ მიაკივლა... შეშლილი შვილის სახემ თუ წალდის ლაპლაპა, ყინულივით ცივმა პირმა გადააფითრა და თვალები — კატისებური, რაღაც უცნაურად გადამწვანებული მაშხალები — კინაღამ ბუდიდან გადმოუცვივდნენ...

— გაჩუმდი!

უღრიალა ბიჭმა.

ქალი კუთხეში მიიჭეჭყა, მოიზღარბა და, ხორხში მომდგარი კივილი რამენაირად უნდა შეიკავოს და გადაყლაპოსო, გაწეწილი თმა ბღუჯად ჩაიტენა პირში.

— ხმა ჩაიწყვიტე!

ბრაზი იმდენად მოაწვა ბიჭს ყელში, ნაბიჯიც კი წადგა ერთი მუჭად ქცეული ქალისკენ...

კი, წალდი უკვე ეჭირა — გასისხლიანებული, ტყვიასავით დამძიმებული, ცოდვილი... სისხლიც წამისწამ ასხამდა ტკინში და გონებას ხელახლა და უარესად უბინდავდა... ისედაც გიჟი იყო, მკვლელი, ღვთის რისხვა, სამუდამოდ ცთომილი სული ახლაც ყელთან უწრიალებდა, მაგრამ ის გრძნობა აკავებდა თუ გუმანით გრძნობდა, სანამ წალდჩაბღუჯულ ხელს საკუთარ მშობელზეც აღმართავდა, მანამ მკლავები მეხნაკრავივით ჩამოელწებოდნენ ან გააქვავებდა, მიწაც გაუსკდებოდა და თან ჩაიტანდა — ბედკრულს, უმწეოს, უბედურს და... რომ არ აბღავლებულიყო, გული აქვე, მოღალატე დედის წინაშე სამარცხვინოდ რომ არ გასკდომოდა, გარეთ ცოფიანივით გავარდა...

გუძას გამოეღვიძა.

ნაწვიმარზე ახალამოჭიჭყლული (ორიოდე საათის წინ რომ წამოყინულა, გადაიფოშფოშა წვიმამ და გადაიკარგა), სველი მიწა ლოგინივით თბილი, ფაფუკი იყო და, როგორც კი მიეგდო და გაიშხლართა — გაოფლილი, ფეხებდამწყდარი, გაოგნებული — უმალ ჩათვლიმა, ჩაეძინა. ძილში მოიბღუკა, მოიკეცა ფეხები ჩვეულებრივ, ორარშინიანი სკივრის. სახურავზე, ჯარგვალში რომ იცოდა და, გამოეღვიძა კიდეც — შეცივნულს, ერთიანად აძაგძაგებულს, დამფრთხალს...

არადა, თითქმის ახლახან ჩახტა, ჩასრიალდა გუძა ღრმა ორმოში, სული რომ მოეთქვა, მუხლი დაესვენებინა, თან უშიშრადაც ყოფილიყო.

ამოიწია, შიშით ამოჰყო თავი ორმოდან და, ვინმე ხომ არ ჩანსო, გაიხედგამოიხედა.

თენდებოდა.

წვიმით გაჟივებული მიწა, ტანწერწეტა ნაძვები, აქა-იქ მინდვრად ჩამხობილი ეკალ-ბარდის მკვრივი ბუჩქები, ვიწრო, ბალახჩატკეპნილი საურმე გზა (პირზე თხელი, მუქ-ლურჯი ნისლი რომ ადგა) იმდენად მრუმე და გადაშავებული ჩანდა, თითქოს ახლახან ჭაობი იძრაო და იქიდან მძიმედ, რაღაც ბლანტი ზმორებით ამოდიოდა ცივი, კანდაკოყრილი, ბებერი ქვეყანა და თანდათან, საწიერზე თვალსაჩინოდ მკვრივდებოდა...

გუძამ ცას ახედა.

ცაც ავად იყო მოქუფრული; ისიც ჭაობისფრად თუ ჭაობივით ჩამოწოლილიყო ქვევით — ორიოდ ფრთის გაშლაზე იქვარქვებოდნენ ყუში ღრუბლები, აქა-იქ უსიცოცხლოდ, რაღაც ნაფლეთ-ნაფლეთ რომ აჩნდათ მრეში ფერები.

რა არ ახსოვდა ამ მითაჟამინდელ მიწა-წყალს. ჰაერს, რა ტანჯვა, მოთქმა-გოდება, ტკივილი თუ აღზევება და სიხარული არ შემოუკრიბავს და თავზე ერთ დიდ ნაღველად, ცრემლის ტბად, ჭექა-ქუხილად არ შემოუნახავს.

მიწა — მალარიით მისუსტებული, ქვეყანა — გრიგალებში მოხვედრილი, ფარვატერში მოქცეული და ფერდებშელეწილი ხომალდივით შერყეული...

ძველად, ზღვით მომხტარ მტერს რომ ებრძოდნენ აქაურები და სახომალდო იალქნებს მართავდნენ, ზურგიდან ცბიერად მოპარული დუშმანი ხმელეთს იპყრობდა, იტაცებდა, ვენახს ჩეხდა, სალოცავებს იავარქმნიდა, ეს ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ რომ მოეოხრებინა... სანამ ძალ-ღონეს კვლავ მოიკრებდა ერი და შუბს ახლა მას გაუწონიდა მკერდში, აქეთ ზღვისპირი ჰქონდა დაკარგული... და ასე, ტრიალ მინდორში მგლის ხროვაშემორტყმული ბედაურივით ადგილზე ტრიალებდა და წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე თავს გააფთრებული იცავდა. არადა, ორივე — ზღვა-ხმელი ხომ მისი იყო, მასთან ერთად თუ არა დაბადებული, მათთან თესლივით აღმოცენებული და ამ ბებერ მიწას, მის წყალს საკუთარი ნაყოფივით ეკუთვნოდა, როგორც ერთში, ისე მეორეშიც მყარად ჰქონდა ფესვები. გადგმული და, ცხადია, არ ეთმობოდა

მტერი კი ურიცხვი იყო.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ...

ხან ზღვით მომხტარი მტერი იპყრობდა ქვეყანას, ხან — ხმელეთით. პირველი უფრო თვალთმაქცობდა; შურს, ღალატს, ბიწიერებას თესდა მალულად ისედაც გასაცოდავებულ ერში, მეორეს — მიწის პირისაგან ერთბაშად აღგვა სურდა.

და, მიწა კი, არა ცოცხალი, რაღაც მითიური არსება იყო თითქოს — პირზე ქაფივით ზღვამომდგარი, ზურგში ბარჯგაწონილი, ხერხემალდალეწილი... აგერ, უთვალავი საუკუნე რომ ბორგავდა, დნებოდა, მაგრამ, ღვთის წყალობით თუ ადამიანთა მოდგმის სიყვარულით, სული მაინც არ ამოსდიოდა.

ამ ნამინა ბილიკზე, უსასრულო მინდვრებსა და ტყე-ჭალების ტევრში, ლაქაშებში, ჭანჭრობში გადიოდა ის წყეული, ქვეყნის დამაქცევარი გზა...

და, ზღვისპირს მისდევდა, მიჰკიოდა ლოყებდახოკილი, ფეხშიშველა დედა — შვილს; მეზობლის, სისხლხორცის, სახლიკაცის ნაღალატევსა და უღვთოდ გაყიდულს...

ცას გზარავდა ქალის კივილი...

დედა მოტაცებული შვილის ამბავს რომ შეიტყობდა, სადაც მიწას ფეხს დაჰკრავდა, იქ ბალახი არ ხარობდა, სადაც მისი ცრემლი დაეცემოდა (ცხრა მთას იქით გაყიდული პირმშოს სულის სანაცვლო იყო თუ მშობლის მწარე კურცხალი მიწაში თესლად აღმოცენდებოდა და ღვივდებოდა), ტანწერწეტა ლერწამი ამოდიოდა. თითო პატიოსან კაცს, უცხოზე რომ არაფერი ვთქვათ, თუ მეტი არა, თითო შინაური მტერი მაინც ჰყავდა, ხან უბეში შემძვრალი, ხან ქუსლზე ეშმაკად გამობმული და, ცხადია, თავადაც ხშირად სცოდავდა. ყველაზე მეტად კი ყურსალები* იყვნენ მომრავლებულნი, უფრო ფრთებგაშლილნი და შენიღბულნიც.

და ყიდდა ყველა — თავადი, აზნაური, უაზნო... ქმარი ცოლს ოსმალოს შემოთავაზებულ საქონელზე ცვლიდა...

სულის ყიდვა-გაყიდვა და ქურდობა ქვეყნად არსებობის წყარო გამხდარიყო და არავინ იყო გამკითხავი. ჩოხის კალთაჩამოხეული მამაკაცი, ცხენის საქურდლად ვიყავი და იქ შემომეხაო, სოფელში თავმომწონედ დაიზნიქებო-

* ადამიანებით მოვაჭრენი

და. ახალშობილს ხელს ბედაურის აღვირზე მოაკიდებინებდნენ, ჩინებული ცხენიპარია გამოვაო. ის კი არა, წმიდა გიორგისაც სწამებდნენ ილორობის ღამეს თეთრი ხარის ქურდობას, თავიანთი სიბილწე და ხელმრუდობა რომ გაემართლებინათ.

ნადგურდებოდა ირგვლივ ყველაფერი; ზოგჯერ შეგნებულად, ზოგჯერ შეუგნებლად. მღვდელი თურქის შიშით ძვირფას ხატს-მიწას აბარებდა, მერე მომპარავსო, ადგილს თავის სახლიკაცსაც ვერ უმხელდა და საბოლოოდ იკარგებოდა. ბევრი — ყველაფერ ამას საკუთარი თვალებით ხედავდა და მაინც პირუჩუმრად იყო; ვითომ არც იქით იდგა და არც აქეთ. ის ათი თითი სამყოფი კაცისა კი, დღემუდამ ქვეყნის ჭირ-ვარამის გამგები, მისი სინდის-ნამუსის დამცველი და შემნახველი რომ იყო, არავის სწამდა, პირიქით, ცოტა ამრეზითაც უყურებდნენ. მტერ-მოყვარე რომ გამოგერჩია, რაც უნდა ფხიზელი თვალი და გონება გქონოდა, საკმაო ხანი უნდა გასულიყო. ერთ ზამთარს მაინც უნდა გადაევლო, მიწას ხელახლა უნდა გამოღვიძებოდა, რომ გენახა და თავად ამოგეცნო, ვის ნაფეხურზე რა მცენარე აღმოცენდა — ქაცვი, ჭინჭარი თუ მინდვრის ყვავილები! არადა, რაც დრო გადიოდა, უფრო უჭირდა ქვეყანას, უკაცრიელს ემსგავსებოდა ერთ დროს წარმტაცი და დიდებული, ცხრაუცხო ადგილები...

მოდიოდნენ და მიჰყავდათ...

მოდიოდნენ და ატაცებდნენ ოქროსმეებიანსა და ტანწერწეტებს, ცისფერთვალება ქალ-ვაჟებს...

და ზღვებს გაღმა, უცხო მიწა-წყლის ბაზრებზე იყიდებოდნენ მონებად, მხევლებად, მეომრებად, მერე მამელუქებად გმირებად, დედოფლებად რომ აღმოცენდებოდნენ, ისევ მტრების და მოძულე ქვეყნების სასახელოდ!.

მაინც ცხოვრება იყო! ბავშვი იბადებოდა, იზრდებოდა, შრომობდა, თავზე გვირგვინს ერთი დღით იდგამდა... შვილებს აჩენდა, ხელის გულზე ცხრაპირ ტყავს იძრობდა, კვდებოდა, წინაპართა სასაფლაოს კიდევ ერთი საფლავის ბორცვი ემატებოდა...

„რინაში ნება ქორდასუნი, ქიანა მუში მაფართა რენიაო...“* ჩიოდა ხოლმე საკუთარ ბედზე დაფიქრებული, გულშეჭირვებული კაცი. თითქოს სულს ატანდა, ნაღველს ნაღველზე უმატებდა ისედაც გულგვამშემძვრელ მოთქმა-სიმღერაში. როგორც დღეს, ისე საუკუნეების წინათ, იქნებ ათასწლეულებს იქითაც ეხმიანებოდა ამ ძირძველ ლექსს თუ არანაკლებ ძირძველ მის წინაპარს... ბავშვიც, რა იყო „რინა“ (ცხოვრება) რომ არ ესმოდა კარგად, ამ სიტყვებს მიაწკრიალებდა შარაზე ეჟვანივით, სევდიან ხმაზე, ისიც ცხოვრებას უჩიოდა, თან ხვალინდელი ტანჯვა-წამებისათვის ემზადებოდა, სულს ღიღინ-ღიღინით იწრთობდა თითქოს. ერთი რამ თავიდანვე ჰქონდა გულზე დაჭდეული; მხოლოდ ტანჯვისთვის იყო ადამიანი გაჩენილი. აბა რა, თუ გაჩნდი, უნდა ეწამო, ითმინო, იმარტვილო... ის „რინაში ნება-ს“ ბატონს, როგორც მისი მორჩილი ყმა ან მტრის ურიცხვ შემოსევას, კი არ შესჩიოდა, არამედ — ზეციურ ძალას, არსთა გამრიგის სჯეროდა, რომლის სურვილს ვერც თვითონ, ვერც დუშმანი, ვერც ხელისუფალი ვერასოდეს გადავიდოდა. ამიტომ იყო, ალბათ, ეს სიმღერაც ასე ცისკენ თავაღერილი და გულგვამის შემძვრელი...

გუძა შორდია ორმოდან მკვირცხლად ამოძვრა, ერთიც გაიხედ-გამოიხედა, შარვალზე ჩაისვა ხელები, ვითომ ჩაიფერთხა და უახლოესი ბექობისკენ გაიქცა.

ქვევით, ტაფობზე უზარმაზარი ქალაქი მოჩანდა, მდინარე ტობაწყურის გაღმა-გამოღმა და სიგრძეზე გადაჭიმული.

პატიოსანი გლეხი კაცი იყო ჯეგე შორდია, თავადაც სჯეროდა ეს და,

* ცხოვრების უფლება რომ იყოს, ქვეყანა რამსიფართეა.

ოჯახიც ასეთი მაქვსო, ხშირად, გულის დასამშვიდებლად თუ პირის დასამშვენებლად. ხმამაღლაც დასცდებოდა. მართლაც, რაც ჰქონდა, იმაზეც განგების მადლიერი იყო; არ წუწუნებდა, ზედმეტს არ მოითხოვდა არც ღვთის, არც კაცისაგან და, ცხადია, არც სოფლის საქმეში გაეჩხირებოდა ზოგიერთივით წინდაუხედავად. მშრომელ, ჭიანჭველასავით ფუსფუსა ადამიანს მეზობლები კეთილი თვალით უყურებდნენ, თუ მაინცდამაინც არ უყვარდათ, არც სძულდათ. თუ კარგის გაკეთება არ შეეძლო ჯეგეს, არც ავს გაიკლებდა. გულში არასოდეს და ეს ხომ, ერთი შეხედვით, არც ისე პატარა საქმეა, მაგრამ, როგორც ჩანს, არც იმდენად დიდი და ერთობ საკმარისი ყოფილა თუ რმე ადამიანის არსებობისათვის... ასე იყო თუ ისე, რა უბედურებაც მის ოჯახში წუხელ დატრიალდა, ერთბაშად ყველაფრის მომშთობი და წამლეკავი იყო. იქნებ სადმე შეცდა ჯეგე ან „სხვისმა“ ეველასძველმა ცოდვამ სისხლში გამოსდია და სწორედ დღეს უწია, გამჩენმაც ხომ ალარ დაინდო! აბა რა, როცა კაცი წელებზე ფეხს იდგამდა, ხელისგულზე ცხრაპირ ტყავს იძრობდა. მაგრამ მაინც: საკუთარი ოჯახი მაქვს, შვილები მეზრდებაო, ფიქრობდა და თავს ბედნიერად თვლიდა. სწორედ მაშინ გაიწირა, ბოროტმა ძალამ მიწაზე დასცა და ხერხემალი ერთის დაკვრით გადაუფშვნიტა...

უბედური დღე გაუთენდა ჯეგე შორდიას.

ჯარგვალში მარტოდ მყოფი ცრემლვერ იკავებდა. დროდადრო ბავშვივით აუვარდებოდა ზლუქუნი. რატომ არ გამისკდება მიწა და არ გავქრებიო, გულწრფელად ნატრობდა სამუდამოდ შერცხვენილი და გულგასიებული, გაუბედურებული კაცი.

ახლაც აწეწილი ნამჯის ბურდოში, მტვერში, ნაკელისა და შმორის ჩაზიზღულ სუნში ესვენა ტომრებგადაფარებული ედუკის სხეული... ორად ორი მეზობელი დედაბერი შედიოდა შიგ თამამად და დროგამოშვებით რჩებოდნენ, კატას რომ არ შეებილწა. „ეგ უბედურის“ გვამი, სხვები კი, უფროსე ახალგაზრდა ქალები (თვითონ არ სურდათ და თავთავიანთი ქმრების რიდი ჰქონდათ) ცხვირს არ ჰყოფდნენ საბძელში. ეზოში იდგნენ, ან გარე-გარე უვლიდნენ წყვილ-წყვილად... ქარბორიასო, პირმოკუმულები და შეშფოთებულები ჩურჩულებდნენ და, ამ დროს საკუთარ კაცებს თუ მოჰკრავდნენ თვალს შორიდან, თითქოს რაიმე დანაშაულზე წაასწრესო, იმავწამს იფანტებოდნენ და სადღაც უჩინარდებოდნენ...

გამთენიის ჟამს ჯეგეს ცოლისძმა ამოვიდა.

რომ შეიტყო, რაშიც იყო საქმე, ისიც არ შევიდა საბძელში, დახედვითაც არ დახედა გვარის შემარცხვენელ დას, ვერც სიძეს გაუსწორა თვალი. ასხარსხალებულ დისშვილებს — ცარუს და ძაბულის ხელი მაგრად ჩასჭიდა, ამათ მაინც გავზრდი რიგიანადო, მეზობლის კაცებს დაუბარა, ორივე ცხენზე შემოისვა და უკან სისხლგამშრალი გაბრუნდა.

იცოდა, არავინ ჰყავდა გვერდით ჯეგეს, მარტო იყო, ცალუღლად თავის საწუხართან... ზოგი, უფრო ახლო მეზობელი კაცი შემოიხედავდა და ისევ უმალ და უსიტყვოდ გადიოდა, ზოგი კი თვალს შეგნებულად, მისი ცოლის-ძმასავით, არიდებდა ხოლმე, თან — ვითომ მთლად ასე არ არის, ჩვენც აქა ვართო და, შორიშორს, მძიმედ და ყრუ ხველებით უვლიდა ჯარგვალს.

მარტო იყო, ყველასგან წაყრუებული, განწირული და, როს შეღამდებოდა, ისევ მას უნდა აეკიდა მისი ოჯახის დამაცევარის გვამი ზურგზე და ეზოს გადაღმა, სადმე ყანის კუთხეში, უცრემლოდ და უსასახლოდ დაემარხა...

ბაგი გვაგვალიას ცხედარი გერა შავდიამ წაასვენებინა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ახლა გუძას დაეძებდა სოფელში სახელგახელოდ შექმნილი ხუთკაციანი რაზმი.

წუხელ და ამ დილით ხელახლა მოვარდა თვალებგადმოკარკლული ყალმათი ყურუა — იქნებ აქ იმალება სულაც ი ლაწირაკიო და შორდიების ეზოკარი მაუზერის ლულით ნაბიჯ-ნაბიჯ გადაჩხრიკა, ჯარგვლის კარი კი ფიხლით შედღლიზა...

აულაგებელ ლოგინზე წამოყუნცებული, საცოდავად მობღუნკული და აცრემლებული ჯეგე რომ დაინახა, კბილები გაახრჭიალა, შეიგინა და ბუზღუნ-ბუზღუნით წაბოზინდა.

მკაცრი იყო ყალმათი ყურუა. საერთო საქმის მტერს მშობელ მამასაც არ დავინდობო, საუბარს ამით იწყებდა და ამით ამთავრებდა. დიდ და მოუხეშავ, ბამბურა კაცს, ტანთან შედარებით მოკლე ხელები და პატარა, ბრტყელი, გაპობილი კოკოშივით შეჭყლეტილი ცხვირპირიანი თავი ჰქონდა, მაგრამ ხარივით ღონიერი იყო, წელზეც ორი მტკაველი მაუზერი ეკიდა ხის ბუდიანად და ისე მძიმედ, ჯაჯულად დაიზნიქებოდა, იფიქრებდით, მიწასაც კი ემძიმებაო.

საღამოხანობით სოფლის შარაზე უყვარდა ჩამოვლა-ჩამოსვლინება. ნაზნაურალის ან შეძლებული გლეხის ოჯახში — ვისაც ოდა-სახლიც ედგა და სამზადიც, მსხვილფეხა საქონელიც ჰყავდა და ფრინველიც, — თუ ვინმე არ ჭაჭანებდა ეზოში, ჭიშკარში მოურიდებლად შედიოდა. თავიდან მიმოთვალიერებდა იქაურობას, მერე ოდის აივანზე მსუბუქად ავიდოდა ამსიმძიმე კაცი, ფანჯარას მიადგებოდა, მუხლისთავს მსუბუქად უბიძგებდა, ჯერ ერთ ფეხს გადაიტანდა, მერე მაუზერს შემოაგდებდა რაფაზე ბრაგვანით, თავს გაყოფდა და ასე უხერხულად მოკეცილი შიგ შებობღდებოდა... ვინც არ უნდა ყოფილიყო ოთახში, მაუზერიანი ყალმათის შიშით, უმალ ზეზე წამოვარდებოდა და კედელს ლანდივით აეკვრებოდა.

ყალმათი კი, ვეება და უშნოდ აზვინული, თუმცა, უცაბედად თავბრუდახვეული (ზეზეურად მთვლემარე ცხენივით ჯერაც წინ და უკან რომ ქანაობდა დარტიანებული), თვალებს მაღლა მკაცრად აბრიალებდა, მერე: არის წესრიგიო? — იკითხავდა როყიო ხმით და, როცა დარწმუნდებოდა, მართლაც ყველაფერი „წესრიგზე“ იყო, ამჯერად კარიდან გააბოტებდა უფრო ზანტი და დამძიმებული ნაბიჯებით.

ჯეგე შორდია ღარბი კაცი იყო, არც კარ-ფანჯრებიანი ოდა-სახლი ედგა და არც ჯარგვალს ჰქონდა სარკმელი, უფრო სწორად, იმ ხელისგულისტოლა სანათურში ოქლაქი ყალმათი კი არა, მჭლე ბატი არ გაეტეოდა და თავიდანვე კარის ფეხით შემოდღლეზამ მოუწია.

კვლავ მარტო იყო ჯეგე, სახეზე მკვდრისფერი ედო, ყოველწამს თვალწინ ედგა, საბძლიდან გამოვარდნილმა ბიჭმა „ვავა ბაბაიაო“, რომ მოატირა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა.

ვაღურია და ორი მეზობელი კაცი შემოვიდნენ ჯარგვალში და ჩამქრალ კერიასთან, კველებზე პირუჩუმრად დასხდნენ.

არც ერთი არ იღებდა ხმას და ამან ნაღველი უფრო გაუორკეცა ჯეგეს, თავი ჩაეკიდა. ჩანდა, საუბარი უჭირდათ, რაც მისთვის არანაკლებ გამანადგურებელი და სულშემხუთველი იყო.

— გამაგრდი, ჯეგე... შვილები კიდო გყავს... — როგორც იქნა, ამოიღო ხმა მეგონამ, პირხმელმა, წვერმოშვებულმა მამაკაცმა, — რას იზამ! ასეთი ყოფილა ღვთის ნება... — მძიმედ ამოიოხრა, — ვერც ვერავინ გაექცევა, — თქვა და, განა ასე არ არისო, ვაღურია მესხიას მხრებაყრილი მიაჩერდა.

ვაღურიამ თავი თანაგრძნობით დაუქნია და იმოდენაზე ჩააფურთხა ნაცარში, მტვერი ბოლქვად ავარდა.

ჯეგემ მეგონას შეხედა. მიხვდა, უკვე შვილად არ უთვლიდა გუძას მეზობელი და ამ აზრმა უფრო შეაძრწუნა.

იქნებ ასეც იყო?! იქნებ თავადაც ვერ ხვდებოდა, შვილს რა დანაშაულიც ჩადინა? მართლაც, პატარა ამბავი როდი სჭირდა ერთს ან მეორეს! გუძამ

მთავრობის კაცი ძაღლივით ჩაკლა საბძელში... იმ უხსენებელს გული გაუსკდა... ცარუ და ძაბული დაობლდნენ... გაუბედურდა ჯეგე... მისი ოჯახი იავარიქმნა. სამუდამოდ დაიღუპა... თვითონ გუმა კი გაიქცა, მაგრამ სად? ამხელა დანაშაულს ვინ გაპატიებდა და ახლა არც თავად ადგა, ალბათ, კარგი დღე! ეს ბაღნები მაინც... კიდევ კარგი, ამ დილით მათი ბიძა ამოვიდა და თავის სახლში წაიყვანა. არა, ამჯერად გოგონების დანახვაც არ უნდოდა, თითქოს შეჯავრებოდა ისინიც (იქნებ იმიტომ, ორივე დედის ალიკვალი იყო, თავიდანვე — მშობელს კვერცხში თუ გამოსწვიანო...) და — აბა რა, ჭინჭარზე ჭინჭარი ამოვა, გაიფიქრა ჯეგემ, უსიამოდ გამოსცრა ტანში და თითო-თითო კურცხალიც გადმოუგორდა.

— უკვე გავთხარე საფლავი... — თქვა დურხუმ, — ყველაზე ახალგაზრდამ და წამოდგა, თავჩაქინდრულ კაცებს რომ გადახედა, თავი უხერხულად იგრძნო და ისევ დაჯდა.

— შევედი, მარა სად შევედი... — უკვე მერამდენედ ჰყვებოდა ერთსა და იმავეს დამფრთხალი, სახეგადაფითრებული ვაღურია მესხია, — აქეთ, კეფადან ზურგის ხერხემლამდე წალდის ჩაჩეხილი ბაგი უფროსი აგდია, იქით — დიდი ბოდიში და, ის უბედური, სულწაწყმედილი ედუკიაა მისვენებული, გეგონება, სძინავსო. კი, ხელად მივხვდი, გული რომ ჰქონდა გამსკდარი. — გაჩუმდა, მერე ყველაზე ახალგაზრდას პირდაფჩენილი და გაკვირვებული მიაჩერდა, — მითხარი, ვის მივხედო? ერთს, მეორეს... თუ ეზოში აბღავლებულ ჯეგეს? აქეთ კიდევ ის სამგლე — ძროხა ზმუის, შველას მთხოვს ადამიანივით. მისთვის მეცალა სწორედ! ჯეგესკენ გავქანდი, მარა, რად გინდა, ეტყვი რამეს? ბაღნებს კიდო გაუღვიძიათ და ისეთი სხარსხალი აქვთ ჯარგვალში, ცას ბზარი გაუჩნდება... ხან აქეთ გავიქცევი, ხან — იქით. ძროხა კი ბღავის, ბღავის... მაინც ვერ მომმითმინა გულმა და საბძელში შევვარდი. ახლა ატყდომია მაინცდამაინც ყელზე ჭიპლარმოხვეული ხბო [illegible] ობა... სულზე მივუსწარი. აბა! — ქუდი მოიხადა, მომუჭა, გახვითქულ შუბლზე მოისვა და გადაიწმინდა, — კიდო კაი, კიდო კაი, რომ არ გავგიჟდი.

კარგა ხანს არც ერთი არ იღებდა ხმას.

— მაინც რა შევცოდე ასეთი, ა? — იკითხა ჯეგემ უმისამართოდ, თან მეზობლები სათითაოდ ჩამოათვალიერა.

დამუნჯებულები ისხდნენ კაცები. თითქოს მისი ნათქვამი არც ერთს არ გაეგონა ან შეპასუხებას რა აზრი ჰქონდა?

— ის შეჩვენებული რომ შევირთე, — ამჯერად თითოეული ბგერა გამოკვეთილად, მკაფიოდ, რაღაც შემაშფოთებლადაც ყღერდა ჯარგვალში, მაგრამ მაინც დაღლილი თუ ბედსშერიგებული კაცის ხმა იყო იგი, — ორ თვეში მამაჩემს გავეყარე და აქ დავსახლდი. ერთი ხე არ იდგა, გაუვალი ეკალ-ბარდი იყო მხოლოდ. ძლივს ავკაფე და მოვასუფთავე. მერე ეს ჯარგვალი ჩავდგი, ფუძეს ეშმაკი არ გაეკაროს-მეთქი, ნახშირით წრეც შემოვავლე, თურმე... — სიტყვა პირზე შეაშრა და მეზობლებს შეშფოთებული სახით გადახედა, — ახლა საბძელი რომ დგას, ღრმა ხარო იყო, რაღაც ჩანაქცევი და ეკალ-ბარდით დაფარული. შემეშინდა, უხსენებლებს ბუდე არ ქონდეთ შიგ-მეთქი და ორი თუნგი ნავთი მოვასხი, იქაურობა ცეცხლს მივეცი... ცეცხლი და საზარელი სისინი ერთად ამოვარდა, შხამად ამოიჭრა იქიდან, ყელში საზიზღრად წამიჭირა და უკან გახტომა ძლივს მოვასწარი, გავშეშდი. რა საცოდაობა იყო! კუზზე დგებოდნენ და თვალებში მომჩერებოდნენ თითქოს.. ზეზეულად იხრუკებოდნენ უხსენებლები... — დაიზმუვლა და გაჩუმდა, — მაშინ, ის ჩემი ცოდვით სავსეც, გვერდით მედგა...

— ჯეგე!

გაწყარა მეგონა და ფეხზე წამოდგა.

ჯეგემ ჯერ გაკვირვებით შეხედა მე-

ზობელს, მერე სახე ხელებში ჩარგო და ატირდა.

მესამე ღამეს ჯეგე შორდიას ჯარგვალს ცეცხლი აუვარდა.

მეზობლები გამორბოდნენ, ცეცხლის ჩაქრობას და ჯარგვლის გადარჩენას ლამობდნენ, მაგრამ წინ ყველას ისევ ჯეგე ეღობებოდა, ხელში ჯოლოკეტი ეჭირა და ახლოს არავის უშვებდა.

— ცოდვილია ეს ადგილი! ნახეთ, ახლაც კუდზე დგებიან უხსენებლებიო — ცაში ავარდნილ ალს ასძახოდა და თავ-ფეხშიშველი, ნიფხავ-პერანგის ამარა ჯარგვალს გარს ყვირილით უვლიდა...

2.

მოშუადღევდა.

მზე ისე მაღლა დადგა და ჩამოცხა, ხეებსა და სახლებს თუ შარაზე ყარიბად მოყიალე რაგინდარა სულიერს საკუთარ ჩრდილს აღარ უტოვებდა.

გუძა შორდიამ სადგურის ქვის მომცრო შენობას შორიდან მოუარა, ცარიელი ბაქანი მიმოათვალიერა, მერე ლიანდაგს გადაღმა, ფართო, ოკრო-ბოკრო შარაზე გადაირბინა და შუადღის სიცხით, მტვრით, ნეხვით აქოთებულ, გაბინძურებულ ღარიბთა უბანს დაუყვა მშიერ-მწყურვალი და მოთენთილი.

სადგურის შორიახლოს, რომელიღაც ვიწრო ქუჩასა თუ ჩიხში იდგა მათი ნათესავის — ლევარსა შორდიას ქალაქური, ორთვალიანი პიტაფიცარა* სახლი, მაგრამ რკინიგზის გაღმა იყო თუ გამოღმა, ვეღარ გაიხსენა და დილიდან ხან ერთ მხარეს მიუყვებოდა უშედეგოდ, ხან მეორეს.

ლევარსა შორდია ჯეგეს გარე ბიძაშვილი იყო, ამ ქალაქის მკვიდრი, როგორც მამა ამბობდა, პირველი ორთქლმავალი მას შემოუყვანია თურმე ტობაში, ორი ათეული წლის წინ. იცოდა, რიგიანადაც ცხოვრობდნენ და, იქნებ არ გასჭირვებოდა გუძას თავისთან შეგირდად აეყვანა, ან დროებით მაინც შეეფარებინა სახლში საკუთარი მისხი და მოგვარე ყმაწვილი.

ქუჩასა თუ ჩიხს ვერ მიაგნო, თორემ, სახლი არ შემეშლებაო, ფიქრობდა. ახლაც თვალწინ ედგა შორდიების მომცრო, ქალაქური ეზო, მწვანედ შეღებული და რაღაც ნიშნიანი კუტიკარით.

დიდი ხნის წინათ, ბაზრობაზე იყვნენ საალდგომოდ გუძა და მამამისი ჩამოსულნი ტობაში. ხელი რომ გაითავისუფლეს ბაზარში, ჯეგე ურემს სადგურისკენ წამოუძღვა. თავადაც ძლივს გაიგნო გზა, ერთ-ერთ ჭიშკართან ხარები ორჭოფულად შეაჩერა, მიმოიხედა, სწორად მოვედი თუ არაო, რომ დარწმუნდა, წყალს მაინც დავალევინებ მისავათებულ პირუტყვსო, ჩაიბურტყუნა, ხარები გამოხსნა, მაინძელოო, — სახლს მყიფედ შეუძახა და ეზოში თამამად შეაბიჯა.

მაშინ ლევარსა ბიძია შინ არ დაუხვდათ და დღეს რას იცნობდა იგი გუძას, მაგრამ ხომ აუხსნიდა, ვინც იყო! ქალმა, ლევარსის მეუღლემ, საღამომდე ვერ მოვაო და ჯეგემ იჩქარა, მასპინძლის დალოდება კი არა, წყალიც არ დაულევინებიათ პირუტყვებისათვის. თუმცა, თავად ყველაზე მეტად ის დაამახსოვრდა — ლურჯი და ყვითელ არშიებშემოვლებული რკინიგზელის დაძველებური ქუდი, შემოსასვლელთან ლუსმანზე რომ ეკიდა.

ნაწყენი იყო ჯეგე რძალზე. როგორ თუ ძლივს მიცნო, ხელიც არ ჩამომართვა, დაელოდეო და შინ უგულოდ შემპატიჟაო...

ისე იყო თუ ისე, ქალი მართლაც ვერ სძლებდა დიდხანს იმ ოთახში, სადაც მამა-შვილს შეუძღვა და ქმრის მოლოდინში მაღალზუტგიან სკამებზე დასხა. ჯეგეს წარამარა შეკითხვებზე უწადილოდ პასუხობდა. მერე და მერე უფრო დაემჩნა ეს დისახლისს — როგორ ცხელაო, გაღიზიანებული წამოიძახებდა და, ცეცხლი თუ უკიდიაო, ლოყებზე ალმურავარდნილი გარეთ გავა-

---

* მეგ. საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი სახეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდებოდა, თან კარს ისე გაიჯახუნებდა, თხელი, საგულდაგულოდ გათლილი ფიცრის კედლები საეჭვოდ ყანყალებდნენ. რკინიგზელის ქუდი კი, გუძა პირდაფჩენილი რომ მისჩერებოდა, სადგურის უზარმაზარი საათის ქანქარასავით ირხეოდა და ირხეოდა... დედემ კარი მესამედ რომ გაიხურა და გაუჩინარდა, ჯეგე ბრაზისგან წამოჭარხლდა, ადექით, კინწხე უხეშად წაჰკრა ბიჭს ხელი, წამოახუნა და ოთახიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდა.

არც გზაში წყვეტდა ჯეგე წუწუნს როგორ თუ არაფერი იკითხა: გვშია, გვწყურია?.. ეგაა ქალაქელი ქალის წესი, უარესის ღირსია, ჩემი ჯიმიაიო, თავად ასკვნიდა ხოლმე და, გუძას თუ იმოწმებსო, თავზე ხელს თანაგრძნობით გადაუსვამდა.

გუძას არ აწუხებდა ბიცოლამისის ამბავი. ურმის კოფოზე სულგანაბული იჯდა და ტობა ქალაქზე, რკინიგზაზე, ორთქლმავალზე ფიქრობდა, ოცნებობდა. მერეც, უკვე სოფელში, ღამის გრილ სიჩუმეში, კიდობანზე ფეხებმოკეცილსა და სულშეგუბებულს რამდენჯერმე გახსენებია — უშველებელი და ინდაურივით გაფოფრილი, ათუხთუხებული რკინის ვეშაპი... ის ქუდიც, კარის ყოველ ჯახუნზე უზარმაზარი საათის ქანქარასავით კედელზე რომ ირხეოდა...

მას მერე ცხრა წელი გასულიყო.

გუშინ მეორედ ჩამოვიდა გუძა ტობაში. წუხელ გარეთ დარჩა. შუაღამით, ბნელში ბნელი რომ ათკეც გაიზარდა, შიში ტანში ყინვასავით გაუჯდა, ტობაწყურზე გავიდა და ღამე რიყეზე, ორ უზარმაზარ ლოდს შუა, ვითომ საიმედოდ ჩაწნეხილმა, გადაითენა. კბილს კბილზე აცემინებდა და — გულო, მოდი შინა, შინა, სისხლო, მოდი სისხლთანა, ფერო, მოდი ფერთანა, ტვინო, მოდი ძვალთანა, გულო, მოდი საგულეთანა... შიშის დასაფრთხობად იმეორებდა და იმეორებდა.

არც ამაღამ ჰქონდა სადმე წასასვლელი, შორდიების სახლს ხომ ვერა და ვერ მიაგნო.

ზაფხული კარზე იყო; შედარებით თბილი. მთვარიანი ღამეები იდგა. ... კაცმა რომ თქვას (რახან წუხანდელ ღამეს დაადგა საშველი და გათენდა), გარეთ რა უჭირდა. მაგრამ ორი დღის ნაშიმშილევი კუჭის შეგრძნება იყო შემაძრწუნებელი და დამთრგუნველი. მაინც სად მიდიოდა და რა უნდა ექნა, ვის ქოხს მისდგომოდა ხელგაწვდილი? უცხო ქალაქში, უცხო ადამიანს ვინ შეიკედლებდა, მჭადს მოუტეხდა და დაანაყრებდა? რაიმე ხომ არ გჭირდებაო, ჩემო გუძაო, ვინმე თანაუგრძნობდა, მხარაქცეულს გზაზე გაიყვანდა, სიმწრის ცრემლს მოსწმენდდა თუ რა?

და, ჩხინკი, ყარყატივით ალაწოდა, შიმშილისგან სახეგადაფითრებული ბიჭი ძლივს მილასლასებდა ფოლადივით გამდნარი, ადუღებული ცის ქვეშ მტვრიან, უკაცრიელ შარაზე და ფეხქვეშ ჩაფენილ საკუთარ ჩრდილს უგერგილოდ მიიტკეპნიდა.

სადგურს კარგა მანძილით გამომცდარიყო.

შედგა.

გზის ხელმარცხნივ ვიწრო ჩიხი ეცნაურა და სიხარულით გული შეუკუმშდა.

არც შემცდარა. სწორედ ამ ჩიხში შეუძღვა მამა ურემს, ორმოციოდე ნაბიჯს იქით ხარებს აპეურები შეუხსნა, მამა-შვილსაც რომ დაესვენა და ახლობლებიც მოენახულებინა.

გუძა სირბილით შევარდა ჩიხში და მწვანე კუტიკარს ეცა.

მარტო ცხოვრობდნენ ლევარსა და დედე შორდიები. შვილი არ ჰყავდათ, თავიდან თითქოს არაფერი, საკმაოდ ტკბილად იყვნენ, არც იმედს ჰკარგავდნენ პირმშოს მოლოდინში, მაგრამ როცა წლობით გაჭიანურდა მათი საწუხარ-სადარდებელი, უკანასკნელ ხანს სულ დავა და კინკლაობა ჰქონდათ — რომელი იყო დამნაშავე, ჩუმ-ჩუმად კი ერთმანეთს აბრალიდნენ. მაინც იმდენი დრო გასულიყო მათი ერთ ჭერქვეშ ცხოვრებისა, უკვე ამაო იყო, ალბათ, მემკვიდრეზე ფიქრი ცხრამეტი წლის

ცოლ-ქმრისათვის. ეს, რა თქმა უნდა, კაცს ეგონა ასე, ხელი საბოლოოდ ჩაექნია, თორემ ქალი თავისას ახლაც არ იშლიდა, ორივე სამკურნალო ვართო, მეზობლებს განგებ, ეტყოდა, პირის დასამშვენებლად შესჩიოდა, თორემ სამი-ოთხი წლის წინათ, ამ მხარეში ცნობილ ექიმბაშს — ციცხვაიას დედაბერს ქმრის უჩუმრად მიაკითხა. მკურნალი თავად ავადმყოფი დაუხვდა, გონდაკარგული იწვა თურმე და საკუთარ შვილიშვილებსაც ვეღარ სცნობდა. სამაგიეროდ, ექიმბაშის რძალი გამოდგ: კეთილი ადამიანი. დედეს ამბავზე შეწუხდა, მე თავად სხვამ მიშველაო, ერთობ საიდუმლოდ უთხრა მერე და ვიღაც გუგუჩიას ქალთან გააგზავნა. გუგუჩიაც ღრმა მოხუცებული და ცოტა უცნაური დედაბერი აღმოჩნდა. კიდევ ვახსოვართო, კმაყოფილი კრუსუნებდა და უკბილო პირს წკლაპუნით აფჩენდა.

საწოლი ოთახი, სადაც მკურნალმა ავადმყოფი შეიყვანა, ცივი და ობის სუნით ჩაზიზღული ჰაერით ჰყარდა და დედეს გააკრჭოლა. მიმოიხედა. დედაბერი გატიტვლებას თხოვდა და ვერ გადაეწყვიტა, დამორჩილებოდა თუ იქაურობა მიეტოვებინა. უნდილად გადაიძრო კაბა, პერანგი... ექიმბაშმა წელი და მუცელი გაუსინჯა, თხის ქონით დაუზელა, სამძიმარსა და ფურისულას ნაყენს მაისის (მაისისაო!) თაფლი გაურია და შეასვა, მერე წააყუნცა და „იქოზალა-ქოზალა“ თქვიო... თავად დიდხანს და გაუგებრად იჩიფჩიფა (კბილები განზრახ ჰქონდა თურმე დამძვრალი, შელოცვა, რითაც თავს ირჩენდა, სხვას არ გაეგო და სიტყვებს მაგიური ძალა არ დაჰკარგვოდათ), ორგვლივ რამდენჯერმე შემოუარა... ხერხემალგადახნექილ დედეს კი, კარტოფილის სანთლისებრ წვივებსა და გათქვირულ გავაზე კანი აქა-იქ დაეფოთლა, მერე აუთმიმდა და აუთრთოლდა, ხელი მოულოდნელად სტკიცა დუნდულოზე და — ეხ, ჯოლოხა კაცი და მისი ჯანი ახლაო, ისე საეჭვო კმაყოფილებით და გასაგებად წაიკრუტუნა. შეშინებული დედე ცქვიტად გასწორდა წელში, პერანგს ეცა — ქალის კაბა შეიცვალა გადაცმული მამაკაცი ხომ არ მომჩენრებიაო.

ექიმბაშის სახლს დიდად არ იყო გამომცდარი, ვინ არის მაინც ეგ ჯოლოხას კაცო, რომ აეკვიატა. მერეც ვერ მოიცალა და იმის შიშით, ძილში არ წამომაბოდოსო, ის ღამე თეთრად და ამ შემთხვევაზე ფიქრით გაათენა.

ეს რა მემართებაო, პირზე მუჭს იფარებდა სხეულში ხურვებაშეპარული დედე, ვერ ერეოდა თავის თავს და (ჩემი ბრალი არ არის, შვილი რომ არ გვყავს, გული ცხადად მიგრძნობსო.) დიდხანს არ უყოყმანია, როგორც იქნა, გაბედა... რახან ქმრის ღალატი გადაწყვიტა, ცხადია, ისეთი ვინმე მაინც უნდა ენახა, მის საწუხარს რომ შველებოდა და არჩევანიც ერთ ძველ ნაცნობ მამაკაცზე შეაჩერა (ამ კაცზე გათხოვებამდე ჰქონდა გული შევარდნილი. მათ უბანში ნავთის წერტლი მუშაობდა. საოცარი ჯანის პატრონი იყო, საკმაოდ ახალგაზრდაც; ნახევარტონიან რეზერვუარებს წიხლით დაახრიგინებდა აქეთ-იქით ნახევრად ბნელსა და აშმორებულ სარდაფში). ბავშვი მინდა და ჩემი ბედოვლათი ქმრის ხელში ესეც ხომ ერთგვარი მკურნალობაო, უკვე აქეთობისას გულდამშვიდებული ფიქრობდა და შინისკენ მოიჩქაროდა. საჩუქრად მიღებული ლიტრი ნავთიც პატარა ამბავი ხომ არ იყო! ისე ფაქიზად ჰქონდა ბოთლი მკერდზე მიხუტებული, თითქოს უშვილობის უებარი წამალი ყოფილიყო და რახან ხელში ჰქონდა, აწი რა გაუჭირდებოდა.

ლევარსა ვერაფერს მიმხვდარიყო თუ თვალს ძალად იბრმავებდა, ვერ გაიგებდი. კი, დედამ რომ უღალატა, იმ ღამეს ცხვირს რაღაც საეჭვოდ აქსუტუნებდა ლოგინში, მაგრამ ისიც იცოდა, ნავთი (უშვილობას თუ ვერა) მართლაც ბევრ რამეს შველოდა: ტილს და ბუგრასს, წილს თუ კანის ქავილს და, არც უნდა გაჰკვირვებოდა, კაიხანს რომ არ მოსცილდა დედეს ეს სუნი, მაშინ

— იმ ჩემი ცოდვით სავსეს, ნავთით აიყროლე ყოველლამ ტანი, ხომ არ უთქვამსო, გუგუჩია-ექიმბაშზე გაბრაზებულმა წაიდუდღუნა, მერე საბანი ცალი ყურით დაითრია და ოთახის მეორე კუთხეში, პირდაპირ იატაკზე დაწვა. საიდან გაიგოო, უსაბნოდ დარჩენილი ქალი სახტად დარჩა, ლოგინზე მკვირცხლად წამოჯდა. რომ მიხვდა, ამით დამთავრდა მათი საუბარი: უარესიც გხვდებაო, გაიფიქრა, ორაზროვნად ჩაიღიმა და წელში ვნებიანად გაიდრიკა...

ბოლო დროს, საერთოდ, უმძრახად იყო ლევარსა ცოლთან, შინ იშვიათად მოდიოდა, „სტანციაში“ ან დეპოში ერჩია ღამე გაეთია, ვიდრე საკუთარ ჭერქვეშ.

ქალმა იგრძნო, ვერც ჯანიანი მუშა შველოდა მის გასაჭირს, ვერც ვერავინ და ბერწად გადაგება მრგებიაო, შეწუხდა, შეჭირვებულ გულს ყამდაყამ კვლავ ვნების დაცხრომით იქარვებდა, საბედნიეროდ, თაყვანისმცემლები არ აკლდა, მაგრამ ის ჯოლოხას კაცი მაინც ვინ არისო, მასზე ფიქრს ვეღარ იცილებდა და ერთ მშვენიერ დღეს ისევ ნაცნობ მკურნალს მიადგა, ერთობ სოლიდური მოსაკითხით. ჯოლოხა გუგუჩია — ექიმბაშის მეორე ქმარი აღმოჩნდა, ოღონდაც ორი ათეული წლის წინათ რუსეთ-იაპონიის ომში დაღუპული და — ბედი უნდა ყველაფერსო, უკან დადარდიანებული გამობრუნდა. ქალის ამდაგვარმა მცდელობამ და სიჯიუტემ — რამეფრად შვილი უნდა გავაჩინოო, საბოლოოდ ის ნაყოფი გამოიღო, ქმარი დააკარგვინა. სამაგიეროდ მეტი თავისუფლება უბოძა და, ადრე იქით თუ აკითხავდა დედე საყვარლებს, დღეს სახლშიც სტუმრობდნენ ისინი. რაც, ცხადია, მეზობლების მახვილ თვალს არ გამორჩებოდა ხოლმე, ბევრჯერ უნახავთ, შეღამებულზე, შორდიების ლაფაროსთან მორიდებით აყუნცული თუ მათ ჭიშკართან ფეხათრევით და კისერმოღრეცით მიმავალი უცნობ-ნაცნობი მამაკაცი.

გუძამ კარზე დააკაკუნა.

არავინ გამოეპასუხა. ისევ [illegible] კუნა, მერე ფანჯარასთან მივიდა და შიგ შეიჭყიტა.

ოთახის მკაცრი, ყრუ სიცივე შემოეფეთა და ფანჯარას სწრაფად მოცილდა.

მიიხედ-მოიხედა. არც მეზობლად, არც ქუჩაში ჩანდა ვინმე, ჩამიჩუში არსაიდან ისმოდა და სანამ მოიფიქრებდა, ვისთან და სად ეკითხა შორდიების ასავალ-დასავალი: ვის ეძებ, ბიჭიკოო, საიდანღაც ქალის ბავშვივით მწივანა ხმა მოესმა.

მოიხედა.

დაბალ, გამეჩხერებულ მესერს ტანმორჩილი და მრგვალი, პირბუნჩულა ქალი — გაღიმებული სახე და გაფანტული მზერა რომ ჰქონდა — მოსდგომოდა.

— ლევარსა ბიძია მინდოდა...

გუძამ ქალის მკვირცხლ, მოურიდებელ მზერას და ღიმილს თვალი, თავისდა უნებურად, მოარიდა.

— ლევარსა?

პირბუნჩულამ ისე გაიოცა, ბიჭი შეცბა — სახლი ხომ არ შემშლიაო.

— ხო, — თქვა დაეჭვებულმა.

— დედე ახლახან ხომ აქ იყო?

კი არ იკითხა, შეიცხადა და ფეხის წვერებზე აიწია; მოკლე, დონდღლო მკლავები მოღუნა, იდაყვები მხრებზე-მოთ აჰყარა, მესერს ყბით ჩამოეწკიპა, ჩამოეკიდა სასაცილოდ და გათქვირებული ძუძუები (მსუქან, ჩაპუტკუნებულ ტანთან შედარებით მაღალი, უზომო ზვინივით გულ-მკერდი ჰქონდა) ხარიხაზე, თითქოს ცალ-ცალკე და მარგილებშუა გასხლტომა მონდომებიათო, მკვრივად შემოეწყიხნენ...

გუძას სახეზე ალმური აუვარდა, თავი დახარა და, ხელებს ადგილი რომ ვერ მოუძებნა, შარვლის ჯიბეებში იდურთა.

— დედე, დედე! — პირბუნჩულამ ზედიზედ მიაწივლა.

შორდიების სახლი დუმდა.

— საიდან ხარ?

ისევ ბიჭს მიუბრუნდა ქალი, თან, ეტყობა, ფეხის წვერებზე დგომით დაიღალა და ჩაცურდა — ერთბაშად მესერს გაუთანაბრდა.

— სოფლიდან...

— მერე? — მესერშუა საიდუმლოდ იკითხა.

— არაფერი... — რას გადამეკიდაო, გაიკვირვა. — ნათესავი ვარ. — თქვა მოგვიანებით. მარჯვენა ხელი ჯიბიდან ამოიღო და კეფა მოიფხანა. შეხედა. ქალის გაფაციცებულ მზერას და ღიმილს კვლავ რომ შეეჩეხა, მთლად კარგად ვერ უნდა იყოსო, გაუელვა, მერე ნაფიქრისა შერცხვა თუ პირბუნჩულასი, თავი ისევ მორცილად დახარა.

ქალს მაშურია ერქვა და მართლაც ვერ იყო კარგად. მეტწილად გაზაფხულზე, ყვავილობის ჟამს, მზე დილიდან რომ გამოიხედავდა, მისი სითბო, სილალე, ცხოველმყოფელობა მოეფინებოდა გარემოს და ძალუმად გაუჯდებოდა ძვალ-რბილში ქვეყანას, თითქოს ბუნების გამოღვიძება და გაფურჩქვნა არა მარტო ყნოსვას უფაქიზებდა, ან ჰაერი — მათრობელა სურნელით გაჯერებული — მხოლოდ მგრძნობიარესა და ემოციურს კი არ ხდიდა მის სულიერ განწყობილებას, არამედ თავბრუს ახვევდა, სხეულზე ცეცხლს უკიდებდა, მერე კვლავ და მერამდენედ ნერვიულ აღტყინებაში რომ გადაზრდოდა... იქნებ ბუნების ცვალებადობისა, თუ გაზაფხულის მცხუნვარების ბრალი იმდენად არც კი იყო, რამდენად საკუთარი სხეულის სიმახინჯით გამოწვეული მარტოსულობა, ერთფეროვანი დღეების ზოზინი, წლოვანება, საერთოდ, ყოველივე ეს გულზე ტალღასავით რომ მოსჯახებოდა და სტანჯავდა ყრუდ, უენოდ...

ოცდაცამეტი წლისა იყო მაშურია; უშნო, ქვიჯასავით დაგვაჯული, იცოდა, ვინც იყო (თუ არ იცოდა, მსგავს რაღაცას ამკარად გრძნობდა თანატოლ გოგო-ბიჭებსა თუ უბრალო ამვლელ-ჩამვლელის გულგრილ ქცევა-გამოხედვაში და, იშვიათად, ეზოს იქით მარტოს რომ გაეხედა), ზედაც არავინ უყურებდა; არც შინაური, არც გარეული ადამიანი დედაც კი, ერთადერთი, ვისი იმედი და სიყვარული ჰქონდა, როგორც საპყარ შვილს, ისე უყურებდა და ეს ათეკეც აღიზიანებდა. მართლაცდა, რა იყო, სულს ასე რომ უხუთავდა და სუნთქვა უჭირდა? ხან კიდევ, თითქოს ბაყაყისტოლა ცხოველი ჰყავსო გულ-გვამში შემძვრალი, რომელიც ზოგჯერ სად აეტყეპებოდა და ზოგჯერ — სად; აი ასვენებდა, მუცელში ბრმა ლეკვივით უხვარხვალებდა და მაშინ, ერთბაშად აწრიალებული და გაოგნებული, ვერ ეგუებოდა მშობელს, ვერც ვერავის; თორემ სხვა დროს (ანუ ის წრიალი რომ ჩაუცხრებოდა და გაულღვებოდა სხეულში) ბუნებით იმდენად გულთბილი, უნალვლო და მორცხვი იყო, ერთი ღიმილიანი გამოხედვა ყველა საწუხარს უმალ ავიწყებდა და ბავშვივით აღაფრთოვანებდა... ასეც იყო, გაზაფხულისა თუ სიცხიან დღეებზე არანაკლებ უცნობი მამაკაცის შემოხედვა უფრთხობდა მზერას, აბნევდა სასაცილოდ (არადა, მასთან ხომ ერთნაირად, თითქმის ყველა უცხო და უკარება იყო, თბილ სიტყვას ათასში ერთხელ თუ გამოიმეტებდა ვინმე, მაგრამ ზოგჯერ იმდენად უჭირდა, ისიც კმაროდა, თუნდაც სპირისპირო სკესის ტანსაცმლის სუნი ეგრძნო); ხმა აუკანკალდებოდა, თვალები აუეუეუნდებოდა, გაიბადრებოდა, აუწუილდებოდა ყურებში რაღაც უცხო და უცნაური ხმები... ან დროს ისევ დედამისი მოდიოდა გონს, ხვდებოდა, რა „აწუხებდა“ მის შვილს და მარტო არ დატოვებდა. ხშირად ოთახშიც ამწყვდევდა, არ შემირცხვესო... ლოგინზე პირქვე დამხობილ, მხრებათრთოლებულ მაშურიას კი ერთ სიცოცხლედ ეღირდა, ვინმე ახლობელი ჰყოლოდა გვერდით, მასზე უფრო ბეჩავს და მარტოსულ ადამიანს შემოეხედა, მოულოდნელად გულში ჩაეკრა...

ზაურ კალანდია
ეამი მესამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნათესავი? — ისე იკითხა ქალმა, თითქოს არ დაიჯერა.

— ხო. სად არიან? — გუძას ბრაზი მოერია.

— რა ვიცი... კი ვხედავდი დედეს ახლახან. მოვა, ალბათ, — შეწუხებულმა მორცხვად გაუღიმა.

— აბა, დაველოდები.

იმდაგვარად დაეკითხა, თითქოს მაშურიას ნება-სურვილზე იყო მისი დარჩენა-არდარჩენა დამოკიდებული.

— კი, ბიჭი, დაელოდე, — თქვა ზანტად და უცებ მოიწყინა, ნაუცბათევად მოშორდა მესერს, წავიდა.

მეწამული და უსახელო კაბა ეცვა მაშურიას. ჩაპუტკუნებულსა და მოკლეფეხებას კისერი თითქმის არ აჩნდა, თუმცა, მიუხედავად ნამეტნავი სიმსუქნისა, ახლა ისე ცქაფად მიტუსტუსებდა მუხლამდე ბალახში, იფიქრებდით, მინდვრის სიმწვანეში მთვარისხელა წითელი კოჭი მიგორავსო. სახლს რომ მიუახლოვდა, შედგა. შინ შესვლა დააყოვნა, ჯუძას გამოხედა. ძლივს აიცდინა თავზემოთ კუნტულა ხელის მტევანი, დაუქნია. მერე ისე სწრაფად გაუჩინარდა, თითქოს უცნობი ბიჭის დაჟინებულ მზერას დაემალაო.

გუძას გაეღიმა.

ქუჩისკენ, ღობის კუთხეში ტოტებგაბარჯღული და ფესვებამოყრილი, ჯუჯა ლეღვის ხე იდგა.

ხესთან მივიდა, გამხმარ ფესვზე ჩამოჯდა. ზურგით მიეყრდნო მის ტანს. მიესვენა და, მოვლენო, აბა, არ მოვლენო, გაიფიქრა.

ამოიოხრა... რა ბედნიერება იყო ასე თავისუფლად ჯდომა და არაფერზე ფიქრი, ყველაფრის ერთბაშად დავიწყება.

თვალები დახუჭა. მართლაც, რა კარგი იქნებოდა ახლა შინ, შუაგულ ეზოში მდგარი მეწლე მსხლის ძირას, ხასხასა ბალახში კოტრიალი და რაგინდაარა ნატვრა-ოცნებაში ჩანთქმა-ჩაყურსვა... რა თქმა უნდა, მაშინ იქნებოდა კარგი, დიდებულიც — გუშინწინდელი ღამის საშინელება ზმანებად რომ ქცეულიყო! ღმერთისთვის რა დიდი საქმე ეს იყო! თუმცა, სად იყო ღმერთი? ანა თვითონ არ იდგა იქ, როცა ყალმათი ყურუამ მთავარანგელოზის უძველესი ხატი ეკლესიიდან გამოიტანა და: ნახეთ, ხალხნო, თქვენი საფიცარი და მფარველი ჩრჩილს არ შეუჭამიაო! —შიშით სულშეგუბებულ სოფლელებს წრეში ჩამოუტარა, კიდეებზე დანა უჩხიკინა, რკილს სული შეუბერა, გადაიხარხარა... ეტყობა, ცოდვამ უწია, გაგიუდაო, ღვთის რისხვად აღგზნებულ კაცს ბევრმა თვალი მოარიდა და უკან დაიხია, მაგრამ ერთმა ბერიკაცმა მაინც ვერ მოითმინა: ვორწყეთ, სკუა ყალმათი. დუდი სქანდა ხოლო დუკიტიტუნიაო*... მაშინ მთლად გაცოფდა ყალმათი, ხატი იქვე, საფლავის ქვაზე მიაყუდა და: აბა, თუ რამის მაქნისია ეგა, აგერა ვარო, იყვირა და სამი ტყვია ზედიზედ დაახალა...

გუძა თავის ტოლებს ჩამორჩა და კვლავ ეკლესიის ეზოში მობრუნდა.

რამდენიმე ღრმად მოხუცებული ქალი და კაცი წრედ შემოსხდომოდნენ მდელოზე ფაქიზად დასვენებულ ხატს და უსიტყვოდ მოსთქვამდნენ. მის დანახვაზე შეკრთნენ. ბიჭსაც მოერიდა და თავი ჩაღუნა, თუმცა, ხატზე ნატყვიარი თვალს მაინც მოხვდა: ანგელოზს ტყვია ჯვრის სახედ დაწყობილ ხელებში გასვლოდა.

გაყუჩდა. რაღაც შინაგან ხმას მიაყურადა. პირზე ნერწყვი მოადგა, თითქოს ჩაფიქრებამ ყნოსვა გაუფაქიზა, ან ფუჭ ოცნებებს ისევ რეალობამ სძლია და... შიშილის საშინელი გრძნობა გულ-გვამში შეუძვრა, მუცელიც ისე აეწვა. ნაწლავები ერთმანეთს დასაფლეთად თუ გადაუხლართაო და, გაბრუვდა, მერე რაღაც მოწითალო ლაქებიც აუტუტნდნენ ცხვირწინ და თვალებდახუჭულმა ნერწყვი უფრო გამაღიზიანებლად გადაყლაპა...

თვალები გაახილა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა.

---

* ვხედავთ, შვილო ყალმათი, შენი თავიც დაუჩრჩილავსო.

შორდიების ფანჯრიდან ვიღაც დაკინებით მოსჩერებოდა და შეცბა, თვალებზე ხელი აიფარა, მოისვა, მერე კვლავ სარკმელს მიაცივდა.

მოტყუვდა.

სახლს ორივე თვალი ადრინდელზე ყრუდ, ჩაწკვარამებულად უჩანდა და ალბათ, მომელანდაო, თავი დაიმშვიდა.

ჭიშკრისკენ გაიხედა.

რაღაც უსიამო სუნი ეცა...

ზურგს უკან, ღობის ძირას, უცხო. დაგვაჯული მცენარე აყვავებულიყო, რომელიც მოტკბო-მომწარო სურნელს აფრქვევდა ირგვლივ და მიხვდა, ყნოსვას ეს ულიზიანებდა.

იქნებ არც მოვიდნენ და ამაღამ სად უნდა წავიდეო, შეიშმუშნა და ისევ სახლს შეხედა.

კაცმა რომ თქვას, სად უნდა წასულიყო, თორემ არც ისე დიდი იმედი ჰქონდა ბიძამისის. ჩემს ამბავს რომ გაიგებს, რას შემიფარებს, მით უმეტეს, ის ქალიო, ბიცოლა გაახსენდა და მოიწყინა, ცივმა ერუანტელმა დაუარა. მე არ ვიტყვი და, აბა, საიდან, მთავარია, ვინმე ჩვენებურმა არ მნახოსო, თავი ძალად დაიმშვიდა.

საღამოვდებოდა.

შორს, შორდიების სახლს ზემოთ, ფერდობზე შეფენილ ფაცხებს, ქოხმახებს, შავად მზინავ მიწურებს, ყავრის, კრამიტის სახურავებიან ოდა-სახლებს — ჩამავალი მზე, ჰორიზონტს მიღმა ზაფრანასავით წითლად რომ ღუოღა, ოქროსფრად ავარაყებდა...

მზემ თვალები ატკინა, დაღლილი, შიმშილით მისავთებული ბიჭი მოადუნა და...

უცნაური სიზმარი ნახა...

მოქუფრული დღე იყო.

გუძა უძველეს, ქვა-დუღაბის მრავალთაღოვან ხიდქვეშ, რიყეზე იდგა და წყლის დინებას გაჰყურებდა. წყალი კრიალა, მდორე და ღრმაც იყო.

გუძამ პერანგი გაიხადა და ქვაზე დადო, შარვლის ტოტები მუხლამდე აიკარწახა და ნაპირს სიფრთხილით ჩასცდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდი, მიდი, გუძაო, მოესმა ზურგს უკან.

მოიხედა.

ნაპირზე სამნი იყვნენ და წყალში მუხლამდე მდგარ ბიჭს ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ. ესენი აქ საიდან გაჩნდნენო, გაუკვირდა და უკან მობრუნება დააპირა. საშინელი ყიჟინა ატყდა. უკვე სამნი კი არა, უთვალავნი იყვნენ, რაღაც ჭრელ და უზარმაზარ, მაგრამ ერთ ლაქად ათქვეფილნი... უცებ კაიხელა შავწინწკლებიანი თევზი ამოუხტა, ვერცხლისფრად გაიბზინა ჰაერში, მსხვილი, ქერეჭისტოლა წყლის წვეთები სახეში შეაშხეფა და გაქრა... შეშფოთებულმა ირგვლივ მიმოიხედა. მერე — რაკი წყალში ვდგავარ, იქნებ „ჩემი თევზი“ დავიჭირო, ბედი რომ მერგოს, ესენიც ამიტომ მამხნევებენ, ალბათო, დაასკვნა და ცოტა ზემოთ, ეხისკენ აიწია. დაიხარა, ორივე ხელი შეჰყო დარანში, რაღაც სლიპინას წაუპოტინა თითები და ღრმად შეჰყვა... წყალმა აქა-იქ ამოიბუყბუყა, მოდიდდა, მალე ნიკაპამდე უწვდინა და გუძა უმალვე მიხვდა, საქმე ცუდად რომ იყო, წყალში კი არა — მღვრიე და აშმორებულ, წებოვან ჭაობში, ტლაპოში იდგა და მუხლის გატოკებაც არ შეეძლო, ვერც ხელი გამოჰქონდა დარანიდან, პირიქით, იქეთ იზიდავდა, ითრევდა უფრო ღრმად და იქნებ ხმა ნაპირს მივაწვდინო, რომ მომეშველონო, კისერი ზურგისკენ მოიღრიცა. თხელი, ლამივით სითხე ჩასცდა პირში და ყელი ერთიანად ჩაუტყაკა, თითქოს გაიგუდა... მაინც მიუწვდინა თვალი ნაპირს. იქ მისთვის არავის ეცალა. ხტოდნენ, ღრიალებდნენ, უაზროდ ხელფეხგაფარჩხული, აჩრდილებივით ალაწოდა სხეულები... არც ადამიანებს ჰგავდნენ, არც ეშმაკებს და სასოწარკვეთილმა გუძამ იბღავლა.

მაშურია შეხტა, ბიჭის გასაღვიძებლად გაწვდილი ხელი უმალ ძირს დაუშვა და ზურგს უკან დამალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუძა კი (ცხვირწინ უცნაურად ახვარხვალებული და უშნოდ გაფოფრილი რალაც მოჩვენება რომ დაინახა), უფრო დაფეთდა — დედაო, თავისდა უნებურად მიაყვირა, თან კბილი კბილს ისე მწარედ დაჰკრა, კინაღამ ენა წაიკვნიტა. მერე ხეს წაებღაუჭა და მოფერასავით, გაისუსა...

პირბუნჩულა ქალი ეცნო (წეღან მესერს თვალებგაცისკროვნებული რომ იყო ატყეპილი) და გაოცდა, უცაბედ შიშზე კი, დედა რომ წამოაძახებინა და კინაღამ ენა წააკვნეტინა, ამჯერად შერცხვა და თავი დამნაშავესავით დახარა.

— რამ შეგაშინა, ბიჭო?!

მაშურიას გაოცებულმა ხმამ ისე თბილად გაიწკრიალა, თითქოს მუჭით ციცინათელები შემოებნია ბიჭისთვის და არა მარტო გუძას, ბნელსაც გალღობოდა სახე, ერთი ნაბიჯით მაინც უკან დაეხია და ცხადი ყიზმარივით საკვირველად გადაებრჭყვიალებინა.

—მე-ე? — წაილუღლუღა.

— აბა, მე? — ახლაც იმოდენაზე გაიოცა, თეთრი, კრიალა კბილების მწკრივი გამოუჩნდა ქალს კაკაჩია ღამეში, — ასეთი რა გესიზმრა? — შეყოვნდა, დოინჯშემოყრილი მიაცივდა, — ისე მიაყვირე, კინაღამ გული გამისკდა, ბიჭო!

— არ მოსულან? — ცალყბად ჰკითხა.

სიზმარი გაახსენდა და შეცბა, ტანში უსიამოდ გაჟრჟოლა... ხელის თითები ერთმანეთს გადააჭდო, მოხარა, ცხვირთან მალულად მიიტანა, დაყნოსა... ტალახში ამოთხვრილი და აშმორებული რომ არ ჰქონდა, შვებით ამოისუნთქა და ქალს თამამად შეჰღიმა.

— რომ მოსულიყვნენ, არ დაგტოვებდნენ, ალბათ, გარეთ. ხომ თქვი, ნათესავი ვარო?

— კი, სოფლიდან.

— ეგ ვიცი. — შეყოვნდა, — თუ გინდა, ჩემთან წამოდი და იქ დაელოდე, — თქვა მოულოდნელად მაშურიამ და, რას იტყვისო, სუნთქვად იქცა.

არ მოელოდა და ენა დაება:

— არა უშავს... მოვლენ, აბა, რა იქნება, — თითქოს ყინული გაულღვა სხეულში, დათბა და მადლიერებით შეხედა.

— წამოდი, წამოდი... — ქალი გასჭირს მიუხვდა, — აქვე არა ხარ? მოვლენ და გადმოხვალ.

და, აჩქარდიო, თამამად მიეახლა, ხელი მხარზე შეახო, იმავწამს რომ მოაშორა და შეცბუნებულმა ისევ ზურგს უკან დამალა, მერე არ დალოდებია ბიჭის პასუხს, მკვირცხლად შეტრიალდა და წატუსტუსდა.

გუძაც, იმის შიშით, არ გადაიფიქროსო, აჩქარდა, კვალში მიჰყვა წინმავალს, მერე და მერე გვერდით აედევნა მთელი ტანის ამსხლტარი და საღამოს ჩრდილივით დაგრძელებული, თავჩაღუნული და სხეულმოღვენთილი ბიჭი...

ქალი შედგა. გამოუხედა, ოლაგეს წვრილ ხელნას წაებღაუჭა, აიწია და ცალმუხლაკეცილი — კაბა უსაშველოდ აუსხლტა და ამღამინდელი მთვარესავით გავსებული, გათქვირებული ქალის სხეული ლატანზე გვერდულად და სიცილ-ხვარხვალით გადაგორდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი

მდუმარე მწვერვალებთან
მიცურავდა ღრუბელი,
თვალებში აღბეჭდოდა
აზრი, გამოუთქმელი:

ყვავილივით ჭკნებოდა
მწუხარებით ძლიერი,
მიფრინავდა, ხდებოდა
შემოდგომის ფრინველი.

კვირა

სანთელს შუქი მოუკლა
მოვარდნილმა გრიგალმა,
როცა დავრჩით უშუქოდ,
მერე ყველამ ინანა.

სინანული რას გვშველის,
ან ტირილი, — რა თქმაა,
ცეცხლი სანთელს დაუბრუნოთ
რადგან სხვა გზა არაა

შენ რომ არა, ხელოვნებავ...

რა ხანია, ხალხით სავსე
ულამაზეს ქუჩებს
მისდევს შენი დაუღლელი,
მეძებარი სული.

რა კარგია, როცა ეძებ,
დრო ძიებით გაგყავს —
და არც გრჩება დრო იფიქრო:
ვინ ხარ, რა ხარ, სად ხარ?

ბეთანია

ღამის ტკივილი დილით დასრულდა,
უნდა გავუძლო, ჯერ არ მოვმკვდარვარ.
ისევ მიტაცებს წვიმების თქორი,
ამღვრეული ცის ბრგე მოძრაობა
და ხმა უვალი, გაუგონარი.
ციდან მიწამდე, მიწიდან ცამდე,

ელვის წვრილ ზოლში გამომწყვდეული,
მარცვლად იშლება
და ჩემს მიწაზე ყვავილნარდება
უდაბნოები;
მთები იფშვნება, ქრება სიმკაცრე
და რჩება მხოლოდ შეურყეველი
სიფაქიზე და სულის სინაზე.

ლაშა

პატარა ბაღში ძეგლი იდგა პატარა ბავშვის,
პატარა ბაღში მოდიოდნენ ბავშვები ხშირად.
პირველ პეპელას აქ იჭერდა ბავშვების აზრში
დაუღალავად მოთამაშე, ცელქი გონება.
მუდამ ფერადი სახეებით შემკული ბაღი
ყოველთვის სუფთად ახვედრებდა სამყაროს იმათ,
ვინც ახარებდა ქვაში მცხოვრებ პატარა თვალებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმ ბედნიერ ბავშვობაზე ჩაფიქრებდა.
ახლა კი იდგა მძიმე ხვედრით შეგუებული,
პატარა ბაღში იდგა მისთვის და უყურებდა,
ყოველდღე როგორ იზრდებოდა ბავშვებში — ბავშვი.
თითონ კი ისევ ისეთივე დარჩება მუდამ
პატარა ბაღში ძეგლი იდგა პატარა ბავშვის,
პატარა ბაღში ისევ მოვლენ ბავშვები ხშირად,
და დაინახავს ნაცნობ სახეს, შეცვლილს და გაზრდილს,
რომელიც ერთ დროს აქ იჭერდა ჰირველ ჰეპელას.

მურად ჭოლოკავა

ზენი ღიმილი

მე სიყვარულის ვიჯექ კოცონთან,
ვიღაც მომწონდა და არც მომწონდა,
მიყვარდა ვიღაც და არც მიყვარდა —
თითქოს ეს გრძნობა სადღაც
მრიყავდა...

ესმოდა სივრცეს გულის სიმღერა.
ჩქეფდა მდინარის ლურჯი ნაპირი,
მზე მაღლდებოდა თითქოს პირველად
და სულს თან ახლდა სუნთქვა
აპრილის.

ეს ასე იყო, ეს ასე მოხდა...
ვათვალიერებ წარსულის ფურცლებს.
როგორ გავუძელ დარდსა და ოხვრას —
მე ახლაც მიკვირს და ისევ ვუძლებ.

ალბათ, იმიტომ, რადგან ვერ ვპოვე,
გაჩენის დღიდან რასაც ვეძებდი,
ახლა მე ვგავარ ქვეყნად იმ პოეტს,
ვინც სხვისი მადლით არის დღეგრძელი

შენს თვალებს ახლავს აპრილის
სითბო,
აპრილის სუნთქვა შენ გახლავს ისევ,
გაზაფხულია ღიმილი თითქოს,
როცა მიღიმი და ბრწყინავ მზისებრ.

შენ ხარ სიცოცხლე და სიმძიმილი,
ხარ სიხარული, ფარული სევდაც,
სახოელს მაგონებს შენი ღიმილი —
ღამის წყვდიადში ხატთან რომ
მედგა.

ლ ო დ ი ნ ი

ბურუსი ქრება, შორით ელავს მზე.
ღრუბლებში ჩნდება მზის დალალები.
მე ისევ ვდგავარ ტაბაკელაზე
და ცას გავყურებ სველი თვალებით.

უცებ მენიშნა ცის უდაბნოში
კენტად მავალი შავი ღრუბელი, —
სხვა საუკუნის დარდს რომ
ჩამოშლის,
წავა, ჩაივლის დასაღუპველი.

თუმცა ფიქრებმა ბევრი მატარეს,
ცას შევყურებდი გულგასენილი,
შენთან იმ ღრუბელს გამოვატანე
ლექსად შეკრული ჩემი წერილი.

თვალები ჩემი გზას შეელია,
გადის დღე, ისევ მოდის საღამო,
ნეტავ იცოდე, რა რიგ ძნელია
ეს მოლოდინი დაუსაბამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდივარ შენგან, რადგან მიყვარხარ,
რადგან მიყვარხარ და მებრალები,
მინდა, შორს ვიყო, შორს ვიყო,
რადგან,
მენატრებოდეს შენი თვალები —

გშორდები, რადგან ისევ მწადია
შენზე ოცნების ტკბილად ტარება,
მივდივარ, რადგან კვლავაც
შეხვედრის
მკლავდეს სურვილი და ნეტარება.

თითქოს ჩემთან ხარ,
მაგრამ მაინც ვხედავ — მარტო
ვარ,
ამ სიმარტოვემ არ იქნა
და არ მიმატოვა.
ჩემსკენ შორიდან მომავალო, —
მზეო — იმედის,

ასე მაცდურად ღრუბლებს შორის
რად ციმციმებდი?
აჩქარდე იქნებ, გზად სადმე ნუ
ჩაგეძინება,
იქნებ ამისხა სხვა დღეები
ბროლის მძივებად.

მე მთელ ცხოვრებას დუმილით ვითმენ,
სიყვარულს დაღლილ თვალებში
ვუმზერ,
დაიბადება უბრალო რითმა
და მზის სხივივით გაივლის გულზე.

ჩემი ცისფერი დადგა აპრილი
სიყვარულის და რწმენის იმედად,
მე, მხრებზე ათას დარდ-
გადაყრილი,
სიცოცხლემ მაინც არ გამიმეტა...

სამშობლოს

რაც მაწუხებს, შენ ერთს გიმხელ,
ჩემო სულის გრიგალო,
ამა ქვეყნად რაც მოვედი,
გიგალობ და გიგალობ.

მე თანდათან ვუერთდები
შენს ზვრებსა და გზა-შარას,

შენს მონასტრებს — ციხე-ტაძრებს —
ყველას, რაც დრომ წაშალა.

რაც მაწუხებს, შენ ერთს გიმხელ,
ჩემო სულის გრიგალო,
ამა ქვეყნად რაც მოვედი,
მხოლოდ შენ ერთს გიგალობ.

ფიქრებით სავსე ოთახში ვეძებ
ლამაზ ყვავილთა მოწყენილ მზერას,
ქართლის ცამ რამე მიშველოს ეგებ,
რადგანაც მისი სიწმინდის მჯერა.

სიბნელეს კაწრავს ჭოტის კივილი
და მოგონება მიდის, ვით მტკვარი.
ო, რა მწარეა დღეს ეს ტკივილი,
რა საშინელი ამ ღამის ქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალ **ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲥᲐᲕᲭᲐᲠᲐᲫᲔᲡ** დაბადების 95 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს ბატონ ირიდიონს ამ შესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

ვაკის პარკში უყრადღებას იპყრობდა შავწვერა, სათვალიანი კაცი, ავთანდილ მესხი. ერთი ადგილი ჰქონდა ამოჩემებული, ბალის მერხზე ჩამოჯდებოდა, გაზეთების, წიგნების, კითხვით როცა გულს მოიჯერებდა, პარკში სეირნობდა. ყოველი კუთხე დავლილი ჰქონდა.

სამამულო ომში ქვემეხებით ებრძოდა ფაშისტებს. გამარჯვება რომ იზეიმა, მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა. მერე აოცებდა, რა ხანძარს, რა ჯოჯოხეთს გაუძლო და გადაურჩა. ახლა ბუნების წიაღში ნებივრობდა, პატარა, უმანკო ბავშვებთან საუბრით ერთობოდა.

ერთხელ დილით თეთრხალათიანმა მანდილოსანმა ხუთი შვილი მოიყვანა. ორი გოგონა, უფროსები, და სამი ბიჭი. უფროს ქალიშვილს ლელა ერქვა. ყველაზე პატარა ბიჭი, გია, ალბათ ექვსი წლისა იქნებოდა.

მანდილოსანმა ბავშვები ავთანდილის მახლობლად მერხზე დასხა, ლელას დაავალა, უმცროსებისთვის მოევლო, პატარები კი გაიფრთხილა, ლელას ყველაფერი დაუჯერეთო.

— მიგვიანდება საავადმყოფოში, — თქვა თეთრხალათიანმა, გიას აკოცა, ჩქარი ნაბიჯით წავიდა, სულ უკან იხედებოდა, სანამ თვალს არ მიეფარა.

ავთანდილმა გიას დაუძახა.

— ახლო მეზობლები ვართ, ვაჟკაცები გავეცნოთ ერთმანეთს. მე ავთანდილ მესხი გახლავართ, თქვენ?

— გია მშვიდობაძე.

ავთანდილი წამოდგა, ხელი ჩამოართვა გიას.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა!

ამ დროს მახლობლად ველოსიპედით პატარა ბიჭი გაჩერდა. გია მიიჩარა მასთან და თხოვა, ველოსიპედზე დამსვიო.

ბიჭმა უარი უთხრა. მაშინ გიამ ველოსიპედის საჯდომს ორივე ხელი ჩაავლო, მაგრამ ბიჭი დაიძრა და გია მიწაზე დაენარცხა. ავთანდილი მასთან მივიდა და ფეხზე წამოაყენა. ლელა მივარდა გიას საცემრად, მაგრამ ავთანდილმა ბავშვი შეიფარა. გია ტიროდა და ლუღლუღებდა:

— ცუდი ბიჭი, ცუდი ბიჭი...

ავთანდილმა დაამშვიდა გია:

— ჩვენც გვეჭნება ველოსიპედი და ცუდ ბიჭს არ ვათხოვებთ.

მეორე დღეს ავთანდილმა გიას ახალთახალი ველოსიპედი დაახვედრა.

გია მივარდა ავთანდილს და აკოცა.

— ნუ აწუხებ ბიძიას... ძალიან დაგვავალეთ ბატონო ავთანდილ, თქვენი მეუღლე გამაცანით, ისიც თქვენსავით კეთილი იქნება. ვიმეგობრებთ, — უთხრა გიას დედამ. იგი საავადმყოფოში ექთნად მუშაობდა.

— თქვენი ქმარი გამაცანით, ასეთი შვილების პატრონი, კაი კაცი იქნება, — გაიღიმა პასუხად ავთანდილმა.

— იყო კაი კაცი... იყო...

ავთანდილს ცოლქმრობაზე ლაპარაკი არ სიამოვნებდა. ეს თითქოს გუშინ მოხდა, ისე მწარედ მოსაგონარი იყო.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. დაქორწინება რომ გადაწყვიტა. დედას გაანდო თავისი განზრახვა. დედამ უთხრა: ასე რამ აგაჩქარა! გავიცნოთ სარძლოს ოჯახი, გავიგოთ, მშობლები, ვინ არიან, ხომ უნდა ვიცოდეთ მისი ავან-ჩავანო. ავთანდილს ენა ჩაუვარდა. რა უნდა ეთქვა დედისთვის?!

— ობოლია, ბებიასთან ცხოვრობს. — ჩუმად წაიდუდუნა.

გაოცებულმა დედამ შეხედა და უთხრა:

— რად მინდა ისეთი რძალი, რომელსაც არც მშობლები, არც ძმა, არც და, არც არავინ გააჩნია. ასეთ უთვისტომო ქალს ოჯახში ვერ შემოვიყვან.

ისე მტკიცედ იყო ეს ნათქვამი, ავთანდილმა სიტყვის შებრუნება ვერ გაბედა.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, დამოუკიდებელი

ცხოვრება არ შეეძლო. ასეთი უმწეო, უსუსური თავის შეყვარებულს ვერ ეჩვენებოდა. რას არ ჰპირდებოდა, კარგი მშობლები მყავს, დაძმები, ცივ ნიავს არ მოგაკარებენო, ხელის გულზე გატარებენო. არარაობად იქცა ეს დაპირებები.

ავთანდილმა გაიგო, რომ ლენას ბებია გარდაეცვალა, მაგრამ მერე მისი ამბავი აღარ შეუტყვია.

ერთხელ პარკში მისვლა დაუგვიანდა. მეგობარი ბავშვები მერხზე დალონებულნი ისხდნენ. ავთანდილს გაუკვირდა, მიეხალმა მათ და გაზეთის კითხვა დაიწყო. გია ველოსიპედით წინ დუდგა. ავთანდილს ყურადღება არ მიუქცევია.

— ძია ავთანდილ, მე გია ვარ!

— ბოდიში, ბატონო გია, ვერ შეგნიშნე, — ავთანდილი ადგა და ბავშვს ხელი ჩამოართვა.

— იცით, ძია ავთანდილ? მეორე სართულიდან წყალი ჩამოვიდა ჩვენს ოთახში, ყველაფერი დასველდა: ლეიბები, ბალიშები... დედიკო სამსახურში არ წავიდა, უნდა დაალაგოს ყველაფერი. საჭმელს მერე მოგვიტანს.

— გია, ჩემთან დაბრძანდი, ვისაუბროთ, რამდენი ოთახი გაქვთ?

— რამდენი ოთახი კი არა... მამიკო რომ აქ იყოს, დიდ ბინას მოგვცემდნენ. საწოლები ოთახში არ ეტევა. იატაკზე ვიგებთ... დედიკო გვეუბნება, მამიკო მალე მოვაო და ოთახებიც და ყველაფერი გვეძენებაო. ძალიან მინდა, მამიკო მალე ჩამოვიდეს. მამიკო არ მინახავს, მაგრამ კარგი მამიკო მყავს. დედაც კარგი მყავს. მამიკო, რომ ჩამოვა, ისე ჩავეკონები, არსად არ გავუშვებ. ჩემს მამიკოს იცნობ, შენც ომში იყავი?

— ჰო, კარგი მეგობრები ვიყავით. სახელი დამავიწყდა.

— ჭოლა, — უპასუხა გიამ.

— ჰო, ჭოლა მშვიდობაძე... მალე ჩამოვა... — დაამშვიდა გია. — ახლა უნდა წავიდე, მალე დავბრუნდები.

ავთანდილს ნახეკარი საათი დაეგვიანდა. პარკებით სავსე ჩანთა მოიტანა. მივიდა ბავშვების მერხთან და ლეილას მიმართა:

— მომშვიდა. ერთად ვისაუზმოთ. მყუდრო ადგილი გამოვნახოთ და მინდორზე გავშალოთ სუფრა. გაზეთები გვაკვს დასაფენად.

ლეილამ ითავა დაიახალისობა. ჭერ ძეხვი და ოთნის პური მირთვეს, მერე ნამცხვრები დააყოლეს, ცივი ლიმონათით ისიამოვნეს, ჭიქები ბავშვებს ჰკონდათ. დაგვიანებული დილაც მოვიდა საგზლით. მადლობა გადაუხადა ავთანდილს.

—უფრო ადრე მოსვლა ვერ მოვახერხე, ეხლა ეს საჭმელები შინ უნდა წავიღო.

— არა, დედა, სადამომდე აქ დავრჩეთ. კარგ კინოსურათს უჩვენებენ.

—მეც დავრჩები თქვენთან, — თქვა დედამ. ამ შემთხვევის შემდეგ ელეონორა პარკამდე მოაცილებდა ბავშვებს, თვალს გააყოლებდა, სანამ მიუწვდებოდა. წასაყვანადაც შორიდან მოუხმობდა. ავთანდილთან შეხვედრას გაურბოდა, რცხვენოდა, ოდნავ პატივისცემასაც რომ ვერ ახერხებდა.

ავთანდილი პარკის შესასვლელთან ელეონორას დაელოდა.

—ქალბატონო ელეონორა, გადავწყვიტე, აღარ ვიარო პარკში. ჩანს, ჩემთან შეხვედრა არ გსიამოვნებთ.

—რასა ბრძანებთ, ბატონო ავთანდილ. ვერასოდეს გადავიხდი თქვენს პატივისცემას, ჩემი შვილებისადმი ასეთ ყურადღებას.

—მე, საზოგადოდ, ბავშვების მოყვარული ვარ. განსაკუთრებით ვცდილობ მდგომარეობა შევუმუსუბუკო უმამოდ დარჩენილ პატარებს.

—ბოდიშს ვიხდი, ბატონო, რომ შეგაწუხეთ ჩემი მოუსვლელობით. აწი ვივლი.

— ახლა ბინის საკითხს შევეხოთ. აუტანელია ამდენი სულის ცხოვრება ერთ პატარა ოთახში. მინდა ვიზრუნო თქვენი სახინაო პირობების გაუმჯობესებისათვის.

—დიდი მადლობელი ვარ.

—მომეცით საბუთები თქვენი ოჯახის შესახებ. თუ რაიმე ცნობა გაკლიათ, ისიც ავიღოთ.

— შევასრულებ თქვენს დავალებას.

—მეც დაგეხმარებით.

ქარხნიდან მიღებულ ცნობაში ეწერა: „ჭოლა მშვიდობაძე ათი წლის მანძილზე ჩვენს ქარხანაში მუშაობდა. იგი თავიისი საქმის უბადლო ოსტატი იყო. ახალბედებს ასწავლიდა თავის პროფესიას. ჭოლა მშვიდობაძეს ქარხნის მშენებარე სახლში უნდა მიეღო ბინა, მაგრამ ფრონტზე მყოფს ზურგში დარჩენილმა აჯობა".

რაიალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტშია ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული პოლკოვნიკი ავთანდილი.

— ძალიან მოსაწონია, რომ კეთილი ადამიანი ბრძანდებითო!.. თქვენ გნებავთ, რომ ორი ოთახი დაუთმოთ ომში დაღუპული მეომრის ოჯახს.

—არა, ამბანაგო თავმჯდომარე, ორ ოთახს მე აღმასკომს ჩავაბარებ იმ პირობით, რომ აქ ჩაასახლებენ ომში დაღუპული მეომრის ჭოლა მშვიდობაძის ოჯახს.

— ეს არ მოგბრძანდეს, ამხანაგო პოლკოვნიკო. ჩაბარებულ ბინას მივცემთ იმას, ვინც აღრიცხვაზე გეყოვნა, რიგის მიხედვით. წესს ვერ დავარღვევთ. გირჩევთ, ეს ოჯახი ახლავე დადგეს აღრიცხვაზე.

—ახლანდელ აღრიცხულს როდის მოუწევს რიგი?!

შეწუხებული ავთანდილი რაიალმასკომის თავმჯდომარემ კარამდე მიაცილა.

ავთანდილი პარტიაკომშიც იყო. სიამედო ვერაფერი უთხრეს. შინ დაბრუნდა. სასოწარკვეთილს. რცხვენოდა ელეონორასთან, მის შვილებთან შეხვედრა.

მზით განათებული ფანჯრებიდან ჩანს ახალი სახლებით დამშვენებული უბანი. ნუთუ აქ ერთი ბინა არ მოიძებნება მშვიდობაძის ოჯახისათვის?

მოულოდნელად დაიარა ოთახები, სამზარეულო, საბანაო, ფართო აივანიც ინახულა, ეზოშიც გადაიხედა. ბავშვები ლაღად თამაშობდნენ.

დასმულ კითხვას თვითონვე უპასუხა.

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუმაძღარი. ბატონო ავთანდილ, თქვენ თვითონ დიდი ეგოისტი ბრძანდებით! ხმას სძრახავთ იმისათვის, რომ ბინას არ აძლევენ ომში დაღუპული მეომრის მოკავლშვილიან ოჯახს, თქვენ კი, მარტოხელა კაცი, გაშოკიმულხართ სამოთახიან, კეთილმოწყობილ ბინაში. რით ანუგეშებთ ელეონორას ოჯახს, რას ეტყვით?"

„ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ჯერჯერობით უნდა დარჩეთ პატარა ოთახში".

„სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი!"

რამდენიმე დღეა, რაც მშვიდობაძის ოჯახი პარკში არ გამოჩენილა. ერთ დილას ელეონორა ჩქარი ნაბიჯით მოვიდა. ავთანდილი შეეგება, მიესალმა, მერხზე დასხდნენ.

—ახლავე უნდა დავბრუნდე, — თქვა მანდილოსანმა. — გია მუაჯს ავად. გამომგზავნა. თუ ძია ავთანდილს მოიყვნო, მაშინვე მოვრჩებიო.

— ჩემს მეგობარ გიას ახლავე ვინახულებ...

ტაქსით გაემგზავრნენ. ავთანდილი ხელცარიელი არ მისულა.

—დედიკო, ხომ გითხარი, მოვრჩები-მეთქი. ტანსაცმელი მომიტანე!

—გია, ასე უცბად ადგომა არ შეიძლება. გეტყობა, სიცხიანი ხარ, — უთხრა ავთანდილმა. — ხვალაც მოვალ, სიცხე დაგიკვარდება.

გიას ველოსიპედი საწოლთან ედგა.

ავთანდილმა თავისი ჩანთიდან წიგნი ამოიღო. გიას გადასცა.

—ქართული ზღაპრების კრებულია. ლელას ვთხოვოთ, წაგიკითხოს. პარკში რომ მოხვალ, წაკითხული ზღაპარი მომიყევი.

—ჰო, ძია ავთანდილ.

გიამ მალე მოიკეთა, განახლდა პარკში ყოფნა. ელეონორა ალარ გაურბოდა ავთანდილს. შინაურებივით ხვდებოდნენ ერთმანეთს, საუბრობდნენ.

ბინის შესახებ ელეონორა არაფერს ეკითხებოდა. ავთანდილმა უთხრა:

— ბინის საკითხი ისე სწრაფად არ მოგვარდება, როგორც გვწადია, მაგრამ აუცილებლად უნდა მოგვარდესო.

ავთანდილს ერთი აზრი აეკვიატა, რის თქმასაც ვერ ბედავდა, მერყეობდა. არც არავინ იყო ისეთი მახლობელი, რომ მისი მეშვეობით ელეონორასათვის გაეზიარებინა თავისი [illegible] რები.

აგვისტოს დღეები სწრაფად გარბოდნენ. თვე ილეოდა... მალე სწავლა დაიწყებოდა. მაშინ ვერც დედა, ვერც ბავშვები პარკში მოახასხლელად ვერ მოიცლიდნენ. ბინის საკითხი უნდა მოგვარებულიყო. ელეონორა დასვენების დღეებში პარკში ხანგრძლივად რჩებოდა. ავთანდილმა ახეთი დღე გამოიყენა. ელეონორას უთხრა, ბინის შესახებ მოვილაპარაკოთო. დედამ შვილებს უთხრა: ჩვენ პარკის ჩანჩქერისკენ გავიხეტრნებთო. უფროსებს გიაც დაედევნა, ველოსიპედზე შესაკუპებული.

— მე, სამწუხაროდ, დავრწმუნდი, რომ აღმასკომიდან უახლოეს დროში ბინას ,ვერ მიიღებთ, — თქვა ავთანდილმა. — იქ დარჩენაც დიდი სატანჯველია. როგორც ძმა გეუბნები, ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ ჩემ დად მიმაჩნიხარ, თუ ამის საწინააღმდეგო არაფერი გეკნებათ.

—დიდად დავალებული ვარ თქვენი უურადღებით...

—ჩვენ უნდა გავფორმდეთ როგორც ცოლ-ქმარი...

—რა ბრძანეთ?! — გაოცებით წამოიძახა ელეონორამ.

ორივე დუმდა, დაბნეულები იყვნენ... საუბრის გაგრძელება არ ხერხდებოდა.

—ჩემმა უბედურმა დამაფიცა, თუ ვერ დავბრუნდი, არ გათხოვდეო, შვილები არ დამეჩაგროსო... ფიცს ვერ გავტეხ... — ძლივს გასაგონად თქვა ელეონორამ.

მოსეირნეთა შორის მყოფმა კინალამ მოთქმით ტირილი დაიწყო. გიას დაუძახა, ბავშვი მივიდა დედასთან.

—გენაცვალე, ხომ არ დაიღალე ველოსიპედის ტარებით? — მოეფერა, აკოცა. — ცოტა დაისვენე.

—შორს არ წავალ.

— ქალბატონო ელეონორა, მე ხომ გითხარით, ერთმანეთის ძმა და დობილი დავრჩებით. ეს ქმრის ღალატი არ არის, შვილებისათვის ზრუნვაა... დინჯად მოიფიქრე, ლელას მოეთათბირე, ის უკვე დიდია. ახლა ოჯახის ამბავი მასაც ეკითხება. ოცდაახუთ აგვისტომდე პასუხს ველი. მერე, ალბათ, ხშირად ვერ შევხვდებით ერთმანეთს, ან სრულიად ვერ შევხვდებით.

ელეონორა პარკს ალარ ეკარებოდა. ბავშვები ლელას მეთაურობით მოდიოდნენ.

აგვისტო იწურებოდა. ავთანდილი ნერვიულობდა. ბავშვებს ეკითხებოდა, დედა როგორ ბრძანდებაო.

—სამსახურიდან რომ მრდის, სულ შინ ტრიალებს. დაღლილს სკამზე ჩაეძინება. დედა შვებულებას ელოდება, მერე მთელი დღე ჩვენთან იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდახუთი ავგისტო გათენდა, ავთანდილი გაზეთს კითხულობდა. გია მიეპარა და ორივე ხელით მოეხვია.

— დედიკო ჩვენთან იქნება, დედიკო ჩვენთან იქნება!

ავთანდილი ადგა, მიესალმა ელეონორას, თავის მერხზე მიაპატიჟა.

— კარგია! — წამოიძახა გიამ, — ერთად ვიყოთ. მე შუაში ვიქნები, თქვენ ჩემს გვერდით. ახლა ვილაპარაკოთ... დღეს ჩემი ველოსიპედი სული ჩვრით გავწმინდე, ისე გაპრიალდა, როგორც სარკე.

გია მერხიდან ჩამოხტა, ველოსიპედზე შეხტა და გაინავარდა.

პოლკოვნიკს საზაფხულო სამხედრო ფორმის ტანისამოსი ეცვა. ელეონორა კი სახატეროდ გამოწყობილიყო.

—გისმენ, ელეონორა!

—ბევრი ვიფიქრე... უძალლობამ კინაღამ გადამრია. ვერაფერი გადაწყვიტე... თქვენი რჩევა გამოვიყენე. ლეილას ვკითხე.

—დედა, უკვე პატარები ალარა ვართ. სტუმრის მოსვლა რატომ უნდა გვეშინოდეს, რატომ უნდა გვრცხვენოდეს?!, — მეტის თქმა ვერ მოახერხა... ბავშვივით ატირდა. ძლივს დავამშვიდე... — ჩემო ბატონო, მადლობის მეტი რა მეთქმის, თუ და-ძმობა გვეკნება.

—საკმეს ხვალვე შეუუდგეთ... ხელის მოწერამდე გადმოხვალთ მთელი ოჯახი ჩემს ბინაში.

ელეონორა დალაგებას დიდხანს მოუნდა. შვილები ხალისით ეხმარებოდნენ. მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ ყველას თავისი საწოლი ჰქონოდა.

—პირველ სექტემბრამდე ჩემი სტუმრები ბრძანდებიან. ოორსათს მე ვიყიდი, თუ თქვენ საკმელს გააკეთებთ.

ცხოვრება აეწყო... ელეონორა და ავთანდილი დაკორწინდნენ...

გია ოთახიდან ოთახში დარბოდა. ეზოში ველოსიპედით დასეირნობდა. მისი ალანა ჩამოტანა სადარდელად გაუხდა. დახმარებას საკიროებდა.

გიას ფოტოსურათის ალბომის თვალიერება უყვარდა. ერთ დილას, ავთანდილი გაზეთს კითხულობდა, მასთან ხტუნვა-ხტუნვით გია შეიჭრა და ფოტოსურათი აჩვენა.

—აი, ჩემი დედიკო, აი, ჩემი მამიკო, ხომ ლამაზი დედიკო მყავს?..

ავთანდილმა სათვალე მოიმარჯვა და ფოტოსურათს დახედა... ფეხზე წამოიჭრა.

—ეს დედაშენი არაა!

—სამსახურიდან მოვა, ჰკითხე.

ავთანდილმა ფოტოსურათს მეორე მხარეს დახედა.

—აქ ლენა მშვიდობაძე წერია, შენს დედას ელეონორა ჰქვია.

—ჩვენთვის კი ლენა დედაა. ყველა ლენას ეძახის, სამსახურშიც... შენს ალბომშიც ვნახეთ ერთი ასეთი სურათი. ლეილამ წაიკითხა მეორე მხარეს: „ჩემს ლენას ხულიკოსაგან". დედიკო ამ სურათს დააცქერდა, კინაღამ გული შეუწუხდა, წუალი დავალევინეთ, სული მოითქვა.

—ახლა დედიკო ლენას სურათი დადე თავის ადგილას.

ავთანდილი მარტოა რომ დარჩა, ალბომში ეძება ის ფოტოსურათი წარწერით „ჩემს ლენას ხულიკოსაგან". ვერ ნახა.

ავთანდილმა ახლა გაიხსენა, ამ ბოლო დღეებში ელეონორა ჩაფიქრებული დადის, თავს მარიდებს...

ავთანდილის ოჯახში ხულიკოს ეძახდნენ პატარობიდანვე. შეეჩვია ამ სახელს, ყველას ამ სახელით ეცნობოდა.

„რა მდგომარეობაში აღმოჩნდი, ფიქრობს ხულიკო. ოთახში დაბორიალებს, ადგილს ვერ პოულობს. დედაჩემს დავუჯერე, უთვისტომო რძალი არ მინდაო, სიყვარულს ვუღალატე. კეთილი მინდოდა, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. აქაურობას უნდა გავეცალო. ახეთ მომდურავთან ახლოს ყოფნა აუტანელია. ალბათ, ჭირივით ვეზიზღები, უნდა გავშორდე აქაურობას."

ხულიკომ გადაწყვიტა, ლენას ალარ შეხვედროდა, სანამ მოიფიქრებდა აქაურობას როგორ გაშორებოდა. თავს მოიმძღვარებდა ლენას სამსახურში წასვლამდე. შინ მაშინ მოდიოდა, როცა ყველას ეძინა.

ხულიკო შინ გვიან დამით მოვიდა. ყველას ეძინა. ბინაში ბნელოდა. თავის ოთახში შეავიდა. გაანათა. დასაწოლად ემზადებოდა. მაგიდაზე თავისი საბედისწერო სურათი დაინახა. ლამაზ ჩარჩოში მოთავსებული.

ხულიკო გაკვირდა: ლენამ გამომიპირა, დამცინის, სამასხროდ ამიგდოო. სურათი მაგიდაზე დაამხო. სინათლის გამორთვას აპირებდე, რომ ლენა შემოვიდა.

—ხულიკო, დაგაგვიანდა სინათლის ჩაქრობა... მე შენი ლენა ვარ... მინდა შენთან ჩემ წარსულზე ვიტირო... ამის ნება მომეცი... — სკამზე ულოსოდ დაეშვა. — ახლაც გამირბიხარ... ერთად ყოფნას ახლა ხომ არავინ გვიშლის... შენი სიკეთით გამოსტყუმრე შენი დანაშაული... ახლაც საშინელ ცოდვას სრავდიხარ. ცის მადლი მომეკლინა,.. შეგვდა... ახლა ხომ უთვისტომო არა ვარ. დედაშენს ასეთი რძალი რომ არ უნდოდა... ხუთი შვილის დედა ვარ...

—მეგონა, რომ ვერ მიტანდი... არ მინდოდა კვლავ დამეტანჯე.

ხულიკო ლენასთან მიიჭრა და დაჩოქილი ხელებს უკოცნიდა.

—თუ გინდა, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყო, წადი და შავი სათვალე მოიშორე... მინდა, ვიხილო პირტიტველი ჩემი ხულიკო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჯორჯაძე (1872-1913) თავისი ვრცელი მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“, სიცოცხლის მიწურულს დაამთავრა. მძიმე ავადმყოფი, სიცხით გათანგული წერდა იგი ამ წიგნს და ნაწილ-ნაწილ ბეჭდავდა გაზეთ „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე. დასრულა ბეჭდვა და ორიოდე თვეში გარდაიცვალა კიდეც. თავის დროზე ა. ჯორჯაძის თხზულებათა ხუთტომეულს რედაქტორები იუწყებოდნენ: „მეექვსე წიგნში შევა მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანის შესახებ“, მაგრამ სხვადასხვა პატივსადებ მიზეზთა გამო, მონოგრაფიაში დღემდე ცალკე წიგნად არ გამოცემულა.

„დიმიტრი ყიფიანმა“ იმთავითვე ჩვენი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგალითად, ცნობილია ვაჟა ფშაველას აზრის (ო. ფაშალიშვილის მოგონებიდან): „ვაჟას დიდ ნაკლად მიაჩნდა, რომ ჩვენს პროზაში ინტელიგენციის სულისკვეთებაც არ იყო ასახული. ვარაუდს გამოთქვამდა, თუ რომელ ბელეტრისტს შეეძლო ამ მიმართულებით სასარგებლო რამ გაეკეთებინა. უფრო კი თვალი ახალგაზრდობისაკენ ეჭირა. როცა იმ ხანებში დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არჩილ ჯორჯაძის ვრცელი მონოგრაფია გამოქვეყნდა, ვაჟა კმაყოფილი ამბობდა:

— აი, რა მშვენიერია! განა არ შეუძლიათ ჩვენს ბელეტრისტებს ასევე სინამდვილიდან ამოღებული ძოქმედი ადამიანების ტიპები გამოიყვანონ?“

ცნობილია, აგრეთვე, **გრიგოლ რობაქიძის** აზრიც (ნაწყვეტი წერილიდან ა. ჯორჯაძის მიმართ): „ვკითხულობ „დიმიტრი ყიფიანს“, როცა დამთავრდება გაზეთში ეს შრომა, სიამოვნებით მოგწერთ ჩემს აზრს. საერთოდ, დიმიტრი ნების მომენტის პიროვნებაა და გმირულ ტიპს ეკუთვნის. ეს ტიპი ისტორიაში განსაკუთრებულია. შესაძლოა სრულად არ ვეთანხმებოდეთ გმირის მსოფლიო მხედველობას, მაგრამ, ამასთანავე, ისიც შესაძლოა, რომ ასეთი ადამიანი ძალზე გვატყვევებდეს. აზრი, სიტყვა ასეთ პიროვნებაში სულ სხვა ძალას პოულობს. არსებობს „პირადი ენერგია“, გამოუთქმელი, თანდაყოლილი, სასწაულმოქმედი. რაც შეეხება დიმიტრის რადიკალობას, აქ უთუოდ სიმართლეს უნდა დასდოს მსჯავრი: თავის მოტყუებას ძვირად დაგვიჯღენს ისტორია. ჭეშმარიტება. — აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. და თუ ჭეშმარიტება აუტანელია თავისი სიმკაცრით, დაე, მოვკვდეთ, რადგან არ ვყოფილვართ ღირსი ჭეშმარიტებისა და მაშასადამე, არც არსებობისა...“

ვაჟა ფშაველასა და გრ. რობაქიძის სახელებს რეკომენდაცია არ სჭირდება, რა თქმა უნდა, არც მათ გამონათქვამებს ესაჭიროება კომენტარი. ჩემის მხრით მხოლოდ იმას დავსძენდი, რომ „დიმიტრი ყიფიანი“ დოკუმენტურ-ბიოგრაფიული რომანის თვალსაზრისით ჩვენს ლიტერატურაში, ჭეშმარიტად მაღალ დონეზე გახლავთ დაწერილი, თავისი მასშტაბებით ამ ჟანრის საუკეთესო წიგნებს მოგვაგონებს და ამიტომაც ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ მისი ხელახლა გამომზეურება დღევანდელ მკითხველს სიამოვნებას მოჰგვრის.

P. S. თავის დროზე „დიმიტრი ყიფიანი“ „სახალხო გაზეთიდან“ გადმოვაწერინე ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა ერთ ჯგუფს, რისთვისაც მათ ნაგვიანევ მადლობას მოვახსენებ.

თეიმურაზ მალლაფერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ყიფიანი

(ცხოვრების, აზროვნებისა და მოღვაწეობის მატიანე)
1913 წელი, ტფილისი, „სახალხო გაზეთი“ № 7921

წინასიტყვაობა

ვალად ვსთვლი, ჩემი უღრმესი მადლობა გადაუხადო ბ. კოტე ყიფიანს, რომელმაც გადმომცა თავის მამის ძვირფასი და მდიდარი არქივი და მით საშუალება მომცა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის შესწავლა-განმარტებისა უტყუარი საბუთების და დოკუმენტების მიხედვით. დიდი მადლობელი ვარ, აგრეთვე, ქ-ნ ნინო ყიფიანისა, რომელმაც ძლიერ შემიწყო ხელი ათასგვარ საჭირო ცნობების და მასალების შოვნით. ჩემი მადლობა, აგრეთვე, ქ-ნ ელისაბედ სულხანიშვილს, რომელმაც გადმომცა თავის პაპის, დიმიტრი ყიფიანის, ძვირფასი სერია წერილებისა. ამ ერთსულოვანი და ხალისიანი დახმარების წყალობით ჩემთვის შესაძლებელი გახდა გაშუქება და გაგება დიმიტრი ყიფიანის დიდი პიროვნებისა.

კარი I

ა.

დიმიტრი ყიფიანის მშობლების შესახებ მცირედი ცნობა მოიპოვება დიმიტრის უფროსი შვილის — ნიკოლოზის მიერ დაწერილ მამის ბიოგრაფიაში. მაგრამ ამ ბიოგრაფიაში გადმოცემულ ცნობებს სიფრთხილით უნდა მოვეკეცეთ, რადგან გაგონილი ამბავი — და აქ სწორედ ამგვარი ცნობებია, — ნამდვილ საბუთებით შემოწმებული ამბავის მაგიერობას ვერ გაგვიწევს. მაგრამ, რადგან სხვაგვარი წყარო არ მოგვეპოვება, ამ გაგონილი ამბითაც უნდა დავკმაყოფილდეთ და გაგონილში უპირატესობა მივცეთ მხოლოდ იმას, რაც უფრო უახლოვდება სინამდვილეს და რის შემოწმებაც სხვა გზითაც არის შესაძლებელი.

დიმიტრის მამა, კოჩო ყიფიანი, საბაბაშოდან გადმოსახლებული აზნაურიშვილი ყოფილა. იგი ჩასძღებული იყო ქართლში მცხოვრებ ფურცელაძიანთ ოჯახში, სოფელს მერეთში, არბოსა და ტუკვიავს გვერდით. ცოლად ჰყავდა ფურცელაძის ქალი, ბარბარე. კოჩო ყიფიანი თავის შვილის-შვილის, ნ. ყიფიანის აღწერით, იყო „წყანარი და მშვიდობიანი ხასიათისა. უსიამოვნებას, ჩხუბს და დავიდარაბას ყოველთვის ერიდებოდა და ამიტომ დაანება თავი საბაბაშოს, სადაც აბაშიძეებისაგან შევიწროებული იყო და ჩაესიძა მშვიდობიანს ფურცელაძის ოჯახში, მშვიდობიანსა და წყნარს მერეთში“. დიმიტრის დედას ასე ახასიათებს მისი შვილის-შვილი: „წყანარი, მშვიდობიანი, დამჯდარი ხასიათის პატრონი, ჭკვიანი, კარგი სიტყვა-პასუხის მიმცემი და ყოველგან დიდად პატივცემული. კოჩო ყიფიანს და მის მეუღლეს ბარბარეს, სამი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდათ. უფროსი ვაჟი იყო ქაიხოსრო, უმცროსი — დიმიტრი, რომელიც დაიბადა 14 აპრილს 1814 წელს. ქაიხოსრო ოცდოდე წლით უფროსი იყო დიმიტრიზე. ქაიხოსროს ვახსენებთ, რადგან ამ ორ ძმას მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან და მამის სიცოცხლის დროსაც კი ქაიხოსრო ჰპატრონობდა დიმიტრის.

ბავშვობა დიმიტრიმ გაატარა დედის ოჯახში, მერეთში. როდის გადმოსახლდნენ ქვეშეთში, დანამდვილებით ცნობა არ არის. ნ. ყიფიანის მოწმობით, დიმიტრის მამა მოკვდა, როდესაც დიმიტრი 7-8 წლისა იქნებოდაო. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. დაცულია დედის წერილი, რომელსაც 1837 წლის თარიღი აწერია, მიწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილია შვილთან, როდესაც იგი გადასახლებული იყო ვოლოგდაში. ამ წერილიდან ჩანს, რომ იმ დროს მამაც ცოცხალი ყოფილა დიმიტრია, მაგრამ პატრონობით და მზრუნველობით კი უფრო ქალიშვილო ჰპატრონობდა და ხასწავლებელშიაც ქალიშვილომ მიაბარა.

ასეა თუ ისე, ქოროს სახელობა, ერთ განსაზღვრულ დროს, მერეთიდან ქვიშხეთში გადმოსახლდება და ქვიშხეთი გახდება ყიფიანთ ბინად. ყიფიანთ გვარის შესახებ დარჩენილია თქმულება, რომელიც მამისაგან დაუჩსოფია ბ. კოტე ყიფიანს. აი, სიტყვა-სიტყვით ამ თქმულების შინაარსი, რომელიც გადმომცა კ. ყიფიანმა:

„ჩვენი, ყიფიანების, გვარის შესახებ ჩემმა მამამ, დიმიტრი ყიფიანმა მიამბო შემდეგი ლეგენდა:

იმერეთის მეფე ბაგრატს ოსმალეთის ჯარებმა გაუპირეს საქმე ისე, რომ იძულებული გახდა იმერეთის სხვა და სხვა მაზრებიდან მოეწვია მეომარნი. მაშინ სვანეთს სცხოვრობდა მეტად გავლენიანი, ერთი თემის თავი გიორგი გოგიაძე, რომელსაც ჰყავდა ათასი მეომარი მორკინალი კაცი. ჩემი მამა „მორკინალს“ გლეგიაკორად სთარგმნიდა.

ბაგრატ მეფემ კუთაისიდან გაუგზავნა სვანეთს, ამ გიორგი გოგიაძესთან, სოფელს წვირმიშს, შიკრიკი: „შენის ათასის მეომრით დამეხმარე ოსმალნი უკუვაქციო ჩემი სამეფოდანო“. წამოვიდა გოგიაძე და რა მდინარე ცხენის წყალს მარცხენა კიდეს გადმოსცილდა, დაბანაკდა იქვე, სოფელს ფურს და თავისი შიკრიკი ეახლა კუთაისს, მეფე ბაგრატს: „შენს სახრძანებელში გიახელიო“.

— მე გიორგი გოგიაძეს აქ. კუთაისს, მოველოდი და ის ფურს დადგომ? — ჰკითხა გოგიაძის შიკრიკს.

— შენ, ბატონო, როგორც მახსინდელი, შენს სტუმარს იქ უნდა დაუუბდეო, — ამბანაც უპასუხა.

— კარგი, — უბრძანა ბაგრატ მეფემ. — წადი, მოახსენე, ხვალ ვნახავო.

მეორე დღეს გაეგზავნა ბაგრატ მეფე და რომ მივიდა ფურს, გოგიაძის ბანაკს, გამოვიდა თავის ფანჩატურიდან გიორგი გოგიაძე სალამის მიხართმეკად, მაგრამ ბაგრატ მეფემ დაახწრო და უთხრა:

— ოჰ, ჩემი გიორგი გოგიაძე, რა „ყიფიანი“ რაება ყოფილხარო, ე. ი. რა ამაკი ყოფილხარო.

ამის შემდეგ ამ გიორგი გოგიაძეს დაეჭქვა „ყიფიანი“ და დროთა ვითარებით სიტყვა „გოგიაძე“ გაკარნულდა და დარჩა სიტყვა „ყიფიანი“.

ეს ლეგენდა, რომელსაც, რახაკვირველია, არა აქვს ისტორიული სინამდვილის ხასიათი, სინამდვილესთან რითიმე მაინც უნდა იყოს დაკავშირებული და დიმიტრის ცხოვრებას რომ გავეცნობით, იქნება მოგვაგონდეს ხოლმე ის ამბავი, მორკინალეთა ამაკი უფროსის ამბავი.

ქართული წერა-კითხვა, ლოცვები და ეკლესიაში პატარა დიმიტრის დედის ალალმაფიერ შეუთვისებია, რუსული კითხვა კი შემთხვევით ისწავლა. ყიფიანის ხასლობას ეხტემრა ერთ დღეს ხამხედრო რევიზორი ფედოროვი, რომელიც ქართლში დაბინავებული კარანტინის რაზმის დასათვალიერებლად იყო ამოსული. ფედორროვს მოეწონა პატარა დიმიტრი და ერთი კვირის განმავლობაში, ხუმრობით, რუსული კითხვა შეახწავლა. დიმიტრის ძმას, კაიხოსროსაც ურჩევდა, ეს ყმაწვილი უსწავლელი არ დაგადოთ, ძლიერ ნიჭიერიაო. ქაიხოსროობაც რჩევა შეისმინა და ერთ მშვენიერ დღეს შეჯდა ცხენზე. შეახკუა დიმიტრიც ლონიერი ყმის მხარ-ბეკებზე, გაიძეოლია წინ და ჩაიყვანა ტფილისში, სადაც მიაბარა კეთილშობილთა ხასწავლებელში.

ხასწავლებელში, სადაც მიიღეს დიმიტრი, იუკადრისებს მისი მამის, ქოროს ხაბელი და ივანედ გადაკეთეს. ბინა პატარა დიმიტრის ჰქონდა ფედოროვის ოჯახში. ფედოროვის ცოლი, მარია ივანოვნა, მეგრელი ხაგანის ქალი იყო, შემდეგში, როცა დაქვრივდა, ყიფიანთ ოჯახს ძლიერ დაუახლოვდა და დედობილადაც შეეფიცა დიმიტრის.

ათი წლისა იქნებოდა პატარა დიმიტრი, კეთილშობილთა ხასწავლებელში რომ მიაბარეს. ასეთი სახელი ერქვა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი (1803-1830-დე) ეხლანდელ ტფილისის პირველ გიმნაზიას. ამ ხასწავლებელში უმეტეს ნაწილად ქართველ თავ.დ-აზნაურთა შვილნი სწავლობდნენ, მათთვის იყო იგი დაარსებული მთავარმართებელ გენერალ ციცეშვილის მიერ 1803 წ., რათა მომზადებულიყვნენ მოხელეთა თანამდებობის ალსრულებისათვის და ნასაქმეზედ 25 მანეთსაც უნიშნავდნენ თითოეულ შეგირდს. დიმიტრის დროს სწავლის კილდოდ ხუთი მანეთის მეტს აღარ აძლევდნენ.

რიცხვი მოსწავლეთა სწრაფად იზრდებოდა და ოცდაათიან წლებში ამ ხასიათის საუბნიდია მოუსპეს თავად-აზნაურთა შვილებს. ხასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა და მისაწვდომი გახდა საერთოდ ყველასათვის.

უნდა ვსთქვათ, რომ დიმიტრის ხასწავლებელში მიბარების დღიდან უკვე სარწმუნო ცნობებს ვემყარებით. რადგან ხელში გვიჭირავს დიმიტრის მოგონებანი სახელად: «Школа духа», «Казарменное дело» და სხვა წყაროები. ხასიათოვნოს ვერას იგონებს სკოლის დროიდან დიმიტრი ყიფიანი. ხაგნებს უაზროდ, მექანიკურად აზეპირებინებდნენ, გონებას სრულიად არ უხსნიდნენ ან, ამასთან, ცემა-ტეკვა შეგირდებისა უფროსების მიერ დაკანონებული და ჩვეულებრივი მოვლენა იყო. პატარა დიმიტრიც, მიუხედავად მორიდებული და თავდაბერილი ყოფაქცევისა, არ ასცდა ყურების დახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესვას და სახაზავით ხელების დალურჯებას. ერთხელ იყო და ვიღაცამ ზარი ჩამოკაკრა სკოლის ეზოში, შეგირდებმა დიმიტრის დაალბალეს და დირექტორის მოადგილემ, სჯმის გამოუძიებლად, სასაროდ დაუწყო ცემა პატარა უდანაშაულო დიმიტრის. ბევრი ცხარე ცრემლი დაღვარა შეურაცყოფილმა შეგირდმა, მაგრამ ვინ იყო მფარველი და გამკითხავი. ერთხელ კიდევ უცაბედად ზურგი შეუქცია თათრულ ენის მასწავლებელს, მირზა ჯაფარს. იწყინა ჯაფარმა, ჩაფრინდა თმებში და ცხვირიდანაც სისხლი ადინა, ხოლო სისხლი რომ ნახა, შეეშინდა, არ მიჩივლოსო, გაიქცა დირექტორთან და დაალბეზღა, ცემას მიპირებდაო. მოვარდა გაშმაგებული დირექტორი, ვინმე შაპულინი, თან მირზაც მოჰყვა და კიდევ რამდენიმე კაცი. — როგორ გაბედე? — მივარდა დიმიტრის და იქვე გასრესა უნდოდა პატარა ბავშვისა, მაგრამ უეცრად მოაგონდა, რომ ეს ისეთი დანაშაულობაა, რომ უმაღლესი მთავრობის ჩარევაა საჭირო და მირზა ჯაფართან ერთად გუბერნატორთან გასწიეს. მალე იქვე დაიბარეს პატარა დიმიტრიც, საწყალს გული დოსებული ჰქონდა ჯაფრისაგან და გონება-დაფანტულსავით იყო. როგორ გაბედე და მასწავლებელზე ხელი აიშვირე? — შეპკურა მრისხანე გუბერნატორმა, გენერალმა ხოვენმა. დიმიტრის ბედზედ, ამ დროს გუბერნატორის კაბინეტში გენერალ-ლეიტენანტი თ. ბაგრატიონ-მუხრანსკი შემოვიდა. სანამ გენერლები ერთმანეთის მისალმებაში იყვნენ, დიმიტრი, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა და როცა გუბერნატორმა გამოკითხვა დაუწყო, დალაგებით უამბო ყოველივე. ბაგრატიონიც ყურადღებით უსმენდა.

— „უკაცრავად, გენერალო, — მიუბრუნდა ხოვენს, — კეთილშობილთა სასწავლებელში ხომ თავად-აზნაურთა შვილებს ზრდიან. ჩემი შვილებიც იქა სწავლობენ და როგორ იქნება, ვის აქვს ნება მათის ცემისა? თმების გლეჯა გაბა იგივე ცემა არ არის? როგორც გნებავთ, მაგრამ ამგვარი რამ შეუწყნარებელია!"

ზოვენი სწრაფად შეიცვალა, შაპულინს და ჯაფარს ნოტაციები წაუკითხა და უბრძანა გაფრთხილებით ყოფილიყვნენ. დიმიტრის — „ღმერთს და თავადს ემადლიერე, რომ ასე გადარჩი, მაგრამ იცოდე, მეორედ აღარ გაბედავ, გესმის, აღარ გაბედავ. აღარ დაგინდობ. წადი და ნურავის უამბობ". გადარჩა პატარა დიმიტრი, მაგრამ ფიქრები აწუხებდნენ: „მეორედ არ გაბედავო. და განა რაიმე დანაშაულობა მიმძღვნიხ? ანდა, განა ვიქნები დანაშაული, თუ კიდევ მოხდა ამგვარი რამ? ამაზედ არასდროს არავინ შომცა პასუხი", — აღნიშნავს თავის მოგონებებში დიმიტრი ყიფიანი.

ამ შეზუთულ პაერში ხული იჩაგრებოდა. კიდევ კარგი, დროგაშვებით მასწავლებლებში გამოერეოდა ხოლმე ღვთიხნიერი ადამიანი, რომელიც შეგირდებს ლმობიერად და გულკეთილად ეპყრობოდა. ამ იშვიათ შემთხვევაში შეგირდებს გულის ხითხი ემატებოდათ და იცინნენ ბედნიერნი და ქმაყოფილნი იყვნენ. სიყვარულით იხსენებს დიმიტრი ელპიდფორ მანასეინს, ახალ დირექტორს, რუსული ენის მასწავლებელს და რამდენიმე სხვას. საზოგადოდ კი შეგირდები ძლიერ დაჩაგრულნი იყვნენ სასწავლებელში. ამიტომ არის, რომ ასეთის სიხარბით და გულით ეწაფებოდნენ სკოლის გარეთ ყოველგვარ გასართობს და დროს გატარებას. მაგრამ არც ამ მხრით იყო რამ სახარბიელო.

ტფილისი მეცხრამეტე საუკუნის მეოცე წლებში სრულიად არა ჰგვანდა ეხლანდელ ტფილისს. საყურადღებო ცნობებს ვპოვებთ დიმიტრის ერთ ავტობიოგრაფიულ ნაწერებში: „ბახსოვს, — სწერს დიმიტრი, — ბირეაზე პირველად რომ გაჩნდა ეკიპაჟი. ეს იყო მეეტლე ცაკანას „დროტკები". რამდენიმე წლის განმავლობაში ეს იყო ერთად-ერთი ეტლი მთელ ტფილისში... უფრო ურმებით და ცხენებით დადიოდნენ. მაგრამ ცუდ დარში არც ურემი, არც ცხენი იყო გამოსადეგი, განსაკუთრებით მშვენიერ სკენისათვის, რომელიც თავის დასწრებით ამშვენებდა მთავარმართებელთან იშვიათად გამართულ საღამოებსა და მეჯლისებს. არა ერთხელ მინახავს იმგვარი წესი ტარებისა, რომელიც ძველად იაპონიაში იყო ჩვეულებრივი — მხარეზეიან დამტარებელ მუშის მხრებზე წამოსკუპდებოდა მანდილოსანი, გახსნილი ქალალათი ხელში და ამ გვარად მიაყენებდნენ დასატიენებულს სახახლის კარამდე. სახახლის გარეთ, კერძო სახლებშიაც იმართებოდა ხოლმე საცეკვაო საღამოები, განსაკუთრებით თ. ალექსანდრე ბეკეკოვის (პოეტის) და თ. ივანე ორბელიანის სახლებში. იმ დროინდელი საზოგადოების დამამშვენებელი ვარსკვლავი ორი ახალგაზრდა ქალი იყო: ალ. ბეკეკოვაძის ასული, ნინო („შემდეგში გრიბოედოვის ცოლი) და ივ. ორბელიანის ასული, მარიამი („შემდეგში თ. ბარიატინსკის სიდედრი). მაგრამ უბედურება ის იყო, რომ სპარსეთთან ომიანობის დროს (1826-1828), ტფილისში თითქმის არ მოიპოვებოდა მამაკაცი ახალგაზრდობა. სულ ომში იყვნენ გაბიზნულნი. მეტი გზა არ იყო, უფროს ქალაბის შეგირდებს, მთავრობის ნებადართვით, იწვევდნენ საცეკვაო საღამოებზე და შეგირდების „კავალროობით" მიდიოდნენ ოიოლს. ერთხელ რამდენიმე შეგირდი და მათ შორის დიმიტრიც მიიწვიეს ორბელიანთსა წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად, გიმნაზიის მთავრობის ნებადაურთველად. შეგირდებისათვის ამგვარი გართობა მეტად სანატრელი იყო. მონაწილეობა მიიღეს და ღირსეულადაც ასრულეს თავიანთი როლები, მაგრამ, საუბედუროდ, სასწავლებელში გაუგეს.

— როგორ გაბედეთ? ხმა, კრინტი, თავი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმართლოთ! — გადასწყვიტეს სახტიკი ძალა ექვსი შეგირდისა. ყველა, ვინც ვიყავით, — მოგვითხრობს დიმიტრი, — უნდა გაეწყვიტათ, თითოეულ კლასში ცალ-ცალკე, რათა ყველა შეგირდისათვის დაეხასიათებინათ. ქართველებში, — დასძენს დიმიტრი მოთხრობას, — თვით მკვლელობა სამარცხვინო დანაშაულობად ითვლება. მაგრამ ჩვენ მზად ვიყავით თავები გავვეწირა, ხოლო მშვენიერ იმდროინდელ მნათობთა წყალობით, რომელნიც ენერგიულად გამოგვესარჩლნენ, სიკვდილს გადავრჩით!

16 წლისა იყო დიმიტრი, სასწავლებელი რომ გათავა. სწავლის გათავების შემდეგ სამაზრო სასამართლოში შევიდა, მაგრამ აქ დიდხანს ვერ დაჰყო. აღმასრულებელმა ექსპედიციამ თანამდებობაზე არ დაამტკიცა, რადგან თავად-აზნაურობის ქაღალდები არა ჰქონდა. რაკი სასამართლოში არ მოხერხდა სამსახური, ახლა დეპუტატია საკრებულოს შეიფარა თავი დიმიტრიმ და იქ თარჯიმანის ადგილი დაიჭირა, მაგრამ ამასობაში კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთეს. მასწავლებელთა რიცხვი მცირე იყო და იქ მიიწვიეს დიმიტრი. ოღონდ ეგზამენი კი დაუჭერინეს პედაგოგიურ საბჭოში მასწავლებლის უფლების მოპოვებისათვის. ეგზამენი დიმიტრიმ დაიჭირა და შევიდა კიდეც მასწავლებლად. მაგრამ აქ მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც სხვაგვარი მიმდინარეობა მისცა დიმიტრის ცხოვრებას. სახეში მაქვს ცნობილი „შეთქმულება" 1832 წლისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა საუკეთესო ნაწილი იმდროინდელ ახალგაზრდობისა და რომლის ქსელში თავისსაუნებურად გაება დიმიტრი ყიფიანიც; ამ საყოველდღო მოვლენის ნათელსაყოფად დიმიტრის ქაღალდებში არის ძვირფასი დოკუმენტი, სახელად «Казарменное дело» მოთხრობა იმისა, რაც უნახავს და გამოუცდია დიმიტრის იმ ხანებში.

დიმიტრი ყიფიანი ცდილობს გამოარკვიოს ის, თუ რა იყო მიზეზი ქართველების უკმაყოფილებისა მე-19 საუკუნის დასაწყისში და რამ გამოიწვია შეთქმულება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. საქმე ის არის, რომ 1783 წლის ხელშეკრულების ძალით, რუსეთს მფარველობა უნდა გაეწია საქართველოსთვის სპარსეთ-ოსმალეთის შემოსევის დროს, რუსეთი კი ამ მფარველობას არ უწევდა ქართველ ხალხს და 1795 წ. აღა-მამედ-ხანმა აოხრა და აიწიოკა საქართველო. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველებში რუსეთისადმი. ეს არის რუსეთის მფარველობა? გაიძახოდნენ აქეთ-იქით. და როდესაც, ორი წლის შემდეგ, გრაფ ზუბოვის ხასლოლბით გამოილაშქრა რუსეთის ჯარმა, ვითომდა ქართველობის საშველად, ეს ჯარი კასპიის ზღვის დაყოლებაზე მდებარე დერბენტის, ყუბანის, ბაქოს და ტალიშინის ხანებს ნოგას შეებრძოლა და ცდილობდა მათ დამორჩილებას. საქართველოში კი უკმაყოფილონი ამბობდნენ: სპარსეთის შაჰმა გაანადგურა ჩვენი დედაქალაქი და შეაგინა ჩვენი სალოცავნი. მფარველი მთავრობა კი სხვის ამხანთვის უდანაშაულო კასპიის მხრის ხანებსო. ასეა თუ ისე, ბერძენება ისე გამწყვეთ, რომ მეფე გიორგიმ მამის სიკვდილის შემდეგ გადასწყვიტა რუსეთთან უფრო მეტიოდროდ დაკავშირებულიყო, რათა რუსეთს თავის ქვეშევრდომობაში მიეღო საქართველო.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროის ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი დიმიტრი ყიფიანის წერილში სხსწორიად არ არის გადმოცემული. სახეში გვაქვს საქართველოს რუსეთთან შეერთების ამბავი. საქმე ის არის, რომ ერთად-ერთი კანონიერი ხელშეკრულება არის ტრაკტატი 1783 წლისა. ამ ტრაკტატის გარდა სხვა რამ ხელშეკრულება, ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი, არ არსებობს. ეგრეთ წოდებული „просительные пункты" გიორგი მეფისა — ხელმოუწერელი დარჩა და ხელშეკრულების ხასიათი მას არას დროს არა ჰქონია. დიმიტრი ყიფიანის მოთხრობაში კი გამოდის, რომ სრული ქვეშევრდომობა გიორგიმ ითხოვა, ხოლო ალექსანდრე I ყოყმანში იყო და მერე კი, როგორც იყო, დასთანხმდა და შესაფერი მანიფესტიც გამოსცა — მანიფესტი, რომელიც „ისეთის ენით არის დაწერილი. — ამბობს დიმიტრი ყიფიანი, — საცა აშკარად მოსჩანს დიდსულოვნება და კეთილი განწყობანი ეკრეთულ მეფისა. ამ მანიფესტს იმდროინდელ ქართველობაზე ისეთივე დამამშვიდებელი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, როგორც ახლენს იგი დღესაც". ასე რომ, დიმიტრი ყიფიანის განმარტებით, სრული უპირობო ქვეშევრდომობა ქართველობის სურვილი იყო, რუსეთმა კი ეს სურვილი დაკმაყოფილა. ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება ისტორიულ ფაქტებს. დღეს არავითვის არის საკამათო ის გარემოება, რომ ალექსანდრე I ყოყმანი გამოწვეული იყო იმითი, რომ იგი აშკარად ჰგრძნობდა უკანონობას, რომელზედაც დგებოდა რუსეთი საქართველოს შინაურ თვითმმართველობის მოსპობით და მის ინკორპორაციით. ამ შეცდომის აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია, რადგან ამ შეცდომის წყალობით, რომელიც, ამკარაა, უნებლიეთ იყო დიმიტრის მხრივ, წარსული ისტორიის მეცნიერულად შეუფასებლობის გამო, განსაზღვრული ელფერი მიეცა დიმიტრი ყიფიანის პოლიტიკურ აზროვნებას, რომელსაც იგი არ ფალაგობდა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში და რომლის აღსარებამ ტრაგიკული ხასიათი მისცა მის მოღვაწეობას. ყოველივე ეს ჩვენთვის თანდათან ნათელი გახდება, გავიცნობთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დიმიტრის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ახლა ისევ განვაგრძოთ დასურათება დიმიტრისეული ნაწერთან იმ დროისა, რომელიც წინ უძღოდა „შეთქმულების“ აღმოჩენას.

დამყარდა რა საქართველოში რუსეთის მმართველობა, აღმოჩნდა შემდეგი: „რუსები, — ამბობს დიმიტრი ყიფიანი, — სრულიად არ იცნობდნენ არც ზნე-ჩვეულებას ქართველებისას, არც იმ კანონებს, რომლებითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ. მათთვის უცნობი იყვნენ ქართველთა დაწესებულებანი, ან ის, თუ როგორ იყო მოწყობილი საქართველი და ადმინისტრაცია. მათ იმ თავითვე შემოიტანეს წესები, შიდა გუბერნიებში რომ არსებობდნენ, და როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო საქმის წარმოება რუსულად შემოიღეს. და აწკარა ადმინისტრაციის განზრახვანი და ხვე-ბედი ხალხისა ორი-სამი გაუნათლებელი თარჯიმნის ხელში ჩავარდა. ოსმალები, სპარსელები და ლეკები აღარ გვეშუქრებოდნენ. ამ გარემოების გამო დროებით კიდევ შეიძლებოდა შეწყნარება იმ გაუგებრობისა, რომელიც დამყარდა ხალხსა და მმართველთა, მოსამართლეთა და მომჩივანთა შორის. მოთმენა შეიძლებოდა, მაგრამ გაუგებრობა დღითი-დღე იზრდებოდა. ამავე დროს, ბატონიშვილები რუსეთისკენ გაბიზნეს. ამითაც აწყენინეს ბევრს. სისასტიკეს და უსამართლობას ბედავდნენ ამ განდევნაში. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მარიამ ბატონიშვილის თავგადასავალმა.

„დამშეზადეს მცველი ცხენსანი რაზმი, როგორც უნდა გაჰყოლოდა მარიამ ბატონიშვილს. ურემიც მოამზადეს... ამ საქმეს განაგებდა გენერალი ლაზარევი. დედოფალს ებრძოლნენ, ავადმყოფობას იმიზეზებ, რადგან პეტერბურგში წასვლა არ გინდათ. თუმ-ბილისურეთშიც იმალებით. ამის გამო სასტიკად და უდიერად მოექცნენ. დედოფლის სახლს ლაზარევმა ჯარი შემოარტყა გათენებისას (აპრ. 1803 წ.), შეავდა პირდაპირ საწოლ ოთახში და გამოუცხადა დედოფალს, ეხლავე რუსეთში უნდა წამოხვიდეო.

— ხომ ბეადავ, ავადა ვარ, ეხლა წასვლა არ შეშიძლია. ცოტა დამაცადეთ, მოვკეთდები.

— შეუძლებელია, დედოფალო, უსათუოდ ეხლავე უნდა გაგგზავნოთ.

— როგორ გამგზავნით, როცა არ შემიძლია წასვლა.

— ძალიან ვწუხვარ, დედოფალო, მაგრამ აძულებული ვიქნები ძალა ვიხმაროო.

— როგორ, ქალზე უნდა იხმაროთ ძალა?

— დედოფალზედ? — წამოიძახა ვიღაცამ უკან მდგომმა.

— მაგ. არ გინდათ წამოსვლა, არა?

ლაზარევი მიუახლოვდება და სტაცებს ხელში დედოფალს, რათა გადმოაგდოს საწოლიდან. ამ დროს კი ლაზარევს გულში ჩაჰკრეს ხანჯალი და იქვე მოჰკლეს. ასტყდა ყვირილი, ხმაურობა, ტირილი. ვინ იცის, დანამდვილებით გამოირკვევა თუ არა ოდესმე ეს ამბავი, ოფიციალური ცნობები კი ხანდონი არ არიან. უტყუარია მხოლოდ ის, რომ გენერალ ლაზარევმა ხმის ამოღება ვერ მოახწრო. მკვლელობის დროს კი ოთახში იყვნენ დედოფლის შვილი, ბატონიშვილი ჯიბრაილ და მცირეწლოვანი ალექსანდრე — თამარ და მარიამ. ხალხში გავრცელდა ხმა, ვითომ იოსებ ყორღანოვმა, დედოფლის სტატს-სეკრეტარმა მოჰკლა ლაზარევი. მაგრამ დედოფალმა ყოველივე თავის თავზე მიიღო. იგი გაამწესეს ერთს მონასტერში ტამბოვის გუბერნიაში. ხალხში კი წყრომით ლაპარაკობდნენ: უდანაშაულო დედაკაცის ასეთი დაძალება, შეურაცხყოფა ნაკურთხ დედოფლისა და ქრისტიან ადამიანის, — ეს ხომ მეტის მეტია!..“

დიდად ართულებდა მდგომარეობას კანონმდებლობის უქონლობა. რუსეთში ჯერ არ იყო ეხლანდელი „კრებული კანონებისა“, ვახტანგის კანონებიც გადაუთარგმნელი იყო 20-30 წლის განმავლობაში. ასე რომ, დიდი თვითნებობა მსუფევდა და ხალხის ბედი „ტიტულიარნი სოვეტნიკების“ ხელში იყო, რომელთაც არ ესმოდათ ხალხის ენა, ხალხსაც მაგათი ენა. ასე, მაგალითად, ზოგს თავადს აზნაურებიც ჰყავდა, მაგრამ აზნაური გლეხის წოდებისა არ იყო, რუსულად კი ისე სთარგმნდნენ, ვითომც თავადის დაქვემდებარებული აზნაური გლეხი იყო და სხვა არაფერი. ფეოდალური წესის ურთიერთობა ვერ გაეგოთ და რაკი აზნაური „დაქვემდებარებული“ არის, იგი უსათუოდ გლეხი უნდა ყოფილიყო. აქედან წარმოსდგა დავიდარაბა თავადებსა და აზნაურებს შორის. ამგვარადვე აურიეს ბატონყმობის ინსტიტუტი. აქაც იმგვარივე ხაზოგადოებრივი ურთიერთობა ეგონათ, როგორიც არსებობს რუსეთში. „გლეხებში აღიძრა სურვილი ბატონობის უღლიდამ თავის დახსნისა. რიცხვი ამგვარ საქმეებისა ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ სასამართლოები ვერ აუდიოდნენ მათ და, მაშინდელი წესები რომ მივიღოთ მხედველობაში, საქმე ხშირად 10-20 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ორივე მხარე ნივთიერად გათახსირებული რჩებოდა. წინანდებური მშვიდობიანი დამოკიდებულება მტრულ განწყობილებად გადაიქცა წოდებათა შორის. მემამულეთა მკვლელობა გახშირდა. ხანდისხან მთელ ოჯახსაც აუწიოკებდნენ ხოლმე მემამულეს. ამას მოჰყვებოდა ხოლმე მკვლელების გასამართლება, მათი დასჯა, ჯგუფობით გადასახლება ციმბირსა და კატორღაში. ერთი სიტყვით, გლეხთა და მემამულეთა შინაური კეთილდღეობა და მყუდროება, რომე-

აარჩილ ჯორჯაძე
დიმიტრი ყიფიანი

ლიც საუკუნეთა განმავლობაში გარეშე მტერთაგან დაცვის და მზრუნველობის საგანი იყო, ეხლა საბოლოოდ დაირღვა, ახალი მცველების, ტიტულიარნი სოვეტნიკების უვიცობის წყალობით.

ზემოთ ნათქვამიდან აშკარაა, რომ საქართველოში ყველანი დიდად უკმაყოფილნი იყვნენ. თითოეულ წრეს და წოდებას თავისი მიზეზი ჰქონდა უკმაყოფილებისა, ხოლო საერთო საყოველთაო მიზეზებიც იყო. ყველასთვის აშკარა გახდა, რომ ახლად დამყარებულმა რეჟიმმა არ გაამართლა იმედები, რომელთაც მასზედ ამყარებდნენ და ყველანი მოტყუებულნი და სახიწარკვეთილნი იყვნენ. აი, ამ ნიადაგზე იშვა „შეთქმულება". იმ ხანებში ტფილისში ბევრი სხვადასხვა წრე იყო. ამ წრეების ერთმანეთთან დაახლოვებიდან თანდათან გამოიკვეთა ერთი ჯგუფი, რომელსაც აშკარა პოლიტიკური ხასიათი მიეცა. საყურადღებო ცნობებს გვაძლევს დ. უიფიანი ამ ჯგუფების შესახებ: „სხვა და სხვა მიმართულებათა და შემადგენლობის წყალობით ამ წრეებს არა ჰქონდათ ერთი სახელმძღვანელური გეგმა. ყველა ჯგუფების ერთად თავის მოყრა და მოლაპარაკებაც კი ვერ მოხერხდა. თითოეული წრე ცალკე იკრიბებოდა, აქ სჯა-ბაასში იქარვებლნენ გულს მისი წევრები. ერთი ამგვარი საიდუმლო მოლაპარაკება მოხდა გუბერნატორის სახლის დაბლა სართულში (ეს ის სახლია, სადაც იმყოფება ეხლა საქართველოს ეგზარხოსი) — გუბერნატორის ძმის, თ-დ იესე ფალავანდიშვილის სადგომში. აქ პირველად და უკანასკნელად ვნახე იესე ფალავანდიშვილი, რიგიანი შეხედულობისა იყო, მაგრამ გარეგნობა ბომ მაცდურია. ეს ბატონი, თითქოს ყეთილად ზრდილი, დინჯი და თავდაჭერილი, ადმონსდა უკიდურესი მტერი ყოველგვარი წესისა. არასდროს ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი სიხსნის მწოვი ადამიანი. მისი მქუხარე სიტყვები ისეთი სასტიკი და ულვთონი იყვნენ, რომ დამსწრეთა დიდ უმრავლესობაში ზიზღს იწვევდნენ და მის განზრახვისადმი გულგრილობას. ამ კრების რომდენიმე კვირის შემდეგ ფალავანდოვმა აშკარად შეაღერა, რომ ჯგუფები ალარ იკრიბებოდნენ, თითქოს ხალისი დაეკარგათ. შეეშინდა, გამცემი არ ალმოჩნდეს და არ დამასწროსო და ყველანი დაადბენა 1832 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში. მაშინვე მიჰყვეს ხელი და დაატუსაღეს ყველანი".

დიმიტრი ყიფიანის მოგონებანი „Русс Старина"-ში უნდა დაბეჭდილიყვნენ. სემეგსკი, რედაქტორი ეურნალისა, სწერდა ყიფიანს, გარკვევით არ სჩანს, რაში იყოო შეთქმულების მიზანი. ამაზე ყიფიანი უპასუხებს: „1832 წლის შეთქმულების მიზანი, როგორადაც გამოიჩქვა იგი თ. იესე ფალავანდოვის კრებაზე, საქართველოს რუსეთის მმართველობისაგან განთავისუფლება იყო. ამ აზრის განხორციელებისათვის, ფალავანდოვის რჩევით, მთავარმართველებთან გამართულ მეჯლისზე რუსების გაწყვეტა იყო საჭირო. ამავე დროს, ხალხი უნდა აჯანყებინათ და ჩაეგდოთ ხელში არსენალი და ბანინა. ამ ბედკრულ საღამომდე მე და ავთანდილოვს კიდევ გვჯეროდა, რომ ჩვენს კრებებს უნდა მისცემოდა სალიტერატურო ხასიათი, ხოლო ამ საღამოს შემდეგ არც ერთ კრებაზე აღარ დავსწრებივართ".

ეს მოწმობა ფრიად საყურადღებოა. არავითარი ეჭვი არ არის, რომ დიმიტრი ყიფიანი სრულიად ულანაშაულოდ იყო გარეული იმ შეთქმულთა სიაში, რომელთაც თავისუფლების მოპოვება იარაღით უნდოდათ. ასე იყო თუ ისე, დიმიტრი ყიფიანსაც არ ასცდა გადასახლება. ხოლო ნანამ ეს მოხდებოდა, ყველანი დაამწყვდიეს ავლაბრის ციხეში (ეხლანდელი მინგრელსკი პოლკის ყაზარმებია) და ხალხმაც ეს ამბავი „ყაზარმობად" მონათლა. ინტერესს არ არის მოკლებული ცნობები ამ ყაზარმობის შესახებ, რომელთაც ვპოულობთ დიმიტრი ყიფიანის „მოგონებებში".

დაატუსაღეს ორმოციოდე კაცი. თითო კამერაში მოამწყვდიეს ორ-ორი. ყიფიანს მოუხდა ყოფნა თავის შეგირდობის დროინდელ ამხანაგთან — ავთანდილოვთან. დაატამრებულთ კარგად ეპურობოდნენ. დილ-დილობით ყავას ასმევდნენ, ხოლო დიმიტრის, სუსტი რომ იყო, კაკაოს. წიგნებსაც აძლევდნენ შტაბის ბიბლიოთეკიდან. უზრუნველობა ის იყო მხოლოდ, რომ დარაჯი შიგნით ოთახში იდგა კარებთან, თოფი ხელში ეჭირა და ლაპარაკის უფლებაც არ ჰქონდა. ხაბედნიეროდ, ეს წესი მალე შესცვალეს: დარაჯები დერეფანში დააყენეს, ხოლო კარები ელეტით გადარაზეს. დამწყვდეულები ეფრეიტორებს და უნტერ-ოფიცრებს აზიდვინებდნენ თავიანთი ოჯახებიდამ საცვლებს და წვრილმანს, რაც კი სჭირდებოდათ. ერთი მაგდლიანი ეფრეიტორი დიმიტრისთანაც შემოდოდა და მის დავალებას ასრულებდა. აქ დიმიტრი იგონებს ერთს გარემოებას, რომელსაც მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია: კამერაში, საცა ისხდნენ ყიფიანი და ავთანდილოვი, დაამწყვდიეს ერთი ღრმად მოხუცებული, მხარ-ბეჭიანი, წარმოსადეგი თავადიშვილი, ბარძიმ ამილახვარი. გაჩუმებული იყო და უხალისოდ ელაპარაკებოდა დიმიტრის და მის ამხანაგს. რუსული არ ესმოდა. ეფრეიტორს რომ ელაპარაკებოდა დიმიტრი, დაეშტერდებოდა და ჰკოხავდა, რას ელაპარაკნენო. დიმიტრიც უხსნიდა ნალაპარაკევს. ერთხელ ამ მოხუცმა ეფოროსი მოიკითხა, ბეჭირო საქმე მაქვსო. წაიყვანეს. კომენდანტიანთვის უთქვამს, ჩემს კამერაში რომ ორი ემწყვლია, გაქცევას აპირებენ, ეფრეიტორი დაბმარებას ჰპირდებაო. დაუჯერეს მოხუც თავა-

დიშვილს. საცოდავ უნტერ-ოფიცერს უფლება აბეკარეს და ისე აცემინეს, რომ ეკვსი თვე მომაყვდავი ლაზარეთში იწვა. დიმიტრი გადაიყვანეს იმ კაბერაში, სადაც ისხდნენ ალეკსანდრე და ვახტანგ ორბელიანნი, თელეე ბატონიშვილის შვილნი. გამოძიება სწარმოებდა ერთი წლის განმავლობაში. როდესაც დაინიშნა გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარედ გენერალი ჩიგკინი, დამწყვდეულთა მდგომარეობა შეიცვალა. ისე ლმობიერად აღარ ეპყრობოდნენ. უფრო მკაცრად ელაპარაკებოდნენ, ხშირად დასჯიდნენ ხოლმე რაიმე მცირე დანაშაულობისათვის. ცალკე კაბერაში დამწყვდევაც შეწოდილს. პურის მეტს არას აძლევდნენ. ბოლოს, როგორც იყო, დაამთავრეს გამოძიება. ხაკმეში 100 კაცამდე იყო გარეული. დიდი უმრავლესობა ადმინისტრაციული წესით დასჯეს, მხოლოდ 12-13 კაცი მისცეს სამხედრო სამართალში.

აი, სია ზოგიერთი პირისა, რომელნიც ადმინისტრაციული წესით იყვნენ დასჯილნი: 1. ბატონიშვილი ოკრომირი — გაგზავნეს კოსტროგმაში. 2. თ. გრუზინსკი, დიმიტრი იულონის ძე — სპოლენსკში 3. მისი და, კნიაეზი თამარ იულონის ასული — ტფილისში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 4. კნ. მანანა მირმანოზის ასული ორბელიანი — იქვე. 5. ბატონიშვილი თეკლე ირაკლის ასული — კალუგაში. მობუცებულობის გამო მალე დაუბრუნეს ტფილისში. 6. თ. დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი — კალუგაში. 7. ალეკსანდრე გარსევანის ძე ბაკაკავაძე — ციმბირსკში. 8. თ. გრიგ. დიმიტრის ძე ორბელიანი. 9. თ. გიორგი რომანის ძე ერისთავი. 10. თ. გ. დ-ძე ერისთავი და სხვანი.

დიმიტრი ყიფიანი გაამწესეს ვოლოგდაში და ჩვენც იქითკენ გავწიოთ და იქ ვადევნოთ თვალყური დიმიტრის ცხოვრებას. აქ ისევ „Школа духа“ იქნება ჩვენი ხელმძღვანელი და ამასთან ბევრი სხვა ოფიციალური დოკუმენტი.

ᲙᲐᲠᲘ II

Ა.

1834 წელს დიმიტრი ყიფიანი მიეგზავრება რუსეთში, ქ. ვოლოგდაში. იქ იყო გადასახლებული. უკეთ ვსთქვათ, სამსახურში ჩარიცხული. დიმიტრის სულიერი განწყობილება გადასახლებულის სულიერ განწყობილებას არ ჰგავდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მას პოლიტიკური ბრძოლა არ აინტერესებდა, რომ იგი შემთხვევითი მსხვერპლი იყო „შეთქმულობისა“. მართალია, ჩვენში დამყარებული წესები არ მოსწონდა, მაგრამ რუსეთისადმი ღალატი ფიქრადაც არ მოსდიოდა. რუსეთს ჩაბარეს საქართველო ქართველმა მეფეებმა (ასე სწამდა დიმიტრის), რუს მეფეებმა მიიღეს საქართველო თავიანთ ქვეშევრდომობაში. ეს უკვე საკმარისია უსაზღვრო ერთგულების განმტკიცებისათვის. მართალია, წესები არ ვარგა, ხალხიც უმაყოფილოა, მაგრამ ეს „უკიცი ტიტულიანნი სოვეტნიკების“ ბრალია. უსამართლო მოხელეებთან ბრძოლა და ერთგულება უმაღლესი მთავრობისადმი — აი, ჩანახანი პოლიტიკური პროგრამისა, რომელსაც ახორციელებს დიმიტრი თავისი სამსახურის პირველი დღიდანვე.

ვოლოგდაში ჩარიცხეს გუბერნიის მმართველობაში. „ვოლოგდაში ჩემს შესახებ მიღებული ქაღალდის წყალობით, — ამბობს დიმიტრი, — ზოგიერთნი ისე მიყურებდნენ, როგორც ნადირს, რომელიც იკბინება. თუმცა მორიგთა თვალშიაც ნადირი ვიყავი, მხოლოდ ნადირი ჭაბუკი და სამხრეთიდან მოსხული, რომელსაც მოფერება ესაჭიროება. მაგრამ მე ისე გულმოდგინეთ შეუდექი ჩემს სამსახურს, რომ გუბერნიის სამმართველოში დილა-საღამოობით დავდიოდი და ყურადღებას არ ვაქცევდი არც იმათ, ვისაც ჩემი ეშინოდათ, არც იმათ, ვისაც ჩემი მოფერება სწადდათ. ვმუშაობდი და სამი წლის განმავლობაში გუბერნიის მმართველობის მდივნის ხარისხამდე მივაღწიე“. უფროსები ძლიერ აფასებდნენ დიმიტრის გულმოდგინებას და ბეჯითი მოხელის წინ წაწევას ცდილობდნენ. უნდა ვსთქვათ, რომ გულმოდგინეობის გარდა, დიმიტრის ქართველობასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ პატივცემით ეპყრობოდნენ. უშიშრობა, გამბედაობა და გულახდილობა დიმიტრის ხასიათისა თვალსაჩინო ხდებოდა რუსეთის მიყრუებული პროვინციის დაბეჩავებულ მოხელეთა წრეებში. აი, ერთი მაგალითი რომელსაც სხვას არ აპაჯებენენ, დიმიტრის კი სახელი გაუთქვა. ერთმა მოხელემ, ერთის ხარისხით წინ მდგარმა, შეიძულა რაღაც მიზეზის გამო ჩვენი დიმიტრი. იქნება შურიც ამოძრავებდა. დაიბეზღა გუბერნატორთან, მეათე კლასის ჩინოვნიკმა ყიფიანოვმა (ყიფიანოვს ეძახდნენ ვოლოგდაში) თავი არ დამიკრა და შეურაცხყოფა მომაყენაო. „ერთხელ, — გვიამბობს დიმიტრი თავის „მოგონებაში“, — გუბერნატორმა შინ დამიბარა, მეუბნება:

— ასეთები ხართ ახალგაზრდა კაცები, ზომა აღარ იცით, რა ენით, ცოტაოდენ თავისუფლებას რომ დაინახავთ.

გაშტერებული ვუყურებ და არა მესმის-რა.

— რას მიყურებთ უმანკო თვალებით? თქვენ ნება მიეცით თქვენს თავს და უზრდელად მოეკეცით გუბერნიის სამმართველოს „სოვეტნიკს“.

გული გადამიბრუნდა და ვუპასუხე:

— ნება მიბრძანეთ ვაუწყო თქვენს აღმატებულებას, რომ ქართველი გახლავართ. ქართველს რასაც გინდათ დაუბრალეთ, მაგრამ უზრდელობას ვერ დასწამებთ.

— მაშ რა არის, შემომჩივლა ნაპენინმა, რომ მმართველობაში შემოსვლის დროს თავი არ დაუკარით?

— თუ მართლა ასე მოხდა. მერწმუნეთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ ამ გვარი განზრახვა არ მქონდა.

— შემომჩივლა და მეც დავჯერდი, რომ ბოდიშს მოიხდით მის წინაშე. ასედაც მოიქცევით. ჩემი გულისთვის მოიქცევით ასე.

— ასე შემიძლიან მოვიქცე მხოლოდ როგორც თქვენი ბრძანების აღმასრულებელი.

— აბა, კეთილი.

მიველ ნაპენინთან.

— გუბერნატორის ბრძანებას ვასრულებ და ბოდიშს ვიხდი, თუმცა ვერ დაგიმალავთ, არ ვიცი, რის გამო.

— ჰო, არაფერია, დავივიწყოთ ყოველივე.

ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე ხანს ლაპარაკი იყო ვოლოგდაში იმის თაობაზე, თუ როგორ იხდიან ბოდიშს ქართველები".

როგორც ვსთქვი, დიმიტრი მალე წასწიეს და დანიშნეს კანცელარიის გამგედ, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო უმაღლესი მთავრობისაგან დამტკიცება. პასუხის მოსვლამდე იგი უკვე ასრულებდა ამ თანამდებობას. მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, გრაფი ბლუდოვი წინააღმდეგი იყო დამტკიცებისა. იგი უგზავნის საიდუმლო ქაღალდს ვოლოგდის გუბერნატორს, საცა, სხვათა შორის, ამბობს: „მაკვს პატივი, ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ თუმცა თანაბზად თქვენის წარდგენისა, ყიფიანური სამსახურში გულმოდგინეა და კარგის ყოფაქცევისა, მაგრამ რადგან იგი უმაღლეს ბრძანებით არის გამოგზავნილი ვოლოგდაში, როგორც დასჯილი ერთს სახელმწიფოებრივ საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის და ვოლოგდაში პოლიციის მუდმივ და საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, ხოლო რადგან სამოქალაქო გუბერნატორების კანცელარიებში გროვდება და წყდება ყველა საიდუმლო საქმეები, რის გამოც კანცელარიის მმართველად უნდა იყოს არჩეული იმისთანა მოხელე, რომელიც, ნიჭისა და გულმოდგინეების გარდა, ცნობილია, როგორც სრულიად კეთილსაიმედო და რომელსაც მთავრობის მისდამი ნდობის გამართლება შეუძლია, ამიტომ არა ვსთვლი შესაძლებლად, რომ თქვენს კანცელარიაში დაინიშნოს მე-10 კლასის ყიფიანური იმ დრომდე, სანამ მთავრობა არ ახსნის საიდუმლო ზედამხედველობას.

შინაგან საქმეთა მინისტრი, სტატს სეკრეტარი ბლუდოვი".

დედ-მამა ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა. კარგად იცოდა, რა მოუთმენლად ელოდებოდნენ მის დაბრუნებას. 1837 წლამდე ითმინა, ამ დროს კი, როდესაც შინდამაც სწერდნენ, შენი მოსვლა სანატრელია ჩვენთვისაო, შუამდგომლობა აღძრა დაბრუნების თაობაზე.

ერთი საფეხურიდან უკანვე გადაიყენეს და მიტრი ყიფიანი. დაწინაურებას არავინა ელოდა, თითონ ნასწიეს, მერე კი ისევ უკან დაბრუნეს. დიმიტრის ეწყინა, თუმცა წყენა არავის გაუზიარებია. ხოლო ამ ამბის შემდეგ ვოლოგდაში გული აღარ უდგებოდა. იფიქრა, მოდი, პეტერბურგში წავალ, იქ აღარ შემზუთავენო. მაგრამ პეტერბურგში წასვლა არც ისე ადვილი იყო. გუბერნატორს სთხოვა, გუბერნატორმა პეტერბურგში აცნობა. იქიდან იგივე ბლუდოვი სწერს გუბერნატორს, ხელმწიფეს მოვახსენე და მკითხა: „რა საჭიროებისათვის დასჭირდა ყიფიანოვს პეტერბურგში წამოსვლაო".

ამაზე დიმიტრი ყიფიანმა რაპორტით აცნობა გუბერნატორს, რომელიც შეეკითხა მას: „პეტერბურგში ადგილის ძიებენელად მინდა წასვლა, რათა იქ მთელი ჩემი ჯანი და უკვე შევრდომილები გულმოდგინეობა შევწირო მის იმპერატორობითი დიდებულების სამსახურს, რათა ამითი ცოტათი მაინც დავიმსახურო ხელმწიფე იმპერატორის ჩემდამი წყალობაო". რაპორტი გაგზავნეს მინისტრთან. პასუხიც მალე გაჩნდა. სამხედრო მინისტრმა, გრაფმა ჩერნიშოვმა მაცნობაო, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო ყიფიანოვს 28 დღით პეტერბურგში მოსვლისა, ხოლო „მისმა დიდებულებამ კეთილი ინება და უმაღლესად მიბრძანა ეუწყოს ყიფიანოვს, რომ დედა-ქალაქში მისი გამწესება სამსახურში ვერ მოხერხდებაო".

ასე რომ, პეტერბურგში წასვლაც მოუხდა. და ახლა სამშობლოში დაბრუნებაზე იწყო ფიქრი დიმიტრიმ. იმავ წლის სექტემბერშივე მიაწერინა გუბერნატორს: „პეტერბურგში წამოსვლის შესახებ ნებართვა გადავეცი ყიფიანოვს. მან მიიღო ეს, როგორც მოწყალება მისდამი მონარქისა, მაგრამ ყიფიანოვს შინიდან სწერენ, შენ ხარ ჩვენი შემნახველი და იმედი, ეგებ წამოსვლის ნება მოგცენო. საქართველოს მთავარმართველი როზენიც წინააღმდეგი არ არის, რომ ყიფიანმა ტფილისში განაგრძოს სამსახურიო. ამასთან ვგზავნი მის „სამსახურის ფურცელს" და მოგახსენებთ, რომ ეს მოხელე დიდად ნიჭიერია და საგანგებო ყოფაქცევისაო".

ნებართვა მალე გამოვიდა და ყიფიანი 1837 წელს ისევ თავის სამშობლოს დაუბრუნდა.

კარი II

ბ.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე დიმიტრი ყიფიანი განაგრძობს სახელმწიფო სამსახურს. ამ სამსახურს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ აქ დიმიტრი ზედმიწევნით ეცნობოდა ჩვენს ქვეყანას და აქ, ამ სარბიელზე, რომელიც ჰკლავს სუსტს პიროვნებას და უკარგავს პიროდობის ნიშანწყალს, გამოიჭედა და გაფოლადდა ხასია-

თი და პოლიტიკურ-ეროვნული აზროვნება დიმიტრი ყიფიანისა.

პირველ ბანში იგი გაამწესეს ქუთაისში, იმერეთის მმართველის, გენერალ ესპეხოს კანცელარიის მდივნად. ესპეხო, ჩამოძალვლობით ისპანელი, ძალიერ სუსტი იყო რუსული ენის ცოდნაში. და დიმიტრის ხელში იყო არა მარტო საქმის წარმოება, არამედ გამგებლობაც, რადგან გენერალი ესპეხო, რაკი დარწმუნდა, რომ ქკვიანი და მოფიქრებული თანამშრომელი ჰყავდა, ანჰებდა მას მოქმედების სრულ თავისუფლებას. ეს განუსაზღვრელი თავისუფლება მოქმედებისა, ცოტა არ იყოს აღონებდა და აფიქრებდა დიმიტრი ყიფიანს. მასში უკვე ღრმად იყო განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა და შიშობდა, ვაი თუ დიდი უფლებები, რომელნიც ჰქონდა ხელში, ისე ვერ მოეხმარა, როგორადაც ეს საჭირო იყო ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ეს იყო მიზეზი, რომ დიდ ხანს არ დარჩა ქუთაისში, სადაც მიუხედავად დიდი უფლებებისა, ჯამაგირი სულ მცირედი ჰქონდა. დიდ-მამის მდგომარეობაც აწუხებდა. ჭვრილ აზნაურშვილს შემოსავალი დიდი არ ჰქონდა. დიმიტრი გზავნიდა სახლში ათ თუმნამდე და როდესაც ტფილისში მთავარმართველის კანცელარიაში მოუმატეს ჯამაგირი და უზრუნველ ჰყეს მატერიალურად, მეტ დახმარებას უწევდა თავის სახლს.

პირადი ღირსების გრძნობა საკვირველად ჰქონდა განვითარებული. პატივს სცემდა ადამიანის პიროვნებას და ამგვარსავე პატივისცემას მოითხოვდა თავის თავისადმიც.

ახალ სამსახურში, მთავარმართველის კანცელარიაში, შესვლისთანავე შეტაკება მოუვიდა სამოქალაქო მმართველობის გამგესთან, გენერალ-ლეიტენანტ გურკოსთან.

„— ჩემი ბრძანება ასრულეთ? — მკითხა ერთხელ, როდესაც ქაღალდებს ვურდგენდი.

— მოგვითხრობს დიმიტრი.

— ნებას მივცემ ჩემს თავს და თქვენი სარგებლობის გულისთვის რჩევას მოგცემთ...

— როგორ ბძედავთ და რაღაც რჩევას მაძლევთ?

— მაშ, პირდაპირ მოგახსენებთ: სიტყვა „ბრძანებას“ ნურასოდეს გაახსენებთ.

— რატომაო?

— იმიტომ, რომ ერთად ერთი ხელმწიფე იმპერატორია, რომელიც ბრძანებლობს.

გურკო არ მოელოდა ამას.

— ჰო, მე მინდოდა მეთქვა ჩემი განკარგულება-მეთქი.

— განკარგულება შეგიძლიათ მისცეთ თქვენს „ფენშრიკს“ და მოსამსახურეს, ჩვენ კი ხელმწიფის მოხელენი ვართ.

— მაშ, რა? მაშ, როგორ უნდა ვილაპარაკო?

— თქვენ შეგიძლიათ დაგვავალოთ, გვთხოვოთ და თქვენს თხოვნას ისე მივიღებთ, როგორც განკარგულებას. სამოქალაქო სამსახურში მკაცრი ლაპარაკის წესი არ არის მიღებული. როგორც თქვენს ალმატებულებას მოუბრძანებენ, გაგაგებინებენ, ცოტა არ იყოს, გვთხოვენ...“

მაშ, რა გასაკვირია, თუ დიმიტრის ნიბა არ ეწყინა ეს-მოკლედ, „ყიფიანურად“ ელაპარაკებოდა იმერეთის მეფეს. პირდაპირობა დიდი ღირსებაა, მაგრამ სამსახურში, თუნდ სამოქალაქოში, ამგვარ თვისებას არ ეფასებენ. ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დიმიტრი ყიფიანი და არ ღალატობდა არც თავის ღირსებას, არც თავის პრინციპებს. სამსახურის დროს ხშირად უხდებოდა ხმის ამაღლება, როდესაც ჰხედავდა, რომ საზოგადოებრივი ინტერესი იჩაგრებოდა. იმ ხანებში გამოირკვა ერთი საქმე, რომელშიაც დიმიტრიც ჩაერია.

საქმე ის არის, რომ 1830 წ. ალმაჩინეს სათავად-აზნაურო ყალბი დოკუმენტების მკეთებელი საზოგადოება. თავად-აზნაურობის უფლებას უმტკიცებდა მთავრობა მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები ჰქონდათ. ამგვარი საბუთები, რა თქმა უნდა, ბევრს არ ჰქონდა. ხოლო ვინც არ წარმოადგენდა დოკუმენტს, იმას თავად-აზნაურობის ხარისხიც ეკარგებოდა. აი, ამ ნიადაგზე გაჩნდა ბოროტმოქმედება — ფაბრიკაცია ყალბი დოკუმენტებისა. 1844 წელს გამოვიდა უკაზი, რომელიც არკვევდა, რა პირობები იყო საჭირო თავად-აზნაურული უფლების აღიარებისათვის. უკაზის ძალით ბოროტმოქმედებას ბოლო ეღებოდა. ხოლო საქმე ისე გაართულეს, რომ თითქმის შეუძლებელი ხდებოდა თავად-აზნაურობის ხარისხის დამტკიცება. უკაზის ძალით საჭირო იყო: სიგელი თავად-აზნაურობის ბოძების შესახებ. სიგელის ნამდვილობა ორმოცდაორეა (მთავრობის მიერ ცნობილ) თავად-აზნაურს უნდა დაემოწმებინა ფიცის ქვეშ. ვინიცობაა, სიგელი დაკარგულიყო, მთელი გუბერნიის თავად-აზნაურებს უნდა დაემოწმებინათ, რომ ამა და ამ პირს მართლა ჰქონდა დოკუმენტი, ამა და ამ მეფის მიერ მოცემული და ამა და ამ დროს დაკარგული. ამ უკაზის ძალით რომ მოქცეულიყვნენ, საჭართველოში თავად-აზნაურთა რიცხვი ფრიად შემცირდებოდა; დღევანდელის თვალით რომ შევხედოთ საქმეს, კარგიც იქნებოდა, ასე რომ მომხდარიყო, რადგან მე-XIX საუკუნეში ამ წოდებამ ვერ ასარგებლა რაიმე სოციალური ფუნქცია, მძიმე ტვირთად კი აწვებოდა ხალხს. მაგრამ იმ დროში საქმე სხვანაირად მოხსენდა. დიმიტრი ყიფიანს, რომლისთვისაც თავად-აზნაურული ღირსება ცარიელი სიტყვა არ იყო, დიდ უბედურებად მიაჩნდა ამ ხასიათის უკაზის განხორციელება. იმ ხანებში (1845 წ.) მთავარმმართველობის კანცელარიაში იგი იყო განაყოფილების უფროსად. კანცელარიის დირექტორს, ვასილკოვსკის წარუდგინა მოხსენება, სადაც ამტკიცებდა, რომ 1844 წ. უკა-

ზი არღვევდა ერთ მუხლს იმგვარ აქტისას, როგორიც იყო მეფე ირაკლის და ეკატერინე დიდის შორის დადებული ტრაქტატი. კანონთა კრებულში, სადაც დაბეჭდილია ეს ტრაქტატი, ჩართულია სიტ იმ გვარებისა, რომელთაც თავად-აზნაურებად სცნობდა მეფე ერეკლე. ეხ- — ... ... - იყო ... დაბეჭდილება, რომ ესა და ეს პირი ამა და ამ გვარს ეკუთვნის. ხოლო რადგან მეტრიკები ბევრს არა აქვს, ამიტომ ეს საქმე თვით თავად-აზნაურობამ უნდა გამოარკვიოს. თავად-აზნაურობა ირჩევს კომისიას. ამ კომისიაში მთავრობის წარმომადგენელნიც არიან და ესენი გამოარკვევენ ყოველივეს. ამ პროექტს მხარი დაუჭირა თ. ვორონცოვმა, რომელმაც ნამესტნიკობის უფლების ძალით შეაჩერა განხორციელება 1844 წლის უკანასნისა, ხოლო 1846 წელს იმპერატორი ნიკოლოზ პირველი ინახულა და გააუქმებინა აღნიშნული უკანონ. დიმიტრის აზრმა გამიმარჯვა. აღნიშნული კომისიებისთვის ინსტრუქციები უნდა შეემუშავებინათ და კომისიები უნდა შესდგომოდნენ საქმის მოწესრიგებას. ინსტრუქციების შედგენა ტფილისის გუბერნიისთვის დაეკვალა დმიტრი ყიფიანს, რომელიც უკვე მთავარმმართველობის საქმეთა გამგედ იყო, ქუთაისის გუბერნიისათვის კი ინსტრუქციას ადგენდა სპპ-ს წევრი სემიონოვი. ყიფიანმა სემიონოვზე ადრე შეადგინა ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებული იქმნა ნამესტნიკის მიერ. სემიონოვის ინსტრუქცია გადასცეს გენ. ლადინსკის გასასინჯად. ლადინსკი ყიფიანს დაეკითხა. ყიფიანის აზრით კი ეს ინსტრუქცია უმაღლესი მთავრობის გადაწყვეტილების გაუქმება იყო. „ეს იყო ჩემი პირველი შებრძოლება, — ამბობს დმიტრი, — რუს მოხელესთან, როდესაც მიხდებოდა დაცვა რუსეთის უმაღლეს მთავრობის გადაწყვეტილებისა — შებრძოლება გამოწვეული არა მორჩილების გრძნობით მთავრობისადმი, არამედ იმ რწმენით, რომ ამ გვარი გადაწყვეტილებანი უნდა იყვნენ შეურაყეველნი". შებრძოლება მოხდა თ. მიხ. თუმანიშვილის თანდასწრებით.

„— ვასილ ნიკოლაევიჩ, — მიუბრუნდი სემიონოვს, — თქვენ ინსტრუქცია კი არ შეგიდგენიათ, რომელიც ნამესტნიკმა უნდა დაამტკიცოს, არამედ ახალი დებულება, რომელიც საკანონმდებლო წესით უნდა დაკანონდეს.

— გადაჰპრბებულ ყურადღებას აქცევთ ფორმას. ფორმის გასწორება შეიძლება, ეს არაფერია,

— ფორმის გამოცვლა საქმეს არ გამოსცვლის. ინსტრუქციაში მხოლოდ ის უნდა იყოს აღნიშნული, თუ როგორ განხორციელდეს ესა თუ ის კანონი, ან დებულება.

— სწორედ ეს არის ჩემს პროექტში.

— უკაცრავად, თქვენს პროექტში პირველ სტრიქონიდან უკანასკნელამდე ახალი დებულებაა აღიარებული, ახალი პრინციპები, — მელენიც ჯერ არსად ყოფილან განხილულნი, — ... ...

ტოოსანი ხალხი ვართ. თქვენ კი, განა გაქვთ წარმოდგენა, რა არის პატიოსნება?"

ბოლოს, როგორც იყო, თ. ვ. ბებუთოვმა შეარგა ისინი, მაგრამ როზოვი დიდხანს აღარ დარჩენილა კავკასიაში.

ბ.

როგორც ვსთქვით, დიმიტრი ყიფიანს 1838 წ. ქუთაისში მოუხდა სამსახური. აქ დიდ ხანს არ დარჩენილა იმ ხანებში, ხოლო აქედამ იწყება მისი გაცლობა დასავლეთ საქართველოსი, სადაც, შემდეგში, სამეგრელოს მთავარის საქმეების თამობაზე მან შესამჩნევი მოღვაწეობა გასწია, რასაც ჩვენ თავის დროზე გავეცნობით. ეხლა კი ქუთაისში ყოფნის დროს იგი დაინტერესებულია გურიის თავგადასავლით. ის იყო მოისპო გურიის დამოუკიდებლობა და სამთავრო ექვემდებარება რუსეთს. ეს გარემოება დიმიტრის მხრივ პროტესტს არ იწვევს. რუს-იმპერატორების მმართველობა სიკეთეა საქართველოსთვის, სიკეთეა გურიისთვისაც, როგორც სიკეთე იქნება ეს მმართველობა ახლო მომავალში საქმეგრელოსათვის, აფხაზეთისა და სვანეთისათვის. აქ არავითარი ეჭვი არ არის. თავი და თავი ის არის მხოლოდ, რომ აქაც, როგორც საქართველოშიაც, მოხელენი აფუჭებენ საქმეს, მოხელენი სჩაგვრენ და ავიწროებენ ხალხს და საჭიროა მხილება ამ ბოროტებისა. აი, პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს დიმიტრი ყიფიანი დასავლეთ საქართველოს ვითარების დაფასების დროს.

დიმიტრის ქაღალდებში არის ერთი საყურადღებო ხელნაწერი, რომელიც მოგვითხრობს გურიის მთავრის — მამია გურიელის და მისი ოჯახის თავ-გადასავალს. იმერეთის დამოუკიდებლობის მოსპობისა და სოლომონ მეფის ტრაპეზუნში გაქცევის შემდეგ, 1811 წელს, გურიის მთავარი, მამია გურიელი, რომელიც სოლომონთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო, გადმეტებულად შეწუხებული ოსმალების მიერ, რუსეთს სთხოვს მფარველობას. რუსეთი თანახმაა და ალექსანდრე I ანძლევს მამიას უმაღლესად დამტკიცებულ „ღრამატას", სადაც ადასტურებს მთავრის მეშვეობრეობით უფლებებს, ხოლო მამია გურიელის სიკვდილის შემდეგ (1826 წ.) მისი მემკვიდრე დავითი ჯერ კიდევ მცირე წლოვანია და საქმეებს განაგებს დედოფალი სოფიო, მამიას ქვრივი, მაგრამ მთავრობა დედოფალს არ ენდობა. მას უნდა, რომ დედოფალი საბჭოს დაბმარებით სწყვეტდეს საქმეებს, საბჭო შესდგებოდა ადგილობრივ თავად-აზნაურთა წევრთაგან (ერისთავი, თავდგირიძე, ნაკაშიძე, მაჭუტაძე და სხვანი). დედოფალს ეს წესი არ მოსწონდა. ეთაკილებოდა თავმჭდმარობა და სწყუროდა დამოუკიდებლობა. ასე რომ, დიდად უკმაყოფილო იყო და რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მიდის ოსმალეთში. თან მიჰყავს პატარა დავითი და ახალგაზრდა ქალიშვილი ეკატერინე. ანუ ეკ. 1829 წელს მთავრის ცოლი კვდება. თავადაზნაურნი, მხლებელნი დედოფლისა, მფარველობას უწევენ ობლებს. ახალგაზრდა ეკას მაზეს უგებდნენ და მარამბაზანში შესასვლელად ამზადებდნენ. მაგრამ ეკა არასგზით არა თანხმდება. დიდი მწუხარების გამო ეკა ფსიხიურად გაჯდება ავად. ბოლოს, მთავრობა ნებას აძლევს უკან დაბრუნებისას. ეკას ნათესავები თ. ჩიჩუას მითხოვებენ, დავითს აბარებენ ვაჟთა კორპუსში. ოფიცრად გამოსვლისთანავე იგი მოკლულ იქნა დაღესტანში, ლეკებთან შეტაკების დროს 1839 წ. და რუსეთი საბოლოოდ მკვიდრდება გურიაში.

1840 წელს კი, ე. ი. ერთი წლის შემდეგ, მთელი გურია ფეხზეა წამომდგარი და აჯანყებულნი იარაღს ისხამენ რუსეთის წინააღმდეგ. რა მოხდა? რითი იყო გამოწვეული ხალხის არეულობა? „ხალხის წყრომა, — ჯკითხულობთ დიმიტრის „მოგონებებში", — არეულობაა იგი თუ აჯანყება, ხელოვნურად არის გამოწვეული უმეტეს შემთხვევაში, როგორც გურიაში, მმართველთა მიუხვედრელობის წყალობით. არეკ-დარევენ საქმეებს, თითონ კი მშრალად გამოდიან". გურიაში, ყიფიანის აზრით, 1841 წლის არეულობა იყო გამოწვეული ორის მიზეზით: ერთი მიზეზი ის იყო, რომ ხარკს ფულად ადიგენენდნენ. მეორე ის, რომ ძალად ათესვინებდნენ კარტოფილს. მთელს გურიაში ფულადი ჯამაგირი ეძლეოდა მხოლოდ ერთ შტაბ-ოფიცერს (600 მანეთი). სხვა მოხელეებს, ნატურალურის წესით ისტუმრებდნენ. „მაშასადამე, ადმინისტრაციას შეჭონდა გურიაში 600 მან. მაგრამ ეს ფულიც ქუთაისში მიდიოდა, რადგან მხლოდ იქ შეიძლებოდა ხობლის, ჩაის, ყავის, შაქრის და ტანისამოსის ყიდვა. ვაჭრობა როგორიღა იყო? ერთადერთი სოფელი ფდაგზე იყო, სადაც 20-30 პატარა ქოხში ოსმალები ვაჭრობდენ. ოსმალური ფარა ტრიალებდა ფულად. მაგრამ ეს ისეთი ფულია, რომ ხელის გულზე რომ ასე დაგეწყოთ, ერთის შებერვით გააფრენდით. ფარას ღირებულება $^{1}/_{20}$ კაპეიკისა. აშკარაა, რომ ფულის გადასახადის დაწესება 1840 წ. სრულიად მოუფიქრებელი საქმე იყო. მაგრამ რაკი მოახდინეს განკარგულება, პოლიცია ითხოვდა კიდევ ფულს. და ვინც უარობდა, ექზეკუციას უყენებდენ. ამას მიუმატეთ ბრძანება კართოფილის თესვისა. კართოფილი კარგი რამეა, ვინ რას იტყვის, ხოლო გურულები ღომსა და სიმინდს არიან შეჩვეულნი. ღომიც და სიმინდიც ბლომად ჰქონდათ, მოუსავლიანობაც არ აწუხებდათ. მაშ, რაღად უნდოდათ კართოფილი? ეკვე უნდა ითქვას, რომ გურულები ფრიად თავმომწონე ხალხია. სახლებში კი ყაზახები ჩაუყენეს და განმეორდა ის, რაც იყო კახეთში 1811 წელს: მომეც, რაც არა გაქვს და ჭამე, რაც არ გინდაო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი გურიაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, გავიხსენოთ აფხაზებიც. საგულისხმოა საუბარი, რომელიც ჰქონდა ყიფიანს მეფის მოადგილესთან, მურავიოვთან. მოვიყვან მთელ ეპიზოდს, რომელიც არ არის ინტერესს მოკლებული. 1854 წელს დიმიტრი საომარი კანცელარიის დირექტორი იყო თავ. ვასილ ბებუთოვის გალაშქრების დროს ომერ-ფაშას წინააღმდეგ.

რუსეთის მთავრობა ომის ცდაში იყო, რომ აღმოსავლეთის ომის დროს გურიას, სამეგრელოსა და აფხაზეთს არ ეღალატნა რუსეთისათვის. გურიის ერთგულებაში დარწმუნებული იყო, სამეგრელოც არ აწუხებდა, მაგრამ აფხაზეთის შესახებ კი ეშკები ჰქონდა. ნამდვილად არ იყო დარწმუნებული, თ-დ მიხეილ შერვაშიძე, აფხაზეთის მთავარი, რას ჭფიქრობს და რა გუნებაზეა. ამ საქმის გამოსაძიებლად დიმიტრი ყიფიანი იყო გაგზავნილი აფხაზეთში. ყიფიანმა ზედმიწევნით გამოიკვლია საქმე და დარწმუნდა, რომ თ-დ მიხეილი ომერ-ფაშას შემოსევის დროსაც არ ღალატობდა რუსეთის ხელმწიფეს.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ დიმიტრი მძიმედ ხდება ავად. ის იყო, ცოტაოი მობრუნდა და უკეთ გახდა, რომ დილით უცნობი კაცი ეწვია:

— „ვინ გნებავთ? — სუსტი ხმით ვეკითხები.

— გავბედავ და მოგახსენებთ, — თქვენა ბრძანდებით გენერალი ყიფიანი?

უნებლიეთ გამეცინა და ვუთხარი:

— თუ თქვენ გინდათ სთქვათ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, ჰო!..

— მისი მაღალ-ადმატებულება ნიკოლოზ ნიკოლაევიჩი (მურავიოვი) გთხოვთ მობრძანდეთ სადილად 3 საათზე.

მეცინება, მოახსენეთ-მეთქი, რა მდგომარეობაში ვარ.

—იციან, რომ თქვენი აღმატებულება ავად ბრძანდებით, მაგრამ მაინც გთხოვენ.

— ექიმს ვკითხავ და თუ ნებას მომცემს...

ეს კაცი კამერდინერი იყო მურავიოვისა. კამერდინერი ჩავიდა. დილის 10 საათი იქნებოდა. ჩემი ექიმი იყო სოლ. არტ. ამირაღოვი, ეხლა ტაინი სოვეტნიკი.

— არაფერია, — მითხრა, — შიში არ არის, თბილი ქურქი ჩაიცვით და ისე წადით.

რა ამბავია? რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან მრისხანე მურავიოვს? მაგრამ ვინ რას მეტყოდა.

ჩამაცვეს სუსტსა და ფერმიხდილსა, გამახვიეს და გამგზავნეს სახალხეში. ძლივს ავედი კიბეზე. შემოდის თ. გიორგი მუხრანსკი, ჩემი ძვირფასი გიორგი, რომელმაც საბჭოში როზოვის ადგილი დაიჭირა, შემდეგში კი სენატორი და სტატს-სეკრეტარი. ისიც სადილად. მას მოჰყვა გენ. ლუკაში, ტფილისის გუბერნატორი. კიდე ვიღაც. ბოლოს, თითონ მასპინძელი გამოჩნდა. საზოგადო, დარბაისლური სალამი. ... ლას. მიგვიწვიეს სუფრაზე. სადილობის დროს თავდაჭერილი საუბარი. ვგრძნობ, რომ მასპინძელი ჩემსკენ ზშირად იყურება.

— აი, ეს იგემეთ, — მეუბნებოდა, — ამას ნუ მიგრთმევთ. აი, ეს ღვინო გადაკარით, ძალიან გარგები.

მართლაც, ხერესმა და კახურმა გამომაბრუნეს. სადილის ბოლოში ისე მოვსულიერდი, რომ საზოგადო ლაპარაკში ვიღებდი მონაწილეობას. ნასადილევს ნამესტნიკმა გამიწვია სასტუმროში, დამსვა სუფრაზე და მითხრა, თუ არ გაგიძნელდებათ, მინდა მოგელაპარაკოთ შერვაშიძის თაობაზედ.

... საკვიროდ არ მიმაჩნია ლაპარაკი იმაზედ, რომ ჩემ მიერ შეგროვილი ცნობების გაშუქებაზე პირადად ჩემ გრძნობას გავლენა არა ჰქონია, იმ უნებლიე სურვილს, რომ ღალატს ადგილი არა ჰქონდა, რადგან ღალატი გამტყუნება იქნებოდა იმ მთავრობისა, რომელსაც მე ვემსახურებოდი და რომელიც ჩემთვის ძვირფასი და სამდვთო იყო. რაც კი გავიგე გამოკითხვის დროს იმერეთისა, გურიასა თუ სამეგრელოში ან ყველა იმათგან, ვისაც აინტერესებდა თ. შერვაშიძის ბედი, ან ვინც გულწრფელად ეკიდებოდნენ მას, ან იმათგან, ვინც არ მალავდა თავის სურვილს, რომ შერვაშიძე მოღალატედ გამოსულიყო — ყველა ამის მიხედვით სრულიად დავრწმუნდი, რომ მიხეილ შერვაშიძე მაშინაც კი, როდესაც ომერ-ფაშას ემორჩილებოდა, მოკმედებდა თავისი მოვალეობის შეგნების მიხედვით, მოკმედებდა, როგორც ერთგული ხელმწიფე-იმპერატორისა და ოთ. დიდებულების გენერალ-ადიუტანტი.

ამის შესახებ ვრცელი მოხსენება წარვადგინე 1855 წ. ოკტომბერში და ეს მოახსენება, რასაკვირველია, წაკითხული ჰქონდა მურავიოვს. მაგრამ მას უნდოდა დაწვრილებით გაეგო საქმე და ის მოსაზრებანი და დასკვნანი, რომელიც მქონდა მოყვანილი ჩემს საიდუმლო მოხსენებაში. ხოლო ჩემს მიერ გავლილ სულის გაგარჯვების სკოლაში საკმარისი გაკვეთილი მქონდა იმ აზრის შეთვისებისათვის, რომ ყოველთვის საჭიროა გაბედული და პირდაპირი ლაპარაკი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გეკითხებიან.

მურავიოვი მეკამათებოდა. ისეთ შენიშვნებს მაძლევდა, რომ ადამიანი აირეოდა, მტკიცედ რომ არ სცოდნოდა თავისი საგანი, მაგრამ მე მოლაქუცებისაგან შორს ვიყავი, არ ვიკარებდი იმ მონურ გრძნობას, რომელსაც თითქმის ყველა ხელქვეითებში ჰპოვებდა მურავიოვი. მე კარგად ვგრძნობდი, რასაც ვლაპარაკობდი.

მეორე დღეს თ. ვასილ ბებუთოვმა მნახა და გამარჯვებულის კილოთი გამაძიცხადა, რომ მურავიოვმა დამნიშნა თავის კანცელარიის დირექტორად".

ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲚᲘ-ᲜᲔᲚᲘ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲝᲜᲝᲛᲘᲐᲨᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐ. ᲘᲒᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲛᲔᲓᲔᲓᲐᲕᲓᲐ, ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲡᲕᲚᲔᲚᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲑᲐᲡᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲗᲐᲜᲓᲔᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲛ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ, ᲗᲐᲒᲐ ᲘᲒᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲔᲚᲘᲡᲐᲡ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲙᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲓᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲗᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲠᲘᲗᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲣ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲪᲔᲛᲐ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲪᲔᲛᲐ. ᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲠᲘᲩᲕᲔᲡ ᲫᲔᲑᲘᲡ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ 1861 ᲬᲚᲘᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲡᲠᲘᲜᲓᲔᲗ ᲑᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲚᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲛᲝᲒᲐᲚᲔᲑᲝᲑᲐᲜᲘ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲣᲐᲠᲝᲗ ᲐᲤᲐᲖᲐᲜᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲩᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲠᲯᲖᲔ ᲫᲛᲘᲗᲘ ᲪᲒᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲠᲘᲡ „ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“. ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘ, ᲞᲐᲡᲣᲮᲡᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲤᲣᲗᲮᲝᲡ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪᲐ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲗᲘᲡ ᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ-ᲡᲘᲛᲝᲜᲘ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲣᲚᲐ ᲛᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲤᲣᲗᲮᲝᲡ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪᲐ, ᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲗᲘᲡ ᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ-ᲡᲘᲛᲝᲜᲘ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ — ᲐᲠᲐ, ᲛᲗᲠᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲛᲐ ᲐᲖᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲔᲡ — ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ ᲛᲗᲮᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲬᲠᲔ ᲛᲐᲠᲗᲝᲛᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲐ — ᲐᲛ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲐᲮᲝᲜᲓᲝᲑᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡᲐ, ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲐ. ᲓᲐ ᲐᲛ ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲐ ᲮᲓᲘᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲯᲘᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲧᲝᲕ ᲐᲜᲘᲭᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ. ᲯᲔᲠ ᲯᲔᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲔ ᲠᲐᲛᲔᲪ ᲡᲐᲝᲯᲐᲠᲘ. ᲯᲔᲠ ᲯᲔᲓᲔᲕ ᲐᲔᲚᲐᲠᲬᲣᲑᲐᲕᲐᲜᲐ ᲘᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲙᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲗ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲛᲝᲬᲛᲘᲚᲝᲗ ᲛᲐᲢᲠᲐᲜᲘᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲣᲗᲕᲔᲗ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲔᲠᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲓᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲐᲜᲘᲡ, ᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲔᲢᲝᲚᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲒᲐᲡ ᲩᲕᲝᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲐᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲕᲩᲘᲜᲐᲕᲓᲘᲗ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ ᲠᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲔᲛᲩᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲨ, ᲗᲐᲒᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲐᲚᲔᲛᲩᲘᲜᲝᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲔᲡ ᲐᲠᲪᲐ ᲘᲡᲔ ᲐᲓᲕᲘᲠᲘᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲔᲣᲠᲗᲐᲗᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲣᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲙᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ. ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲩᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲛᲐᲨ, ᲗᲐᲒᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲧᲠᲐᲕᲔᲑᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲮᲠᲘᲡ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲠᲘᲩᲕᲔᲡ ᲫᲔᲑᲘᲡ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ 1861 ᲬᲚᲘᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲡᲠᲘᲜᲓᲔᲗ ᲑᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲚᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲛᲝᲒᲐᲚᲔᲑᲝᲑᲐᲜᲘ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲣᲐᲠᲝᲗ ᲐᲤᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲩᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲠᲯᲖᲔ ᲫᲛᲘᲗᲘ ᲪᲒᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲠᲘᲡ „ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“. ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘ, ᲞᲐᲡᲣᲮᲡᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲤᲣᲗᲮᲝᲡ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪᲐ, ᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲗᲘᲡ ᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ-ᲡᲘᲛᲝᲜᲘ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ — ᲐᲠᲐ, ᲛᲗᲠᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲛᲐ ᲐᲖᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲔᲡ — ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ ᲛᲗᲮᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲬᲠᲔ ᲛᲐᲠᲗᲝᲛᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲐ — ᲐᲛ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲐᲮᲝᲜᲓᲝᲑᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡᲐ, ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲐ. ᲓᲐ ᲐᲛ ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲐ ᲮᲓᲘᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲯᲘᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲧᲝᲕ ᲐᲜᲘᲭᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ. ᲯᲔᲠ ᲯᲔᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲔ ᲠᲐᲛᲔᲪ ᲡᲐᲝᲯᲐᲠᲘ. ᲯᲔᲠ ᲯᲔᲓᲔᲕ ᲐᲔᲚᲐᲠᲬᲣᲑᲐᲕᲐᲜᲐ ᲘᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲙᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲗ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲛᲝᲬᲛᲘᲚᲝᲗ ᲛᲐᲢᲠᲐᲜᲘᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲣᲗᲕᲔᲗ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲚᲣᲚᲛᲐᲜᲗᲐ ᲞᲠᲝᲜᲘᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲚᲛ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲔᲢᲝᲚᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲒᲐᲡ ᲩᲕᲝᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲐᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲕᲩᲘᲜᲐᲕᲓᲘᲗ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ ᲠᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲔᲛᲩᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲛᲐᲨ, ᲗᲐᲒᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲧᲠᲐᲕᲔᲑᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲮᲠᲘᲡ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲠᲘᲩᲕᲔᲡ ᲫᲔᲑᲘᲡ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ 1861 ᲬᲚᲘᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲡᲠᲘᲜᲓᲔᲗ ᲑᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲚᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲛᲝᲒᲐᲚᲔᲑᲝᲑᲐᲜᲘ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲣᲐᲠᲝᲗ ᲐᲤᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲩᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲠᲯᲖᲔ ᲫᲛᲘᲗᲘ ᲪᲒᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲠᲘᲡ „ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“. ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘ, ᲞᲐᲡᲣᲮᲡᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲤᲣᲗᲮᲝᲡ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪᲐ, ᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲗᲘᲡ ᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ-ᲡᲘᲛᲝᲜᲘ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ — ᲐᲠᲐ, ᲛᲗᲠᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲛᲐ ᲐᲖᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲔᲡ — ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ ᲛᲗᲮᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲬᲠᲔ ᲛᲐᲠᲗᲝᲛᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲐ — ᲐᲛ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲐᲮᲝᲜᲓᲝᲑᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡᲐ, ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲐ. ᲓᲐ ᲐᲛ ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲐ ᲮᲓᲘᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲯᲘᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲧᲝᲕ ᲐᲜᲘᲭᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ. ᲯᲔᲠ ᲯᲔᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲔ ᲠᲐᲛᲔᲪ ᲡᲐᲝᲯᲐᲠᲘ. ᲯᲔᲠ ᲯᲔᲓᲔᲕ ᲐᲔᲚᲐᲠᲬᲣᲑᲐᲕᲐᲜᲐ ᲘᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲙᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲗ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲛᲝᲬᲛᲘᲚᲝᲗ ᲛᲐᲢᲠᲐᲜᲘᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲣᲗᲕᲔᲗ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲚᲣᲚᲛᲐᲜᲗᲐ ᲞᲠᲝᲜᲘᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲚᲛ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲔᲢᲝᲚᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲒᲐᲡ ᲩᲕᲝᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲐᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲕᲩᲘᲜᲐᲕᲓᲘᲗ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ ᲠᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲔᲛᲩᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲛᲐᲨ, ᲗᲐᲒᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲧᲠᲐᲕᲔᲑᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲮᲠᲘᲡ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲠᲘᲩᲕᲔᲡ ᲫᲔᲑᲘᲡ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ 1861 ᲬᲚᲘᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲡᲠᲘᲜᲓᲔᲗ ᲑᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲚᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲛᲝᲒᲐᲚᲔᲑᲝᲑᲐᲜᲘ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲑᲐᲢᲝ

არისტოკრატიის საშუალებით განაგებდეს ხალხის სვე-ბერს. და იქ სადაც არისტოკრატია წოდებად არ არის ჩამოყალიბებული, საჭიროა, აღნიშნულ მოსაზრების მძიდველით, ამგვარ წოდების შექმნა. ეს მოსაზრება ედვა ვორონცოვის პოლიტიკას, როდესაც იგი ჰქმნიდა მუსულმანთა პროვინციებში წოდებრივობას და როდესაც საქართველოში კეთილშობილთა წრეებს უაბლოვდებოდა იგი და დიდის ყურადღებით ეპყრობოდა ქართველ თავად-აზნაურობის მდგომარეობას, ისტორიამ ამ პოლიტიკის ანგარიში საცსებით, ვერ გაამართლა. რაკი მუსულმანთა პროვინციებს შევეხეთ, ამავე საგანზე განვაჯრძოთ ჩვენი ლაპარაკი. თ. ვორონცოვის მეცადინეობით 6 დეკემბერს, 1846 წელს, გამოქვეყნდა უმაღლესი რესკრიპტი, რომლის ძალით იყო აღიარებული შემდეგი: ხანებს, ბეგებს, აღალარებს და მელიქებს სრულ საკუთრებად ეძლოდათ ის მიწა, რომელსაც აღნიშნული ბეგ-აღალარის გვარები ჰფლობდნენ რუსეთთან შეერთებამდე. დასახლებული და არა დასახლებული მიწები, რომელიც 1810 წელს წაერთვათ მათ ადმინისტრაციულის წესით, საკუთრებად უნდა დაუბრუნდეს და სხვა. რაც შეეხება ამ მიწებზე მცხოვრებლებს, სახელმწიფო გლეხებად ჩაირიცხნენ ისინი, დაერქვათ მათ სახელად „მულქაბარ-თაბიგი“ (ე. ი. მესაკუთრის მიწაზე მცხოვრენი) და მიწის მესაკუთრეთა სასარგებლოდ გადახდეს მათ განსაზღვრული ბარჯი. ერთის სიტყვით, ბატონყმურ წესის მსგავსი სისტემა დაამყარეს.

1846 წლის რესკრიპტმა ვერ დაამყარა მშვიდობიანობა, რომლის დამყარება სურდა. „პროჭტიკულად რომ შეუდგენენ რესკრიპტის განხორციელებას, აღმოჩნდა, რომ ყოველივე სადავოა. სადავოა მესაკუთრეთა მფლობელობის უფლებანი, სადავოა მემამულეების მიჯნები. ამიტომ კომისიებმა, რომელნიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ, ის მოახერხეს მხოლოდ, რომ ძლივს მემამულეთა სიები შეადგინეს და ამ სიების გარჩევას შეუდგნენ მხოლოდ 1861 წელს“.

ასე რომ, დიმიტრი ყიფიანის სამსახურის დროს მას ზშირად უზდებოდა ამ საგნის თაობაზე აზრის გამოთქმა და როდესაც 1861 წელს საკითხი თითქოს ხელმეორედ წარსდგა და სხვა და სხვა მოხელეებმა თავიანთი მოსაზრებები წარადგინეს, დიმ. ყიფიანმაც, ნამესტნიკის საბჭოს წევრმა, შეიმუშავა ეს საკითხი და წარუდგინა თავისი მოხსენება მთავრობას. გავეცნეთ ამ მოხსენებას.

დ. ყიფიანი საკუთრივ ადასტურებს თ. ვორონცოვის და ბარ. ლადენსკის პოლიტიკურ-ეკონომიურ საბჭოს წევრს სმიტენს, რომელმაც კრიტიკულ მოხსენებაში ბევრგვარი მოსაზრებანი წარმოადგინა საკითხის იმგვარად გადაწყვეტის წინააღმდეგ, როგორადაც იგი გადაწყდა თ. ვორონცოვის დროს. ბეგებ-აღალარებს მესაკუთრეთა უფლებანი არ ჰქონდათ. რესკრიპტმა დაარღვია ისტორიულად შემუშავებული წყობილება. ამ ახალმა წყობილებამ დავა და უწესრიგობა გაიცხოველა. გამოსავალი ერთად ერთია: ვისაც ჰსურს მესაკუთრეობა დაიმტკიცოს, დაიმტკიცოს და ეძიოს უფლება სასამართლოს საშუალებითო. აი, დიდი აზრი სმიტენის მოსაზრებისა. დიმ. ყიფიანი არ იწუნარებს არც ერთ მათგანს. დიმ. ყიფიანი ემყარება ერთ იმგვარ საბუთს, რომელიც უძლეველ მიაჩნია და რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ბმარობს თავის აზრის დასამტკიცებლად. საკმე ის არის, რომ სმიტენი უმაღლესად დამტკიცებულ დებულების გარჩევაში შედის. ეს კი შეუწყნარებელია. „უმაღლესად აღიარებულ ბრძანების და უმაღლესად დამტკიცებულ დებულების გადასინჯვა მხოლოდ უმაღლესივე ნებართვით შეიძლება“, ამბობს დ. ყიფიანი. „ხელმწიფის წყალობა შეურყვნელი და სამდვთო უნდა იყოს“. ამ თვალსაზრისით კრიტიკა და განსჯა უსაფუძვლო საქმეა. „იქნებ მართლა მეტი მისცეს მაღალ წოდებას, ვიდრე ღირსი იყო, მაგრამ, რაც მისცეს, უმაღლესმა მთავრობამ მისცა. და ეს საქმე დღემდე საბოლოოდ გადაწყვეტილი მეგონა. ახლა კი ბაზინის უფლებებზე ლაპარაკობენ, ავიწყდებათ, რომ ხელმწიფეს ნება-სურვილი ბაზინის უფლებებზე მაღლა სდგას. ამბობენ კიდევ, რომ ბეგების უფლება არ არის მკვიდრი და შეურყეველი უფლება, რადგან ეს უფლება სხვა და სხვა პირობებით არის განსაზღვრული, აბსოლუტური არ არისო. მაგრამ ჩვენს კანონმდებლობაში, გარდა მონარქის უფლებისა, არ არის არც ერთი აბსოლუტური უფლება. კერძო საკუთრების უფლებაც კანონებით არის განსაზღვრული შიდგუბერინებში...“ „ან რად უნდა წამოვედგოთ მთავრობას იმის გამო, რომ თვითონ მან აღნიშნოს საზღვარი და პირობა საკუთრებისა ანუ მფლობელობისა იქ, სადაც თვითონ აწესებს ამ საკუთრებას და მფლობელობას“. ყველა ამ მოსაზრებათა ძალით, დ. ყიფიანის აზრით, საჭიროა უკან დაბრუნება და ზედმიწევნით განბორცელება 1846 წლის უმაღლესი რესკრიპტისა.

გაგრძელება იქნება

თედო ბექიშვილი

„ᲐᲘᲡᲑᲔᲠᲒᲘ ᲛᲦᲔᲠᲘᲡ“

(ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲙᲘᲚᲔᲥᲘᲐᲨᲘ)

მეგობარ პოეტზე წერა ჩვენში რატომღაც უხერხულად ითვლება. გეფიქრება, მიკერძოება არ დაგწამონ (დაწამების ოსტატები ბევრ ყოველთვის მრავლად იყვნენ ჩვენში), რაკიღა დღემდე არც ერთ ჩემს მეგობარზე არაფერი დამიწერია, გადავწყვიტე, ეს არცთუ სასურველი ტრადიცია დავარღვიო და ორიოდე სიტყვა ვთქვა ორმოცდაათი წლის მამუკა წიკლაურის პოეზიის შესახებ.

ვიტყვი გულახდილად: სანამ ჩემი მეგობარი ორმოცდაათი წლისა არ გახდა, მანამდის არ მიგრძვნია ცხადად, რომ ჩვენმა წინამორბედმა თაობებმა რატომღაც ვერ მოიცალეს საიმისოდ, უკან მავალთათვისაც შეეცლოთ მამობრივი მზრა!

ამასობაში ჩაირა მწერლის მძიმე, შემოქმედებითი ძალისხმევით აღსავსე წლებმა.

და დღეს ბუნებრივად იბადება კითხვა — რა ნაყოფი მოიწია მწერალმა; ცხოვრების შუაგზაზე შემდგარი, რითი ხვდება იგი თავისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავს?

როგორც ყველა ნამდვილი მწერლისათვის, მძიმე იყო ეს წლები მისთვისაც: ძიებით, საკუთარი სათქმელის პოვნის მძაფრი წყურვილით, ქართულ სიტყვასთან, ქართულ აზროვნ, ქართულ პრობლემებთან სიახლოვის დაძაბული წლები!

პოეტის ცხოვრება, თუ მას ლექსების წერა თავშესაქცევ ხელობად არ გაუხდია, თუ იგი მიაჩნია როგორც ბედისწერის მკაცრი განაჩენი, გუთნისდედის ხნულში შეუნაცვლებლად დგომას ემსგავსება, როცა გუთნეული შეუსვენებლად მიდის და გუთანს ხელი არ მოსცილდება, როცა შუადღის მზეში შუბლდაცვარულს ოფლის ცხელი წვეთებით ეღარება სახე და გულმკერდი... მაგრამ კვალიც — გადაშავებული ნახნავი, სასიცოცხლო ძალას და ენერგიას მატებს, რადგან ამ ნახნავში სამომავლო ჯიჯილი უნდა ამობიბინდეს, ღვთისა და ამინდის წყალობით არსობის პურად უნდა დათავთავდეს.

ყოველგვარი პატიოსანი შრომა მძიმეა და დამმლელი, მაგრამ „ხნულში“ მდგარი კაცი მშობლიური მიწის წიაღიდან გამუდმებით იწოვს ძალისა და ენერგიის სასიცოცხლო წყაროსაც. შრომა მოთხოვნილებად იქცევა, სისავსის, სულიერი კმაყოფილების გრძნობით ავსებს ადამიანის გულს. სხვანაირად სიზიფეს გარჯას დაემსგავსებოდა მწერლის შემოქმედებითი ცხოვრება, მითუმეტეს ჩვენს დროში, როცა მწერლის საზღაური ისეთი უხვი და ბარაქიანი არ გახლავთ, ჭკუადამჯდარ კაცს, ჩვენი პრაგმატიტული დროის შვილს, აქეთკენ ძალუმად გაუწიოს გულმა. რაღა თქმა უნდა, ნამდვილი შემოქმედი მყავს მხედველობაში და არა ისინი, ვინც ავადმყოფური აკვიატებისა და გრაფომანული ჩვევების წყალობით მწერლობას მიეკედლებიან ხოლმე, როგორც გადამფრენი ფრინველები ოკეანეში გასულ ბემების ქარავანს...

„პოეზია ისევ თავის უძველეს ბრძოლის ველზე იბრძვის სიკეთისათვის, სიყვარულისთვის, სიმართლისათვის, სილამაზის უკვდავებისათვის... ახალ გრიგალებსაა შებმული, ახალი დევებისა და ალქაჯების ასალგამავადა აღძრული, ახალი ფერით ღებავს ამ უძველეს ვარსკვლავებსა და მდინარეებს. პოეზია ისევ სინათლის ბარიკადზე დგას და რა აუტანელია, როცა ამ ბარიკადის მოშორებით, ზურგში, სიმთისგან თვალებმინაბულ, ყოველმხრივ დაარხეინებულ „პოეტს“ ხვდები... საქართველოში პოეზია ყოველთვის ეროვნული დროშის როლს ასრულ-

ებდა და რა ცუდია, როცა დროშა სათამაშოდ იქცევა, როცა ეკლესიის ნანგრევებით ვიღაცა საკუთარ სახლს იშენებს"...

ეს არცთუ მოკლე ამონაწერი მამუკა წიკლაურის ერთ-ერთი წერილიდანაა მოხმობილი და, ვფიქრობთ, მშვენივრად გვიხასიათებს ავტორის პოეტურ კრედოს. მაგრამ ერთია თეორიული შეხედულება, ხოლო სულ სხვაა ამ შეხედულებათა მხატვრული ხორცშესხმა. მამუკა წიკლაურის შემოქმედებაზე დაკვირვებისას ნათელი ხდება, რომ ერთმანეთს ემთხვევა „სიტყვა" და „საქმე". პოეტის გაუბზარავი, მთლიანი პიროვნება ლექსით, წერილითა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობით ერთ მთავარ საალოცავს ემსახურება, გაფაციცებული აყურადებს თავისი ფესვების შორეულ, სიღრმისეულ ჟრუოლას, და ამ ფესვებიდან წამოსული წმინდა წვენით ასაზრდოებს თავისი პოეზიის სასიცოცხლო ყლორტებს:

ამ კედელს უნდა ვედგე ბეჭებით,
ხერხემლის ძვლების დამსხვრევამდე,
წერვების ბნის დაქცევამდე...

წერდა იგი თავის ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში და ეს მოწოდება, ეს კარში გაშლილ დროშასავით მოტკაცუნე და შვეულად აღმართული სულისკვეთება მთელ მის შემდეგდროინდელ შემოქმედებას მსკვალავს.

ამავე სიტყვებში, მსოფლმხედველობრივ პოზიციასთან ერთად, მშვენივრად მოჩანს მამუკა წიკლაურის პოეზიის მხატვრული თავისებურების კოდიც — სათქმელის პუბლიცისტური სიმძაფრე და გამჭვირვალება, რაც თავიდანვე დაჰყვა მის ლექსს და დღემდე შერჩა, როგორც უმთავრესი სტილისტური ნიშანი.

მისი ლექსი ზოგჯერ ისეა დაწურული, რომ, ერთი შეხედვით, სიმშრალის შთაბეჭდილებასაც კი ჰქმნის, თითქოს დაწურვისას ისიც თან გაუყოლებია ავტორს, რაც პოეზიად, სითბოდ, სინედლედ, წმინდა ლირიკად უნდა აღიქვას მკითხველმა. ეს არაა შემთხვევითი, გაუცნობიერებელი მომენტი, ეს ავტორის პრინციპული პოზიციაა, პოზიცია, რომლის თანახმადაც პოეტი არავითარ შეღავათს, სულის მოთქმის არავითარ საშუალებას არ აძლევს არც თავის თავსა და არც თავის მკითხველს! ამ სულიერი სამსჯავროს პოეტისეული სიმაღლიდან ზარივით რეკავს ბასრი სტრიქონები:

ყალბი ხარ...
ტყეე...
გეშინია...
არა გრცხვენია...
ხელფეხშეკრული მონა ხარ და თავს ორ
უტყდები —
დაიგრუხუნა ერთხელ გულმა...
სიტყვა კი არა
დაუნდობლად, დაუნანებლად
გალესილი ჭვა —
კლდის ნახეთქი მესროლა თითქოს...

ამგვარი „გალესილი ჭვებისა" ნამდვილი ქვათაცვენაა მამუკა წიკლაურის არა ერთ ლექსში. ამ „ქვებისა" ებრძვის იგი საკუთარი თუ საზოგადოებრივი სულიერი სისუსტის ყველა ნიშანსა და გამოვლინებას.

რადა თქმა უნდა, ერთ საყურნალო წერილში ძნელია მამუკა წიკლაურის შემოქმედებითი პორტრეტის სრული დახატვა. ერთი კია, ამ პორტრეტის უმთავრეს შტრიხად, პოეზიასთან ერთად, პუბლიცისტიკა და ესეისტური წერილები გვევლინება. მძაფრი პოლემისტური ტონი, მტკივნეულ მოვლენათა შეულამაზებელი სიმარტლით წარმოჩენა, მოქალაქეობრივი მგზნებარება და გულისტკივილი თავიდანვე საჩინოს ხდიდა მათი ავტორის მწერალურ სინდისიერებას, საჭეყნო პრობლემებზე დაფიქრების უნარს. მისი მრავალი წერილი ამისი უტყუარი დასტურია. ახალი ძალით გამოვლინდა პოეტის პუბლიცისტური მგზნებარება შარშან „ცისკრის" მეიქვსე ნომერში დასტამბულ „დაფიქრების ფამში". ეს წერილი უახლესი ქართული პუბლიცისტიკის მიღწევაა. საჯაროობისა და დემოკრატიზმის დღევანდელმა პირობებმა ავტორს საშუალება მისცა სრულად გამოეცხადებინა თავისი მწერლური შესაძლებლობა, ინტერესების მრავალმხრივობა, მამულიშვილური გულშემატკივრობა ჩვენს ცხოვრებაში დაბუდებული უამრავი სატკივარის მიმართ.

პოეზია და პუბლიცისტიკაა მწერლის შთაგონების ორი ფრთა, ოღონდ პოეტია იგი თავის „ანაზაურულ" ქმნილებებშიც. ხოლო რადესაც პროზაიზმები პოეზიაში გადმოინაცვლებს ხოლმე, აქაც გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება: „პროზაიზმს, რეალობის შეულამაზებელ ნამსხვრევს, ზოგჯერ უფრო უშუალო კავშირი აქვს პოეზიასთან, ვიდრე ბრჭყვიალა სიტყვით კოსწიაობას" (გურამ ასათიანი).

ამ სწორი აზრიდან გამომდინარე მამუკა წიკლაურის პოეზიაში ბევრი რამ გასაგები ხდება, თავის ადგილზე ლაგდება. დაკინებიან, ჯიუტად, სხვებს კი არა — თითქოს თავისთავს უმტკიცებს: „ვერ გამოვიცვლით სათავეებს მე და არაგვი". იგი სულ ამ სათავეებს ეძებს, აქ დაფრინავს მისი ფიქრი. თუმცა „დაფრინავს" მთლად ზუსტი სიტყვა არაა, რადგან იგი სილაღის ნიუანსსაც შეიცავს. სილაღე და ბედნიერების განცდა კი სამუდამოდ გაჭრილა პოეტის ლექსებში, სიყვარული უკვე მოკლულია, მხოლოდ გაუთავებელი გლოვის ხმა, მხოლოდ ხმითმტირალთა ძველისძველი, ზარიანი მოთქმაღა ისმის:

ეჰ, მონადირეე,
თუ გიფიქრია
ფრინველზე, შენ რომ მოუკალ ცალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჭუბელ მარტო ჩაჯდა ბუდეში...
მშვიდობით იყავ,
სიყვარულის ლამაზო — სევდავ!

სევდისა და მარტოობის ძველისძველ მოტივთა ლიტერატურული პარალელების დაძებნას ამაოდ ვეცდებით მამუკა წოკლაურის პოეზიის ანალიზისას. ეჭ ყველაფერი მისეული სამყაროდან თუ სამყაროს მისეული აღქმიდან მომდინარეობს:

შემოდგომაა
და ზარებივით, —
სპილენძის ყვითელ ზარებივით, —
ჭიდია სიერცეს არაგვის მთები:
და ზარებიდან გადმოსული დიდი სიჩუმე
იბნევა ყველგან...

არ ვიცი, ჭირდება თუ არა ამ აზრითა და ემოციით დამუბტული პოეტურ მეტაფორას რაიმე კომენტარი! სპილენძის იმ დაჩუმებული ზარებიდან გადმოსული მდუმარების დასარღვევად რომაა აღძრული პოეტის ძალისხმევა, ეს კი დღესავით ნათელია. მხოლოდ სურვილიც იმდენად დიდია და საპატიო, რომ არ შეიძლება თანაგრძნობით არ განიმსჭვალო, გულთან არ მიიტანო პოეტის მტკივნეული განცდა. მისი ფიქრი ამ დადუმებულის, დაშლილ-დანგრეულის, გარდავლილი ზნეობრივი ადათ-წესების ირგვლივ ტრიალებს. კარგად იცის — გარდასული აღარ დაბრუნდება, მაგრამ სასოწარკვეთილის ძახილით კვლავ ცდილობს იმის გაცოცხლებას, რაც გაქრა და სამუდამოდ გამოიხურა კარი. ამგვარ ფიქრებში ბუნებრივად ჩნდება ტკივილი — მისი შემოქმედების ერთერთი მთავარი გმირი — და თითქოს ძველქართულ მითოსთან, ამირანის მარადიულ ტკივილთან შორეულ გადაძახილადაც გაისმის... მაგრამ — „ვისაკა სტკივა, კიდეც იბრძვის, ებრძვის ტკივილებს, ვისაკა სტკივა, მას მახვილიც უჭირავს ხელში...“

ტკივილი მხოლოდ ბრძოლით, მოძრაობით, მოკმედებით უნდა დაიძლიოს. პოეტი წარმოშობითაც და ლიტერატურული მემკვიდრეობითაც იმ ხალხის შვილია, ვისაც ბრძოლა არ ესწავლება, ვისაც მთელი არსებობის მანძილზე ხელიდან მახვილი არ გაუგდია და ასე მოტანა თავი დღემდე...

გუდამაყარში, საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეში, სადაც პოეტი დაიბადა და ბავშვობა გაატარა, ჯერ კიდევ არ გამქრალა შორეული ლეგენდებიდან წამოსული გმირთა და ხატ-ღმერთთა ამრდილები, ჯერ კიდევ არ ჩამქრალა წინაპართა ის სული, რომელიც ჩვენს დროში უკმად ქცეულ მამაპაპეულ იარაღს ძველი ინერციის წყალობით ისევ ლესავს და აპრიალებს, თუმცა ხმალ-ხანჯალი უკვე აღარავის ჭირდება, — მაგრამ:

„გულეესავი იარაღი თვითონაა ‹ცოდვა“.

მართალია, მამუკა წოკლაურის მშობლიურ სოფელ ბურსაჭირში კარგა ხანია ჩამქრალა უკანასკნელი კერიის კვამლი, მაგრამ პოეტის ლექსებში გაცოცხლებული მთები, ჯიუტი და მძლავრი მოთმინებით, კვლავ იმ სანეტარო დროს უცდიან, როცა:

მოვა გაბიფხული და აყვავდება
ზამთრისაგან გადაქელილი ქედი.
ოღონდ ამ მთებში
გაზაფხულის რწმენა არ მოკვდეს,
მიწის წიაღში
დეკის თეთრმა ფერმა იცოცხლოს.
ოღონდ ქედებმა იფიქრონ ქარზე,
როგორც ბიჭები ფიქრობენ ქალზე.
მოვა ზაფხული და აყვავდება
ზამთრისგან გადაქელილი ქედი —
ეს ჩვენი მიწის ძველი რწმენაა,
ამ რწმენას
ჩემი წინაპრების ძვლები ასხივებს.
... მთები ტყუილად კი არ დგანან —
გზებს გაპყურებენ
და იკვლებენ,
მაცნე ცხენს რომ შემოაქენებს...

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაარნდებიის, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“ — ბრძანა ჩვენმა დიდმა წინაპარმა. ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ ცხადდება პოეტის მშობლიურ კუთხესთან დამოკიდებულებისას. ბურსაჭირი დაიცალა. მისი ბარტყები დაბლობებისაკენ გადფრინდნენ, მაგრამ ადგილის დედა მფარველ დარაჯად, მარადიულ მსაჯულად ყველგან თან დაჰყვებათ და მის მკაცრ სამსჯავროზე იწონ-იზომება კაცთა ყოველი სიტყვა და საქმე. ყოვლისმხედველია მისი თვალი:

იპარავ — იცის.
ღალატობ — იცის.
სიტყვას ტეხ — იცის.
როცა სილაჩრის ოფლი ქონავს
შუბლიდან —
იცის...
მრუდე საქმე და მრუდე ნათქვამი
გამრუდებული სულიდან მოდის,
ადგილის დედა თალხ კაბას იცვამს
და თმაგაშლილი მწარედ დასტირის,
იმას, ვინც სული ფეხქვეშ დაიგო...

ეს ძველი და დიდი საქართველოს ზნეობრივი კოდექსია, რომლის ნორმებიდან გადახვევა ადამიანის სულიერ რღვევას იწვევს, იკარგება მთავარი ორიენტირი და დროებითი მარადიულზე გამარჯვებას ზეიმობს, აღზევებული სხეული თრგუნავს უმაღლეს სულიერებას...

მართალია, ბურსაჭირი აღარ არსებობს, მაგრამ:

იმ დიდი სახლის ნანგრევებიდან
იმ დიდი წლების ნანგრევებიდან
ტკივილი დარჩა.

რაიმე რომ დამთავრდება,
არ თქვა — დამთავრდაო,
რადგანაც მერე იწყება „თურმე
დამთავრებული უსასრულობა...

სწორედ ეს „დამთავრებულის უსასრულობა" ჰკვებავს მამუკა წიკლაურის ტკივილიანი პოეზიის სათავეს, ეს **დამთავრებული** არაა მხოლოდ კონკრეტული, მშობლიური სოფელი — ბურსაჭირი. ბურსაჭირი მოიაზრება როგორც დანგრეული, დროსთან ჭიდილში დამარცხებული ძველის ამსტრაქტული ხატი. ამსტრაგირების, განზოგადების გარეშე პოეზია ვერ მიაღწევს თავის უზნეოეს მიზნს. ღრმად სუბიექტური პოეტისეული განცდა თუ საზოგადო, საყოველთაო პრობლემების შუქით არ განათდა, ვიწრო, კამერული განცდად დარჩება მხოლოდ, რისთვისაც, ალბათ, არც ღირს კაცმა კალამს ხელი მოკიდოს. ასეთია დასკვნა, რომელიც მამუკა წიკლაურის პოეზიაზე დაკვირვებებიდან გამომდინარეობს. ამიტომაა, რომ მისი ლექსი ყოველთვის რაღაც ისეთს ასახავს, რაც მხოლოდ მისი არაა, ჩვენია, საერთოა, საზოგადოა, ამ მთებისა და ბეღნების საერთო სატკივარია, ჩვენი დაუნელებელი ისტორიიდან წამოსული კვნესისა და სიხარულის ზმებია.

არ მინდა, პარალელების მოშველიებით წარმოვაჩინო მამუკა წიკლაურის პოეზიის თვისებები, მაგრამ ერთი გარემოება მაინც უნდა აღვნიშნო: არც ერთი მისი თაობის პოეტის შემოქმედებაში არ განივთებულა ასე დაყინებით საქართველოს ისტორიის მძაფრი, ტრაგიკული განცდა, როგორც მამუკა წიკლაურთან. ყოველი ციხის ნაშალთან, ყოველი ხატისა თუ ტაძრის ნანგრევთან, ნასოფლარებთან და ნაგზაურებთან, მდინარის პირასა თუ მაღალ მთის გადასახედიდან, თვით ქალაქის ურბანისტული „ეპიზაუებიდანაც" კი პოეტის მზერას წარსულის აწ გადამქრალი, „დამთავრებული უსასრულობის" სურათები ამოაქვს.

მაინც რას ეძებს პოეტი წარსულში ასე დაყინებით?

გულუბრყვილობა იქნებოდა იმისი ფიქრი, რომ პოეტს პატრიარქალური ყოფის იდილიური სურათები სჭირდეს თვალს. მამუკა წიკლაური სულით ბორკამდე მეოცე საუკუნის შვილია, რეალურად უყურებს სინამდვილეს, შშვენივრად უწყის ცივილიზაციის ფასი, მისი ყველა სიკეთე და ელექტრონიკის ეპოქიდან კერიის კვამლით შებოლილ ძველ მიწურებში გადასახლებაზე ნოსტალგია როდი აწუხებს.

პოეტი წარსულში, ძველ საქართველოში იმას დაეძებს, იმის გამოხმობას ცდილობს, რაც ასე მტკივნეულად აკლია დღევანდელ საქართველოს, რასაც კარგა ხანია თვალს ვუზუმავთ და პრობლემების მოვარაყებით ვცდილობთ ტკივილების დაყუჩებას. ამ სატკივარს ერთი სახელი ვერ დაერქმევა, ესაა მთელი კომპლექსი ურთიერთზე ჯაჭვურად გადაბმული უსასრულო ლოგა. ესაა ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებიდან თავწამოყოფილი უამრავი „საკითხავი", რომელზეც პოეტის მოუსყოდველმა სინდისმა უნდა გასცეს პასუხი.

პასუხს კი რამდენი რამე ითხოვს!

აი,თუნდაც ხერთვისის ციხე:

შენ ახლა ორწყლის კარებთან ჭკვდები
და უკანასკნელ ბრძანებას ჭკვი:
არ გამიყვანოთ ბრძოლის ველიდან!..
სხვა სხვაა
ფოტოაპარატებით
და გაოცებით გიმზერენ სხვები...
ჩვენ რა ვქნათ,
ვისაც შენი ხმა გგესმის
და ცივი მაჯა გვიჭირავს შენი?!.

ამგვარი მწარე კითხვა ცხოვრების ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული, თითქოს დანადღმულ ველზე მიდის, სადაც გამოიცხობულია თავადღერილი, ლაღი და უზრუნველი სიარული. ბოლო როდესაც ფიქრთა დინება წაიღებს, იქაც პოეტისათვის ბევრი არაფერია სანუგეშო, რადგან:

ეს სიძულვილის ჭაობია,
ეს — სიყვარულის,
მაგრამ ორივე ჭაობია —
შიგ ნუ ჩადგები,
ნუ ჩავარდები წყალში ქვასავით
და მიზნის —
კედელს
ნუ მიაჯყლეტ სახეს ბრმასავით...

მოქალაქეობრივი მოვალეობის ამგვარი ფხიზელი განცდა გამოსჭვივის მამუკა წიკლაურის მრავალი ლექსიდან, სულით ბორკამდე თანადროულია, დღევანდელობის სამსახურშია ჩაყენებული მისი ლექსის უმთავრესი „სული" და გაწყვობილება და ზემოთ ნათქვამი — მამუკა წიკლაური მეოცე საუკუნის შვილია-მეთქი, სწორედ ამ თვალსაზრისით მიმაჩნია მართებულად. „და მიზანს — კედელს ნუ მიაჯყლეტ სახეს ბრმასავით!" აფრთხილებს პოეტი საკუთარ თავს, თავის მკითხველს, დღევანდელ საქართველოს. ამგვარი მოწოდება არც ერთი დროისთვის არ იქნებოდა უსარგებლო, მაგრამ იგი მაინც დღეს გაისმის განსაკუთრებით მძაფრად და სადღეისოდ. თუ ჩვენი ცხოვრების რთულ და ამღვრეულ მდინარებას სიღრმეებს მოვუსინჯავთ, ნათლად დავინახავთ, რომ „სიძულვილის ჭაობის" საშიშროებაც აშკარად საგრძნობია და არც „სიყვარულის ჭაობში" ჩავარდნა მოგვიტანს ხეირს. ვინ იცის, იქნება სწორედ „სიყვარულის ჭაობში" იმალებოდეს უმთავრესი საფრთხე, რაც, ბრმა და ზერელე პატრიოტიზმით აღტყინებულნი, ჩვენს ირგვლივ მხოლოდ ულამაზეს მთა-ბარს ვხედავთ და ის კი ვეღარ დაგვინახავს, ეს ლამაზი

მთები როგორ უდაბურდება და როგორ ეპატრონება ეშმაკი უპატრონო ეკლესიას; როცა ჩვენი ზვრებისა და ხოდაბუნების პატრონი ქართველი კაცი, ამ ზვრებსა და ხოდაბუნებს, ტყესა და მინდორს, ტბასა თუ მდინარეს პატრონის თვალით ადარ უყურებს, როცა მის სულში მხოლოდ ხარბი მომხმარებელი, გამგლეჯი, ბრაკონიერი ჩასახლებულა და ყველაფრის სადღეისოდ გამოწყვეტასა და ამოხავვას ლამობს... ამ დროს „სიყვარულის ჭაობში" დგომა ვერაფერი მამულიშვილობაა, ვერაფერი ერთგულებაა ამ დიდი გზისა, ილია ჭავჭავაძემ რომ მოგვინიშნა და იმის მაგალითიც თვითონვე რომ დაგვტოვა, თუ მწერლის ფიზიელემა გონებამ როგორ უნდა მარგლოს სარეველამომძლავრებული მამული თვისი...

მამუკა წიკლაური, როგორც პოეტი, სათავეს ქართული მწერლობის ამ ძვირფასი ტრადიციებიდან იღებს. მე და არაგვი ბურსაჯირის მთებში ვიწყებითო, აცხადებს კიდეც ერთ-ერთ ლექსში, თითქოს უბილავ ოპონენტს ეკამათება, განუმარტავს თავის პოზიციასა და წარმომავლობას. თუმცა რადა უბილავს, არაერთხელ და არაორაზროვნად გამოითქვა მოსაზრებები, რომლებშიც მამუკა წიკლაურს, როგორც ვერლიბრის ერთ-ერთ შემომტანს ჩვენს პოეზიაში, ცხარე კამათი გაუმართეს. ახლა იმ ჩავლილი კამათის გახსენება შეიძლება არც ღირდეს, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას — იმ კამათმა აშკარად გამოაკვეთა ლიტერატურული თაობების პოზიცია, გამოაკვეთა მამუკა წიკლაურის, როგორც პრინციპული და უკომპრომისო პოლემისტის სახე.

„კარგი რომ დაინახო, კარგს უნდა ეძებდე", — მოსწრებულად წერს იგი თავის ერთ-ერთ წერილში. სწორედ ამ „კარგის" და ფასეულის, თავისი თაობის ლიტერატურული ღირსების დასაცავად ჩაუბა პოეტი ამ პოლემიკაში, თუმცა თვითონ სხვათა დასანახავად, კვარცხლბეკზე შესადგომად არასოდეს გარჯილა... და არც არასოდეს თავისი მოკლეაქეობრივი სიამაყის სიმაღლიდან დაშვებულა დაბლა.

მთელი ცხოვრება გაძლებაა.

ეს სიტყვებიც, ალბათ, ამიტომ დაიწერა:

შენ უნდა გაძლო, უნდა გაძლო, შენ
უნდა გაძლო,
არ აიხილო ამ ტალახში, არ აირიო —
სასაფლაოა, ეგ იმათი სასაფლაოა,
ვინც შიშს დანებდა,
ვინც დაეცა,
ვინც ჩამოვარდა.

ქართულ კრიტიკას, თავის უამრავ საქმესთან ერთად, ერეკერეობით ამ მამუკა წიკლაურის „ეზო-კარისთვის" მიუხედავად დიდი გულისყურით. ის რაც ამ მხრივ გაკეთდა, საყურადღებოა, მაგრამ სისრულის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს.

მამუკა წიკლაურის პოეზიის ერთ-ერთი თავისებურება ზუსტად აქვს შენიშნული [illegible] ტიკოს თეიმურაზ დოიაშვილს: „მ. წიკლაურის ვერლიბრს დიფუზიურობისაგან იცავს აზროვნების ლოგიკური სიმწყობრე. მისი ლექსი ზშირად კომპოზიციურად შეკრული პოეტური სილოგიზმია, ჩაკეტილი ან ღია სტრუქტურით: დასკვნა ან ნაწარმოებიშივეა ფიქსირებული, ანდა, საკითხის პრობლემურობის გამო, მკითხველის სამსჯავროზეა გადაცემული. აზროვნების მოწესრიგებულობა მ. წიკლაურის ლექსებს იცავს ზედმეტსიტყვაობისაგან, „ლამაზი" სიტყვებისა და ფრაზებისაგან".

ეს თვისება „აზროვნების ლოგიკური სიმწყობრე" თავიდანვე იყო დამახასიათებელი მამუკა წიკლაურის პოეზიისათვის, მაშინაც, როცა პირველი კონვენციური ლექსები გამოაქვეყნა. იმ პირველი ლექსებიდან ბოლო ხანს გამოცემულ მოზრდილ კრებულში „ფრენის ტრაექტორია" მხოლოდ „თორღვა ძაგანი" შეიტანა.

მამუკა წიკლაურის პოეზიისა და პიროვნების შესაცნობად ამ პოემის სწორად წაკითხვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. პოემა თითქმის უარმყო თავისი ყველა რიფმიანი ლექსი, მხოლოდ „თორღვა ძაგანს" ვერ შეელია. ამ ფაქტს მაინც უნდა დაეფიქრებინა ქართული კრიტიკა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით პოემის საყურადღებო ანალიზი არ ჩანს. ამგვარი ანალიზს საგანგებო წერილი ჭირდება. მოკლედ მხოლოდ იმის აღნიშვნას დავჯერდები, რომ ხალხური პოეზიის ცნობილი გმირის პოეტისეულ ინტერპრეტაციაში, მის სულიერ წყობაში ბევრი რამ ავტორისეული გვეცნობა, ავტოპორტრეტული შტრიხები ილანდება:

თორღვავ, რატომ და როგორ მოხვედი?
რისთვის ჩამოპყეე ძველ ლექსს ზვავივით?
მე ამ კითხვებში — ელდოვან ჩონჩხებში
ვარ გარჩენილი და ვერ ჩავივლი...
ყველას ხმა ჩაწყდა იმ დიდ ხმაურში,
ყველა ჩაიწვა იმ ცხელ ღადარში,
შენ კი ვინა ხარ, როგორ დაუსწლტი
იმ ღამეებს და როგორ გადარჩი!..

სხეულში დაუტევარი ამორგებული სულის ძახილს გამოპკივეს თორღვა ასპარეზზე, რადგან მისთვის ბრძოლის გარეშე ან ქვეყნად არსებობას არავითარი აზრი არა აქვს... ეს სულისკვეთება ხშირადაა საცნობი მამუკა წიკლაურის შემდეგდროინდელ ლექსებსა და პოემებში. ეს ბრძოლა ღირსეული არსებობისათვის ბრძოლაა. ბრძოლა სიტყვასთან, აზრთან, საკუთარ თავთან, სინანდვილესთან. ამ ბრძოლაში გადარჩენა მხოლოდ მას უწერია, ვინც შეიგებების თეთრ დროშას არ გადმოჭკიდებს თავისი ცხის ქონგურებს! ამიტომ ისმის პოეტის ლექსებიდან გამოდმბერული ლეწა-მტვრევის გნიასი. ყოველდღიურია ეს ბრძოლა: წვრილმანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზრუნავებით, ადამიანური ურთიერთობებით, ოჯახით, სამსახურით, მეგობრებით, ალბათ, მტრებითაც, ამოვსებული პოეტის დღე — გვიან ღამით ყველაზე ულმობელი ომის გადასახდელად ემზადება — საკუთარი სინდისის სამსჯავროზე წარმდგარმა ყველაფრისათვის უნდა აგოს პასუხი...

და იბადება მწარე და ტკივილიანი ლექსები...

მაგრამ ერთ გარემოებას განსაკუთრებით უნდა გაეხვას ხაზი — მამუკა წიკლაურის პოეზიიდან მომდინარე სევდა და ტკივილი შორსა დგას პოეტურ სალონში თავმოყრილ მანდილოსანთა სენტიმენტალური გრძნობების გასალვივებლად შექმნილი ლექსების სევდისაგან.

ამას თვითონვე განგვიმარტავს:

... წინაპრის სული
ხმალს ჭრის ხელში და მეუბნება
— არა!
შენ არა!
შენ სევდისთვის არა გცალია.

ასეთია მისი პოეტური ნატურა.

თითქოს ლექსებს კი არა — ცხოვრებისათვის სამოქმედო კოდექსებს წერდეს:

მოგვეხედე, დიდო მოგზაურო, —
ღრისით და ღამით დაუფახარო,
ვარსკვლავებზე ნამყოფო სულო
და დიდ ხუთშაბათს ეროვნებით ნაყეფო
რკინავ!

შენ უდრეკი ხარ,
შენ გაივლი ხანჯლის პირებზე,
შენ ეტეხი ხარ,
ხელში არვის შეეტირები.
ვერა, ვერ შესძლებ
შენ ვინმეს ჩრდილში
ვერ დაიძინებ ძაბუნის ძილით!

შენმა თვალებმა უნდა აკვესონ
მუცლებისაგან გამოხრულ ტვინში,
შენმა ტკივილმა უნდა ანათოს
და შეუყენოს სხვა მოგზაური
შენი წრიალით დაკბენილ ბილიკს!

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელთა იდეების, დიდი ილიას ესთეტიკის ერთგულება, მამულისათვის მსახურების ტრადიციული წმინდათაწმინდა მოვალეობა, „ტკბილ ხმათა“ გაცნობიერებული უარყოფა, სინანდვილისადმი ფიზიზელი, უკომპრომისო დამოკიდებულება — აი, ის უმთავრესი თვისებები, რითაც მამუკა წიკლაურის პოეზია თავის ადგილს იმკვიდრებს დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში.

და კიდევ ერთი, ქართული კლასიკური პოეზიიდან მოყოლილი ძვირფასი თვისება — იმედის, უძლეველობის, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების შეურყეველი რწმენა!

მეოცე საუკუნის გლობალური დაბნეულობისა და უიმედობის ატმოსფეროში, როცა პესიმიზმის მიზეზები პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთ წინააღმდეგობებიდან კი ალარ მოდის, არამედ საყოველთაო ნგრევა-განადგურების აჩრდილი დასწოლია ეკაცობრიობას, პოეტის სმენა უძილო დამეების სიჩუმეში ამგვარ იმედიან სიმღერას ისმენს:

ყური დაუგდეთ,
აისბერგი მღერის!
რაღაცა ღღვება...
ყინულის მთები დაძრულა და ღღვება...

ეს ადამიანური ბუნების შორეული შრეებიდან დაძრული ხმებია:

აისბერგი მღერის!

პოეტის ოცნება არ შეიძლება არ ახდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაბირინთში

„ეაცი ამაოებასა მიემსგავსა,
და დღენი, ვითარცა აჩრდილნი.
წარვლენ“. (ფს.).

ახალი ქართული ალმანახის — „სათავე“-ს განხილვას მაქსიმ გორკის პერიფრაზირებული სიტყვებით დავიწყებ:

ალბათ, ის კრიტიკოსები, რომლებიც შეუიარაღებელი თვალითაც ამჩნევენ ლაქებს მზეზე, ამ ალმანახშიც იპოვიან მრავალ ნაკლოვანებას. ეს მათი პროფესიული მოვალეობაა! ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ ესაა მათი ხელობის აზრი. პირადად მე კი, ყოველ ახალ ლიტერატურულ მოვლენაში მის დადებით თვისებებს ვეძებ, ყოველ ახალ ადამიანში — ღირსებებს...

ჩემი მიზანდასახულებაც ეს გახლდათ, — პირველ რიგში, იმ ღირსებათა წარმოჩენა, რაც „სათავე“-ს გააჩნია და რაც უთუოდ ამჯობინებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ამ ალმანახის დამკვიდრებას...

ალმანახში წარმოდგენილია ოთხმოციან წლებში ჩვენს ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსული ოცდათოთხმეტი ახალგაზრდა ავტორის, მათ შორის, ექვსი პროზაიკოსის შემოქმედება.

ახალგაზრდების განსაკუთრებული ყურადღების საგანს, როგორც ეს „სათავე“-დანაც გამოჩნდა, შეადგენს თანამედროვე ქართული ოჯახის პრობლემა.

ეს პრობლემა საინტერესო მხატვრულ ხორცშესხმას პოულობს კოტე ჯანდიერის მოთხრობაში „საოჯახო ქრონიკა“, ასევე ქეთი ნიკარაძის („ავტოპორტრეტი“), ლაშა იმედაშვილის („შენც ისე, როგორც ყველა“), ირაკლი ხამსონაძის („ბედნიერი ბილეთი“), ზურაბ სამადაშვილის („წრე“) ციკლ მოთხრობებში.

კოტე ჯანდიერის მოთხრობაში „საოჯახო ქრონიკა“ — ოჯახის წევრები ერთმანეთთან კომუნიკაციას წერილების მეშვეობით ამყარებენ, რადგან უშუალო ურთიერთობისა და საუბრისათვის მათ დრო არაა-დროს არა აქვთ. მოთხრობის ტექსტიც სწორედ ოჯახის წევრთა მიერ ერთმანეთისათვის დაწერილი ბარათებით იქმნება. მაგრამ ფორმობრივად, კომპოზიციურად ეს ბარათები ისე ოსტატურადაა „ჩამონტაჟებული“ მოთხრობაში, რომ მოთხრობის „ფორმა“ კითხვის პროცესში როგორღაც „თავის თავში უჩინარდება“ და წინა პლანზე გამოდის „შინაარსი“ — ოჯახის წევრთა თანაცხოვრება და თითოეული მათგანის სულიერი, ფსიქოლოგიური სამყარო.

„საოჯახო ქრონიკა“-ში ყოველდღიური ოჯახური კონფლიქტები; კამათები, ჩხუბები, გაუგებრობები, მოგლენები, ეპიზოდები, სცენები ისეთი შინაგანი დინამიზმით ვითარდება, თითქოს ნაწარმოები დასაწყისიდანვე, პირველი გვერდებიდანვე ზღვრისაკენ, უკიდურესობისაკენ, დასასრულისაკენ მიექანება. მოთხრობაში იქმნება უაღრესად დამუხტული მხატვრული სივრცე, რომელიც წინასწარვე რაღაც მოსალოდნელი კატასტროფის, ტრაგედიის მოლოდინს გვიჩენს და გვიმძაფრებს. ოჯახის ყველა წევრი—ბებია—ანა, დედა—დიანა, მამა—ქრისტო, და—მირცა, ძმა—ნიკო ისე არიან ჩართულნი ცხოვრების „უგუნურ ობიექტურობაში“, ყოფით საზრუნავებში, ყოფიერების სიცივეში, რომ ყოფიერების სითბოს, ერთმანეთის მზრუნველ მაშინდა შეიგრძნობენ და განიცდიან, როდესაც ერთმანეთისაგან იზოლირებულნი, თავიანთ ოთახებში ჩაკეტილნი მორიგი კონფლიქტებისა და ისტერიკებისათვის თვით მათ მიერვე შექმნილ ოჯახურ-კონფლიქტური „დაძაბულობის ველში“ გამოდიან. მათი მდგომარეობის აბსურდულობას ერთმანეთთან შინაგანი, სულიერი თანაარსებობის შესაძლებლობის უქონლობა განაპირობებს. ფიზიკურად ასე ახლოს— ერთ ჭერქვეშ მყოფნი, სულიერად უსასრულოდ შორეულნი არიან...

„საოჯახო ქრონიკაში“ რაც უფრო მეტ პირად ბარათს ვეცნობით, მით უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება რდვევისა და განადგურების ზღვრამდე მისული ერთი ჩვეულებრივი, „რიგითი“ თანამედროვე ქართული ოჯახის ტიპიური, მძიმე სურათი. ამ ოჯახში არავის არავისთვის არ სცალია, ყველა და ყველაფერი მარ-

ტოა, ჩაძირული ყოველდღიური ცხოვრების ამაოებაში: ყ�და ყველაფერი უნაყოფოა, გარდა და-ძმის სავდიანი დუეტისა, რომელთა სულის ხმები ჯერ კიდევ სწვდება ერთმანეთს. მაგრამ სწორედ და-ძმის ამ გარკვეული ურთიერთობის ფონზე კიდევ უფრო რელიეფურად გამოიკვეთება ის გათიშულობა, რომელიც შვილებს მშობლებისაგან და მშობლებს ერთმანეთისაგან ჰყოფს. კოტე ჯანდიერის მიერ დახატულ ქართულ ოჯახურ სინამდვილეში ჯერ კიდეც არ არის ოჯახის წევრთა შორის ისეთი რადიკალური გათიშვა და შემაძრწუნებელი ოთვალგაუცხოება, როგორიც გვხვდება, ვთქვათ, ბეკეტის პიესებში („თამაშის დასასრული", „თამაში"), სადაც ოჯახის წევრები, მართალია, ერთმანეთს ბარათებს არ წერენ და ერთმანეთს სანახევროდ ბნელ ოთახში დადგმული ნაგვის ყუთებში ჩამასხდარნი ელაპარაკებიან, მაგრამ მათ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ არ ესმით ერთმანეთის. ისინი იმდენად გადაგვარებულან, იმასაც კი ვეღარ გრძნობენ, მკვდრები არიან თუ ცოცხლები, აღარ ახსოვთ, ვინ არიან ერთმანეთისათვის, რა კავშირი აქვთ ან ჰქონდათ ოდესმე ერთმანეთთან.

კოტე ჯანდიერის მოთხრობის მიხედვით, ქართული ოჯახი მსგავს პათოლოგიურ დეგენერაციამდე ჯერ არ მისულა, მაგრამ ისეთ სიტუაციაში, ისეთ ახსურდულ, ჭაობურ ოჯახურ ატმოსფეროში ცხოვრება, რომელშიც ნიკო, მარცა, დიანა, ქრისტო, ანა ცხოვრობენ, უთუოდ შეიცავს თავის თავში ასეთივე პათოლოგიური გადაგვარებისა და დეგენერაციის შესაძლებლობას.

რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ისეთ სოციალურ სინამდვილეს, რომელიც ამბოხტებს, თიშავს და მტრულ ურთიერთდაძაბულობაში ამყოფებს თვით ახლობელ ადამიანებსაც კი? რა რაციონალური არგუმენტაცია შეიძლება მოეძებნოს ოჯახის წევრთა ასეთ დეგრადირებულ ურთიერთობასა და თანაცხოვრებას?!

სინამდვილე, რომელიც ბელს უწყობს ადამიანში ადამიანურისა და ღვთაებრივის გადაგვარებასა და მოსპობას, ბოროტი, „სატანური სინამდვილეა" და იგი რადიკალურად უნდა შეიცვალოს.

მაგრამ თვით „საოჯახო ქრონიკის" პერსონაჟებს, რომლებიც სხვებისაგან განუწყვეტლივ მოითხოვენ საკუთარი უაზრო ოჯახური სინამდვილის შეცვლას, თავად, პრაქტიკულად, საამისოდ არც ერი პერსპექტიული, აზრიანი, ქმედითი ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლიათ. მოთხრობის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს სოციალური სინამდვილე, რომელშიც ასეთი ოჯახები არსებობს და ოჯახები, სადაც ასეთი ურთიერთგაუცხოებული ადამიანები ცხოვრობენ, მათ გარეშე არსებულ რაღაც უხილავ, ირაციონალურ ძალას დამორჩილებიან და მისგან განთავისუფლებას ვერ ახერხებენ. ეს შეგნების „ულრმესი გამოუვალობის გრძნობას ბადებს ოჯახის წევრებში, ხოლო ნიკოს თვითმკვლელობისაკენ (როგორც ერთადერთი უკანასკნელი გამოსავლისაკენ) უბიძგებს...

მართალია, კოტე ჯანდიერის მოთხრობის ფინალში უკეთესობისაკენ შეცვლის იმედის პატარა ნაპერწკალი კიაფობს, მაგრამ ოჯახის წევრებისათვის ტრაგედიის შემდეგაც მაინც გაუგებარი რჩება, როგორ უნდა იცხოვრონ, რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგან საიმისოდ, რომ მსგავსი უბედურება მათ ცხოვრებაში აღარ განმეორდეს.

ის ატმოსფერო, ის გარემო, რომელშიც ნიკო და მარცა იბადებიან, მათზე ხნიერია, მათზე ასაკოვანია. იგი ათეული წლების მანძილზე მათ გარეშე ჩამოყალიბდა, და დაბედათ როგორც გარდაუვალი, გადაულახავი ბედისწერა, რომელიც შემდგომში თანდათანობით მათი ცხოვრების, მათი არსებობის წარმმართველ და მაორგანიზებელ ძალადაც გადაიქცა.

ალმანახ „სათავე"-ში წარმოდგენილი ახალგაზრდა ავტორების მოთხრობებში ჩანს, რომ ურბანიზაციის პროცესი, ქალაქური ცხოვრების წესიც არდევეს საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ოჯახის ტრადიციულ სტრუქტურას და თანამედროვე ოჯახური „ურთიერთობებით", ერომანესთისაგან მოწყვეტილი თაობებით, დეფორმირებული ადამიანური დამოკიდებულებებით შექმნილი ოჯახის რადაც ახალ, ანტიჰუმანურ ვარიანტს გვთავაზობს.

ახალგაზრდა ავტორები იმიტომ ხატავენ ასეთ მუქ ფერებში თანამედროვე ოჯახების არასტაბილურობასა და არაკეთილდღეობას, რათა გვაგრძნობინონ სულიერად გათიშული ოჯახის წევრებით დასახლებული, ფორმალურადღა არსებული ოჯახების კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ უ ლ ო ბ ა არა მარტო ოჯახებისათვის, არამედ მთელი ერისთვისაც! ყოველი ოჯახის ბედი ხომ უხილავი თუ ხილული ძაფებითაა დაკავშირებული დროსთან, მთელი ხალხის ცხოვრებასთან, და მაშასადამე, ერის ბედთან!

მართლაც, როგორი შეიძლება იყოს, ერის მომავალი, მისი არსებობის, სიცოცხლისუნარიანობის პერსპექტივა, თუ ყოველდღიურად იზრდება ისეთი ოჯახების რაოდენობა, როგორ ოჯახებსაც ახალგაზრდების პროზაში ვეცნობით?!...

* * *

კოტე ჯანდიერის, ირაკლი სამსონაძის, ზურაბ სამადაშვილის, ქეთი ნიკარაძისა და ლაშა იმედაშვილისათვის სიინტერესოა არა იმდენად თვით ადამიანის ბუნება, მისი არსი, არამედ ადამიანის ურთიერთობა ადამიანთან, გარესამყაროსთან, თანამედროვე ადამიანის ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მდგომარეობა საზოგადოებაში, სოციალურ სინამდვილეში. მათი მოთხრობებიდან ამ მხრივ საკმაოდ პირქუში და უსიხარულო სურათი იხატება.

ადამიანები, ფაქტიურად, აღარ ლაპარაკობენ ერთმანეთთან. თვით ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც კი აღარაფერი (არსებითი) აღარ აქვთ სათქმელი ერთმანეთისათვის. ამიტომ სდუმან! მაგრამ ეს არ არის ცარიელი, „უშინაარსო" დუმილი. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, მეტყველი დუმილია, რომელიც გვეუბნება — ადამიანები ერთმანეთისათვის და საკუთარი თავისთვისაც შორეულნი, მიუწვდომელნი, „დაკარგულნი" არიან. ადამიანებს არ ესმით ერთმანეთის არა მარტო მაშინ, როდესაც სდუმან, არამედ მაშინაც, როცა ერთმანეთს განუწყვეტლივ ელაპარაკებიან. მათი ლაპარაკი, არსებითად, „ხმაურიანი დუმილია", „მუნჯების მეტყველებაა". ამ „ხმაურიანი დუმილის", „მოლაპარაკე მუნჯების" სიჩუმის თავისებური მხატვრულ რეალიზებას წარმოადგენს ირაკლი ხამსოხაძის მოთხრობა „ბედნიერი ბილეთი", ზურაბ სამადაშვილის „წრე", ლაშა იმედაშვილის „შენც ისე, როგორც ყველა..."

* * *

სამოცდაათიანი, განსაკუთრებით კი სამოციანი წლების ქართული ლიტერატურული გმირისათვის ოჯახის, მშობლიური სახლის გარეშე არც სიმშვიდე, არც მყუდროება, არც თავშესაფარი არ არსებობს. მისთვის სახლი, ბინა ის „პატარა სამეფოა", რომელშიც საკუთარ „ხასიათცხლო სივრცეს", საკუთარ „ტერიტორიას" შემოიფარგლავს გარესამყაროსაგან და ამით ინდივიდუალურ უსაფრთხოებასა და უშიშროებას უზრუნველყოფს. მაგრამ ჯერ სამოცდაათიანი, ხოლო შემდგომ ოთხმოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში ოჯახი კარგავს თავის ტრადიციულ ანთროპოლოგიურ და ონტოლოგიურ მნიშვნელობას. ქუჩა, ხმაური, გარესამყაროს ქაოსი ოთხმოციანი წლების ლიტერატურული გმირის ოჯახშიც შემოიჭრება. ეს კი მას ან თავისსავე ოჯახში გამოყოფილი ოთახის საზღვრებსა და საკუთარ თავში ჩაკეტავს (როგორც ეს ირაკლი ხამსოხაძისა და კოტე ჯანდიერის მოთხრობებშია ნაჩვენები), ან თითქმის მთლიანად „გარეთ", სოციუმში გამოაძევებს (გავიხსენოთ იგივე მოთხრობები და ზურაბ სამადაშვილის „წრე"). „ბინა", „სახლი", „ოჯახი" ვეღარ ასრულებს თანამედროვე ლიტერატურული გმირისათვის (თანამედროვე ადამიანისათვის) ნავთსაყუდელის, საიმედო თავშესაფრის დანიშნულებას, ფუნდამენტური ადამიანური საყრდენის ფუნქციას, რაც მას კიდევ უფრო უმწვავებს და ულრმავებს „მარტოხულობის", „მიტოვებულობის", „ტრანსცენდენტური უსახლკარობის" განცდას. ის ყველგან — ოჯახის გარეთაც და ოჯახშიც — „დროებით სტუმრად", „მოხეტიალე", „მარადიულ მგზავრად" აღიქმება. ეს მომენტი ყველა ახალგაზრდა ავტორის მოთხრობაშია გამოხატული, საგანგებოდ და ხაზგასმულად — ზურაბ სამადაშვილისა და ლაშა იმედაშვილის მოთხრობებში.

როგორც ვიცით, ადრე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში „სახლის", „ბინის", „ოჯახის" მხატვრული სახე სხვადასხვა სიმბოლური თუ სინონიმური მნიშვნელობით იტვირთებოდა: სახლი, როგორც „ოჯახის კერა", სახლი, როგორც „სულის სახლი", სახლი, როგორც საკუთარი „წარსულის სახლი", სახლი, როგორც „შობლების სახლი", ან წინაპრების სახლი, სახლი, როგორც „სოფელი", სახლი, როგორც „ქვეყანა", როგორც „სამშობლო", როგორც „დედამიწა" და ა. შ. ყველა შემთხვევაში, „შობლიური სახლი", „ოჯახი", ბინა" ის სივრცეს წარმოადგენდა, რომელიც ნათესავებს, ახლობლებს ერთ საერთო ჭერქვეშ სიყვარულით აერთიანებდა. მაგრამ თანამედროვე ავტორების შემოქმედებაში, როგორც ეს ალმანახ „სათავეში" წარმოდგენილი პროზიდანაც გამოჩნდა, სახლს ხშირად დაკარგული აქვს ეს „მრავალპლანიანობა" და იგი მასში მცხოვრები ადამიანისთვის არა თუ მშობლიურ სივრცეცა და საიმედო თავშესაფარს, უცხო და „მტრულ გარემოსაც" კი წარმოადგენს...

* * *

ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებაში უაღრესად აქტუალური, განსაკუთრებულად დრამატულ მნიშვნელობას იძენს მამებისა და შვილების ურთიერთობა. მოზარდის, საერთოდ, ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მოთხოვნილებას, ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენს საკუთარი ყოფიერების სიმყარის, სიმტკიცისა და უსაფრთხოების შესაგრძნობად მშობლების სიყვარული წარმოადგენს. ჩვენს მიერ დასახელებულ პროზაულ ნაწარმოებებში ახალგაზრდა პერსონაჟთა ერთ ნაწილს, შვილებს, მშობლებთან მტკიცე, სულიერი კავშირი და ღრმა სიყვარული ადარ გააჩნიათ. დედები მათ, უბრალოდ, უყვართ, ან ებრალებათ. მამებთან კი შვილები წინააღმდეგობრივ, ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. მეტიც, ზოგჯერ ისინი მარკ ტვენის ჩეკივით და სარტრის ჟან-პოლივით მამებისთვის, ან პირიქით, მამები შვილებისთვის სიკვდილსაც კი ნაღრობენ (ლაშა იმედაშვილი, „შენც ისე, როგორც ყველა", ზურაბ სამადაშვილის „წრე"). ახალგაზრდების შემოქმედებაში მამების მკრთალი სილუეტები იშვიათად, ეამიდან ეამზე თუ გაკრთებიან შვილების თვალთახედვის არეში. შვილების ცხოვრებაში მამები თუმცა ფიზიკურად არსებობენ, მაგრამ დრო, ცხოვრება შვი-

ლებისა, არსებითად, მამებთან სულიერი თანაცხოვრების გარეშე მიედინება. აქ შვილების ანტაგონისტური დამოკიდებულება — მამებთან შეიძლება აიხსნას არა იმდენად ბიოლოგიური, ფროიდისტული „ოიდიპოსის კომპლექსით", რამდენადაც სოციალური მიზეზით — შვილები არაცნობიერად მიუღებელი, ცრუ სინამდვილის, არსებობაში, რომელშიც უწევთ მათ ცხოვრება, თავიანთ მამებს დანაშაულებენ.

თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანის „სისუსტეს", „უმწეობას" სწორედ მამასთან მტკიცე, შინაგანი კავშირის უქონლობაც განაპირობებს, — მამასთან არა მარტო როგორც მშობელთან, რომელმაც ის ფიზიკურად შექმნა, არამედ, პირველ რიგში, როგორც ძლიერების მატარებელ მფარველ არსებასთან.

ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებაში მამისა და „მამასთან კავშირის" ძიების იდეა ახლოს დგას „მამის ძიების" იმ იდეასთან, რომელიც არაორაზროვნად გამოხატა თ. ვულფმა თავისი რომანის „დროსა და მდინარეზე" კვალდაკვალ დაწერილ მოთხრობაში ამ რომანის შესახებ:

— მე მეჩვენება, რომ მთავარი — ადამიანის ცხოვრებაში, რაც ახე თუ ისე მისი არსებობის ღერძად იქცევა, — მამის ძიებისაკენ სწრაფვაა, არა იმ მამისა, ვინც შენ სიცოცხლე მოგანიჭა, არა იმ მამისა, რომელიც სიკვდილში დაკარგე, არამედ ძალისა და სიბრძნის ხატისა, რომელიც გარეგანია ადამიანურ გაჭირვებათა მიმართ და შინაგანია, უზენაესია ადამიანურ მისწრაფებათა მიმართ, მოძიება რაღაც ისეთისა, რასთან ერთადაც შეიძლება გაჩნდეს რწმენა და ენერგია ადამიანის სიცოცხლისა...

* * *

ქეთი ნიჟარაძის მოთხრობაში „ავტოპორტრეტი" მთავარი პერსონაჟის, ლანა უზნაძის გაცნობიერებული არსებობა ცამეტი წლის ასაკში იწყება, — როცა მისი სული სამყაროს, გარემოს გამოეყოფა და ინდივიდუალური „მე", მასთან ერთად, „მარტოობისა" და „მიტოვებულობის" განცდა უჩნდება. ლანა გამუდმებით მისტირის ბავშვური უცოდველობისა და უზრუნველობის ბედნიერ ხანას. აქ შეიძლება გაგახსენდეთ ჩეზოვის გმირი ქალის ტკივილით აღსავსე ცნობილი სიტყვები გამქრალი ბავშვობის გამო: „ო, ჩემო ბავშვობავ, ო, ჩემო სისპეტაკე!". ბავშვობის ნეტარი წლები, როდესაც ლანა სიკეთისა და ბოროტების მიღმა ცხოვრობდა, უკვე სოციალური და სულიერი წინააღმდეგობებით, ემპირიული ცხოვრებითა და ყოფითი საზრუნავებით, თავბრუდამხვევი ყოველდღიური ცხოვრების ქაოსით დაღლილს, კიდევ უფრო ხაოცნებად ეხებება. იგი სწუხს იმის გამო, რომ უსასრულოდ შორეული და მიუწვდომელი გამხდარა ბავშვობა, ის ძვირფასი ბანა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დარღვეული კავშირი მისი სულისა გარშემომყოფ ადამიანებთან, ბუნებასთან, მშობლებთან, ახლობლებთან, როცა ჯერ კიდევ არ იყო გაჩენილი გამანადგურებელი თვითრეფლექსია და სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, არ იყო გამქრალი სულისა და სხეულის ის ჰარმონია, რომელიც ოდესღაც მისი უცოდველი ბავშვური არსების მშვენიერებას ედო საფუძვლად.

„რაღაც ახალი და გაუგებარი იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში..."

„სად წავიდა ჩემი ბავშვობა? მხოლოდ თოთხმეტი წლის ვარ და უკვე ბავშვობას მივტირი, მიეძახი, ვეძებ, როგორ უცბად მიმატოვა..."

„ბავშვობამ მიმატოვა, მაგრამ ყოველთვის ტკივილნარევი სინაზით ვიგონებ..."

„მე მართლა არ ვიცი, სად წავიდა ჩემი ბავშვობა, ჩემი ტოლების ბავშვობა და საერთოდ, სად მიდის ბავშვობა..."

„ხანდახან ძალიან მინდა, რომ პატარა ვიყო... ბავშვობა რაღაცნაირად ერთიანი, დაუნაწევრებელი იყო..."

ლანასათვის დრამატული, მტკივნეულია ბავშვობის, — ამ „მიწიური სამოთხის"—სინათლიდან და ღვთაებრივი სითბოდან ცივ, პროზაულ სინამდვილეში მოხვედრა („ღმერთო, როგორი სისულელეა ჩემი პირველი შეხება სინამდვილესთან" (ბავშვობა წავიდა?")...

თოთხმეტი წლის ლანას პატარა, უმწეო მხრებს ტვირთად აწვება მარტოსული არსებობა. ჯერ კიდევ ბავშვობისეულ სინათლეში მყოფი, თანდათანობით ახალ-ახალი ცოდვებითა და შეცდომებით მძიმდება... სულის კარიც იმ ღვთაებრივი სინათლისათვის, რითაც მისი ბავშვობა იყო გარემოცული, კიდევ უფრო მეტად იხშობა და ბავშვობა, სულიერი სისავსეც უკანდაუბრუნებელად ქრება. მაგრამ რაც არ შეუძლია რეალურ სინამდვილეს, ცხოვრებას, ის ხელეწიფება ხელოვნებას! — და ლანაც სიტყვებითა და ფერებით იწყებს გარდასული ბავშვობის რეტროსპექტივას, ცდილობს წარსულის უკვე ჩაკეტილ, იმანენტურ სივრცეში შეღწევას, გამქრალის, წუთიერის, წარმავალის გაცოცხლებას, კვლავ ხელშესახებ რეალობად ქცევას, ბავშვობისა და სისავსის ნეტარი განცდის დაბრუნებას. „დღეიდან მე, დღიურები და მარტოობა განუყრელად ვიქნებით ერთად", — აღთქმას სდებს თავის თავთან პატარა ლანა.

ქეთი ნიჟარაძის მოთხრობის ღირსება ისაა, რომ ბავშვის, მოზარდის ფსიქოლოგიას გვიჩვენებს არა „გარეგან", არა უფროსის თვალით დანახულს, არამედ „შიგნიდან", მოზარდის მიერ აღქმულს, განცდილსა და გაცნობიერებულს. ავტორი ახერხებს დაგვაჯეროს (და ეს მის ნიჭიერებაზე მეტყველებს), რომ ცამეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ასაკიდან ოცდასამ წლამდე დაწერილი სადღიურო ჩანაწერების ავტორი მოწარდელ! ლანას შინაგან სამყაროს, მის ბიოგრაფიას სწორედ ამ სადღიურო ჩანაწერებით ვეცნობით, ვეცნობით მას ქმნადობის, ზრდისა და განვითარების პროცესში.

როგორც ლანას დღიურიდან ვიგებთ, ყველაზე დიდ სიამოვნებას მას შემოქმედებითი პროცესი ანიჭებს. სწორედ აქ, ამ დროს, შემოქმედებით პროცესში ხდება მისი დარდვეული ცნობიერების, ნინააღმდეგობებით დაქსელილი, დანაწევრებული, ყოველდღიური ცხოვრებაში გაფანტული სულის შეკრება, გამოლიანება და სისავსის განცდის დროებითი დაბრუნება. „ამ დროს ყველაფერი მავიწყდება. მარტოობაც, სევდაც, საკუთარ თავში გაურკვეველობაც და ბმილოდ ერთი რამ ვიცი: ვხატავ...“ „თანდათან ვიგრძენი, რომ ავტოპორტრეტის დახატვა მომინდა. თუ ეს შევძელი, იქნებ განვთავისუფლდე კიდეც მარტოობისაგან“. მაგრამ დანარჩენ დღეებში, როდესაც შემოქმედებითად არ მუშაობს, კვლავ მარტოობის, მიტოვებულობის, სიცარიელისა და უსასოობის განცდა სტანჯავს. ამიტომ ცდილობს იგი მთელი თავისი ცხოვრება ერთიანად, განუწყვეტელ შემოქმედებით აქტად აქციოს, — წეროს, ხატოს, იკითხოს, რის შეუძლებლობაში დარწმუნებულობისაც იგი ბუნაგად გამანადგურებელ სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს.

არა მარტო „ავტოპორტრეტში“, არამედ, საერთოდ, ოთხმოციან წლებში მოსული ახალგაზრდების შემოქმედებაშიც ბავშვობის ასაკიდან გამოსვლა, მოწიფულობა, ასაკში შესვლა, არც თუ იშვიათად, უადრესად მტკივნეულად განიცდება: ბავშვობა მათ მიერ გაიაზრება არა როგორც ადამიანის ასაკობრივი, განვითარების ერთ-ერთი შემამზადებელი ეტაპი, არამედ როგორც თავისთავადი, თავის თავში ჩაკეტილი უმნიშვნელოვანესი ფასეულობა. ამიტომაა, რომ მათ ნაწარმოებებში პერსონაჟები რაც უფრო მეტად შეიგრძნობენ უფროსი ასაკის სიმძიმეს, მით უფრო მეტად უძლიერდებათ ბავშვობის სამყაროსაკენ, ბავშვობაში „გადასახლებისაკენ“ ლტოლვა...

ქეთი ნიჟარაძის „ავტოპორტრეტში“, კოტე ჯანდიერის „სათავეთ ქრონიკაში“ ირაკლი სამსონაძის „ბედნიერ ბილეთში“, ლაშა იმედაშვილის „შენც ისე, როგორც ყველა“, ზურაბ სამადაშვილის „წრეში“ ყოველთვის უშუალოდ ნაჩვენები არ არის, მაგრამ როდესაც ახალგაზრდა პერსონაჟების ცხოვრებას, მათ შინაგან სამყაროსა და გარემოცვას ვეცნობით, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, სოციალური ცხოვრება, დამახასიათებელი მანკიერებებითა და ნაკლოვანებებით, როგორ სახტიკად და უხეშად იჭრებოდა მათ ბავშვურ სამყაროში. და ბავშვებიც,—მშობლების, მასწავლებლებისა და პირქუში, ნაცრისფერი ქალაქური გარემოს ზემოქმედებით დეგრადირებულნი, — თანდათანობით როგორი დაუნდობელნი, სასტიკნი, შეუბრალებელნი და დემონურნიც კი ხდებოდნენ როგორც უფროსებისადმი, ისე თანატოლებისადმი...

ყველა ეპიკას ტრაგიკულთან თავისებური გაგება გააჩნდა. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად ანათესავებდა, — ტრაგიკულში ყოველთვის იგულისხმებოდა აუნაზღაურებელი დანაკარგის პრობლემა. ახეთი აუნაზღაურებელი დანაკარგია „ავტოპორტრეტის“ მთავარი პერსონაჟის მიერ სკოლის კედლებში, ფაქტიურად, ფუჭად და უნაყოფოდ გატარებული წლები. ლანა უზნაძეს ტანჯავს იმის შეგნება და გაცნობიერება, რომ სკოლისა და ოჯახის კედლების ჩაკეტილ სივრცეში უსიბრალულად ქრება მისი არსებობის უმშვენიერესი ხანა — ბავშვობა!.. „ავტოპორტრეტშიც“ მტრული, დაძაბული ურთიერთდამოკიდებულებაა მოწყვეტება და მასწავლებლებს შორის. აკ სკოლა ის სასწავლებელია, სადაც მასწავლებლები კი არ არსებობენ მოსწავლეებისათვის, არამედ მოსწავლეები — მასწავლებლებისათვის! რამდენადაც მასწავლებელი თავის კვეყანაში მიღებული, დაკანონებული სწავლების სისტემის, პრინციპებისა და მსოფლმხედველობის გამატარებელია, ამდენად ახალგაზრდა ავტორის მიერ მასწავლებლებისადმი მიმართული კრიტიკა და ხატრა სწავლების სისტემასა და მეთოდიკას, მეტიც, მთელ საზოგადოებასაც ებება, რადგან როგორიცაა საზოგადოება, ისეთივეა სკოლა! ხოლო რა საკვალო სიტუაციაში, ჩიხში შევიდა თავის დროზე ჩვენი სკოლა და ჩვენი საზოგადოება, ეს დღეს თითოეული ჩვენთაგანისათვის ოფიციალურადაც ცნობილია. გამოირკვა, რომ ჩვენს სკოლებში სწავლა სინათლე კი არა, წყვდიადი ყოფილა. (უკანასკნელი მეცნიერული გამოკვლევების მიხედვით, საკავშირო მასშტაბით მოსწავლეთა თითქმის ნახევარი ფსიქიკურად ნორმიდან გადახრილია (იხ. 1987 წლის სექტემბრის „ლიტერატურნაია გაზეტას“ პუბლიკაცია „სკოლა და მომავალი“).

ამ შეშფოთებისა ოფიციალური სტატისტიკის ფონზე, ალბათ, მეტისმეტად პირქუშად და „დაუჯერებლად“ ალარ მოგვეჩვენება ის აბმოსფერო, რომელიც „ავტოპორტრეტში“ გამომბატულ სკოლაშია მოცემული...

* * *

ოთხმოციანი წლების ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ერთი თვისებურება ისიც გახლავთ, რომ მათ ნაწარმოებებში თითქმის ალარ გვხვდება მშობლიური, ნათესაური განცდა ბუნებისა, რაც, ვთქვათ, სამოციან წლებში მოსული მწერლებისათვის ბუნებრივი და ორგანული იყო, ხოლო „სამოცდაათიანელებთან“ უკვე ქრებოდა და უცხოვდებოდა. ახალგაზრდა ავ-

ტორებთან, პირველ რიგში, „სათავე“-ში წარმოდგენილ პროზიკოსებს ვგულისხმობ, რომელთა ბავშვობაც წინა თაობის მწერლების უმრავლესობისგან განსხვავებით, მთლიანად ქალაქურ გარემოში, — ადამიანების მიერ შექმნილ „მეორე“, „ხელოვნურ ბუნებაში“ — ასფალტის, ბლოკების, უსიცოცხლო, ნაცრისფერი შენობების, უგემოვნო ინტერიერების და ერთფეროვანი მანქანების „პეიზაჟებში“ გაღლილა, შორეული ან მთლიანად ატროფირებული ხდება „ბუნებრივი ბუნების“ გრძნობა. ქალაქური გარემო, მთელი თავისი სიცივით, უსახურობით, სიპირქუშით, უღიმღამოობით და არაესთეტიზმით მძაფრადაა გამობატული ირაკლი სამსონაძის მოთხრობაში „ბედნიერი ბილეთი“:

„მოპირდაპირე სახლის შორიახლოს ნაგვის გროვაა...“ თბილისური უთოვლო ზამთარია. ხუთსართულიანი კორპუსების უკან ორი რვასართულიანი სახლი და მაღალი ამწეკრანი მოჩანს. უფრო იქით, მელნისფერ ამოუშლელ ლაქებად გადადებულნ მოქუფრული მთები...“ „ეს არის ძველებური მაღალკრანები, გრძელდერეფნიანი ნარმონტალი, ოდნავ ნგრევაშეპარული შენობა, თანამედროვე ლიფტით“. „გია და ზაზა სამუშაო ოთახში სხედან. ისედაც პატარა, შეხუთული ოთახის კუთხეში რატომღაც, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, ძველისფერი ცარიელი კარადა მიუდგამთ...“ „დიდი ქალაქები პირდაღებული ქარხნებისაგან დალაქავებულ, ნაცრისფერ ზეწრის იფარებენ სხეულზე. ისედაც უსწორმასწოროდ გადაბრილ ტელეანძებს კიდევ უფრო წამოაქცევენ სახურავებზე...“ ასეთი „ხელოვნური ბუნების“ გარემოცვაში აღზრდილი ბავშვისაგან, ადამიანისაგან უკვე აღარ გვაოცებს გულწრფელი თვითაღსარება: „მე, როგორც ქალაქში დაბადებული ადამიანი, ვერ ვგრძნობდი ბუნებას“ (ავტოპორტრეტი“), არ გვაოცებს, რატომ არ ესმით, რატომაა გაუგებარი შვილებისათვის მშობლების ლტოლვა შაბათ-კვირას აგარაკისაკენ, ბუნების ამ პაწია ნაგლეჯისაკენ, რომელსაც მშობლებიც თვითირონიულად „მამულს“ უწოდებენ.

ახალგაზრდა ავტორები თანამედროვე ადამიანის რეალური, სულიერი დაკნინებისა და გადაგვარების ერთ-ერთ არსებით მიზეზს სწორედ ბუნებისაგან ამ ფატალურ, სიბედიწყერო გათიშულობაში ხედავენ. ქალაქურ გარემოში გაზრდილი და აღზრდილი ბავშვები თვითონ ბავშვობას ძირითადად სკოლის, სახლისა და მანქანის იზოლირებულ სივრცეში ატარებენ. მათ აღარა აქვთ ბუნებრივი შეგრძნება იმ ცოცხალი ნიადაგისა, „სადაც პური და ხეები იზრდებიან“ (დოსტოევსკი). დღეს ოთხმოცდაათი წლების კონტექსტში ახალ, დამატებით სემანტიკურ მნიშვნელობასა და სიღრმეს იძენს გალაკტიონის მიერ თავის დროზე ტრაგიკული ინტონაციით წარმოთქმული: „ცვრიან ბალაბზე თუ ფეხშიშველა, არ გავიარე — რაა ბედნიერი?!...“ ბავშვები ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებაშიც ბუნებას, სამყაროს უშუალოდ კი აღარ მიეახლებიან, არამედ გაშუალებულად, — ნიგნების მეშვეობით, — არა როგორც მთლიანს, ერთიანს, არამედ როგორც — კლასიფიცირებულს, ანატომირებულს, ქვეკატეგორიებად, კატეგორიებად და სახეობებად დაყოფილსა და დაქუცმაცებულს; სკოლისა და სახლის კედლებში ჩაკეტილი მათი სული უპირატესად სიტყვების, ცნებების, ნიგნების „ინტელექტუალური მასალისგან“ შენდება: ბავშვმა ამ მოვლენის ავადმყოფური, არაჯანსაღი ზემოქმედების პროცესს ჩვენ ვიცნობთ მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებიდან, გაგვახსენდება, პირველ რიგში, ჟან პოლი — სარტრის ავტობიოგრაფიული რომანიდან „სიტყვები“, ან პატარა განო თომას მანის „ბუდენბროკებიდან“, ანდა ტონიო კრიოგერი „ტონიო კრიოგერიდან“).... „სათავეში“ წარმოდგენილ მოთხრობებშიც მხოლოდ წლების შემდეგ, უფროსობის ასაკში ხდება, და ისიც ძირითადად შემოქმედებით პროცესში, ქალაქურ გარემოში შექმნილი ხელოვნური სამყაროს გარღვევა ,და მიწასთან, ცოცხალ ბუნებასთან უშუალო შეხება:

„აკ (აგარაკზე — ა. მ.) ქალაქგარეთ ხატვისას მივხვდი, რომ მიწას სიყვარული სჭირდება. ადამიანების სიყვარული. საოცრად შეგაყვარებს თავს, თუ ერთხელ მაინც შეეხე გაზაფხულის თბილი ჰაერით და წვიმით გაფცქნილს, დამყოლსა და მორჩილს, აღარ იქნები გულგრილი ზაფხულის მცხუნვარე დღისადმი, როცა აგარილებულ საღამოს სოფთი შერხეულ ხეთა ფოთლების რბილი შრიალი დაიწყება, საოცარი ღამეები, ჩიტების ჭიკჭიკი, განთიადისას, შორს ძაღლების უწყინარი ყეფა, მამლების ყივილი... და მერე დილით, დიდი, კეთილი მზის ამოსვლა.

ამ ყველაფერს ქალაქში ვერ განიცდი, შეუძლებელია.

ბუნება იგივე ღმერთია. და მე ეს ღმერთი არ მიყვარდა...

ნუთუ მამაჩემის გარდაცვალება იყო საჭირო, რათა გამეგო, რომ მიწა მხოლოდ მიწა არაა, რომ ის ყოველთვის შეგიფარებს, იმედს დაგიბრუნებს...“ (ქეთი ნიეარაძე, „ავტოპორტრეტი“).

* * *

აქვე მსურს შეეჩერდე ერთ საგულისხმო ტენდენციაზე, რომელმაც ჩვენთანაც, ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებაშიც იჩინა თავი და რომელმაც თავის დროზე წამყვანი, დომინირებული ადგილი დაიკავა „ახალი რომანისტებისა“ და „ახალი ახალი რომანისტების“ (რობ გრიე, ნატალი საროტი, კლოდ სიმონი,

ფილიპ სოლერსი...) შემოკმედებაში. ეს რომანისტები როგორც ვიცით, თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში გამოდიან არა მხოლოდ როგორც მხატვრები, მწერლები, არამედ აგრეთვე როგორც კრიტიკოსები, ლიტერატოროსნის თეორეტიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები; გამუდმებით მსჯელობენ ლიტერატურაზე, შემოკმედებით პროცესზე, წერის ტექნიკაზე, კულტურაზე, წაკითხულ წიგნებსა და ავტორებზე, ფერწერულ ტილოებზე. მუსიკალურ ნაწარმოებებზე და აქედან გამომდინარე, მხატვრული გამოსახვის საგნად აქცევენ არა იმდენად რეალურ სინამდვილეს, ემპირიულ ცხოვრებას, არამედ თვით ლიტერატურას, კულტურას, შემოკმედებით პროცესს... (აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარკვენა" და პეშინგუეის „დღესასწაული, როგორც უცვე ადვნიშნე, ეს ეპიზოდიკური ტიპოლოგიური გამოვლინება ჰპოვა უკანასკნელ წლებში ახალგაზრდა ქართველი მწერლების შემოკმედებაშიც. ანალოგიური ვითარებაა ქეთი ნიკურაძის მოთხრობაში „ავტოპორტრეტი", რომელშიც აგრეთვე შემოკმედებითი პროცესი, განსაკუთრებით კი მთავარი პერსონაჟის, ლანას მიერ წაკითხული მხატვრული ნაწარმოებების ესეისტურ-ლიტერატურული ინტერპრეტაციები, ესთეტიკური განცდებისა და შთაბეჭდილებების გადმოცემა განმსაზღვრელ ადგილს იკავებენ...

ყოველივე ეს იმაზეც მიუთითებს, რომ ახალგაზრდა ავტორები ახალ ფორმებს, ახალ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებსა და მოდუსებს ეძებენ ინდივიდუალური შემოკმედებითი პალიტრის გასამდიდრებლად, საკუთარი სულიერი სამყაროს რაც შეიძლება ადექვატურად გამოსახატავად. მაგრამ ამ ტენდენციის გაძლიერება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, წმინდად მხატვრული ინტერესების გარდა, ალბათ იმით უფრო უნდა აიხსნას, რომ დღეს მწერლებს, სინამდვილე ვეღარ სთავაზობს ამაღლებულ, რომანტიკულ მასალას, ვეღარ აძლევს შთაგონებასა და დადებით ემოციებს და ისინიც ყოველივე ამას სულ უფრო ხშირად ბავშვობის შთაბეჭდილებებსა და მოგონებებში ან კულტურულ, სულიერ-ინტელექტუალურ და ლიტერატურულ ფასეულობებში ეძებენ...

ქეთი ნიკურაძის მოთხრობაში გვხვდება მრავალი ლიტერატურული რემინისცენცია, მინიშნება, პარალელი, სახე, სიმბოლო, მეტაფორა, ციტატა, პერიფრაზა სხვადასხვა მწერალთა მხატვრული ნაწარმოებებიდან. ისინი მოთხრობაში იმ რაკურსით ჩნდებიან და ფიქსირდებიან, ხაიდანაც ლირიკული პერსონაჟი რეალურ და ხულიერ სამყაროს აღიქვამს, განიცდის და გამოხატავს. მაგრამ ახალგაზრდა ავტორის მიერ საკუთარი ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში შემოტანილი კულტურულ-ლიტერატურული მასალა ყოველთვის ვერ ... არის შემოკმედებითად გათავისებული ან ... განზოგადებული, ბუნებრივად ჩართული ტექსტში, რის გამოც ასეთი ადგილები ზოგჯერ ეკლექტურობისა და პეორეულობის შთაბეჭდილებას სტოვებს. ზედმეტია, მაგალითად, ყველაზე ვრცელი ორგვერდიანი ამონაწერი ცნობილი ნაწარმოებიდან, თუმცა აქაც ავტორის მიზანდასახულება ნათელია: დიდი მწერლის ლიტერატურული გმირის აზრები, განცდები, განწყობილებები საკუთარ განწყობილებათა ერთგვარ რუპორად აქციოს და ასეთნაირად მიგვაახლოს საკუთარ პერსონაჟთან, რომელიც ძირითადად გამოგონილ, თავის მიერ შეთხზულ „მხატვრულ" სინამდვილეში ცხოვრობს.

„ავტოპორტრეტში" ლანა უზნაძისათვის ხელოვნება და ხელოვნებაში ცხოვრება არსებობის გარკვეულ ეტაპზე თვითმიზნად და თავშესაფრად იქცევა, მაგრამ როდესაც ამთავრებს თავის სადღიურო ჩანაწერებს, უკვე შორს აღარაა იმ ეგზისტენციალისგან, რომ ადამიანი კი არ უნდა არსებობდეს ხელოვნებისათვის, არამედ ხელოვნება — ადამიანისათვის, რომ, ვან გოგის თქმისა არ იყოს, არ არსებობს ამქვეყნად რაიმე უფრო მხატვრული, ვიდრე ადამიანების სიყვარულია.

ლიტერატურულ-კულტურული „ინფორმაციის" მხატვრულ ნაწარმოებში შემოტანამ, ლიტერატურის მიერ საკუთარი თავის გამოხატვის ერთ-ერთ მთავარ საგნად ქცევის ტენდენციამ, შესაძლოა, ჩვენთან, ზოგიერთში, მძაფრი პროტესტისა და უკმაყოფილების გრძნობა გააჩინოს. მე პირადად, ვეთანხმები ამ ტენდენციას, რადგან მასში ვხედავ არა „წიგნურ სიბრძნეს", რომელიც ლესინგის დახასიათებით, „მხოლოდ ტვინს აშრობს", ან — ე. წ. — „ლიტერატურშრნას", არამედ ჩვენი დროის, ჩვენი ცხოვრებისა და დღეგანდელი არსებობის კიდევ ერთი თავისებურების ადექვატურ გამოხატულებას, გარდუვალ შედეგსა და ანარეკლს იმ რეალისას, რასაც ლიტერატურა, კულტურა თანამედროვე ადამიანს, განსაკუთრებით კი ხელოვანის ცხოვრებაში თამაშობს (რომელიც „ზშრადა", ინტენსიურად ლიტერატურულ-კულტურულ სამყაროში უფრო ცხოვრობს, ვიდრე — რეალურ, ემპირიულ სინამდვილეში)...

„ავტოპორტრეტის" დასასრულს ჩნდება ამ მოთხრობისათვის სრულიად ახალი, მანამდე უცნობი ინტონაცია:

„ჯერ ახალგაზრდა ვარ, მაგრამ მეჩვენება, რომ ძალიან ბევრი ვიცხოვრე..."

„უჩვეულოდ დიდ სიხარულს მანიჭებს ფიქრი, რომ წინ გზაა დიდი სიცოცხლისაკენ..."

ტანჯვის გავლით — რწმენისაკენ! — აი, ასეთი მოკლე ფორმულირება შეიძლება „ავტოპორტრეტის" ლირიკული პერსონაჟის მიერ განვლილი ცხოვრებისა. თუმცა ის ჯერ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსასრულოდ შორსაა ღმერთისაგან, რწმენისაგან, მაგრამ მან იცის უკვე, რომ „გადარჩენისა და ხსნის ერთადერთი გზა სწორედ რწმენისაკენ მიემართებაᲐ..

* * *

ლაშა იმედაშვილის მოთხრობაში „შენც ისე, როგორც ყველა“ რეალური სინამდვილე კიდევ უფრო პირქუშ ფერებში წარმოგვიდგება. მისი მთავარი პერსონაჟიც ახალგაზრდა ბიჭია. იგი გაუცხოებულია როგორც გარესამყაროსგან, ისე საკუთარი თავისგანაც, ე. ი. თვითგაუცხოებულია. თუ სარტრისეულ „ამსურდის“ განმარტებას დავეთანხმებით, ბიჭის მდგომარეობა ამ სამყაროში ამსურდულია, რადგან „ამსურდულობა“, პირველ რიგში, სწორედ სამყაროსთან და საკუთარ თავთან გათიშულობას, გაუცხოებას გამოხატავს.

ბიჭის „უბედური ცნობიერება“ დაპირისპირებულია ყველასა და ყველაფრისადმი, რადგან ყველა და ყველაფერი მას უპირისპირდება. ლაშა იმედაშვილის მოთხრობის კითხვის პროცესში და მისი მთავარი პერსონაჟის, გაცნობისას შეუძლებელია, არ გაგახსენდეთ კამიუს „უცხო“ და მერსო — „უცხოდან“. ბიჭი მერსოსავით „უცხო“ და „ლტოლვილებში დაბადებულია“, მასავით უყვარს სიცოცხლე და, ამავე დროს, ფიქრობს, რომ მოშვილის პერსპექტივა არ გაჩნია. მისთვისაც მკვდარია ღმერთი და მაშასადამე, ყველაფერი ნებადართულია. მოთხრობაში „შენც ისე, როგორც ყველა“, ისევე როგორც კამიუს „უცხოში“, ქალაქური ატმოსფერო — მკვდარი და ცივია, „ცივი, როგორც უნაყოფობა“ (გიიომ აპოლინერის გამოთქმა).

„უცხოსთან“ ლიტერატურული პარალელები, ასოციაციები ლაშა იმედაშვილის მოთხრობის კითხვისას ჩნდება, მაგრამ ეს არ გულისხმობს ამ ახალგაზრდა ავტორის მოთხრობის ეპიგონურობას. ლაშა იმედაშვილთან ეს გავლენა, თუ იგი არსებობს, და მე ვფიქრობ, რომ არსებობს, ზედაპირზე არ ჩანს, ღრმადაა შეტანილი ნაწარმოების სტრუქტურაში და გათავისებულია და გადამუშავებულია შემოქმედებითად...

მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, ბიჭი, დროის მხოლოდ ორ განზომილებაში ცხოვრობს. ეს არაორგანზომილებადაა გამოტანილი და მინიშნებული თვით მოთხრობის დასაწყისშივე: „მოქმედების დრო: დღეს და გუშინ“. ბიჭს მიაჩნია, რომ არა აქვს ხვალინდელი დღე. ამიტომ არსად არ ეჩქარება. მას არავინ არ ცნობს. ზოგმა მიიგიწყა, ზოგმა მიატოვა და ზოგმა შეაჩვენა. ამ ბიჭს, ისევე როგორც ირაკლი სამსონაძის მოთხრობის მთავარ პერსონაჟებს, გიას და ანუკას, ეჩვენება, რომ ის რაც იყო, შესაძლოა, არც იყო, შესაძლოა, მისი წარსული, მისი გავლილი ცხოვრება არც არსებობდა და მხოლოდ ზმანებას და მოჩვენებას წარმოადგენდა („თითქოს ვიღაცას ვესიზმრებიო... ისე, შეორე დღეს რომ არ გამახსოვრდება, იმ სიზმრისეული ბოდვარ“, — ეუბნება ანუკი თავის მეგობარს, ლიკას. „იყო კი... იყო საერთოდ (ცხოვრება — ა. მ.), თითქოს სხვა ადამიანს გადადგა ყველაფერი“...). ბიჭს ლაშა იმედაშვილის მოთხრობაში ენატრება ბავშვობა, — „დრო, როდესაც ყველაფერი ჭკნება. დრო, როდესაც ყველა გვერდით ბავდა“... მოთხრობაში ყველაფერი გაჩერებულია, ყველაფერი სტატიკაშია. რადგან ბიჭის ცხოვრებაში არ არის მომავალი, არ არის ხვალინდელი დღე, ამიტომ არ არის განვითარებაც. ამ სტატიკურ მზატვრულ სამყაროში, რომელსაც ლაშა იმედაშვილი შეგნებულად და დამაჯერებლად ქმნის, ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს და აბსურდად იქცევა ჰერაკლიტეს ცნობილი გამოთქმა: „სამყაროში ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი მიედინება“: „რიცხვი არ არსებერსებდა. არც თვე. დღე მითუმეტეს. არაფერი იცვლებოდა. ოთახში თუ შეცვლილიყო რამეს. ყველაზე თამაში. სიტყვები თუ გადაადგილდებოდა ათასში ერთხელ. ეს იყო და ეს. მეტს არ დაუშვებდა ქალაქი არაფრით. ქალაქმა იცოდა, ვერავინ გამონახავდა გამოსავალს. რადგან ყველას ერთი გზა ჰქონდა“.

ერთადერთი, რაც ამ მოთხრობის მზატვრულ სამყაროში ცოცხლობს, მოქმედებს, — ქალაქია! იგი ავტორის მიერ პერსონიფიცირებულია. ქალაქი უფრო რეალურ, ცოცხალ არსებად აღიქმება, ვიდრე — ადამიანები, ვიდრე ეს ბიჭი ამ ქალაქში, რადგან ქალაქს მოიპოვება ხაარსებო, „სასიცოცხლო წყარო“ — იგი ადამიანების, ცალკეული ინდივიდუალობებისა და პიროვნებების, მათი ადამიანური ბუნებისა და თავისუფლების გაუქმების ბარჯზე „იკვებება“. ქალაქის მიზანია, ბიჭსაც წაართვას საკუთარი სახე. საკუთარი აზრები. და სხვებივით ისიც შტამპური, სტერეოტიპული, საყოველთაო აზრებისა და შეხედულებების მატარებელ ნიველირებულ არსებად აქციოს:

„ამოჩემებმა იცოდა ქალაქმა საშინელი. უსამართლო ამოჩემება. დაუშსახურებელს გაუღიმებდა. ჩაიხუტებდა. დამსახურებულს მიატოვებდა, ჯურგს მიუშვერდა. გაკორავდა. ცვლილებებს უცემ გრძნობდა. მცირესაც კი“. გამგები არ ჩანდა არავინ“.. „... ნარჩენი იყო მხოლოდ. ნარჩენი კი სხვაგვარად ხედავდა. ზოგჯერ ვერ ხედავდა. ვეღარც აღიქვამდა. აღარაფერი ანშიდდა. აღარაფერი უკვირდა. თვითონ ნაცრისფერს, ნაცრისფერი ეგონა სხვაც. ინერტული კაცი გახდა. მოკლედ სხვა. ისეთი, როგორიც ყველა. ქალაქმა დაიმსგავსა“... მაგრამ ბიჭი გადაწყვეტს გადარჩენს. „ხელახლა დაიბადოს“. თავისი თავი იპოვოს და თავის თავს დაუბრუნდეს, განთავისუფლდეს წამლის, სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურის, გარეშოს ტირანიისა და მონობისაგან... მთელს მოხრობას შინაგან ანბობნი, პროტესტი ქალაქის უშინაარსო, გამოფიტული, ყალბი, სულიერად ცარიელი, ფილისტერული საზოგადოების, როგორც ტრაული გარეშოცვის მიმართ, რომლისთვისაც არაფერს არ წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანის უდანაშაულოდ გაწირვა: „ტუუულ-უბრალოდ შეუძლიათ კაცის მოკვლა. დაუნდობლები არიან. სუუვლა“... „უსახოები არიან... თვისებების გარეშე“. ეს „უთვისებო კაცები“ (რ. მუზილი) სწორედ არაპუმანური, არასწორი ოჯახური და სასკოლო აღზრდის ტიპიური „პროდუქტები“ არიან. ლაშა იმედაშვილი ბატავს სასტიკ, უმოწყალო, დაუნდობელ, „მოღალატე“ სამყაროს, რომელშიც თვით მამაც „ბრალია“ შვილის გაძეცემად ქცეულა. გავიხსენოთ, როგორ მოტყუებით მიიყვანს მამა მილიციაში შვილს და დაჭერინებს... წლების მანძილზე, ციხის კედლებში გამოკეტილ ბიჭს კიდევ უფრო უსლიერდება „სულიერი უბინაობისა“, „მიტოვებულობისა“ და გამოუვალობის განცდა. მამის მიერ შვილის გაწირვა და მიტოვება ჩვენს წარმოსახვაში ერთგვარ მბატვრულ განზოგადებას იძენს: შვილი ისევე მიუსაფარი, „უპატრონო“ და მიტოვებულია მამის მიერ, როგორც ქალაქი (სამყარო) — ღმერთის (დიდი მამის) მიერ. „მშვენელი არ ჩანდა. არავინ. არც საშეილი. მარტო დარრ“. ლაშა იმედაშვილის მოთხრობაში ნაჩვენებია, როგორ კვდება ადამიანი თავისი თავისთვისაც. როდესაც ის მთელი დანარჩენი სამყაროსთვის „უჩინარდება“.

მამა-შვილს შორის დრამატული ურთიერთობისა და ურთიერთგაუცხობების, მარტოობისა და მარტოობისაგან თავდასხნის ძიების მოტივები გასდევს ზურაბ სამადაშვილის მოთხრობასაც („წრე“).

„ძალიან მარტო ვარ“.

„ყველა მარტოა, ჩემო გურჯი, ყველას თავისი გასაჭირი აქვს“.

„მერე, ძმაო, — მეცინება, — ერთად უფრო ადვილი არ არის?“.

„ორი მარტოობა ერთად უფრო დიდი მარტოობაა“

„გავცილდები (ცოლს — ა. მ.) და აღარ იქნება დიდი მარტოობა“, — აი, ერთი დამახასიათებელი დიალოგი მოთხრობის მთავარი პერსონაჟის, გურჯისა და ვაჟას საუბრიდან. „წრეში“ გამოხატულია სამყარო, რომელიც სიყვარულმა მიატოვა, სამყარო, რომელშიც მცხოვრებ ადამიანებს გულები დაშრეტიათ ერთმანეთის სიყვარულისაგან, და მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისაკენ მიილტვიან, რათა მარტოობის მტანჯველი გრძნობა დაამარცხონ, ჭეშმარიტი სიყვარულის გარეშე ყველაფერი და ყველანაირი ურთიერთობა უხმო, ვუფარგულ, მდაბალ და ზოგჯერ პათოლოგიურ ფორმებსაც კი იღებს. სადაც სიყვარული არ არის, იქ არც ჭეშმარიტებაა და ამიტომ „წრეში“ გამოყვანილი პერსონაჟები, ჭეშმარიტების გზიდან გადაცდენილნი, წრეში დადიან, წრეში იმყოფებიან. წრეში კი მხოლოდ ქაოსური და ანარქიული ცხოვრებაა. ეს ადამიანები მანამდე იქნებიან წრეში ჩაკეტილნი და მანამდე ვერ დაალწევენ მის სატანურ სიერცეს თავს, ვიდრე მათ ცხოვრებაში ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული არ მოვა, ვიდრე ისინი „სულით არ აღიავსებიან“... „წრეში“, აგრეთვე ალმანახში წარმოდგენილ დანარჩენ მოთხრობებში გამოხატული სამყარო და ადამიანები ამ სამყაროში შეიძლება შემდეგი სიტყვებით დავახასიათოთ, და, ვფიქრობ, ეს ამ სამყაროსა და ამ ადამიანების ზუსტი დახასიათება იქნება:

ფუდეთონი, ბიწიერნი და ცოდვილნი წრეში („ცუდ უსასრულობაში“) დადიან, რადგან ასეთია მათი ცდომილების გზები (ავგუსტინე).

„მათ თვალწინ ღმერთის შიში არ არის“. „ნგრევა და უბადრუკობაა მათ გზებზე“. „და მშვიდობის გზა არ იციან“. „მათ არა აქვთ რწმენის ფარი, რომლითაც შეეძლებათ ბოროტების გავარვარებული ისრების ჩაქრობა“ (პავლე მოციქული)...

მოთხრობის კონცეფციის „თვითდახასიათება“ შეიძლება ამოვიკითხოთ „წრის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, მერაბის სიტყვებში:

„დაჭიპნოზებულები ვართ. ჭალუცინაციაა ყველაფერი. არაფერი არ არსებობს. რეალობა გვეხოვნებინასთვის“... „ყველაფერი ერთმანეთშია არეული. ყველგან ქაოსია. ხაზღვრები და ზომები არ არსებობენ“... „ყოველი ქვეყანა იმ დღეშია, რა დღეშიც მისი ინტელიგენცია“... „ყველაფერმა ფასი დაკარგა“...

ზურაბ სამადაშვილის მოთხრობა ფორმითაც და შინაარსობრივადაც რთულია. ოღონდ ამ სირთულეში ავტორსაც „მიუძღვის“ წვლილი. ეს მოთხრობა „წრე“. რომელშიც არა მარტო შინაარსობრივად, არამედ ფორმითაც უნდა გამოხატულიყო ავტორის ჩანაფიქრით წრის, ჩაკეტილობის, გამოუვალობის და ამ გამოუვალობაში — ქაოსის შთაბეჭდილება, ფორმის ნბრივ, ხელოვნურად გართულებული მოგეჩვენა. „შინაარსიდან“, რომლის გამოხატვაც შეადგენდა ავტორის მიზანს, თავისთავად, ბუნებრივად არ ჩნდება „ფორმა“. ბოლო, თავის მხრივ, „ფორმაც“ ამის გამო ბუნებრივად ვერ გადადის „შინაარსში“. ცალკეულ ადგილებში მაინც, ჩნდება „ფორმისა“ და „შინაარსის“ მკვეთრი გათიშულობის შეგრძნება. ეს ნაკლი აქვს ქეთი ნიკარაძის მოთხრობასაც. მაგრამ მას შვილის ავტორის თითქმის ექსტაზამდე მისული, ჭრილობებამდე გაშიშვლებული გულწრფელობა, რასაც მის არათანაბარი მბატვრულობით დაწერილ მოთხრობაში ერთგვარი სინედლე, გულუბრყვილობა და ბუნებრიობა შეაქვს, თუმცა ისიცაა გასათვალისწინებე-

ლი, რომ ზურაბ სამადაშვილი უფრო რთულ მასალას უნდა მორეოდა. აქედან, როგორც ოვიდიუსი იტყოდა, „მასალამ დაჯაბნა ოსტატი". მაგრამ მთლიანი შთაბეჭდილება, ამ ნიჭიერი ახალგაზრდა ავტორის ნაწარმოებიდან მიღებული, იმის გარანტიას იძლევა, რომ იგი მომავალში მკითხველის წინაშე უფრო საყურადღებო მხატვრული ნაწარმოებით წარსდგება.

* * *

ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებებში იკვეთება მათივე თანატოლი პერსონაჟების თაობა, რომელთა ნევროზების, სულიერი ტკივილების უმთავრეს წყაროს, ჩემი აზრით, შინაგანი სიცარიელე წარმოადგენს. ვეცნობით ისეთ პერსონაჟებსაც, რომელთაც „თვი ცოდნით აქვთ სავსე", განათლებულნი, ინტელექტუალურნი, მოაზროვნენი არიან, მაგრამ რომელთა სულებშიც სიცარიელეა, ვაკუუმია, უდაბნოა. მათ დაკარგული აქვთ სიხალისის, აღმაფრენის, სილაღის, სიცოცხლის ზეიმურობის, მომალლისაკენ სწრაფვის, „წინ" მოძრაობის, აქტიური მოქმედების ენთუზიაზმი და ყოველისმომცველი, განუწყვეტელი მოწყენილობა, ერთგვარი მეტაფიზიკური დარდიანობა და სევდა დაპატრონებიათ. სევდა კი, მოგეხსენებათ, ყველაზე „ფიზიკელი" და, ამავე დროს, ყველაზე მკაცრი და სასტიკი განწყობილებაა, რომელშიც ზუსტად ვფიქსირებთ იმ ადგილს, სამყაროში რომ გვიჭირავს, — ჩვენს რეალურ, ნამდვილ მდგომარეობას, — ჩვენს „მიტოვებულობას". ამოებას, „სულიერ უბინაობას", შემადრწუნებელ შიშს საკვდილის, მოსალოდნელი არყოფნის წინაშე, როცა უმაღლესი ფუნქციონალური საყრდენები არ გაგვაჩნია. ეს მხატვრულადაა გამობაღული ირაკლი სამსონაძის მოთხრობაში „ბედნიერი ბილეთი". შეიძლება ითქვას, რომ სევდა, მოწყენილობა ამ მოთხრობის მთავარ პერსონაჟებს წარმოადგენს. სევდა და მოწყენილობაა აქ ყველგან — პერსონაჟთა სულებშიც, ოჯახებშიც, ქუჩებშიც, სასაფლაოებზეც, სამსახურებშიც... სევდას, მოწყენილობას, რომელთა უმთავრეს წყაროს სწორედ შინაგანი სიცარიელე შეადგენს, პერსონაჟები ვერაფერით ვერ ამარცხებენ, ვერ თავისუფლდებიან მათგან, თუმცა საამისოდ უამრავ საშუალებას მიმართავენ, — აკაც და ახალგაზრდა ავტორების ჩვენს მიერ განხილულ დანარჩენ ნაწარმოებებშიც — სმას, ნარკოტიკს, „ფსიქოდელურ" ექსტაზებს, სექსს, მოგზაურობას... მაგრამ ყოველივე ამას მხოლოდ დროებითი დაკმაყოფილება ახლავს თან, რასაც გარდუვალად კვლავ მოწყენილობა და სიცარიელე მოსდევს. არც გიას, არც ლიკას, არც ანუკის („ბედნიერი ბილეთი") არ გააჩნიათ ის ერთადერთი, მხსნელი „სულიერი წამალი", რომლითაც ამ გაუსაძლისს, საშინელ დაავადებას — სიცარიელეს, — ოდამარცხებდნენ (ერთ-ერთი პერსონაჟის თვითაღიარებით, ისინი „უსასრულოდ შორს არიან ადამიანისგან" და მათი ყველა უბედურებაც სათავეს აქედან იღებს). გიას ერთფეროვან ცხოვრებაში ჩნდება „კედელი", რომელსაც ხშირად უყურებს ხოლმე სევდიანი ფიქრებისა და მოწყენილობის ბადეში გახლართული, თავის ოთახში წამოწოლილი. ეს პასაჟი ნაწარმოებში პერიოდულად მეორდება და მკითხველის ალქმაშიც იგი წარმოსდგება უკვე არა მარტო როგორც გიას ოთახის ჩვეულებრივი კედელი, არამედ კედელი — როგორც ზღუდის, ჩაკეტილობისა და გამოუვალობის ხატი, რომელსაც გია ქვეცნობიერად გრძნობს, რომ ვერასოდეს გადალახავს, ვერ გადაბიჯებს, რომლის იქით აღარ არსებობს წინსვლა, მოძრაობა, ქმედება... ირაკლი სამსონაძის მოთხრობაში პერსონაჟთა უმრავლესობას ის ადამიანები შეადგენენ, რომელნიც ყოველგვარი სულიერი ტკივილების, ძიებების, დრამების გარეშე მიჰყვებიან ცხოვრების დინებას, იმ გზას, რომელსაც თვით ცხოვრება სთავაზობთ. ისინი მშვიდად, აუმღვრევლად, უშფოთველად ატარებენ დღეებს და სრულიად კმაყოფილნი არიან არსებობის იმ ფორმით, რისგან თავდახსნას, რის „დაძლევასაც" გია, ანუკი, ლიკა მიელტვიან... ჯუტალა, ვანიკო, არჩილი და მათი მსგავსნი, რომელთაც მოთხრობაში ვეცნობით, შეგუებულნი არიან იმ ვითარებას, რომელშიც იმყოფებიან. ისინი სავსებით ბუნებრივად იღებენ იმ ფაქტს, რომ გადაკვეთილნი არიან ყოველდღიურ ყოფაში; მათთვის არ არსებობს ოცნებებსა და სინამდვილეს შორის ის ტრაგიკული შეუსაბამობა, რაც გიას, ანუკის, ლიკას აწუხებთ. ისინი სოციალურ ყოველდღიურობაში ისევე თავისუფლად და ძალდაუტანებლად გრძნობენ თავს, როგორც თევზები წყალში. სრულიად გულგრილნი არიან საზოგადოებრივი ბედისადმი. მთლიანად არიან ამოსულნი საკუთარი თავიდან და „უდანაკარგოდ" გათქვეფილნი სოციუმში, ერთმანეთში. ამიტომ მათ არც მარტოობის გრძნობა აწუხებთ, არც სულიერი კონფლიქტები, არც სევდა, არც მოწყენილობა და არც მტანჯველი სიცარიელე. ჯუტალა, ვანიკო და მისთ. სტოვენენ ინფანტილური არსებების, წამოზრდილი ბავშვების შთაბეჭდილებას, რომელთა განვითარება, სულიერი, გონებრივი ზრდა ცხოვრების რაღაც ეტაპზე შეჩერდა, შეწყდა. მათი ზოგჯერ შუოს კიდეც გიას, რომელიც ღრმა შინაგან წინააღმდეგობაში იმყოფება სოციალურ გარემოსთან, საკუთარ ბედთან, თუმცა გიას წინააღმდეგობა, უკმაყოფილება თავისი ბედითა და სინამდვილით, აქტიურ პროტესტში არასდროს გადაიზრდება და პროტესტი, ამბოხი ყოველთვის სიტყვიერი, აბსტრაქტული ამბოხის დონეზე რჩება. გიაც ჩვენს მიერ განხილული მოთხრობების მთავარი პერსონაჟების მსგავსად სოცი-

ალური გარემოსა და ბედის „დაძლევისა“ და გარდაქმნისათვის კი არ იბრძვის (ეს ბრძოლა იმთავითვე განწირულად, ფუჭად, უპერსპექტივოდ მიჩანია), არამედ სოციალური გარემოსგან „შინაგან ემიგრაციაში“, სულიერ იზოლირებაში „გადასახლებას“ ამჯობინებს. ასეთნაირად ცდილობს გია მისთვის მიუღებელ სინამდვილეზე ამაღლებას. მაგრამ მიზანს ვერ აღწევს, კმაყოფილებას არსებობის ასეთ ფორმაშიც ვერ პოულობს და მისი ადამიანური არსებობის ტრაგიკულობაც საკუთარ ბედზე, ცხოვრებაზე, სინამდვილეზე ამაღლების ამ მიუწვდომლობაშია. ირაკლი სამსონაძე, ასევე დანარჩენი ახალგაზრდა ავტორები, თავიანთი ნაწარმოებებით თანამედროვე ადამიანის ამ მარადიულ მისწრაფებასა და ლტოლვას გამოხატავენ...

* * *

ლაშა იმედაშვილის მოთხრობის — „შენც ისე, როგორც ყველა“ — დასასრულს „ბიჭი მაინც აგრძელებს გზას. წყვალებით მიდის ლაბირინთში... ობლად“... ამ ბიჭთან ერთად — მოძღვრის, წინამძღოლის, მფარველის, გზისმკვლევის, საყრდენის გარეშე — ობლად მიუყვება გზას ლაბირინთში მთელი თაობა — ირაკლი სამსონაძის „ბედნიერ ბილეთშიც“, ზურაბ სამადაშვილის „წრეშიც“ ქეთი ნიფარაძის „ავტოპორტრეტშიც“, კოტე ჯანდიერის „საოჯახო ქრონიკაშიც“. ახალგაზრდა ავტორები წრეში, კედელში, ლაბირინთში ამ საშყაროს პესიმისტურ ხატს ხედავენ. მაგრამ, ჩემი მხრიდან დავსძენ, რომ ლაბირინთი, ამავე დროს, ოპტიმიზმის ხატს, საკუთარი თავისადმი რწმენისა და ცხოვრებისეული ლაბირინთიდან გამოსვლის შესაძლებლობის სიმბოლოსაც წარმოადგენს, რადგან ლაბირინთს კარიც, ე. ი. გამოსასვლელიც აქვს, ხოლო თუ არსებობს გამოსასვლელი, მაშინ, არსებობს მომავალი, არსებობს „წინ“, არსებობს ი ნ ე დ ი, რომ შესაძლოა, ლაბირინთს ოდესმე დაალწიო თავი. ასეთნაირად დაიძლევა ახალგაზრდების შემოქმედებაში უიმედობა, უმომავლობა და მათ პერსონაჟთა არსებობის დროის ორ განზომილებას — აწმყოსა და წარსულს მესამეც — მომავალიც ემატება, „დღეს“ და „გუშინ“-თან ერთად ისახება „ხვალ“, ჩნდება „ხვალინდელი დღე“...

უნდა აღინიშნოს, რომ „სათავე“-ში შესული ახალგაზრდა ავტორების, ნაწარმოებები ჩვენი საზოგადოების „კრიზისის“, „შეჩერების“, „გაყინვის“, „სულიერი და სოციალური კოროზიის პერიოდში“ (მ. ს. გორბაჩოვის ფრაზებია) იწერებოდა და ახალგაზრდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავიანთი წინამორბედი, უფროსი და ხაშუალო თაობის მწერლების მსგავსად გაბედულად, შეუფარავად, დამაჯერებლად, სოციალური კრიტიკიზმითა და შინაგანი ამბოხით გამოხატეს თავიანთი ნაწარმოებებით სწორედ ეს კრიზისული, „კოროზიული“ ვითარება, როგორც სულიერ, ისე სოციალურ-საზოგადოებრივ ფენომენად. ეროვნული ეროვნული (მე აქ აღარ შევჩერდები, რა მძაფრადაა ნაჩვენები ახალგაზრდების შემოქმედებაში ინტელიგენციის უაღრესად მძიმე სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა, — ეს ცალკე წერილის თემაა)...

როგორია, მოკლედ რომ დავახასიათოთ („შევაჯამოთ“) ის სინამდვილე, ის სიტუაცია, რომელშიც ოთხმოციანი წლების ლიტერატურული პერსონაჟები ცხოვრობენ და როგორია ამ სინამდვილეში მათი ბედი, მათი მდგომარეობა?

ამ სინამდვილის ყველაზე შესატყვისი, ზუსტი ეპითეტი იქნება არა „ამაღლებული“, არა „ბეროიკულ-გმირული“, არა „პოეტური“, არამედ (ბედელის ტერმინოლოგიით) პ რ ო ზ აუ ლ ი, ხოლო თანამედროვე ადამიანის მდგომარეობა ამ პროზაულ სინამდვილეში — კრიზისული, პრობლემატური. „პროზაული სინამდვილის“ უმთავრეს ნიშანს კი წარმოადგენს მარტოობა და გაუცხობა ყველასა და ყველაფრის მიმართ (ღმერთისადმი, ბუნებისადმი, წინაპრებისადმი, მშობლებისადმი, ავტორიტეტებისადმი, იდეალებისადმი, მომავლისადმი, აქტიურობისა და ქმედებისადმი და ა. შ.)... თანამედროვე სინამდვილე შინაგანად ღრმა კატასტროფულია და იგი თავის თავში პოტენციურად შეიცავს შესაძლებლობას იდეალურისა და ამაღლებულის, რომანტიკულისა და პოეტურის კრიზისისა და გაუფასურებისათვის, მეტიც, შესაძლებლობას — მათი დაღუპვისათვის!

სულიერი ცხოვრება და პროზაული სინამდვილე სრულ შეუსაბამობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. ამ სინამდვილეში სულ უფრო ცოცა ადგილი რჩება თვით იმ სილამაზისა და მშვენიერებისთვისაც კი, რომელსაც ხელოვნება გამოხატავს. შიშველი სარგებლიანობის, უტილიტარიზმის, ჰედონიზმისა და პრაგმატიზმის კულტი, „მეშჩანური“ ინტერესების ბატონობა სულის უმაღლეს ინტერესებზე ჩვენი კრიზისის რეალურ გამოხატულებას წარმოადგენს. დღეს ადამიანი სულ უფრო და უფრო სცილდება „სულიერ სფეროებს“, რომლებიც მოწოდებულნი არიან სწორედ მშვენიერების, ამაღლებულის, პოეტურის გამოსახატავად, რადგან იგი ამაღლებულს, რომანტიკულს, იდეალურს, მშვენიერს თითქმის ვეღარ ხედავს, თავის ცხოვრებაში ვეღარ პოულობს. „პროზაულ ცხოვრებას“, აბსურდს ახალგაზრდა პროზაიკოსები, საერთოდ, თანამედროვე მწერლების უმრავლესობა, ასევე „აბსურდიო“, „პროზაული ტონებიო“, „კრიზისული ცნობიერებიო“ გამოხატავენ, მაგრამ არათუ მკითხველი, თავადაც კი ვერ თავისუფლდებიან „აბსურდის“, „პროზაულობისა“ და „კრიზისის“ შეგრძნებისაგან, შემოქმედებითადაც კი ვერ

ახერხებენ მათ დაძლევას, მათგან განთავისუფლებას. ასეთი ლიტერატურა კვალდაკვალ მიჰყვება თავის თანამედროვე ცხოვრებას, რომელსაც შეუფარავი, მკაცრი „რეალიზმით" გამოხატავს და მის ზუსტ ლიტერატურულ „კარდიოგრამას" გვიჩვენებს. მაგრამ ლიტერატურა არა მარტო კვალში უნდა მიჰყვებოდეს და გამოხატავდეს ცხოვრებას, ერთი ნაბიჯით მაინც უნდა უსწრებდეს მას. (ის უნდა ცდილობდეს „პროზაიულ სინამდვილეში" იდეალური, პოეტური და არაპროზაული შინაარსის „აღმოჩენას", შენარჩუნებასა და განვითარებას). ამ ამოცანის შესრულებას კი მხოლოდ ის პოეზია, ის პროზა, ხაერთოდ, ის ხელოვნება შეძლებს და განახორციელებს, რომელსაც კავშირი ექნება იმ ღვთაებრივ ძალასთან, რომლის შესახებაც ილია წერდა:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვფიდეგ წინა ერსა", — პოეტის, მწერლის დანიშნულებაა ხალხს, ერს წარუძღვეს წინ, ჭეშმარიტი გზა დაუსახოს მას ჭეშმარიტი ცხოვრებისაკენ, მაგრამ, გარდა ამისა, აქ არის კიდევ ერთი მომენტი, რაზედაც, რამდენადაც ვიცი, არასოდეს არ გაგვიმახვილებია ყურადღება, მაშინ როდესაც ეს მომენტი უმნიშვნელოვანესია ილიას „პოეტში" (აქ არა მარტო საკუთარი, არამედ ყველა ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედებითი, „სამოქმედო" პროგრამაა მოცემული):

ილიას ამ ლექსის ქვეტექსტიდან გამომდინარე, ერის, ხალხის წინ წაძღოლას მხოლოდ ის პოეტი, ის შემოქმედი შეძლებს, ვისაც უშუალო, „ინტიმური", შინაგანი კავშირი ექნება ღმერთთან; წინაადმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ღმერთთან კავშირის გარეშე, ისეთივე „მიწიერი" და ჩვეულებრივი იქნება მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები, როგორც ის ხალხი, რომლის წინ წაძღოლას მხოლოდ ღმერთთან მოლაპარაკე, ღმერთთან კავშირის მქონე შემოქმედი შეძლებს. მწერალმა მხოლოდ მაშინ შეიძლება იდეალდან ჭეშმარიტება (რომელიც ჩვეულებრივ მოკავდავთათვის, ხალხისათვის დაფარულია, უცნობია), მხოლოდ მაშინ შეძლებს თავის თანამედროვეთათვის, თავისი ხალხისათვის ტანჯული ცრემლის მოწმენდას, თუ პოეტი, შემოქმედი ღმერთსა და ხალხს შორის ღვთაებრივი ხმის, ღვთაებრივი ჭეშმარიტების მედიუში (შუამავალი) იქნება!

ახალგაზრდების შემოქმედებას, საერთოდ, თითქმის მთელს დღევანდელ ქართულ ლიტერატურას, რამდენადაც მე ვიცნობ, უპირატესად სწორედ ეს „კავშირი" აკლია ღვთაებრივ, ტრანსცენდენტურ ძალასთან. პირველ რიგში, ალბათ ამით უნდა აიხსნას, ის გარემოება, რომ თანამედროვე ლიტერატურას ძირითადად დაკარგული აქვს ის „ღვთიურობა", ის „რელიგიურობა" ის „სულიერება" და „იდუმალება", რის გარეშეც, პირველ ... ...

ლების შემდეგ კიდევ. უფრო აუტანელი და კატასტროფული ჩანს. — სასტიკი და გამანადგურებელი! ასე რომ, ვერც ერთი პერსონაჟი ჩვენს მიერ განხილული მოთხრობებიდან, ნამდვილი ცხოვრებისა და სულიერების შემცველი სუროგატების მეშვეობით ცხოვრებაში ჭეშმარიტ თვითდამკვიდრებასა და თვითრეალიზებას ვერ აბერებს.

ახალგაზრდა ავტორთა პერსონაჟების ოცნებებსაც კი ადარ ეთქმის ოცნებები! ოცნება მათ ველარ უხსნის მიუწვდომელ, ცისფერ შორეთს. მათ სამყაროში თვით იდეალები, ოცნებები, ცაც კი განაცრისფრებული, გაბანალურებული და „გაუკავსფრებული“.

ხოლო რა შეიძლება უკეთ ლაპარაკობდეს ადამიანის, პიროვნების დეგრადირებასა და „დაპატარავებაზე“, თუ არა ოცნებებისა და იდეალების გაბანალურება და „გამიწიერება?!

* * *

გარკვეული ტიპოლოგიური მსგავსებაა ახალგაზრდა პროზაიკოსებს შორის სტილისტიკის თვალსაზრისითაც. რადგან ისინი „გაუცხოებულ“ სამყაროს გამოხატავენ, ცდილობენ გაუცხოებისა და გათიშულობის ატმოსფერო და სიტუაცია სტილისტურადაც „დაფიქსირონ“. ამიტომაც მათი ნაწარმოებები უპირატესად მოკლე და „მშრალი“, ერთმანეთისგან „გათიშული“ და „თავის თავში ჩაკეტილი“ წინადადებებისგან იგება. ერთნაირად მოკლე, „ერთფეროვანი“, წინადადებებით თხრობა მეტწილად მონოტონური, მომბეზრებელი და „დამღლელია“ კი, რათა ამით მკითხველს, გამოხატული სინამდვილისაგან „დაღლილობის“, მისდამი უარყოფითი დამოკიდებულობისა და უარყოფითი რეაქციის გრძნობა შეეკმნას, ანალოგიური იმ გრძნობისა და რეაქციისა, რაც თავად პერსონაჟებს გარეშემოცველი სინამდვილისა და ცხოვრების მიმართ გაჩნიათ. ალმანახში წარმოდგენილი ახალგაზრდა პროზაიკოსების პროზა შეიძლება მოკლედ დახასიათდეს, როგორც პროზა „წერის, ნულოვანი გრადუსით“ (რ. ბარტი). (ეს განსაკუთრებით ითქმის ლაშა იმედაშვილის, ირაკლი სამსონაძის, ზურაბ სამადაშვილისა და კოტე ჯანდიერის შესახებ).

როგორც ზემოთ დავახასიათეთ, სინამდვილე, რომელშიც ჩვენთვის უკვე ნაცნობი პერსონაჟები ცხოვრობენ, პროზაულია. პროზაულ სინამდვილეში მცხოვრები ადამიანების მეტყველება, ენა, ბუნებრივია, რომ ამალლებული და პოეტური ვერ იქნება. ენა, მეტყველება, მოგეხსენებათ, ადამიანის „პრაქტიკული ცნობიერებაა“, მისი სული, ბუნება, ხასიათის გამომხატველია. ახალგაზრდა ავტორებიც მეტყველების ამ თვისებას აქტიურად იყენებენ პერსონაჟების ხასიათისა და ბუნების წარმოსაჩენად. პერსონაჟთა მეტყველების ინდივიდუალიზაციის, ყარგონების, ვულგარიზმების, უხეშში გამოთქმებისა და მისთ. მეშვეობით ერთმარტო მათი მატარებლების ხასიათს, აზროვნების თავისებურებებს, მისწრაფებებსა და ინტერესებს, იმ სოციალურ ფენასაც ვგებულობთ და ვეცნობით, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და წარმოადგენენ. მაგრამ, ცხადია, პერსონაჟთა ვულგარული, ყარგონულ მეტყველებასთან არ უნდა მოვახდინოთ ავტორთა მეტყველების გაიგივება, როგორც ამას არცთუ იშვიათად პრიმიტიული, განუვითარებელი ესთეტიკური ცნობიერება ახდენს ხოლმე (თვით ავტორების დამოკიდებულება პერსონაჟთა ასეთი მეტყველებისადმი კრიტიკულია). ყარგონიზმებისა და ვულგარიზმების მხატვრულ-ენობრივ გამომსახველობით საშუალებათა არსებულში ჩართვა უარსაყოფი კი არა, მისასალმებელია, როდესაც ის მოტივირებული და პერსონაჟთა ხასიათიდან გამომდინარეა, როდესაც მაღალ ესთეტიკურ სიმაღლემდეა აყვანილი, როდესაც მხატვრულად გათავსებული და გადამუშავებულია, რასაც, ბუნებრივია, ჯერ კიდევ ყოველთვის პროფესიონალურად და ოსტატურად ვერ ახერხებენ ახალგაზრდა ავტორები, ყოველთვის ვერ იცავენ მათ გამოყენებაში მხატვრულ ზომიერებას, ყოველთვის ვერ აღწევენ ამ მხრივ მხატვრულ-ესთეტიკურ ეფექტს...

ალმანახში წარმოდგენილი ავტორების კიდევ ერთ ტიპოლოგიურ მსგავსებასა და თავისებურებაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. მათ მხატვრულ ტექსტებს შეიძლება პირობითად ვუწოდოთ „შემკეთხველი ტექსტები“, რომლებიც არაერთ აქტუალურ კითხვას სვამენ მკითხველის წინაშე და მას აქტიური თანაშემოქმედებისა და აზროვნებისათვის იწვევენ. მაგრამ მკითხველი, თუ მოიწადინებს, ამაოდ დაიწყებს თვით ტექსტებში ამ კითხვებზე პასუხების ძებნას,—რადგან ეს პასუხები არ მოეპოვებიან არა თუ მხოლოდ პერსონაჟებს, არამედ თვით მათ ავტორებსაც. ახალგაზრდა ავტორებისა და პერსონაჟების წინაშე სიცოცხლე, ცხოვრება, ხაძაყარო წარმოსადგება როგორც დიადი საიდუმლოება, როგორც დიადი გამოცანა, როგორც შეკითხვა, რომელზედაც პასუხი მათ ჯერ არ მოეპოვებიან („არ არსებობს არცერთი ადამიანი, — აცხადებს ერთ-ერთი პერსონაჟი („ავტოპორტრეტი“), — რომელიც შენს კითხვებზე პასუხის გაცემას შეძლებდა, ან თუ გიპასუხებდნენ, ისეთ სისულელეს გეტყოდნენ, რომ ჯობდა სულ არ გეკითხა“.... „ეს ჩემი „მე“-თი შობილი კითხვები იყო და ისეთი მდგომარეობა სულისა... რომელმაც შეიძლება დაგლეკოს, თუ პასუხს, გამოსავალს ვერ ნახავ“).

ამრიგად, ახალგაზრდა ავტორების და პერსონაჟებისათვის მთელი სამყარო და ადამიანი ამ სამყაროში მხოლოდ პრობლემატური სახით არსებობს...

იმ მოთხრობათა მთავარი პერსონაჟები, რო-

მლებზედაც ვისაუბრე, გარკვეული თვალსაზრისით, ახლოს დგანან თვით მათსავე ავტორებთან. ახალგაზრდა ავტორები „ობიექტივირებენ", ანზოგადებენ თავიანთ თავს თავისსავე პერსონაჟებში. ეს პერსონაჟები — თაობის გამომხატველი მხატვრული სახეები, უფრო ზუსტად, იმავე ინტელიგენტური გარემოს გამომხატველი მხატვრული სახეები არიან, რომელსაც თვით ავტორები განეკუთვნებიან. მათი ცხოვრებისეული პოზიციაც, ჩემი აზრით, მრავალი ასპექტით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება:

ის საერთო, რაც ყველა მოთხრობის პერსონაჟებს აერთიანებდა და ამსგავსებდა, — მორალური ნების სისუსტე და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის უკონლობაა. ეს, პირველ ყოვლისა, მათ გაორებულობაში გამოიხატება:

მათ ახასიათებთ, ერთის მხრივ, (მთავარ პერსონაჟებს ვგულისხმობ უმთავრესად) დაძაბული, ინტენსიური სულიერი და გონებრივი ცხოვრება, განუწყვეტლივ „ფიქრში ყოფნა", არსებული სინამდვილით მწველ დაუკმაყოფილებლობა, შინაგანი ამბობი და პროტესტის გრძნობა, ნონკონფორმისტულობა, რაც უპირატესად ფიქრებში, ყოველდღიურ საუბრებში ან ბუნებარულ-ისტერიკულ გამოხატომებში ვლინდება;

მეორეს მხრივ, — სრული გარეგნული უმოქმედობა, უინიციატივობა, პასიურობა, სულიერად, გონებრივად აქტიურნი, შეურიგებელნი, უკომპრომისონი, პრინციპულნი და შინაგანად მეამბოხენი, — ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულიად უმოქმედნი, არაბრძოლისუნარიანნი, განზე გამდგარნი, „შინაგან ემიგრაციაში", „გადასახლებულნი", თავის თავში გამოკეტილნი, პრაქტიკულად, ნამდვილი კონფორმისტები არიან. ეს პერსონაჟები, ძირითადად, ჩუში, უჩინარი ცხოვრებით ცხოვრობენ. მთლიანად საკუთარ ეგო-ზე კონცენტრირებულნი, არავის ბედში, არავის ცხოვრებაში აქტიურად არ ერევიან. ახალგაზრდა ავტორების ლიტერატურულ პერსონაჟთა „ჩუში თაობის" პოზიციაც (მხატვრული თვალსაზრისით ისინი ლიტერატურულ „ანტიგმირებს" უფრო წარმოადგენენ, ვიდრე ლიტერატურულ გმირებს), მსგავსად მათივე გარშემომყოფი მდუმარე, განზე გამდგარი, „საქმეში ჩაურეველი" უფროსი თაობის პერსონაჟთა პოზიციისა, პილატეს პოზიციას გვაგონებს (ხოლო ნათქვამია: „ვინც საქმეში ხელს იბანს, ის სისხლში იბანს ხელსს"). ამ პერსონაჟებს ერთმანეთთან ანათესავებთ საზოგადოებრივ-სოციალურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიუღებლობა, უარის თქმა ყველანაირ სოციალურ აქტივობაზე, რადგან მიაჩნიათ, რომ სოციალურ აქტივობას მხოლოდ კარიერისტები იჩენენ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება შეუძლებელია ადამიანური ღირსების თუნდაც გარკვეული „დოზით" დაკარგვის გარეშე. ამიტომ ახალგაზრდა ავტორთა პერსონაჟების ერთი ნაწილი ან საერთოდ ანებებს თავს ყოველგვარ სამსახურებრივ და საზოგადოებრივ-სოციალურ საქმიანობას, ან ბაზგასმულად, დემონსტრაციულად არ მონაწილეობს, არ ერევა მასში (ე. წ. „ჩაურევლობის სნობიზმი"). „სპილოს ძვლის კოშკში" გამოკეტილნი, საკუთარი თავის „სიმაღლიდან" ერთგვარი ქედმაღლურობით გადასცქერიან სოციალურ-საზოგადოებრივ საქმიანობას და იმ ადამიანებს, ვინც ამ საქმიანობაში მონაწილეობენ. ამით ისინი, ერთი შეხედვით, თითქოს პროტესტს გამოხატავენ მდაბალი სოციალური სინამდვილის მიმართ, მაგრამ თავიანთი „ჩაურევლობით", ცხოვრებაში პრაქტიკული, ქმედითი მონაწილეობის მიუღებლობით, თავისდაუნებურად ხელს უწყობენ „ბოროტი ძალების" მიერ ბოროტების განხორციელებას; თავიანთი „დუმილით" ხავსებით იხსნიან საკუთარი თავისაგან პიროვნული პასუხისმგებლობის გრძნობას და ყველა ბოროტებისათვის პასუხისმგებლად მხოლოდ გარემოებებს, სინამდვილეს, სხვა ადამიანებს აცხადებენ. ყველა ბოროტებაში დამნაშავედ „სხვებს" (დროს, ეპოქას, ოჯახს, სკოლას, მშობლებს, მასწავლებლებს და ა. შ.) თვლიან. მათთვის ახლოფელი და გასაგებია კაფკას მსოფლშეგრძნება: „მე გარემოებები მამსხვრევენ!", მაგრამ მიუწვდომელი — ბალზაკის „მე ვამსხვრევ გარემოებებს!", ახალგაზრდა ავტორთა პერსონაჟები ჯერ კიდევ შორს დგანან იმ მაღალი „მორალური ცნობიერებისა" და „მორალური პასუხისმგებლობის" გრძნობისაგან, რაც დიმიტრი კარამაზოვმა მოიპოვა, როდესაც უარი თქვა საკუთარი ცხოვრებისა და სამყაროს მოუწყობლობაში გარემოებებისა და სხვა ადამიანების დადანაშაულებაზე, და გაუჩნდა განმწმენდელი ტანჯვა, პირველ რიგში, საკუთარი, პიროვნული დანაშაულის გამო თავისი თავისა და ყველა დანარჩენი ადამიანის წინაშე, ყველა ბოროტებისა და უკეთურების გამო, რაც კი მთელს მის გარემომცველ სინამდვილეში და სამყაროში ხდება... განა სწორედ ამ მომენტიდან არ იწყება მის სულში „ახალი ადამიანის", „დაბადება", და თავის თავში „ქრისტეს იდეალის" მიღება?!.

ახალგაზრდა პერსონაჟებისათვის არცერთი ადამიანი „მამათა" თაობიდან მისაბაძ ნიმუშს, „დადებით მაგალითს", „მორალურ ავტორიტეტს" ან „თაყვანისცემის ობიექტს" არ წარმოადგენს. და თუ რომელიმე მათგანს ჰყავს იდეალი, ისიც ან უკვე წარსულში არსებობს — გარდაცვლილია (გავიხსენოთ, ზაალ სამადაშვილის მოთხრობაში — „გიტარაზე ამოთქმულ ხრიწწიან სიმღერასავით" — ცხრამეტი წლის გუჯასთვის რას ნიშნავს პაპა — მისი „დიდი სენნია", — როგორ იდეალს, ადამიანობის, ვაჟკაცობის, ღირსებისა და ზნეო-

ბის როგორ ორიენტირს წარმოადგენს იგი მისთვის როგორც ყოველდღიურ ყოფაში, ისე განსაკუთრებულ, ექსტრემალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში... ასეთივე იდეალია ლანა უზნაძისათვის უდროოდ დაღუპული მწერალი — გურამ ქართველიშვილი), ანდა უცხო, შორეულ ქვეყანაში ცხოვრობს. ამის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ის, რაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, — შვილები „მამების", უფროსების თაობას ალიკვამენ იმ სიყალბის, იმ სიცრუის აქტიურ, ან პასიურ („ჩაურეველ") თანამონაწილეებად, მათი გარემომცველი სინამდვილის ღირძად რომ ქცეულა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებაშიც ვერ იქმნება საყურადღებო „დადებითი ლიტერატურული გმირი", რომლის ნაკლებობასაც მწვავედ განიცდის თანამედროვე ქართული ლიტერატურა (რაც — ახალგაზრდების ნაწარმოებების ქვეტკსტიდან გამომდინარე კონცეფციის მიხედვით, — ჩვენს დეკეროიზებულ, პროზაულ, კრიზისულ სინამდვილეში შეუძლებელი ჩანს, რადგან ეს უკანასკნელი არა თუ ვერ წარმოქმნის ხასიათებს, გმირებს, პირიქით, მათ გაქროებასა და ნიველირებასაც კი უწყობს ხელს). მართალია, ჩვენი სინამდვილე ეროზიულია, დეკეროიზებული და კრიზისულია, მაგრამ თვით იმ კრიზისულ, ავადმყოფურ სინამდვილეშიც კი, რომელიც დღეს უკვე ოფიციალურადაც კრიტიკულად, შეუფარავად, მკაცრადაა შეფასებული და გაანალიზებული, და რომელ პერიოდშიც ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებები იწერებოდა, არსებობდნენ, იღვწოდნენ ცალკეული ჭეშმარიტი, ღირსების მქონე ადამიანები, პიროვნებები, როგორც უფროსი, ისე ჩვენი თაობის ოიგებიდან, რომელნიც თვით საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასადაც კი არც სულიერად, არც მორალურად, არც მოკალაქეობრივად, არც შემოქმედებითად, არც სინდისით არ დაცემულან, რომელნიც უველანაირ, — როგორც ჩვეულებრივ, ისე ექსტრემალურ სიტუაციებში, „ცხოვრებისეულ გამოცდებში" — რწმენის, ღირსების, ჭეშმარიტების, მოკალაქეობის, მამულიშვილობისა და ადამიანობის მაგალითსა და გაკვეთილს გვაძლევდნენ. ასეთი ადამიანები დღესაც არიან, ჩვენს შორისაც, ჩვენს მამებსა და პაპებს შორისაც. ისინი ღირსეულად, შეიძლება ითქვას, გმირულად იღვწიან, იტანჯებიან, იბრძვიან, შრომობენ... საჭიროა მწერლური, შემოქმედებითი თვალსაზერის გაფართოება, მათი „ალმოჩენა", მათი ცხოვრების შესწავლა, საკუთარ თავში ამ ადამიანთა მსგავსი კონგენიალური თვისებების „გამოღვიძება" (რა თქმა უნდა, თუ ეს თვისებები გაგვაჩნია) და მათი რეალური სახეების მხატვრულ სახეებად გარდაქმნა, ლიტერატურულ გმირებად გადაქცევა, მათი იმ ზნეობრივ სამოქმედო ორიენტირებად დასახვა, იმ „სულიერ შუქურებად" „გაცოცხლება", რომლებიც თანამედროვე ადამიანებს ცხოვრების წყვდიადსა და „ბინურულ", „პროზაულ" სინამდვილეში კი არ ჩაეტყვებენ, არამედ პროზაული სინამდვილიდან, „წყვდიადიდან" — რწმენისაკენ, ჭეშმარიტებისაკენ, მოკმედებისაკენ, „აღმოჭმული ქვეყნისაკენ" მიმავალ გზას გაუნათებენ.

* * *

ალმანახ „სათავეში" ორიგინალურ პუბლიკაციად მიმაჩნია თემურ შავლაძის ვრცელი ესეისტურ-ლიტმცოდნეობითი გამოკვლევა ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ — „რად ჰქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი". ვინც ამ გამოკვლევას გაეცნობა, ვფიქრობ, დამერწმუნება, რომ თემურ შავლაძის სახით ქართულმა ლიტმცოდნეობამ შეიძინა შემოქმედებითი და მეცნიერული ნიჭით დაჯილდოებული საინტერესო მკვლევარი. თემურ შავლაძის ესსე იმდენად საყურადღებო და მნიშვნელოვანია, იგი, შეიძლება,, ცალკე წერილის საგნადაც კი იქცეს (ოღონდ სადავო და საკამათოა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობის მისეული ინტერპრეტაციას!).

განსაცვიფრებელია, რა ახლობელი, რა თანამედროვეა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება! მთელი საუკუნენახევრის შემდეგაც კი როგორ ეხმიანება ოთხმოცაანი წლების განწყობილებებს, „ალმანახში" წარმოდგენილ ავტორთა სულისკვეთებას, მსოფლშეგრძნებას! დავსძენ, ზოგჯერ ძნელდება კიდეც გაარჩიო, ვინ უფრო თანამედროვე და ახლობელია, ვინ უფრო „ოთხმოციანელია":

„ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანთა სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით ალავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა ადამიანად ყოფილიდენი შეძლება მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანას და ადამიანებსაც მათი გაუმაძღრობით და მშვიდად გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას სადა ბუნების წიაღში, რომელიც ეგზომ დიადი და წარმტაცია ჩვენს საშობლოში"...

„ადამიანის სული... დაკანცული ეძიებს განსვენებას მყუდრო ოჯახურ ცხოვრებაში"...

„აკი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილ ადგილას. ოჰ, რა ხელმწიფურად გადავხედავდი ჩემს ასპარეზსა"...

„მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესო ხვედრისაკენ. გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელი მდგომარეობისათვის დაბადებულიო"...

„თბილისში საერთოდ მოწყენილობაა, სულიერი აფორიაქების უამს ხელს ვერავის გაუწვდი"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სასურველი იქნება, თუ „სათავე"-ს რედაქტორი (ლაშა თაბუკაშვილი) და რედკოლეგია, რომელთაც ნამდვილი შემოქმედებითი თანამშრომლობით შექმნეს ალმანახის პირველი — 1987 წლის ნომერი, უანრობრივად კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებს ალმანახს, თუ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს ახალგაზრდა კრიტიკოსებისას, პირველ რიგში, თვით ახალგაზრდების ლიტერატურის პრობლემებისა და ტენდენციების შესახებ დაწერილს, მეტ ადგილს დაუთმობს, (კრიტიკა ლიტერატურაა და თავის დროს, თავის თაობას ისიც (თავისი საშუალებებით) გამოხატავს!) ასეთი წერილების მოპოვება კი სავსებით რეალური და შესაძლებელი იქნება, თუ ალმანახი თავის გარშემო შემოიკრებს ასევე ოთხმოციან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსულ ახალგაზრდა კრიტიკოსებს, ლიტერატორებს, რომლებიც არა მარტო ცალკეული მხატვრულ-ლიტერატურული წერილების, გამოკვლევებისა' და ესეების, არამედ ზოგიერთი მათგანი უკვე პირველი წიგნების ავტორებიც არიან. ალმანახისა და ახალგაზრდა ლიტერატორების ურთიერთანამშრომლობა, დარწმუნებული ვარ, ორივე მხარისათვის სასიკეთო შედეგებს მოიტანს

„სათავე"-ს ამოცანა, როგორც ჩანს, იყო ოთხმოციან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე ქართულ ლიტერატურაში მოსული ახალგაზრდა ავტორების ერთ თაობად გაერთიანება და „გამოკავეთა!" იმ ახალგაზრდა ავტორებისა, რომელთა სახელები რესპუბლიკის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ვრცელ ლიტერატურულ ნაკადშია ჩაკარგული. ალმანახმა, ჩემი აზრით, ეს ამოცანა შეასრულა. მან ახალი ლიტერატურული თაობის არსებობაში დაეჭვებულ მკითხველებსაც მისცა შესაძლებლობა, რამდენადმე მაინც, წარმოედგინათ ამ თაობის კონტურები, გამოეკვეთათ მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურული „ფიზიონომია".

ახალი ლიტერატურული თაობის პოტენციური შესაძლებლობები კიდევ უფრო ხარწმუნო გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ალმანახის პირველ ნომერში მონაწილეობა არ მიუღიათ ლიტერატურული საზოგადოებისათვის უკვე კარგად ცნობილ რამდენიმე ნიჭიერ „ოთხმოციანელს"...

დავსძენ, რომ აქამდე, თვით ამ თაობის წარმომადგენელთა დიდ ნაწილსაც კი არ სჯეროდა, რომ რეალურად არსებობდა ახალი ლიტერატურული თაობა — „ოთხმოციანელები" (იგულისხმება, რომ ტერმინი პირობითია და ვიკენენთ მას ისევე, როგორც ტერმინებს — „სამოციანელებს" „სამოცდაათიანელებს", — როგორც სამუშაო ლიტერატურულ ტერმინს — უზარმაზარ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში საორიენტაციოდ).

მოდის თუ არა ახალი ლიტერატურული თაობა?

დიახ, მოდის ახალი, — ნიჭიერი, განათლებული, ერუდირებული — თაობა, რომელიც კულტურაზე, და არა მარტო საკუთარ ნიჭიერებასა და ინტუიციაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და შთაგონებაზე დაყრდნობით აგრძელებს ძირითადად წინა ლიტერატურული თაობების — „სამოციანელების" და განსაკუთრებით, „სამოცდაათიანელების" მიერ შემოტანილი, და განვითარებული პრობლემების, თემების, მოტივების, თავისებურ მხატვრულ „კვლევას", შემოქმედებით დამუშავებას., სინამდვილის გაბედულ მხატვრულ ანალიზს. მათ, მართალია, ჯერ კიდევ აკლიათ ის სიღრმე, მასშტაბურობა, ოსტატობა, სოციალური კრიტიკულობის ის მრავალმხრივობა, რაც წინამორბედი თაობისათვის ესოდენ ნიშანდობლივია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ასაკობრივად ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან, რასაც პროზასა და კრიტიკაში მაინც (სადაც ნიჭიერებასა და შთაგონებასთან ერთად აუცილებელია დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, რეფლექსურობა, ინტელექტუალიზმი, ერუდიცია, გარკვეული ფილოსოფიური აზროვნება) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გარდა ამისა, მათ, ბუნებრივია, წინა თაობების წარმომადგენელთა მსგავსად ჯერ ვერ მოუსწრიათ ვრცელი ლიტერატურული პროდუქციის შექმნა....

ალმანახს „სათავე"-ში პოეტები რაოდენობრივი პრინციპით არიან წარმოდგენილნი. სულ ოცდაექვსი პოეტია. ჩემის აზრით, ეს ძველი „სამუშაო პრაქტიკის" გადმონაშთია, რის გამოც „დაინახჯნენ" და ვერ წარმონდგნენ ის ნიჭიერი პოეტები, რომლებიც ნაკლებად ნიჭიერ პოეტებთან ერთად ასევე ორიოდე ლექსით გამოჩენენ. ცხადია, ამის გამო, ვერ გავკადნიერდებოდი, თავს უფლებას ვერ მივცემდი ოცდაექვსი პოეტის შემოქმედებაზე ინდივიდუალურად მესაუბრა და რაღაც გარკვეული დასკვნები გამომეტანა., თუნდაც საინტერესოდ და ნიჭიერად მომჩვენებოდა ესა თუ ის ავტორი. (ყოველთვის საჭიროა კრიტიკული სიფრთხილე ახალი სახელების შეფასებისას, მით უფრო თუ ამ სახელებს პირველად და ისიც ორიოდე ლექსით ვეცნობით).

ერთი სიტყვით, ალმანახ „სათავე"-ს სეროზულ ნაკლად მიმაჩნია ახალგარდა პოეტების რაოდენობრივი პრინციპით წარმოდგენა, რასაც განსხვავებით მათივე თანატოლი პროზაიკოსებისაგან, ვერ მოკვეთა ამ ახალგაზრდების სახელებისა და პოეზიის წარმოჩენა. მაგრამ ბუნებრივია, ეს ის ნაკლი არ არის, რომლის გამოსწორებაც რაიმე გადაულახავ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ალმანახის პირველი ნომერია და მას არა აქვს სრულყოფილების პრეტენზია. სა-

სურველი იქნება, თუ ზომდევნო ნომრისათვის რამდენიმე ათეული ახალგაზრდა პოეტიდან რედაქტორი და რედოლეგია უფრო მეცარი კრიტერიუმებით შეარჩევს, ვთქვათ, ხუთ-ექვს ყველაზე საინტერესო, ნიჭიერ პოეტს და ყოველი მათგანის ლექსების ვრცელ პუბლიკაციებს შემოგვთავაზებს...

* * *

„ავტოპორტრეტის" ლირიკული გმირი ძირითადად თანამედროვე ამერიკელ, ფრანგ გერმანელ, ინგლისელ, იაპონელ, ერთი სიტყვით, საზღვარგარეთელ (არაქართველ) მწერლებს კითხულობს. უპირატესად სწორედ მათი შემოქმედებით ხდება გმირის სულიერი და ინტელექტუალურ-მსოფლმხედველობრივი ფორმირება. და ეს რეალური ვითარებას გარკვეულწილად ობიექტურად ასახავს: თვით ახალგაზრდა ავტორებიც ინტენსიურად კითხულობენ უცხოურ ლიტერატურას. თანამედროვე მწერლების მიერ შექმნილს. რომელიმე ქართველი მწერალი, შეიძლება აღშფოთდეს, ეს რა თაობა მოდის, ქართულ მწერლობას არ იცნობენ, უცხოური ლიტერატურით არიან გატაცებულნი. ეროვნულ ნიადაგს სწყდებიან და კოსმოპოლიტიზმის „სენით" ავადდებიანო. მაგრამ თუ ეს ასეა, აღშფოთებას, აჯობებდა, დავფიქრებულიყავით, ახალგაზრდები უფრო მეტად რატომ არიან მაინცდამაინც უცხოელი მწერლებით გატაცებულნი, თანამედროვე ამერიკელი და ევროპელი მწერლები რატომ გამოხატავენ უფრო ადექვატურად ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდების სულისკვეთებას, მსოფლშეგრძნებას?!

მაგრამ შევიტანოთ, ვინც იფიქრებს, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის როლი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში უმნიშვნელოა. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ მათ თანამედროვე მშობლიურ ლიტერატურასთან უფრო ღრმა, შინაგანი ორგანული კავშირი გაჩნიათ, ვიდრე უცხოურთან. ხაქმე ისაა, რომ ახალგაზრდების შემოქმედებაში მშობლიური ლიტერატურა უფრო გათავისებული, შემოქმედებითად გადამუშავებული და სულის განუყოფელ, ორგანულ ნაწილადაა გადაქცეული, რასაც ვერ ვიტყვით უცხოურ ლიტერატურაზე, ამიტომ ახალგაზრდების ნაწარმოებებში ხაზღვარგარეთელი მწერლების ზეგავლენა უპირატესად ზედაპირზე ძევს, უფრო მკაფიოდ ჩანს და ილუზია იქმნება, რომ მათ თანამედროვე ქართველ მწერლებზე უკეთ იცნობენ (მაგრამ ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი ევოლუციის პროცესში). ერთი რამ კი აშკარაა — ალმანახში წარმოდგენილი ავტორების უმრავლესობა ზედაპირულად იცნობს ძველ ქართულ სახელიერო ლიტერატურასა და საერო კლასიკურ მემკვიდრეობას, რაზედაც, პირველ რიგში, მათი არამდიდარი, არაპლასტიკური მხატვრული ენა მეტყველებს...

ჩვენი წერილის მიზანი არ ყოფილა ოთხმოციან წლებში გამოსული ახალგაზრდა თაობის ჯგუფური პორტრეტის შექმნა, არამედ ალმანახ „სათავეში" წარმოდგენილ ლიტერატურულ პროდუქციაზე დაყრდნობით „ოთხმოციანელთა" თაობის ერთი ნაწილის პორტრეტისათვის მხოლოდ ზოგიერთი ნიშანდობლივი, არსებითი შტრიხის მონიშვნა, ყველაზე დამახასიათებელი ტენდენციებისა და პრობლემების გამოკვეთა (ოღონდ არა ლიტერატურული პროცესიდან იზოლირებულად, გამოცალკეევებულად, არამედ მიმდინარე ლიტერატურული პროცესის კონტექსტისა და იმ ახალგაზრდა ავტორების შემოქმედების გათვალისწინებით, რომელნიც ამჯერად ალმანახში არ იყვნენ წარმოდგენილნი.

არც ის ყოფილა ჩვენი მიზანი, იმ ნაწარმოებების ადექვატური ინტერპრეტაცია მოგვეცა, რომლებზეც დაწვრილებით ვისაუბრეთ, რადგან მხატვრული ნაწარმოების უფრო ადექვატურად ინტერპრეტაცია, ვიდრე ნაწარმოები წარმოადგენს თავისი თავის ინტერპრეტაციას, შეუძლებელია (ასეთი განზრახვის შემთხვევაში, ეს ნაწარმოებები, რომელიც განვიხილეთ, სიტყვა-სიტყვით უნდა გადმოგვეწერა). ყოველი ნაწარმოები, გარკვეული თვალსაზრისით, შეკითხვაა, ღია სისტემაა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ყოველ მკითხველს, ყოველ კრიტიკოსს საკუთარი „შინაარსი", საკუთარი პასუხები შევიტანოთ მათში, ეს ნაწარმოებები საკუთარი შინაარსით, საკუთარი აზრებით „შევავსოთ", ჩვენი აზრები წარმოგვქმნიან იმ ფორმიდან, რომელსაც ესა თუ ის ნაწარმოები გვთავაზობს, ვისაუბროთ არა მარტო იმაზე, და არა იმდენად იმაზე, რაც ნაწარმოებში არის, არამედ რაც არ არის, და რაც შეიძლებოდა მასში ყოფილიყო, რაც ზედაპირზე არ ჩანს, და რაც შეიძლება რომ

აკაკი მიქიაშვილი
ლაბირინთში

„გამოვაჩინოთ“ (გავიხსენოთ ამასთან დაკავშირებით რ. ბარტის, მ. ჰაიდეგერის თვალსაზრისები) თუმცა ყველა შემთხვევაში მიზანი ერთია — რაც შეიძლება ახლოს ვიყოთ კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებთან... ალმანახ „სათავეს“ განხილვა მინდა დავასრულო აქ წარმოდგენილი სამი პოეტის სიტყვებით, რომლებიც, ვფიქრობ, ალმანახის მთელი ლიტერატურული პროდუქციის კონტექსტში გარკვეულ განზოგადებას იძენენ და ახალგაზრდა ავტორების საერთო, დამახასიათებელ განწყობილებასა და მსოფლშეგრძნებას პოეტური ლაკონიზმით გამოხატავენ.

„და ვემგზავნები მე იმ მოინზანს, რომელიც კვდება რწმენის გარეშე... ო, დამიბრუნეთ ჩემი ოცნება, ჩემი წვიმები, სველი იები, თეთრ ქრიზანთემებს როცა მოცელავს ზამთარი, ცრემლით გავეტირები“... (დათო მაღრაძე).

„და გაიპარა სიყრმეც, ბავშვობაც (სიზმრებშიც უკვე გამოჩნდა დარდი), ველარ გავიგეთ, ისე დაგვშორდა დრო, რომელშიაც ერთმანეთს ვგავდით“ (ვაჟა ოთარაშვილი).

„ამ უწვიმო, ამ უქარო, ამ უშფოთველ ღამეში, ვის ვუმღერო, ან უბრალოდ, რომელ დარდებს მოვეფერო წვიმისა და ქარისა და სიყვარულის გარეშე, უწვიმოვ და უქაროვ და ნოემბერო!... გარდასული გაზაფხულთა ღამეების თარეშში, გაზაფხული ოდეს გულთან მოდიოდა სასიმღერად, ახლა რა ვქნა, გეკითხები სიყვარულის გარეშე, უწვიმოვ და უქაროვ და ნოემბერო! არ სჩანს არსად იმედებად განფენილი აფრები, არც ბოროტი, არც კეთილი არ სჩანს ქარი, დაუბეროს... ან კი შენი რა ბრალია, ან მე რას მემართლები, უწვიმოვ და უქაროვ და ნოემბერო!“ (ნანა გურგენიძე)...

და ბოლოს, ახალგაზრდა ავტორებს, ალმანახის რედკოლეგტივს ვუსურვებ მომავალ ლიტერატურულ მოღვაწეობასა და საქმიანობაში მეტ შემოქმედებით გამომგონებლობასა და გაბედულ ექსპერიმენტირებას, ვუსურვებ ნაკლებად მნიშვნელოვნად მიეჩნიოთ ის, რაც უკვე გაკეთეს, რადგან მწერლისათვის (რედკოლეგტივისთვისაც) სახიფათოა უკვე შექმნილით „ტკბობა“ და თვითკმაყოფილება; ვუსურვებ ყოველ ახალ წარმატებას, ყოველ ახალ მიღწევას კვლავ და კვლავ ჩაეყენებინოს ყოველი მათგანი კოლუმბის მდგომარეობაში, რომელსაც ეყო გამბედაობა, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ნაცნობი მიწა მიეტოვებინა და სრულიად უცნობი მიწებისაკენ ახალი ალმოჩენებისათვის გამგზავრებულიყო...

„ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“

ამ წიგნის ავტორი, გიგი ხორნაული, კარგად იცნობს ფშაურ ყოფას, ფშაურ გარემოს, სადაც დაიბადა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვაჟა-ფშაველა. ეს უეჭველად საჭიროა დიდი პოეტის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევართათვის.

ქართულ მწერლობაში კარგა ხანია დამკვიდრდა ერთგვარი შაბლონი: კრიტიკოსი ამა თუ იმ წიგნს მიმოიხილავს, გააანალიზებს, შეაქებს და ბოლოს ორიოდე შენიშვნასაც მოაყოლებს, თანაც დასძენს, კარგი იქნება თუ ავტორი ამ შენიშვნებს გაითვალისწინებსო.

მე არ ვიცი, რემს შენიშვნებს გაითვალისწინებს თუ არა გიგი ხორნაული, მაგრამ სამომავლოდ ამის გამო უეჭველად დაფიქრება კი მართებს.

ავტორისა და მკითხველის ყურადღების მობილიზებისათვის საჭიროდ ვთვლი, რომ ჯერ შენიშვნებზე ვისაუბრო, ხოლო შემდეგ წიგნის დადებით მხარეზე.

„ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ იწყება რაზიკაშვილთა გვარის წარმომავლობის გარკვევის ცდით.

ამის გამო დღემდე არ არსებობდა რაიმე გადმოცემა თუ ანდრეზი, გარდა იმისა, რომ ყველა რაზიკაშვილს და, მათ შორის, ძმებს რაზიკაშვილებს თავისი გვარი ძირძველ ფშაურ გვარად მიაჩნდათ.

აგრეთვე შემორჩენილია ვაჟას მამის პავლე მღვდლის ჩანაწერი, სადაც ის ამბობს, რომ ჩვენი წარმომავლობა უძველეს დროში ხევიდან გადმოხვეწილ ღუდუშაურს ემყარებაო.

რაზიკაშვილები იყვნენ ფშავის გოგოჭურთა თემის შთამომავლენი.

„გოგოჭურთა თემის ძირითადი ადგილსამყოფელი სოფელი ცაბაურთა იყო. აქედან წასული გოგოჭურები ბევრგან ცხოვრობენ — ფშავისხევის სოფლებს გარდა, ფშავის არაგვისა, მთიულეთის არაგვისა და ივრის ხეობებში“. (ვ. ბარდაველიძე. „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“. ტ. I. გვ. 97.).

და კიდევ: „საგოგოჭუროს თემის წევრები, რომლებსაც თავიანთი წინაპრების თავდაპრველ ადგილსაცხოვრისად და სათემო ხატის სახუფველად ცაბაურთა მიაჩნდათ, კომპაქტურად მოსახლეობდნენ ბეტისჩრდილში, ქუთხში, აფშოში, ჩარგალსა და მიგრიაულთაში, სადაც მათ შემდეგში სახოფლო ხატები გაუჩნდათ“. (ვ. ბარდაველიძე. იქვე. გვ. 106).

„ჩარგლელების სათემო ხატი ცაბაურთის მთავარანგელოზი იყო. დიდ დღეობებში ისინი ცაბაურთში მიდიოდნენ და თავის სათემო ხატს ადგილზე უწევდნენ სამსახურს“. (ვ. ბარდაველიძე. იქვე. 110).

ყოველივე ამის გახსენება საჭიროა, რადგან ზოგიერთი მეცნიერი, ვინც რაზიკაშვილთა წარმომავლობას იკვლევს (უნდა ითქვას, რომ ეს მეცნიერები წარმოშობით ხევსურები არიან), უარყოფს ან „ივიწყებს“ ფშაში გოგოჭურთა თემის არსებობას და გამოაქვს მცდარი დასკვნა, თითქოს ჩარგლის მოსახლე გოგოჭურები ხევსურები (ამანათები) იყვნენ.

ამ მცდარობას უკრიტიკოდ იზიარებს გიგა ხორნაულიც და ამის გამო უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა, რომ ეს მცდარობა მომავალშიც არ გამეორდეს, რომ ვაჟას ბიოგრაფიას ვინმემ კვლავ არ „მიაკეროს“ ხელოვნური, გამოგონილი იგავები და გადმოცემები.

გ. ხორნაული წერს: „მეორე გადმოცემის თანახმად, რაზიკაშვილთა წინაპარი ხევსური ყოფილა“...

სადაა ეს „მეორე გადმოცემა“? საიდან გაჩნდა ის? რატომ არაფერს ამბობენ ამ „მეორე გადმოცემის“ გამო თვით ძმები რაზიკაშვილები? რატომ არ აღნიშნავენ ამ გადმოცემას ვაჟას ბიოგრაფიისა და შემოქმედების ისეთი მკვლევრები, როგორიცაა გრ. კიკნაძე, ს. ყუბანეიშვილი, დ. ბენაშვილი და სხვები? ვაჟაზე არსებულ უამრავ მოგონებებში რატომ არაა რაიმე ამის გამო ნათქვამი, ან ფშავის გოგოჭურთა თემის ანდრეზები რატომ არაფერს ამბობენ?

რაზიკაშვილთა გვარს თუ შემორჩა ანდრეზი ღუდუშაურთა გვარიდან წარმომავლობისა, რატომ დაავიწყდათ მაინცდამაინც ხევსურული წარმომავლობის ამბავი?

ამგვარი გადმოცემები, შორეული წარსულის რეალობები ბომ უკვალოდ არ იკარგება.

საქმე იმაშია, რომ ეს „მეორე გადმოცემა“ მოგონილია და „გაჩნდა“ ამ ათიოდე წლის წინ. მისი ავტორია ფოლკლორისტი დ. გოგიჭური. (იხ. დ. გოგიჭური. „ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები“).

ეს მოგონილი „გადმოცემა“ უარყოფს ფშავის გოგოჭურთა ძველისძველი თემის არსებობას და უსაბუთოდ ცდილობს დამტკიცოს, რომ რაზიკაშვილთა წინაპრები, ჩარგლის მკვიდრი გოგოჭურები თითქოს ხევსურები იყვნენ.

ვაჟა თავის ხევსურული წარმოშობითა ამაყობდაო, წერს გ. ბორნაული.

ხაიდან ჩანს ეს? სადაა საბუთი, რომ ამით ამაყობდა?

ამ ამბავში, ცხადია, არაფერი ცუდი და მიუღებელი არ იქნებოდა, სიმართლეს რომ შეესაბამებოდეს, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს და, ეთქვათ, ნაძალადევი, მოგონილი „საბუთებით“ კიდეც რომ ვინმემ დაამტკიცოს ეს, განა ვაჟა-ფშაველას ხახელა რამე შეემატება?

ყველა კუთხეს თავისი გამორჩეული კოლორიტი და სიამაყის წყარო აქვს. ხევსურეთსაც, საქართველოს ამ ძველისძველ კუთხეს, ბევრი რამ ისეთი გააჩნია, რითაც არა მარტო ხევსურები, არამედ მთელი საქართველო ამაყობს: ფოლკლორი, ეთნოგრაფია და ა. შ...

განა უმჯობესი არ იქნება, რომ მავანმა სწავლულმა მიხედოს იმას, რაც არის, შეისწავლოს და გამომზეუროს; ამით ხომ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს ქართულ მეცნიერებას, ვიდრე არარსებულისა და გამოგონილის მტკიცებით?

გიგი ხორნაული წერს: „გოგოჭური ხევსურეთის ძირეული გვარია. არც ხევში და არც ფშავში ამ გვარისანი არ არიან და არც უნდა ყოფილიყვნენ“.

გ. ხორნაული ფშავში გაზრდილი კაცია, თვითონაც ხომ წერს, რომ ეს წიგნი „იმ კაცის მონათხრობია, რომელიც გაიზარდა იმავე მთებში და თოლქმის იმავე გარემოში, როგორშიც ვაჟა-ფშაველამ გაატარა მთელი ცხოვრება“. ის ფშაური (და საერთოდ მთის) ფოლკლორისა და ტოპონიმიკის შემკრები და აღიარებული მკვლევარია.

მან თუ არა, სხვამ ვინ უნდა იცოდეს, რომ ფშავში, სოფელ ცაბაურთაში სახლობდა ძველისძველი და ძლიერი თემი ფშავის გოგოჭურებისა, შემდგომ მამისახელის გვარებად (ჩამომავლობებად) რომ დანაწევრდა. რატომ ეალავს სიმართლეს და რატომ წერს, გოგოჭურები ფშავში არ არიან და არც უნდა ყოფილიყვნენო?!

სხვაც რომ არა იყოს რა, ვაჟა-ფშაველას წარმომავლობის მკვლევარი ამით უეჭველად უნდა დაინტერესებულიყო.

ფშავში თერმეტი თემი სახლობდა. მეთორმეტე თემი იყო ფშაველების ძმადშეფიცული ხახაბოელი ხევსურებისა.

თერთმეტივე თემს ძველთაგან ჰქონდა „ბარის ადგილები“ წინა ფშავში: გოგოლაურთას თემს — სოფლები: კუდო, გომეწარი, მაღარო; ქისტაურთა თემს — სოფელ სწროფავის ადგილები; გოგოჭურთა თემს — სოფლები: აფშო, ჩარგალი, მიგრიაულთა; უძილაურთა თემს — სოფლები: კანტია, წიფრანი... [illegible]

წინა ფშავში ჩამოსახლებული მეთერმეტე ფშავისხევის (უკვენაფშავი) მოსახლეობას ფშაველებს ეძახდნენ. ეს ასეა დღესაც.

ამის საანალოგოდ გამოდგება ისიც, რომ შატილელი ხევსური თავისთავს შატილიონს ეძახის, ხოლო პირაკელი ხევსურეთის მცხოვრებთ ხევსურად მოიხსენიებს.

ამის თქმა საჭიროა, ჩარგლელი გმირების სულა და კურდღელი გოგოჭურების მკვლელობისა და დატირების ლექსი რომ გასაგები გახდეს.

„იქნებ ფშაველმა დამიხოცეს,
ფშაველმა ღალატიანებმა“...

აქ „ფშაველებში“ იგულისხმება ფშავისხევის მცხოვრებნი. როგორც ერთი გადმოცემა ამბობს, სულა და კურდღელა ჩარგლისკარს გავლილ ფშაველ-ხევსურებს უმიწყალოდ ძარცვავდნენ და ეს გათავხედებული ძმები ამოხოცეს ფშავისხევის მკვიდრმა ფშაველებმა, მათი ციხე და კარმიდამოც გადაბუგეს.

იგივე კონტექსტის შემცველია ფრაზა: „ბარისთათმა ჩემია, ბარისძირობა ფშაველისა“...

აქვე უნდა ითქვას, რომ სულა და კურდღელა თუ ამანათები იყვნენ, მათ ბარის თავზე და სოფლის თავზე არავინ დაასახლებდა. არც არავინ გათავხედებისა და ხალხის ძარცვის უფლებას მისცემდა.

ამანათი შემობოზნულია, ხშირად ხდა კუთხიდან ან სხვა სოფლიდან ბოროტმოქმედებისთვის დევნილი და მას სოფელი, თემი ყოველთვის ეპვით ეპყრობა, არ აძლევს დიდ გასაჭანს და ა. შ...

სხვა, უფრო სარწმუნო გადმოცემის თანაბამად, სულა და კურდღელა ლეკების მსხვერპლნი გამხდარან.

სერგი მაკალათია წერს: „...სულა და კურდღელა ლეკებს დაუხოციათ. ამისათვის ლეკებს ასეთი ხერხი უხმარიათ. ციხის მახლობლად ტყეში დამალულან და ერთ მათგანს დაჭრილი ირემივით უბღავლია. სულას მართლაც დაჭრილი ირემი ჰგონებია და ტყისაკენ გაქცეულა: ამ დროს გზაში ჩასაფრებულ ლეკებს სულა მოუკლავთ, შემდეგ ლეკები კურდღელას სათიბში დასცემიან და ისიც მოუკლავთ“...

ფადმოცემის ამ ვარიანტს ემხრობოდა ვაჟა-ფშაველაც.

ამ ცნობილი ნატირალის არც ერთ ვარიანტში არაა ნათქვამი, რომ სულა და კურდღელა უეჭველად ფშაველებმა დახოცეს.

ერთ ვარიანტში სწერია: „ვახთუ ფშაველებმა დამიხოცეს, ფშაველებმა ღალატიანებმა, ვაჭმე თუ ცანი თავს დამზურეს...“

მეორე ვარიანტში სწერია: „იქნებ ფშაველებმა დამიხოცეს, ფშაველებმა ღალატიანებმა“...

როგორც ვხედავთ, სულასი და კურდღელას

და ნატირალში თავისიავე ფშავლებზე მხოლოდ ეკვს გამოთქვამს: „ვაპოუ“... „იქნება“...

დ. გოგოჭური, გ. ხორნაული და სხვები კი სრულიად სხვა დასკვნებს აკეთებენ: რადგან ფშავლებმა დაბოცეს გმირი ძმები, ამიტომ ისინი ხევსურები იქნებიდნენო... რადგან ნათქვამია, შარისთაობა ჩემია, შარისძირობა ფშაველისაო, შარის თავი უეჭველად ხევსურისა იქნებიდაო და ა. შ... და ა. შ... თითქოს ფშაველ ფშაველის მოკვლა არ შეეძლო და ხევსურს ხევსურისა. ვითომ მრავლად არ იყოს ამისი მაგალითები.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ მეორე თქმულება სულა და კურდღელას ლეკთაგან დახოცვისა უფრო სარწმუნო და დამაჯერებელია, რადგანაც ხალხმა ისინი წმინდანებად შერაცხა, ხოლო მათი ნაციხარი სალოცავად აქცია.

ცხადია, რომ ყაჩაღისა და მძარცველის სახელსა და სადგომს ამ პატივს არავინ მიაგებდა.

ფშავის გოგოჭურთა თემის შთამომავალთა მეხსიერებაში დღემდე არ გამქრალა წინაპრების ანდრეზ — გადმოცემები. მათ უკეთესად იციან, თუ ვინ იყვნენ სულა და კურდღელა, ვინ იყო რაზიკაშვილთა უშიალო წინაპარი, სად იყო მათი თემის სამკვიდრო, საიდან ჩამოსახლდნენ ისინი წინა ფშავის სოფლებში ჩარგალსა და მიგრაულთაში.

ვინც რაზიკაშვილთა ჩამომავლობის კვლევას მოჰკიდებს ხელს, უპირველესად ამ ანდრეზ — გადმოცემებს უნდა დაუგდოს ყური.

აქვე უნდა ვთქვათ: არაფერი საბუთი (ანდრეზ-გადმოცემა) არ მოიპოვება, ფშავის გოგოჭურთა თემისა და ხევსურეთში გავრცელებულ გოგოჭურთა გვარის საერთო წარმომავლობას რომ მიანშნებდეს. ორივე ეს გვარი დამოუკიდებლად ჩანს აღმოცენებული ძველად მთაში გავრცელებულ სახელიდან: გოგოჭა, გოგოჭი. სხვადასხვა კუთხეებში ერთნაირი გვარების წარმოშობის მსგავსი მაგალითები ბევრია.

ფშავში გოგოჭურის გვარი თემური წყობილების გარიყულაზე გაჩნდა, როცა თემურ-გვაროვნული წყობა ისახებოდა და ცალკეული გვარები ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული. რაც შეეხება ხევსურეთის მოსახლეობისა და გვარების წარმოშობას, ამის გამო სარწმუნო გადმოცემებს გვაწვდის მთის კუთხეების შესანიშნავი მკვლევარი სერგი მაკალათია. აქ მათი გამოყრაება საჭიროდ არ მიმაჩნია.

ვაჟა-ფშაველას სახელის ღვთაებრივი მიზნადულობა აქვს. შესაძლოა კიდევ რომელიმე სხვა კუთხემაც დაიჩქმოს მისი სახელი, როგორც ეს დიდ ჰომეროსს დაემართა: მის სახელს ხომ საბერძნეთის შვიდი ქალაქი იჩეზებდა. ამაში არაფერი გასაკვირი არაა. ოღონდ ვაჟას ბიოგრაფიას და წარმომავლობას არ უნდა „მიეკეროს“ ხელოვნურად შეთხზული, გამოგონილი ამბები. თავად პოეტი ამის წინააღმდეგი იყო.

„ვიწყებ ავტობიოგრაფიას, თუმცა კი ამაზე ვითვე საჭიროდ ვრაცხ გამოვუტყდე მკითხველებს, რომ ყველაფერს, რაც მახსოვს ჩემი ცხოვრებიდან, ვერ გაუზიარებ, ბევრი რამ უნდა დავმალო, ბევრი რამ უხერხულია სათქმელად თუ საწერად და ბევრიც უმნიშვნელო, ხოლო რასაც ვწერ, რაც კი შემიძლიან, ვეცდები სიმართლე დავიცვა, ვსთქვა ისე, როგორც იყო, უფრიადოდ, გადაუჭარბებლად. ვგონებ, ასეთს ავტობიოგრაფიას უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კრიტიკისათვის და მკითხველისთვისაც, ვიდრე მოგონილს და ნაკეთებს.

ასე, ბატონებო, თუ ვისმე ეკერიანებათ ჩემი ვინაობის გაგება და გაცნობა, არ დავიზარებ, მოგახსენებთ: მე ვარ წმინდა ფშაველი ჩამომავლობით, როგორც დედით, ისე მამით“. (ვაჟა. „ჩემი წუთისოფელი“).

როგორც ვხედავთ, კომენტარები ზედმეტია! პოეტის ეს სიტყვები ხელშეუხები და უტყუარია. ნუთუ მან თავისი წარმომავლობა რომელიმე ფოლკლორისტზე უკეთესად არ იცოდა?! ამის შემდეგ რაღაც მრუდე „გადმოცემების“ გამოგონება და ვაჟას ბიოგრაფიის „შესწორების“ მცდელობა დიდი პოეტის სახელის შეურაცხყოფაა და მეტი არაფერი.

ნუ მოვაქცევთ ვაჟას სახელს ვიწროკუთხური ამბიციურობის წრეში. მისი შემოქმედება და მისი მოღვაწეობა ხომ სწორედ ვიწროკუთხურობისა და აქედან გამომდინარე გონებრივი და სულიერი სიდუხჭირის წინააღმდეგაა მიმართული.

გ. ხორნაული ჩარგლელებს ფშავის მეთორმეტე თემად მოიხსენიებს.

ეს მცდარობა მოდის ს. მაკალათიას წიგნიდან: „ფშავი“. მეთორმეტე თემი, როგორც ზემოთ ვთქვი, იყო ფშაველების ძმადშეფიცული ხახაბოელი ხევსურები.

ჩარგალი არასოდეს ცალკე თემი არ ყოფილა. ჩარგლელები ფშავის გოგოჭურთა თემის წევრები იყვნენ და არიან დღესაც. მათი სათემო სალოცავია ცაბაურთის მთაწმინდის მთავარანგელოზის ბაღი.

ამგვარი ცთომილება მომავალში რომ აღარ გამეორდეს, საჭიროდ მიმაჩნია ფშავის ძველსა-ძველი თემების ჩამოთვლა იმ თანამიმდევრობით როგორც ეს აღნიშნული აქვს ვ. ბარდაველიძეს: 1. ჭისტალური. 2. უძილაური. 3. გოგოჭური. 4. გოგოლაური. 5. წოწკოლაური. 6. ზურაბაული. 7. გაბიდაური. 8. ჭიჩოელი. 9. გოდერძაული. 10. წითელაური. 11. უკვნაფშაველი.

ძველი ფშავის ყველაზე დიდი და ძლიერი თემები იყო გოგოლაურთა თემი და გოგოჭურთა თემი. ამ თემების შთამომავალნი დღესაც ყველაზე მრავლად არიან ფშავში.

გოგოჭურთა თემის შთამომავალნი შეადგე-

ნენ სოფლების — აფშოს, ჩარგლისა და მიგრიაულთის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას. ესენი არიან: რაზიკაშვილები, გედეხაურები, ჩიტოშვილები, მჭედლურები, გოგნელაშვილები. ცაბაურაშვილები, ჭყრუნიშვილები, თათარაშვილები და ა. შ...

და ამ წიგნის კიდევ ერთი საეკვო ადგილიც: „გოგოთური და აფშინაკ" ხომ პირადმა ინციდენტმა დაიწერინა — ბლოელ გიორგი ხორნაულთან მუავეწყლის თაობაზე შეხლა-შემოხლამ" — წერს გ. ხორნაული.

„გოგოთური და აფშინა" დაიწერა 1887 წელს. იმავე წელს დაისტამბა „ივერიაში".

ვაჟასა და „აბეშიკის" გიორგი ხორნაულის დავა და შეხლა-შემოხლა უფრო გვიანდელი ამბავი ჩანს: ცხრაასიან წლებშია მომხდარი.

ვფიქრობ, რომ სამომავლოდ ეს ადგილიც უნდა დაიზუსტოს ავტორმა.

ეს რამდენიმე შენიშვნა შეეხო წიგნის ზოგიერთ მონაკვეთს, რომლებსაც, ჩემის აზრით, სიმართლის ნაკლებობა ემჩნევა; ხოლო მთლიანობაში „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი" დაწერილია სიმართლის ერთგულებით.

წიგნის ყოველ ნაწილში იგრძნობა მოწიწება და სიყვარული არა მარტო ვაჟა-ფშაველასი, არამედ მისი თანამედროვეებისაც, როგორც დიდი მოღვაწეების, ისევე თანასოფლელებისა და მეზობლებისა. ეს სულისკვეთება წიგნს ქმნებს ერთგვარ ინტიმსა და მომხიბლველობას.

ჩვენ ნათლად ვხედავთ დიდი პოეტის ხატს: ვაჟა-მასწავლებელი; ვაჟა-ჩინოვნიკური ბიუროკრატიასთან მებრძოლი; ვაჟა-მეოჯახე; ვაჟა-მონადირე; ვაჟა-მომლხენი და მოქეიფე; ვაჟა-ღატაკი და უპოვარი; ვაჟა-ილიას ანრდილის გარშემო მოპარპაშე ყვავ-ყორნებთან მეომარი; ვაჟა-მეზობელი; ვაჟა-პოლემიკის დიდოსტატი; ვაჟა-მეურნე; ვაჟა-სიყვარულით გულგასენილი; ვაჟა...

ვაჟა-ფშაველაზე ბევრმა ვინმემ დაწერა მოგონება. შემორჩენილია თვით პოეტის მიერ ულრმესი სიმართლით დაწერილი „ჩემი წუთისოფელი". ხალხში დღესაც დადის ბევრი ლეგენდა ვაჟა-ფშაველაზე და იმის ძმებზე... მოკლედ ზღვა მასალაა.

და, ალბათ, არ იყო იოლი აქედან ღირებულისა და უტყუარის გამორჩევა, ხოლო მოგონილისა და ხელოვნურის ამოცნობა და უკუგდება.

ბევრი რამ ისეთი „მოიგონეს" ვაჟას თანამედროვეებმა, რასაც ის არ ჩაიდენდა, ბევრი რამ ისეთი მიაწერეს მის სახელს, რაც მოგონილი და ლეგენდარია, ბევრი რამ კი დააკლეს და ვერ მოიგონეს.

ვაჟა-ფშაველა ხშირად გამოყავთ ხოლმე შმაგი და წონასწორობადაკარგული, დაუნდობელი და მოძალადეც კი...

გიგი ხორნაულმა საკმაოდ მტკიცე კრიტერიუმით მიუსადაგა ვაჟას სახელს ეს ზღვა მასალა, ისე, რომ ჩვენს წინ ღმერთკაცი კი აღიმართა, არამედ — ყოველდღიურობაში ჩაფლული გენიოსი ადამიანი, ვინც ყოველმხრივ განიცადა სოფლის სიმუხთლე და სიმწარე ამქვეყნიური, გამოიწვა და გასპეტაკდა ბედისწერის მძვინვარე ცეცხლში.

ამ ორიოდე წლის წინ გარდაიცვალა ვაჟას თანამედროვე, უხუცესი ფშაველი ეფრემ ბუთაბაშელი. ეფრემი იგონებდა: ვაჟა იყო ძალზედ დინჯი, მომთმენი და სხვისი სიტყვის უნაკლოდ მომსმენი, სმაში და სუფრობაზე მშვიდი და დაკვირვებული... მხოლოდ ერთხელა ვნახე გაცეცხლებული, ეს მაშინ იყო, ვეძაზე ხორნაულის ბანაში რომ დაანგრიაო...

სარწმუნო მოგონებაა. სწორედ ასეთს გვიხატავს გიგი ხორნაული ვაჟას: ხშირად დამთმენს, ხშირად თანამოძმეთა გონებრივი სიბნელით დათრგუნულს, ხშირად ყოველდღიურ ლუკმაპაურის მძებნელს, სიღარიბისა და კაცთა სულიერი სიღატაკის შემფურეს...

წიგნიდან კარგად ჩანს, რომ პოეტის ცხოვრება იყო ერთიანი ძიება და ბრძოლა: ბრძოლა ბედისწერასთან, ბრძოლა ადამიანთა სიბნელესთან, ბრძოლა მატერიალურ სიღატაკეს-თან...

ამ ბრძოლებიდან ვაჟა-ფშაველა ყოველთვის პირნათელი ვერ გამდიოდა, მარცხდებოდა კიდეც, ხშირად მისთვის მიუღებელ რამესაც ჩაიდენდა, მაგრამ არასოდეს არ ღალატობდა კაი ყმის ჩვევა: აღიარებისა და მართლის ქმნის უნარი.

კომპლაციურ წიგნში ყოველთვის თავს იჩენს განმეორებისა და უნებლიე პლაგიატის საშიშროება. უნდა ითქვას, რომ ავტორი ამ საშიშროებას კარგად გაუმკლავდა; მოგვცა ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ამსახავი დოკუმენტური წიგნი, რომელიც დღემდე გამოცემული ამგვარი წიგნებისაგან განსხვავებულია. როგორც ფორმით, ისევე სტილური თავისებურებებით. ამ წიგნში ვაჟას ფენომენი მთლიანად და ნათლად გამოიკვეთა, შეიავსო ახალი ხაზებითა და ფერებით.

ბევრი რამ ახალი სახით წამოჩნდა და უფრო რეალურად გამოისახა: ვაჟას მეორე ცოლის თამარის თხოვის ამბავი, „აბეშიკ" ხორნაულთან დამოკიდებულება, ვაჟას „სცენები" და სხვა.

წიგნში კარგადაა მოცემული ვაჟას ურთიერთობები მედუქნე შანიძესთან.

ბესარიონ შანიძეს (აკაკი შანიძის ბიძას) ოფელ თვალივითანა ჰკონდა დუქანი და ვაჭრობის წესალობით კარგად იცნობდა როგორც ფშავ-ხევსურეთის, ისევე მთიულეთ-გუდამაყარის მოსახლეობას.

ძეკეს საკვდილის შემდგომ სწორედ შანიძის დაკონებით მოუყვანია ვაჟას ცოლად ხორხელი დიდებაშვილის ქალი თამარი.

ამის გამო გავიხსენოთ ვაჟას ერთი წერილი. ვაჟა თავის უმცროს ძმას სანდროსა სწერს:

„თქვენ, ჩემო ძმებო, მართალია, გწყინსთ ჩემი „გაჯეჰილება", მაგრამ ტუუილად: არ იცით საქმის ვითარება და იმიტომ მამტუუნებენ. ადვილი გგონიათ სახლის გაობრება და ბალღების დაწოოკება; არ გამოგიცდიათ და იმიტომ: ღმერთმა ნურც გამოგაცდეინოსთ. არ არის ადვილი ასატანი და მოსათმენი, სხვათა იქით, რომ ძაღლიც გამეზობლებული დადოოდეს ყმუილიო და სახლში კატები აღარა დგებოდნენ. აი, იმ გარემოებამ დამატანა ძალა და შემართვეინა დედაკაცი და ახლა უნდა ჭნაბო რა დედაკაცი! ნამდვილი ანტიკაა! რაღაი გუვე იმისთანა, ნამდვილი იაპონცკი ვინმეა. საომრად ორივე ვემზადებით და ორივე ერთად სათითაოდ ხმალსა ვლესავთ. ძირად გუდამარელია — ლომისის ყმა და მე, ბომ იცი, ლაშარის ჯვრის ყმა გახლავარ, ჩემო ბატონო. აქამდის მარტოკა ლაშარის ჯვარი მყვანდა შემწე და მტერი ვერაფერს მაკლებდა, ხომ. კარგად იცი, და ამის იქით ლომისიც იმას მიეშველება ჩემს საშველად, დ., ანა ვინდა რას დამაკლებს. ასე, ისე შევაყარენით, როგორც მე და კმარაი. მზითევზე და ქრთამზე ნურაფერს მკითხავ, რადგან, როგორც უწყით, მე რომ დავბადებულვარ, ღმერთს მაგისთანა „პუსტიაკი" რამეები ჩემთვის თავიდან აუცილებია"...

როგორი ირონია იგრძნობა არა მარტო ყოველდღიური რეალობის მიმართ, არამედ ბედისწერის მიმართაც! პოეტი მაღლა სდგას ყოველდღიურ წვრილმანებზე, მაგრამ სახმილი ცხოვრებისა, მუდმივი ეიღბლობა, ადამიანთა სიბეცე კვალში უდგას, საშველს არ აძლევს.

ლუკმაპურის ძიებაში მთა-ბარს ედება. ქმოსთვის სანდროსთვის ქვიშაც კი გაუგზავნია, ოქრონარეკი ხომ არ აღმოჩნდებაო.

„ვგზავნი ოთხნაირ ქვიშას, წერა-კითხვის საზოგადოებაში დავალებული მაქვს, გასჩხრეკავენ ამას, მართლა ოქროა თუ არა. ყველა პარკს თავისი ნომერი აქვს და ამ ნომრებზე პასუხი უნდა მომცენ, რა რა არის... ეს ქვიშა შიოსთან მიიტანე და იმან ცხვედაძეს და ინჟინერ დეკანოზშვილს უჩვენოს, მერე იმათ თვითონ იციან. ნომრები არ შესცვალონ. რა პარკშიაც რა ნომერია, ისე უნდა დარჩეს. ზუმრობა საქმე არ არის"...

საკვირველია, ვაჟა: ოქროსმაძიებელი! თანაც იქ: არაგვისა და ივრის ჭალებზე, სადაც ჯერ ოქროს ნატამალიც კი არავის უპოვია!

ჩვენ აღარ ვიცით, რა ბედი ეწია იმ ქვიშას. ერთი რამ კი ცხადია, რომ აქაც დიდი იმედი გაცრუება ელოდა პოეტს.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრების დრამის უნაკლოდ გასაგებად ერთი ადგილიც უნდა მოვიყვანო ამ წიგნიდან:

„თიანეთში განთავისუფლებულა მომრიგებელი მოსამართლის ადგილი და ვაჟას უთხოვია, თუ შეიძლება, მე დამნიშნეთ ამ ადგილზეო. უარი არ უთქვამთ, კარგიო, ოღონდ სოგნის ცოდნაში შემოწმება იქნება საჭიროო. ორი თვე იმეცადინა ვაჟამ, აღიდგინა პეტერბურგში მოსმენილიც და სასამართლოს რამდენიმე მოხელისაგან შემდგარი კომისიის წინაშე წარსდგა გამოცდაზე. ეს გამოცდა კი არა, ბედისაგან, უკუღმართი ცხოვრებისაგან მოწყობილი მწარე სპექტაკლი იყო: გენიოსს, უდიდეს ჰუმანისტს, საკაცობრიო პრობლემებზე დაფიქრებულ ვაჟას გამოცდას უწყობენ უვიცი, ყეყეჩი ჩინოვნიკები. და უწყობენ როგორ? ცინიკურად, ჩუმი ჯირკლითო, რადგან წინასწარვე გადაწყვეტილია, რომ ამ თანამდებობაზე ვაჟა არ მიიღონ, მაგრამ... ერთობიან"...

წიგნში ნათლად და სრულადაა წარმოჩენილი ილიას მკვლელობის გამო ატეხილ დავაში ვაჟა-ფშაველას მყარი პოზიცია. აღნიშნულია მისი ბრძოლის მიმართულება, ნაჩვენებია ცრუ იდეალების სახელით საბრძოლოს მოღალატეთა სახე, მათი მახინჯი ელფერი...

გ. ხორნაული წერს: „ვაჟამ ილიას ცხედართან დიდი გულისტკივილით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა და ფიციც დადო, რომ მის მიერ აფრიალებული დროშის ქვეშ იდგებოდა სიკვდილამდე და მის ნაანდერძეს საქმეს არ უღალატებდა — არ უღალატებდა ერს და ხალხს ყოველივე ამის იმავე ნაძირლებმა ვაჟასაც მწარედ გადაუხადეს. მართალია, თვითონ ვერ მოკლეს, თუ არ მოკლეს, რადგან თბილისში არ იყო და დიდ ძალასაც არ წარმოადგენდა საზოგადოებრივი ჭიდილის თვალსაზრისითაც. მაგრამ შემდეგში ძმაც (თედო) მოუკლეს და შვილიც (ლევანი) დაუხვრიტეს".

აქვე უნდა ითქვას, რომ დღემდე სიმართლე არაა ნათქვამი თედო რაზიკაშვილისა და ლევან რაზიკაშვილის მკვლელობების გამო, დღემდე მიჩუმებულია ამ ორი უდანაშაულო ადამიანის — გამოჩენილი ქართველი მწერლისა და დიდი ვაჟას პირმშოს მკვლელობის ამბავი.

ალბათ, დადგა დრო, რომ ამ შემზარავ დანაშაულებაზეც ითქვას სიმართლე, რომ ბოლოსდაბოლოს ნათელი მოეფინოს ბურუსით მოცულსა და მიჩქმალულ ფაქტებს...

საგულისხმო და გასააზრებელია გ. ხორნაუ-

ლის ეს სიტყვებიც: „ვაჟას და ვაჟას გმირების ამ მაღალ არისტოკრატიზმს დღესაც ბევრი ვინმე ვერ ხედავს; სამწუხაროდ, ვერ ხედავენ მხატვრებიც. ეს ჩანს ვაჟას ზედაპირული, გარეგნული ხედვიდან. მხატვარნი ვაჟას ხატვისას განსაკუთრებით ხაზს უსვამენ მის ფაფახს, ჩოხა-ახალუხს, ქალამან-ჯაჯიჭს, ნაბადს. მაგრამ შეუმჩნეველი რჩება სწორედ ის უმთავრესი — შინაგანი არისტოკრატიზმი".

არის აქ სიმართლე: ვაჟას ხატის შექმნისას ხშირად მთავარი ყურადღება რაღაც ეგზოტიკურ, არქაულ და ეთნოგრაფიულ ელემენტებზეა გადატანილი, ხოლო სული, არსი იჩრდილება და გაუგებარი რჩება...

შემოქმედებითი ენერგიის სიმძლავრე ემჩნევა წიგნის მეორე ნაწილს. თუ პირველ ნაწილში შეიმჩნეოდა ერთგვარი სტილური სიბლაგვე, მეორე ნაწილი მწყობრად, ერთი ამოსუნთქვით დაწერილსა ჰგავს, ამიტომაც საუკეთესო რომანივით იკითხება.

სამყაროში არაფერი არ იკარგება. თვით ვაჟას მიერ შექმნილი ტრაგედიების გმირთა სულებიც კი მათი სიკვდილის შემდგომ რადგან რეალურ სახეებს იძენენ და ეამი-ეამ გამოჩნდებიან კიდეც: ის რაც არღვევს და ტოვებს თავის ამქვეყნიურ სამოსელს, მისტიკურ განზომილებათა ბურუსში გადადის, ადამიანური სიზმარ-ცხადის თანამგზავრი ხდება და თავისი გავლენის წრეში ვეკვევართ მარადის.

1930 წელს ახალგაზრდა სიმონ ჩიქოვანი გუდამაყრის ხეობით გადასულა ფშავში, ერთი ღამე ჩარგალში ვაჟას სახლში გაუთევია. ამ ღამეს საოცარი სიზმარი უნახავს: „მთელი ღამე მესიზმრებოდა ცის ლაჟვარდზე აფრენილი არწივები, მთაში მოჩხრიალე ნაკადულები და მწვანე ბალახით დაფარული მთის ფერდობზე მომავალი თეთრცხენიანი მხედარი"...

მისტიურისა და რეალურის ხიდი. და ამ მარადიული კავშირის ერთ-ერთი ყველაზე გამძლე კომპონენტი: ვაჟა-ფშაველას პოეზია, რომლის აღქმასა და გულისეულ შეცნობას მკითხველს უეჭველად გაუადვილებს გიგი ხორნაულის მიერ მოთხრობილი „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი".

დავით ჩიხლაძე

ნეოავანგარდის ორი სახე

როდესაც ალენ რობ-გრიეის, „ახალმა რომანმა", როგორც ნეოავანგარდის კულმინაციურმა წერტილმა, გახანგრძლივების მაგივრად სიცოცხლე მოუსწრაფა ფრანგულ რომანს, მსოფლიოს ლიტერატურულმა „სამზარეულომ" პარიზიდან საბოლოოდ გადაინაცვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში...

ყველა ქვეყნის ხელოვნებაში დგება ხოლმე ისეთი მომენტი, როდესაც მხატვრები და კრიტიკოსები ერთხმად ამტკიცებენ, ამა და ამ მიმდინარეობის შემდგომ გზა არსათღა სჩანსო. ასე იყო მხატვრობაში პიკასოსა და ბრაკის დროს, მას შემდეგ, რაც კუბისტური ესთეტიკა პარიზიდან მთელ მსოფლიოს მოედო. იგივე განმეორდა ორმოცდაათიანი წლების ბოლოსაც, როდესაც პოპ-არტმა დაიწყო ზრდა ტრადიციასთან უკვე ადაპტირებული მიმართულებების ნიადაგზე. ასე ხდება ლიტერატურაშიც.

მხატვრობაზე შემთხვევით როდი ჩამოვაგდეთ სიტყვა. აქ გვინდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი: ჩვენს საუკუნეში, როდესაც ხელოვნებამ უკიდურესად კონცეფციური ხასიათი მიიღო, აღინიშნება მხატვრობისა და ლიტერატურის თეორიულ-სტილისტური ნოვაციების სრული დამთხვევა. თუმცა ყოველთვის შეიმჩნევა მხატვრობის ქრონოლოგიური პრიორიტეტი მწერლობასთან (აქ რა თქმა უნდა, ნოვაციათა ქრონოლოგიაზეა ლაპარაკი). თუ თვალსაჩინოებისათვის შეერთებული შტატების ლიტერატურას ავიღებთ, დავინახავთ, რომ ე. უ. ჭამინგსის კუბისტური ლექსები ნაწილობრივ პიკასოსა და ბრაკის შემოქმედებით არის განპირობებული; რომ უოლეის სტივენსის აბსტრაქციონისტული პოეზიის იდეა პირველად ვასილ კანდინსკისა და პიტ მონდრიანის ტილოებში გამოჩნდა, ხოლო „ახალ ეურნალიზმს" აშკარა პარალელები აქვს ამერიკულ სუპერრეალისტურ მხატვრობასთან.

უახლესი ხელოვნების დარგების ურთიერთმიმართებათა კანონზომიერებების ანალიზი ამჟერად შეუძლებელია. ჩვენი მიზანი უბრალოა და, ამავე დროს, საკმაოდ რთულიც: მოვახაზოთ თანამედროვე მსოფლიო ავანგარდული რომანის საერთო კონტურები, აღვნიშნოთ ყველაზე დამახასიათებელი და თვალი გავადევნოთ პერსპექტივას.

ცნობილია ფრანგული რომანის მრავალფეროვანი, კოლორიტული წარსული. სწორედ საფრანგეთში დაიბადა პირველი იმპრესიონისტული რომანი, შემდეგ — ბსურდის რომანი; ექსისტენციალისტური რომანი. აქვე ჩაეყარა საფუძველი მძლავრ სიურრეალისტურ სკოლას რომელზეც, შემდგომ, შეერთებული შტატების სპონტანური პროზა და ლათინური ამერიკის „მაგიური რეალიზმი" დაფუძნდა. და ბოლოს, განა საფრანგეთში არ გაჩდა შესაძლებელი ისეთი უკიდურესი ავანგარდიზმის დაშვება, როგორიც არის „ახალი რომანი", ასეთი მითქმა-მოთქმა რომ გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ამ სკოლის პიონერებმა, ალენ რობ-გრიეიმ და ნატალი საროტამ ერთის მხრივ რადიკალური ცვლილებები გამოიწვიეს მსოფლიო რომანის განვითარების პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ, საფუძვლიანად უარყვეს გავრცელებული „ჟორი" რომანის „სიკვდილის" შესახებ.

ალენ რობ-გრიეის კონცეფციის ძირითადი პუნქტია ე. წ. „შოზიზმის" ანუ ინვენტარული ესთეტიკა. მწერლის ყურადღება ძირითადად საგნებისაკენ არის მიმართული. შოზისტურ ლიტერატურაში ერთმანეთთან გამიჯნულია ადამიანებისა და საგნების სამყარო. ისინი განიხილებიან არა ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, არამედ ცალ-ცალკე, იზოლირებულად, ყოველგვარი ფსიქოლოგიურ-დინამიკური რეაქციების გარეშე.

ალენ რობ-გრიეის რომანში უგულებელყოფილია ნოემბედების დროისა და ადგილის აუცილებლობა. სამაგიეროდ წინა პლანზეა წამოწეული სუბიექტური ანაქრონიზმი — ინდივიდუალური „დრო", რომელიც არათანმიმდევრულად იმეორებს რეალურად მომხდარ მოვლენებს. დიდი ყურადღება ეთმობა ფორმობრივ მხარეს: ობიექტის ფოტოგრაფიულად ასახვის საკითხს და ფრაგმენტულობას. ამგვარად, ალენ რობ-გრიეის შემოქმედება უკიდურესი დაპირისპირებაა სიურრეალიზმთან (ფ. კაფკა, ა. ბრეტონი). მასში სახე უსახურო მისტიკურ დიფერენციერებას კი არ განიცდის, არამედ იმდენად შეკრულია და მოახლოებული, რომ მისი საერთო მოხაზულობის აღქმაც კი შეუძლებელი ხდება და მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების დათვალიერებით გვიხდება დაკმაყოფილ-

ება. ასე, რომ თუ სიურრეალიზმში საქმე გვაქვს ობიექტის სუბსტანციური მნიშვნელობის უამრავ დაწაწევრებასთან, ალენ რობ-გრიეის „ახალ რომანში" თითქმის სრულიად უარყოფილია ობიექტის თუნდაც ერთადერთი მნიშვნელობა. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ნათქვამი მხოლოდ რობ გრიეის „ახალ რომანს" შეეხება, რადგან, როგორც თვითონ მწერალი აღნიშნავდა, „ახალი რომანი" არ არის არც სკოლა დ., მითუმეტეს, არც მიმდინარეობა. ის ხალხ., ვინც კრიტიკოსებმა ამ ტერმინის ქვეშ გაერთიანა, სრულიად განსხვავებული ინტერესების, მისწრაფებების (და შესაძლებლობების) მქონე მწერლები არიან და მათ არასოდეს არ უფიქრიათ რაიმე საერთო კონცეფციებით ეხელმძღვანელათ.

მკვეთრად განსხვავდება ალენ რობ-გრიეის შემოქმედებისაგან ცნობილი ფრანგი მწერალი ჟალის ნატალი საროტის „ახალი რომანი". მისი მუშაობის პრინციპი, ძირითადად, დახვეწილ ფსიქოანალიტიკურ ნიუანსებში მდგომარეობს. ორიგინალურია, რომ ეს ნიუანსები ხშირად იგივეობრივია მკითხველის ცნობიერებისათვის თვით კითხვის მომენტში, რაც ლიტერატურული უჟანის ილუზორულ გაორებას — ავტორთან, წიგნთან და, ხშირად, საკუთარ თავთანაც კი იწვევს გაუცხოებას. რომანის გრძელი პერიოდები (ამ თვისებითაც ენათესავება საროტის რომანი რობ-გრიეის რომანს) ჯარბი პერიფრაზირებებით და ფუგისეული სტრუქტურითაა განპირობებული. ყოველ ფრაზას მედიტაციური ელფერი დაჰკრავს. მკითხველის ყურადღების კონცენტრირება კონტრაპუნქტულ რეფერენზე ხდება, ყოველთვის მარჯვედ და დროულად რომ გამოიკვეთება ხოლმე ტექსტში.

მეტად საინტერესოა ნატალი საროტის რომანი „ოქროს ნაყოფები", რომლის მთელ სიუჟეტს პერსონაჟთა დაუსრულებელი მსჯელობა შეადგენს თვითონ ნატალი საროტისა და იმავე რომანის გარშემო, რომლის მონაწილენიც თავადვე არიან. ერთნი აქებენ, მეორენი აძაგებენ. თხრობა ძალზე აზარტულია (უნდა აღვნიშნოთ მწერლის მართლაც დიდი ოსტატობა და გონებამახვილური მიგნებები) და მკითხველი, როცა კი შეამჩნევს, რომ მგრძნობი პირით იმავე რომანს აქებს ან აძაგებს, რომელსაც იმავე მომენტში კითხულობს, ერთხანს შოკირებული რჩება: თითქოს ვერფრით გაურკვევია, წიგნთან აქვს საქმე, რეცენზიასთან თუ რაც არ უნდა ნაცარი იყოს, ორივესთან ერთდროულად (როგორც შემდგომ დავინახავთ, ნატალი საროტის ეს რომანი ერთ-ერთი პირველი, მაგრამ ნაწილობრივი რეალიზაციაა როლან ბარტისეული კონცეფციისა).

ზემოთ ვთქვით, რომ „ახალი რომანით" ფრანგულმა ავანგარდმა, რომელიც ასე დიდხანს ლიდერობდა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურას, თავიანი თავი ამოწურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეერთებული შტატები იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც დაწუწებულიყო XX საუკუნის კულტურულ მონაპოვართა სინთეზირების პროცესი. ეს განაპირობა ამ ქვეყნის პოლონიაციონალურობამ, შესაბამისად, პოლირელიგიურობამ და, თუნდაც, ყოველისმომცველი კოსმოპოლიტიზმის ტალღამ, შეერთებული შტატებიდან რომ გავრცელდა მსოფლიოში.

ეს ფაქტი ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ იმავე პერიოდში, პარალელურად, დიდ ალმავლობას განიცდიდა ლათინური ამერიკის რომანი. ეს მონაკვეთი „მაგიური რეალიზმის" ანუ „ფანტასტიკიური რეალიზმის" ნიშნით გახდა ცნობილი. თანამედროვე კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ეს მიმართულება უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული ანდრე ბრეტონთან და საერთოდ სიურრეალიზმთან, მაგრამ არც მხოლოდ ამ ბაზაზეა დაფუძნებული. „მაგიური რეალიზმის-თვის" ნიშნეულია მითოლოგიისა და სოციალური ინამდვილის ერთ რაკურსში მოქცევა, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს პირველყოფილი მისტიკური შემეცნებით ჭვრეტა. აშკარაა ისტორიზმისაკენ სწრაფვის ტენდენცია, რადგან ეს ერთგვარი საშუალებაა მითოლოგიისა და ფოლკლორის გამოსაყენებლად. ამ ნაწარმოებებში ხშირად დაწვრილებითაა აღწერილი სხვადასხვა ძველი რელიგიური რიტუალი, მსხვერპლშეწირვა, სისხლიანნი წარმართული ღმერთებისადმი მიძღვნილი ორგიები. თუმცა ასეთ პასაჟებს ზოგჯერ ალეგორიული დატვირთვა აქვთ და სულაც არ ემსახურებიან „მაგიური რეალიზმის" იდეებს.

თანამედროვე ლათინური ამერიკის რომანის თვალსაჩინო წარმომადგენელები არიან პერუელი მწერალი მარიო ვარგას ლიოსა და კოლუმბიელი გაბრიელ გარსია მარკესი. ამერიკელი მწერლების, კერძოდ კი ჯონ ასდიანის, ნაწარმოებებში დამკვიდრებული სუბიექტური დროის ცნებისგან განსხვავებით ლიოსას და მარკესის რომანი ხასიათდება დიალექტიკურობით, ისტორიულობით, სინამდვილის მთელ წარსულზე განვრცობით და წარსულისა და დღევანდელობის ურთიერთმიმართებაში დროის უწყვეტელობის პრინციპით. როგორც ვხედავთ, ამ მწერალთა შემოქმედებაშიც იგნორირებულია დროის ტრადიციული გაგება, მხოლოდ სულ სხვა აქცენტით. ლათინური ამერიკის მწერლები ხომ ყველაზე მეტ „უურადღებას სწორედ დროის ცნების სპეციფიკურ ნიშნებზე მუშაობას აქცევენ. ამ ტენდენციათა საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს მარკესის რომანი „მატრობის ასი წელი" — „რეალისტური ზღაპარი", მითვით, ცრურწმენებით, სასწაულებით მოქარგული სურათი სინამდვილისა...

იმავე პერიოდში საფრანგეთში მაინც აღინიშნება სიახლე და მეტად თავისებურიც: ფრანგ

მწერალთა ექსპერიმენტების სფერო მხატვრული ლიტერატურის ჩარჩოებში ვეღარ მოთავსდა. შეიქმნა თვითრეფლექსური რომანი, ანუ მხატვრული და კრიტიკული შემოქმედების ერთგვარი კონცენტრატი. ამის პირველი მცდელობა ფრანგ კრიტიკოსებს, კერძოდ კი ცნობილი ჯგუფის „ტელ კელის" ლიდერს ფილიპ სოლერსს და მის მეგობრებს ეკუთვნით. ამავე ნიმართულების მხარდამჭერად და აქტიურ თეორეტიკოსად გვევლინება ცნობილი კრიტიკოსი როლან ბარტი.

სოლერსი და ბარტი მიზნად ისახავენ მხატვრული და კრიტიკული სიტყვის ფენომენების ერთ ნომენალურ საწყისად გადაქცევას, მათ გაერთიანებას არადიფერენცირებულ, ყოვლისმომცველ (ლიტერატურული თვალსაზრისით) სუბსტანციაში.

ამას გარდა, ჯგუფ „ტელ კელში" გაერთიანებული მწერლები არათუ ლიტერატურათმცოდნეობაში, თვით მხატვრულ ლიტერატურაშიც კი ცდილობენ ლინგვისტიკური სტრუქტურალიზმის მეთოდის დამკვიდრებას. მათი აზრით რადგან სიტყვას არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს ერთადერთი მნიშვნელობა, ყველა ტრადიციული ნაწარმოები შინაარსობრივი თვალსაზრისით ირეალურია. ბარტი რეალისტურ ლიტერატურას ესკაპისტიურად თვლის, რადგან მისი აზრით, იგი ფაქტიურად თავს არიდებს სინამდვილეს (ტექსტს, როგორც ერთადერთი რეალობის, სტრუქტურალისტურ კვლევას) და იდეურ-შინაარსობრივ სიმბოლოებზე მუშაობს. ბარტის მიხედვით ასეთი ნაწარმოები ყოველგვარ რეალურობას მოკლებულია.

ფილიპ სოლერსმა გამოაქვეყნა რამდენიმე რომანი, რომლებიც აშკარად წინასწარგანზრახული რეალიზაციაა როლან ბარტის სტრუქტურალისტური კონცეფციისა. ამიტომაც როგორც ტრადიციონალისტი კრიტიკოსები აცხადებენ, სოლერსის ნაწარმოებების უანრის გარკვევა საკმაოდ რთული საქმეა. ამ რომანებში იდეის პრობლემა საერთოდ მოხსნილია და მთელი შინაარსობრივი დატვირთვა ფორმაზე, ტექსტის სტრუქტურალისტურ-იმანენტურ მნიშვნელობაზე მოდის.

დღევანდელ ლიტერატურულ მიმდინარეობებს საერთო კრიტერიუმები არ გააჩნია. დაკარგულია ათვლის წერტილი. რაც ერთთათვის ნუმენალურად ითვლება, მეორეთათვის — ფენომენალურია, შეფარდებითია და პირიქით. ყველა ლიტერატურული ტერმინი პირობითობის ხასიათს იძენს. ამიტომ, იქნება გამართლებულიცაა, რომ ნოვაკომუნიკაციური ბელეტრისტიკის — ვიდეოსა და ტელევიზიის უახლესი ესთეტიკოსების მსგავსად როლან ბარტიც ერთადერთ უტყუარ რეალობად ნაწარმოებში ფორმობრივ მხარეს (ტექსტს) მიიჩნევს.

საერთოდ, სტრუქტურალისტური რომანის პრობლემა საკმაოდ რთულია და მისი გადაჭრა, ალბათ, ახალი მკითხველის ჩამოყალიბებაზეც არის დამოკიდებული. შეიძლება ამ პრობლემა ცალსახა კატალიზატორად გამოდგეს უკვე ლრმა საფუძვლების მქონე უახლესი ვიდეო და ტელეესთეტიკა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული რომანი განაგრძობს არსებობისათვის ბრძოლას, ხოლო ზოგიერთი კრიტიკოსი კი აღნიშნავს, რომ ცოტა ხანში მსოფლიოს ლიტერატურულმა ცენტრმა ლათინურ ამერიკაში უნდა გადაინაცვლოსო, შეერთებული შტატების დომინირება XX საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო ლიტერატურაზე აშკარაა. შეერთებულ შტატებში ჩაისახა და განვითარდა დღევანდელი რომანის ძირითადი, წამყვანი მიმართულებები: გოთიკა, „ახალი ჟურნალიზმი", სიურრეალიზმი, და სიურრეალისტური სცეენტიზმი (რობგრიიეესეული პერსპექტივა მხოლოდ ამერიკულ ნეოპოზიტივიზმში თუ შესძლებდა განვრცობას).

ახლა კი შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ ისეთი გამოჩენილი ამერიკელი რომანისტების შემოქმედების პრინციპები, როგორებიც არიან ნორმან მეილერი, ჯეკ კერუაკი, უილიამ ბეროუზი და არც მსოფლიოს სხვა ლიტერატურებთან გავწყვიტოთ პარალელები: ივანე ალენრომ-გრიიეესთან და ნატალი საროტთან, ლათინური ამერიკის „მაგიერ რეალიზმთან", ჯგუფ „ტელ კელის" ექსპერიმენტებთან...

ფორმალისტური თვალსაზრისით უპირველესი ნიშან-ფენომენი, რითაც ამერიკული სპონტანური პროზა ფრანგულ „ახალ რომანს" ენათესავება, შემოთ ნახსენები, ფრანზის ფუგისებური სტრუქტურაა. მხოლოდ, თუ რომ-გრიიე ამგვარი გრძელი პერიოდებით გადმოცემული შინაარსის გაუფერულებას და იდეურ გამეფებაას ისახავს მიზნად, ამერიკელი ექსისტენციალისტი მწერალი ჯეკ კერუაკი ამასთან ერთად განსხვავებულ ასპექტზეც ამახვილებს ყურადღებას: ბგერწერის იმპრესიონისტული ტექნიკით დამუშავებული სპონტანური თხრობა ძალზე პესიმისტურ და თითქმის დეპრესიულ განწყობას უქმნის მკითხველს.

ჯეკ კერუაკს აღიარება მოუტანა 1957 წელს გამოცემულმა რომანმა „გზაზე", რომელიც ასალგაზრდა ამერიკელი ჰიპატერების ცხოვრებაზე მოგვითხრობს. გმირის, ახალგაზრდა მწერლის, სელ პარადიზის პროტოტიპი თავად ავტორია, ხოლო სელის მეგობრის, დინ მორიარტის სახეს უდიდესი ამერიკელი ჰიპის, ნილ კესიდის პიროვნება დაედო საფუძვლად.

შემთხვევით როდი აღწერს მწერალი თავის რომანებში ჰიპურ, ე. წ. ძენ-ტურისტულ მოგზაურობებს და თავგადასავლებს შტატებსა და მექსიკაში. იგი თვითონაც ჰიპია, ოღონდ, ზედაპირული ნიშნებით თუ ვიმსჯელებთ, უფრო ბუდისტური გაღაბრი, ვიდრე ქრისტიანული (ძენ-ბუდიზმის, ბრაჰმანიზმის და ინდუიზმის

ლრმა კვალი ჩანს კერუაკის მთელ შემოქმედებაში — რომანებსა თუ ლექსებში). ხოლო ზეპოეტიკაში აღნიშნულ მის ფრაზეოლოგიურ სტრუქტურას მედიტაციური ხასიათი აქვს. სწორედ ბუდისტური ნირვანას მსგავს კონდიციას იწვევს კერუაკის ესთეტიკური სპონტანური პროზა.

მწერლის ექსისტენციალისტური დაძაბულობა, ძირითადად, მარადიული ჰუმანური პრობლემებიდან მომდინარეობს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მწერლის ალეგორიულ დამოკიდებულებას თანამედროვე ცივილიზებულ ქალაქთან და მის ტექნოკრატიულ საზოგადოებასთან. ადამიანთა ურთიერთობების არამარადიულობაზე, საერთოდ, წარმავლობაზე ფიქრით გამოწვეულ მის სასოწარკვეთას ექსპრესიულობას მატებს ირაციონალური ოხრობა, როგორც ერთადერთი და უმწეო გამოსავალი საშინელი სინამდვილიდან (კერუაკის და მისი მეგობრის, ნილ კესიდის ექსისტენციალიზმი, ფილოსოფიამ, სამწუხაროდ, პირდაპირი გამოხატულება ჰპოვა მათს ცხოვრებაში: ორივე ნარკოტიკებისა და ძენ-ბუდიზმის მეშვეობით ცდილობდა გაქცევოდა სინამდვილეს. ისინი პოეტ ალენ გინზბერგთან ერთად ხშირად მიმართავდნენ ძენ-ბუდიზმურ მედიტაციებს რკინიგზაზე. სწორედ რკინიგზაზე, განძელების თვლისას გარდაცვალა ნილ კესიდი და მისი უკანასკნელი სიტყვა იყო „სამოცდათოხიათასი-ცხრაასოცდარვა". ნარკოტიკებით დაიღუპა ჯეკ კერუაკიც).

უთუოდ ბევრი დააკლდა ამერიკულ რომანს კერუაკის ნაადრევი გარდაცვალებით; განსაკუთრებით კი იმპრესიონისტულ ამერიკულ პროზას და პოეზიას. კერუაკის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთ საინტერესო ფენომენალურ თავისებურების სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ალენ გინზბერგმა ან უილდმანთან ერთად 1974 წელს დააარსა მისი სახელობის „დაშლილი პოეტიკის სკოლა". ჯერ კერუაკს ამერიკელი კრიტიკოსები ჯაზ-პოეტს უწოდებენ. ეს შემთხვევითი როდია. მისი პროზაული სტრუქტურების მიღმა ადვილი დასანახია ცნობილი ჯაზ-საკსოფონისტების ლესტერ იანგისა და ჩარლი პარკერის რიტმული მოდელები, მუსიკალური კონსტრუქციები. ჯეკ კერუაკი ძალზე უცნაური მუსიკალურობით აღიქვამდა ამერიკულ სალაპარაკო ენას. მას ყოველთვის იზიდავდა საკუთარივ ბგერებზე მუშაობა, რის გამოც მისი ნაწარმოებების აკუსტიკა ძალზე უახლოვდებოდა ლოცვისა და მანტრის ეტერადობას. აი, აქ შეიძლება გაიკვლს ერთი პარალელი ფრანგულ და ამერიკულ ავანგარდისტულ სულისკვეთებას შორის: ჰემინგუეის თანამედროვე ამერიკელი მწერალი ჟალი გერტრუდა სტაინი სწორედ პარიზული ავანგარდის წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. ჩვენს საუკუნეში, ჩვენს ლიტერატურულ ატმოსფეროში კი პირველი და ყველაზე ძლიერი ექსპერიმენტები ბგერწერის სფეროში უცილობლად მას (ასევე თვნის (ჯოისმა რაღაც დაკარგა ქვეცნობიერის ასოციაციების ხარჯზე). კერუაკი სტაინის მხოლოდ გაგრძელებაა. გერტრუდა სტაინს ეკუთვნის მედიტაციური ფორმის პროზაული კომპოზიციები, სადაც ენა განთავისუფლებულია მნიშვნელობებისაგან. ეს არის ცირკულალურად მოძრავი პროზა, სადაც გრძელი პერიოდის ერთი რომელიმე ,სიტყვა ყოველგვარ შეხაძლებელ სინტაქსურ კომბინაციაშია გამოყენილი. ასეთი ჰიპნოტური გამეორებებისგან სიტყვა კარგავს მნიშვნელობებს და მხოლოდღა წმინდა ბგერებად გვევლინება. ამერიკელი პოეტი ალენ გინზბერგი, ჯეკ კერუაკის და გერტრუდა სტაინის თაყვანისმცემელი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათი ნაწარმოებების აღქმის ფორმას. მისი გამბარტებით ეს არის ხმამაღლა წასაკითხი ანუ მოსასმენი პროზა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ამ ნაწარმოებების ღირსებების სრულყოფილი წვდომა. მოსასმენი მხატვრული პროზის იდეა დღეს საკმაოდ პოპულარულია ამერიკაში. მის თეორიულ სრულყოფაში საკმაო წვლილი მიუძღვის ესთეტიკოს მარშალ მაკლუენს და მწერალ სიუზან სონტაგს. „ჯოისი, სტაინი, გადდა, ლაურა რიდინგი, ბეკეტი და ბეროუზი იყენებენ ისეთ ენას, რომლის ნორმები და ენერგიები ზეპირი მეტყველებიდან მოდის — წერს სიუზან სონტაგი ერთ-ერთ თავის წერილში. როგორც ალენ გინზბერგი ამბობს, გერტრუდა სტაინი დაინტერესებული იყო ცნობიერების სხვადასხვა მოდალობების არტიკულაციით ხელოვნებაში. იგი აგრეთვე დაინტერესებული იყო მანტრულ-მედიტაციური პოეტიკით. ამგვარად პარიზულ და თანამედროვე ამერიკულ ავანგარდს შორის კიდევ ერთი მტკიცე კავშირი გამოიკვეთება.

ასეთივე პარალელები შეიძლება მოინახოს ფრანგულ სიურრეალიზმსა და უილიამ ბეროუზის ან თუნდაც ნორმან მეილერის შემოქმედებას შორის. მაგრამ ერთ-ერთი სპეციფიკური დამახასიათებელი თვისება თანამედროვე ამერიკული ავანგარდისა არის უარყოფა ელიტარულობის, რაც ასე წარმოუდგენელი ჩანდა პარიზში.

ევროპაში კი ამ ბოლო დროს საწინააღმდეგო ტენდენცია აღინიშნებოდა. ნოვაკომუნიკაციური ხელოვნების პირობებში მხატვრული ლიტერატურის გადასარჩენად მთელი რიგი ფრანგული და ავსტრიული ჯგუფები (გერტ იონკე, გერტ ჰოფმანი) ცდილობდნენ კვლავ დაბრუნებოდნენ მკაცრ ტოტალიურულ ელიტარულობას. მათი აზრით, მწერალი არ უნდა ლაპარაკობდეს მასისათვის გასაგები ენით, რათა იგრძნობოდეს შემოქმედის უპირატესობა ხალხზე. მასან საკუთარი ძალებით უნდა მოიპოვოს მწერლის დაშიფრული, კოდირებული ენის გასაღები. ამ ტენდენციის ერთ-ერთი ჭეშმარიტი ფიგურა იგივე როლან ბარტის ნაშრომები

სემიოტიკური სტრუქტურალიზმში. არათუ მასისთვის, ზზრარდ გამოცდილი სპეციალისტებისთვისაც კი მოულოდნელია მისი იდეოლოგიური ზის მიმართულებები.

„ელექტრონულმა ერამ", შესაბამისად, თავისი ფსიქოლოგია მოიტანა. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ტელე და ვიდეოფილოგენების გავლენის ფაქტორს ლიტერატურაზე. ახალმა მკითხველმა, ახალმა აუდიტორიამ ახალი მოთხოვნები წაუყენა ლიტერატურას (ჭერ კიდევ ჭერმინგუეის პროზა განიცდიდა კინემატოგრაფიის დიდ გავლენას). ბოლო დროს, როდესაც ხელოვნების ვიზუალურ დარგებში ნაწარმოების მთელი შინაარსობრივი დატვირთვა ფორმითა და გამომსახველი საშუალებით ამოიწურა, მხატვრული ლიტერატურაც პარადოქსული ულტიმატუმის წინაშე აღმოჩნდა: მოდერობის, პოპულარობის შესანარჩუნებლად მას უარი უნდა ეთქვა: მხატვრულობაზე. ასე დაიბადა საფრანგეთში სტრუქტუალისტური რომანი, ხოლო ამერიკაში — „ახალი ჟურნალიზმი".

ამ რთული, სპეციფიკური მიმდინარეობის „შემოტევას" ამერიკის მწერლობა მომზადებული შეხვდა: მის სამსახურში ჩადგნენ იმ ხანად უკვე საკმაოდ ცნობილი მწერლები ტომ ვოლფი, ტრუმენ კეპოტე და ნორმან მეილერი. ფრანგმა მწერლებმა „ელექტრონული ერის" კანადელი სპოიკსმენის, მარშალ მაკლუენის იდეები გაითავისეს.

„ახალი ჟურნალიზმის" საუკეთესო ნიმუშად ნორმან მეილერის პუბლიცისტური წიგნი „მაიამი და ჩიკაგოს ალყა" ითვლება, რომელშიც რესპუბლიკანელთა და დემოკრატთა 1968 წლის წინასაარჩევნო ყრილობებია გაშუქებული. რეპორტაჟული ტალის მიუხედავად წიგნი ღირსეულად აგრძელებს ამერიკული რომანის ტრადიციას: იგი ფსიქოლოგიური რომანის ბრწყინვალე ნიმუშიცაა (ამერიკულ რომანში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ფსიქოლოგიზმმა. გოთიური, სიურრეალისტური და თვით „ახალი ჟურნალიზმის" ნაწარმოებებიც კი საუკეთესო ნიმუშებად წარმოგვიდგებიან ფსიქოლოგიური რომანისა).

ნორმან მეილერს გამოცემული აქვს სხვა დოკუმენტალისტური რომანებიც: „წმინდა გიორგი და ნათლია" (1972), სადაც კვლავ. წინასაარჩევნო პარტიული ყრილობებია აღწერილი, „ცეცხლი მთვარეზე" (1970), რომელიც „აპოლონ-11"-ის პირველ ხალანეტათაშორისო ექსპედიციას ეძღვნება, „ღამის არმიები" (1968), ცნობილი „პენტაგონის მარშის" ქრონიკა და ამერიკელი კინოვარსკვლავის მერლინ მონროს ბიოგრაფიაზე აგებული ე. წ. ნონფიქციური რომანი „მერლინ" (1973).

„ახალმა ჟურნალიზმმა" ბევრ სასარგებლო ხიაზლესთან ერთად პრობლემებიც მოიტანა. მის სპეციფიკურ ტალის შეცდომაში შეჰყავდა კრიტიკოსები. ამბტომაც, ერთი ხანობა „მერლინს" ჩვეულებრივი ბელეტრისტიკის სფეროს მიკუთვნებდნენ, სინამდვილეში, „მერლინ" ბიოგრაფიულ ფაქტებზე აგებული ფსიქოლოგიური რომანია, რომელშიც ფსიქოანალიტიკური მეთოდთაა გამოკვლეული ამერიკის უმშვენიერესი ლედის კომპლექსებით აღსავსე ცხოვრება. წიგნში ბიოგრაფიული მომენტებისა და მათი ავტორისეული ინტერპრეტირებების გარდა, წიგნი კარგად არის გაფორმებული, დართული აქვს ფერადი ილუსტრაციები და „ახალი ჟურნალიზმის" ესთეტიკის ყველა მოთხოვნას პასუხობს. ამიტომაც, „მაიამისა და ჩიკაგოს ალყის", ვგრდით, რომანი „მერლინ" „ახალი ჟურნალიზმის" შედეგრად შეიძლება ჩაითვალოს. მასში ოპტიმალური დატვირთვითაა გამოყენებული „ახალი ჟურნალიზმის" ყველა საშუალება: არაფიქციური მასალის ფსიქოანალიზი. ანქრონული რეპორტაჟი, ფოტოგრაფიულობა.

დიდი წვლილი მიუძღვის ნორმან მეილერს ამერიკული „სამხედრო რომანის" განვითარებაშიც. სწორედ ამ თემაზე შექმნილი რომანის „შიშველნი და მკვდარნის" წყალობით გაითქვა მწერალმა სახელი. რომანში მოთხრობილია იაპონიის არმიის ალყაში მოხვედრილი ამერიკული სადაზვერვო ოცეულის თავგადასავალი. უაღრესი სიზუსტითაა დახატული მათი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ რომანში საბრძოლო ეპიზოდები თითქმის არ გვხვდება, უაღრესი სიცხადითაა წარმოსახული ომის მთელი სანშელეზა. ასევე ნატურალისტურადაა ნაჩვენები ომის საცოდავ მსხვერპლთა ფსიქოპათოლოგიური ცხოვრება, მათი, თითქმის სიურრეალიზმამდე მისული ცნობიერება. ფროიდისტული შეხედულებების პარალელურად ნორმან მეილერის რეალისტური მწერლობის ღირსეულ გამგრძელებლად წარმოგვიდგება, მაგრამ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, თუ მის სახეებს ნატურალისტურის ნაცვლად ვიზუალურს ვუწოდებდით. პირველი წმინდა ლიტერატურულ ფაქტორზე მიანიშნებს, მაშინ, როდესაც მწერალს სწორედ ვიზუალური, „კინემატოგრაფიული" გზებით სურს ამბის გადმოცემა. ეს გზა მას შემთხვევით არ აურჩევია: ამ რომანში, გარკვეულწილად, მაინც მისტიკური სიურრეალიზმი დომინირებს რეალიზმზე, ამ შემთხვევაში კი „არალიტერატურული", „ვიზუალური" ხერხები უფრო ეფექტური და მომგებიანია. (თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია ერთმანეთს შევუპირისპირთ სიურრეალისტური კინო და მულტფილმი. ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ტრადიციული სიურრეალისტური პოეზია).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რომანში მწერალი თხრობის საინტერესო ფსიქოლოგიურ ფორმას მიმართავს (თუ ახალი ხერხი ლიტერატურისათვის უცნო არ არის, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ნორმან მეილერმა ყველაზე საინტერესოდ გამოიყენა იგი). რომანი ორმაგი კონსტ-

რუქციისა: ერთის მხრივ, ძირითადი სიუჟეტი, რომელიც სადაზვერვო ოცეულის აწმყოს ალწერს და მეორეს მხრივ წარსულის მშვიდობიანი ცხოვრების სურათები, რომლებიც უბრალო ჩანართების სახით კი არ წარმოგვიდგება, არამედ თავისი სიუჟეტური მნიშვნელობით ძირითადი კომპოზიციური ხაზის ექვივალენტურია. ეს მეორე, ფსიქოლოგიური ნაკადი ემოციურობას და ექსპრესიულობას მატებს ნაწარმოებს და ყველაფერს უფრო დრამატულად წარმოაჩენს.

ნორმან მეილერის ამ ნაწარმოებში საინტერესოდაა ნაჩვენები სხვადასხვა მსოფლმხედველობის, სხვადასხვა წარსულისა და სხვადასხვა რწმენის ადამიანთა შინაგანი სულიერი ენერგიის ერთნაირი მობილიზება ფაკალურობის, საშინელებისა და სიკვდილის წინაშე. რომანში თვალსაჩინოდაა მოცემული, თუ როგორ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების წესი მის მოქმედებაზე კრიტიკულ მომენტში: მებრძოლთა ყოველი გმირული თუ ლაჩრული ქცევა ფსიქოანალიზის მეთოდით არის გაშუქებული. ნორმან მეილერისათვის აგრეთვე დამახასიათებელია მისტიკურობა, ოღონდ წმინდა ამერიკული ტიპის, ურბანოიდული. კონტექსტით ვგებულობთ, რომ გმირების სულიერი დეპრესია სექსუალური ქვეცნობიერი მიზეზებით არის გამოწვეული. თვით ნოსტალგიის გრძნობაც კი განვლილ სექსუალურ ცხოვრებას უკავშირდება (!). ხანდახან ისე გამოდის, რომ თითქოს მეომრები ამერიკისათვის კი არა, საკუთარი სექსუალური ღირსებებისათვის ან სქესობრივი თვითდამკვიდრებისათვის იბრძვიან.

იიპიზმის თემა ერთობ მოდური აღმოჩნდა იმ პერიოდის ამერიკისთვის. ამის მაგალითია ნორმან მეილერის ზემოხსენებული პუბლიცისტური რომანი „მაიამი და ჩიკაგოს ალყა", რომელშიც წინასაარჩევნო კომპანიის ამბებთან და პოლიტიკური მოღვაწეების პორტრეტებთან ერთად მოცემულია იიპების ოფიციაზენაადგილდგო მოძრაობის ქრონიკა ჩიკაგოს ლინკოლნ-პარკიდან. საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრების, ანუ იიპების, იდეებს და მსოფლმხედველობას ნორმან მეილერთან და კენ კესისთან ერთად ისეთი ცნობილი ამერიკელი მწერლებიც იკვლევენ, როგორებიც არიან ალენ გინზბერგი და უილიამ ბეროუზი.

მაგრამ კესის გოთიკური, „შავი იუმორის" ხერხებისაგან განსხვავებით რომანი „მაიამი და ჩიკაგოს ალყა", თავისი ნონფიქციური ქრონიკულობით „ახალი ჟურნალიზმის" პრინციპებს ახორციელებს და მკაცრი ობიექტური ანალიზის სპექტრში აღწევს მკითხველამდე.

რომანში ნაჩვენებია სოციალისტთა („ახალი მემარცხენეები") და ექსისტენციალისტთა (იიპები) მრავალრიცხოვანი დაჯგუფებების ერთმანეთთან დაპირისპირება. პირველნი თანამედროვე ამერიკის ნეოპოზიტივისტური ფილოსოფიის მომხრენი არიან, მეორენი კი, იიპები, გმირობის, ძმობის, ნარკოტიკების, ექსტაზის და მისტიკის კულტს ქადაგებენ.

ნორმან მეილერის ამ ნაწარმოებში ავტომატურად გამოდის წინა პლანზე სოციალური ეღერადობა, რადგან თავიდანვე უარყოფილია ტრადიციული მხატვრული პირობითობა. თუმცა დოკუმენტალურობა მწერლის მდიდარ სახეობრიობას არ ახშობს. ეს ნაწარმოები, გარკვეულწილად, ნოვაკომუნიკაბელური ხელოვნების — ვიდოსა და ტელევიზიის მიერ შემოთავაზებული ესთეტიკის და მხატვრული კრიტერიუმების დამკვიდრების ემსახურება. ავტორი ოსტატურად ფლობს ახალი ხელოვნების, ე. წ. „მასიური შემოქმედების" ხერხებს. არაელიტალურობა ახლა ყველაზე მძლავრი ტენდენციაა ამერიკულ ხელოვნებაში. ალბათ, ამიტომაც ავტორსა და მკითხველს ალარ სჭირდებათ წინასწარი შეთანხმება რაიმე კოდებსა და სიმბოლოებზე. შემოქმედი და მასა თითქმის ერთიდაიგივე რაკურსიდან ჭვრეტენ მოვლენას და თუ იმასაც გავიფიქრებენ ეს, რომ მხატვრული პირობითობის გაუქმებასთან ერთად „ახალ ჟურნალიზმში" აუცილებელია დოკუმენტალურობის შენარჩუნება, ალბათ, ძნელი მისახვედრი ალარ იქნება, თუ რატომ წამოიკრება თანამედროვე ამერიკულ რომანში ასე ფართოდ ნამდვილი სოციალური თემები.

შემდეგ ნორმან მეილერის რომანში „მაიამი და ჩიკაგოს ალყა" ნაჩვენებია თუ როგორ გახდნენ იძულებული იიპები და „ახალი მემარცხენეები" გაერთიანებულიყვნენ წინასაარჩევნო კომპანიისა და ვიეტნამის ომის წინააღმდეგ. ლინკოლნ-პარკში თავმოყრილი ათასობით ამერიკელი ჭაბუკი და ქალიშვილი დილის ექვსი საათიდან დალამებამდე მართავდა მიტინგებს. სახელდახელო პოპ-კონცერტებს, აპოლიტიკურ და ამერიკის უსამართლო ომს და დემოკრატიული პარტიის ყრილობას. იიპების ხელმძღვანელები პოლ კრასნერი და ჯერი რუბინი მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს, დაეზოგათ თავიანთი ძალები, რათა ბოლომდე შესძლებოდათ თავიანთი რევოლუციური იდეების განხორციელება. „ახალი მემარცხენეების" ერთ-ერთი სპოუკსმენი საჯაროდ აცხადებდა: „ბიუროკრატიისა და ტექნიკის უზომო განვითარებამ შეიძლება კატასტროფამდე მიგვიყვანოს. თუ ხაათს ზედმეტად მოვმართავთ, ზამბარა გაუჭედება სუპერავიამზიდი „ფორტრესოლი" თავიანმა საკუთარმა რაკეტამ გაანადგურა. ამ კვირას, ჩიკაგოში, საბჭდერო და სანდალიცო მანქანამ შეიძლება საკუთარი დედა გადასანსლოს — დემოკრატიული პარტია..."

ასე ემზადებოდა ჩიკაგოს ახალგაზრდობა პოლიციასთან საბრძოლველად. ამით მათ თი-

თქოს იმის დამტკიცება სურდათ, რომ სილაჩრის გამო არ არიდებდნენ თავს ვიეტნამის უსამართლო ომს; ამის მაგალითად ხომ ისიც ქმაროდა, რომ ისინი ახლავე მზად იყვნენ ბრძოლისთვის, არც პოლიციის ხელკეტების ეშინოდათ და არც ცრემლმდენი გაზისა.

ბრძოლა ორშაბათს დაიწყო და მთელ კვირას გასტანა. პოლიციის არმიების სიმაცრის მიუხედავად იიპები არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს. პოლიციია სასტიკად გაუმკლავდა პარკში მყოფ მსხვილი ამერიკული ჟურნალ-გაზეთების და ტელეკომპანიების რეპორტიორებსაც და კორესპონდენტებს. სამშაბათს, ღამით, როცა ბრძოლა ახალი ძალით უნდა დაწყებულიყო, იიპებსა და ნაციონალურ სამობილიზაციო კომიტეტს ოთხასამდე ღვთისმსახური და აქტიური მოქალაქე შეუერთდა. ბრძოლის მეთოდების თაობაზე დემონსტრანტებსა და ღვთისმსახურებს კამათი მოუვიდათ. იიპები გაიძახოდნენ, რომ მღვდლები ბრძოლაში აო ივარგებდნენ და უჯობდათ დაეტოვებინათ პარკი. მღვდლები კი თავის მხრივ, ასაბუთებდნენ, რომ პოლიციასთან ბრძოლით და მათი სიტყვიერი შეურაცხყოფით იიპები მათსავე მორალურ და სულიერ დონეზე დაეცემოდნენ. მაგრამ ბოლოს ბრძოლის სიმკაცრემ რვაასამდე დემონსტრანტი იძულებული გახდა ჯვრის გარშემო მოეყარა თავი.

ახალგაზრდა ბიჭები და გოგონები, მიუხედავად პოლიციის დაუნდობელი ხელკეტებისა და ცრემლმდენი გაზით სავსე ცისტერნებისა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ფეთქდებოდა პარკში, ბოლომდე გმირულად იბრძოდნენ. ვინც იძულებული გახდეს დაეტოვებინა ლინკოლნ-პარკი, ჭიუაში აგრძელებდა ბრძოლას: ამსხვრევდა მაღაზიების ვიტრინებს, ამტვრევდა მანქანებს, აჩენდა ხანძარს. განადგურდა ათობით პოლიციის მანქანა. ხშირად თვით პოლიციელებიც ექცეოდნენ ალუაში, ხოლო რამოდენიმეჯერ იიპებმა აფეთქებამდე მოასწრეს ცრემლდენი ცისტერნების უკანვე გადადება პოლიციელთა ჯგუფებში.

ქვეყანაში საერთო არეულობა დაიწყო: 4 აპრილს მოკლეს მარტინ ლუთერ კინგი, რასაც მთელ რიგ ქალაქებში პროტესტის ნიშნად მოჰყვა მიტინგები, ძარცვები და ხანძრები. ამ ქალაქებში ,,ბაზზანვილ" იქნა ნაციონალური გვარდია და ფედერალური ჯარები. გაეცემული იქნა ბრძანება მეამბოხეთა პირდაპირ ჭიუაში დახვრეტის შესახებ. 23 აპრილიდან კოლუმბიის უნივერსიტეტში შეწყდა სწავლა. გრანპარკში იმართებოდა მასობრივი მიტინგები. მიჩიგან-ავენიუზე თავი მოიყარა ხუთიათასამდე დემონსტრანტმა და დელეგატთა რეზიდენციისკენ სასტუმრო ,,ჰილტონისაკენ" დაიძრა; გზად მათ განუწყვეტლივ უერთდებოდნენ შემხვედრი მოქალაქეები. ბალმო-ავენიუსთან პოლიციამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია დემონსტრანტებს, რათა მათ ,,ჰილტონთან" მისვლის საშუალება არ მისცემოდათ. სისხლისმღვრელ ბრძოლაში დასახიჩრებულ ახალგაზრდებთან პოლიციელები არ უშვებდნენ ექიმებს და ხშირად მათაც ასევე დაუნდობლად უმკლავდებოდნენ. ,,ჰილტონის" რესტორანთან პოლიციამ ქალებზე და ჟურნალისტებზე მიიტანა ერიშები. რესტორნის ჩამსხვრეული ვიტრინის შუშებით დასისხლიანებული ადამიანები პირდაპირ დარბაზში ცვიოდნენ, სადაც მათ დამბლებით სთავაზობდნენ ხელკეტებს და თავებს უხეთქავდნენ. ამავე სასტუმროს ფანჯრებიდან ადევნებდნენ თვალს საქმის მსვლელობას ყრილობის დელეგატები. პოლიციია მკვლელების ანარქისტულ ბანდად გადაიქცა...

ნორმან მეილერი თავად ღებულობდა მონაწილეობას 1968 წლის ჩიკაგოს არეულობაში. ლინკოლ-პარკში მის გვერდით იმყოფებოდნენ ალენ გინზბერგი და უილიამ ბეროუზი (ალენ გინზბერგი სახალხოდ მღეროდა ინტუისტური მანტრას ,,აუმ" და ასევე სახალხოდ შეუფლაცვდა პოლიციას, პენტაგონსა და პრაღის (?!) ბიუროკრატიას). ორი წლის შემდეგ ნორმან მეილერი რესპუბლიკანელთა პარტიის ყრილობის დროს უწესრიგობებში მონაწილეობისათვის გასამართლეს.

როგორც ვხედავთ, ამერიკელ მწერალთა შემოქმედებას, კერძოდ კი ნორმან მეილერის ფსიქოანალიტიკურ დოკუმენტალურობას ნამდვილი ცხოვრებისეული გამოცდილება უდევს საფუძვლად. ალბათ, ესეც ,,ახალი ჟურნალიზმის" ერთ-ერთი დაუწერელი კანონია...

სწორედ პრაქტიკული გამოცდილებისაკენ სწრაფვის და დაუოკებელი მებრძოლი სულისკვეთებისათვის თანამედროვე მოდერნიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი უილიამ ბეროუზი მრავალი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ემიგრაციაში. ნორმან მეილერი ერთგან აღნიშნავდა, რომ ბეროუზი დღეს ერთადერთი რომანისტია, ვინც შეიძლება სიცოცხლეშივე გენიოსად ჩაითვალოს. ჯერ კერუაკი მას იხსენიებდა, როგორც ,,უდიდეს სატირულ მწერალს ჯონათან სვიფტის შემდეგ".

უილიამ ბეროუზს პოპულარობა მოუტანეს რომანებმა ,,გაშიშვლებული ლანჩი", ,,ნაზი მანქანა" და ,,მკვდარი თითების საუბარი". დიდი გამოხმაურება ჰქონდა ერთ-ერთ საინტერესო მოდერნისტულ რომანს ,,ნოვა ექსპრესს", რომელიც, ნაწილობრივ, მთემატიკოს მისტერ იან სომერვილთან თანამშრომლობით დაიწერა. ამერიკული სციენტისტურ-სიფრრეალისტური რომანის ბრწყინვალე ნიმუშია ,,ნოვა ექსპრესი". იგი რვა ნაწილისაგან შედგება, რომლებიც თავის მხრივ ქვეთავებად არიის დაყოფილი. თითოეული ნაწილი დასრულებულ ნაწარმოებს წარმოადგენს. საბოლოოდ

კი ყველა ერთმანეთთან ერთიანდება და საერთო ჩანაფიქრს ავსებს.

წიგნში მთელი გვერდები ეთმობა ნარკომანთა ბოდვებს და გონების „განათებებს", ნარკოტიკების ზემოქმედების აღწერას ტვინის სხვადასხვა ნაწილზე, სექსოპათოლოგთა საუბრებსა და ფროიდისტულ მოსაზრებებს.

რომანი სპონტანური პროზის მანერითაა დაწერილი. სწორედ ამით განსხვავდება ბეროუზის სცეენტისტური რომანი ფრანგი ავანგარდისტების — სოლერსის, კრისტევას და ბარტის ლოგიკურ-სცეენტისტური ნაწარმოებებისაგან. ამავე დროს, იგივე სოლერსის, კრისტევას და ბარტის მარქსისტული იდეებთან დაინტერესების საწინააღმდეგოდ, უილიამ ბეროუზი ნებისმიერ იდეოლოგიას და მორალს უარყოფს. მისი რწმენით ადამიანის სრული თავისუფლება მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მისი გრძნობები ეთიკური მარწუხებისგან განთავისუფლდება:

„ვინ გაბედა მონოპოლიზება უკვდავების? ვინ გაბედა მონოპოლიზება კოსმიური ცნობიერების? ვინ გაბედა მონოპოლიზება სიყვარულის, სექსის, ოცნების? ვინ გაბედა მონოპოლიზება სიცოცხლის დროის, ფორტუნის? ვინ წაგართვათ ის, რაც თქვენია? და ახლა სურთ, რომ უკან დაგიბრუნონ?... დედამიწელო ადამიანებო, თქვენ ყველანი მოწამლულები ხართ, გარდაქმენით მორფინის მთელი არსებული მარაგი აპომორფინად, ქიმიკოსებო, დაუფლათავად იმუშავეთ აპომორფინის სინთეზებსა და ვარიაციებზე...".

ასე მიმართავს „ნოვა ექსპრესში" ციდან მოვლენილი ნოვა-პოლიცია დედამიწის დეჰუმანიზებულ მოსახლეობას — ნოვა-ბრბოს.

უილიამ ბეროუზი სხვა ამერიკელი მწერლების მსგავსად ცდილობს თავის ლიტერატურაში მოსპოს ხელოვნურობის, მხატვრულობის ლიმიტი. იგი ნაკლებ ყურადღებას უთმობს მხატვრული სიტყვის ოსტატობას და ვიზუალური, ტელეკომუნიკაციული სტილის სახეების სრულყოფაზე მუშაობს; ამგვარად, მიუხედავად არადოკუმენტალურობისა და სიურრეალისტური ხედვისა სურს გააფერმკრთალოს ზღვარი გამონაგონსა და სინამდვილეს, ხელოვნასა და მასას შორის. მისი აზრით, ამას მოითხოვს ახალი აუდიტორია და ახალი მკითხველი.

როგორც დავინახეთ, თანამედროვე ავანგარდისტული ლიტერატურის, კერძოდ კი რომანის ძირითად მამოძრავებელ წინააღმდეგობებს ორი უახლესი ბანაკი ქმნის: „ელექტრონული ერის" ფრანგული და ამერიკული სკოლა. ორივე მიმდინარეობას — სტრუქტურალისტურ რომანსაც და „ახალ ეურნალიზმსაც" საფუძვლად მარშალ მაკლუენის ე. წ. „კომუნიკაბელობის ესთეტიკა" აქვს. ეს ძირითადი ლიტერატურული პროცესია თანამედროვე მსოფლიოში და უნდა აღინიშნოს, რომ ლათინური ამერიკის „მაგიური რეალიზმი" მისგან აშკარად განსხვავდება. იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრადიციულ სიურრეალისტურ ბაზაზეა დამყარებული და „ელექტრონული ერის" კონცეფციებთან ნაკლები კონტაქტები აქვს. ფრანგული, ავსტრიული და სხვა ლიტერატურები, რომელთა განხილვა ამ წერილში შეუძლებელი იყო, ისევ ელიტარული სიმბოლიზმის, ე. წ. „არაპოპულარული" ტენდენციების ტყვეობაში მოექცნენ. ახლა, ალბათ, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ გზა მეტი არსაითლაა...

ჩ ვ ე ნ მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32.
პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35
პრიზის — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 4. 02. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 04. 88 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 307 უე01308 ტირაჟი 70. 350.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ